

მ ს ს ე თ ა

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები

ტომი I

„მეცნიერება“
თბილისი
1955

მცხეთისა და მისი მიდამოების ისტორიულ-არქეოლოგიურ მკვლთა მოკლე მიმოხილვა

საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთისა და მისი მიდამოების (ტაბ. XV—XVII) მიწისქვეშა ძეგლებმა არქეოლოგების ურადლება მიიპყრეს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან.

ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოს სამხედრო გზის ტრასის შესაცვლელად მიწის მუშაობის დროს, 1867 წელს, ნასოფლარ მუსათგვერდს ქვემოთ, მტკვრის ვიწრობაში აღმოჩნდა ახალი წელთაღრიცხვის 75 წლის ბერძნულწარწერისანი სტელა¹, ხოლო მომდევნო წლებში სამთავროს მინდორზე და ბებრისციხის მასლობლად თავი იჩინა ძველმა სამარხებმა. ამას მალე თან მოჰყვა სამთავროში არქეოლოგიური თხრის წარმოება რამდენიმე წლის განმავლობაში, ფრ. ბ ა ი ე რ ნ ი ს ხელმძღვანელობით. 1890 წელს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ბაგინეთში, ე. თ ა ე ა ი შ ვ ი ლ ი ს ზედამხედველობით ჩატარდა საცდელი თხრა [358; 359], ხოლო 1902 წელს იმავე ე. თ ა ე ა ი შ ვ ი ლ მ ა გათხარა და შეისწავლა ნაუთსადენთან აღმოჩენილი სამარხები [1; 205]. არმაზისხევის შესართავთან მდებარე მინდორს არქეოლოგის წერაქვი არ მიჰკარებია 1937 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ ცნობები ზოგიერთი შემთხვევითი აღმოჩენის შესახებ 1919 წლიდან მაინც უკვე მოიპოვებოდა². 1928 წელს არმაზისხევიან მიწის მუშაობის დროს აღმოჩენილა ორფერდასახურავიანი სამარხი, რომლის შესახებ ცნობას სათანადო სამეცნიერო დაწესებულებამდე—საქართველოს სახელმწიფო მუზეუმამდე—გვიან მოუღწევია;

¹ ამ წარწერის უახლესი გამოცემა და ლიტერატურა მის შესახებ იხ. [357]. ადრინდელ ნაშრომებში წარწერიანი ქვის ადგილსაბოვნელი სხვადასხვანაირად არის განსაზღვრული, მაგრამ მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგად (1938 და 1948 წწ.) შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ სტელა აღმოჩენილა რკინიგზის სადგ. ზაპსთან ახლახან აგებული დიდი ხიდის მასლობლად, მარჯვენა ნაპირზე.

² იგულისხმება შეუთქმელებელი ცნობა არმაზისხევიან მთლიანი ქვისკან გამოთლილი სარკოფაგის აღმოჩენის შესახებ [104, გვ. 7].

ნივთები დაკარგულა და პროფ. გ. ნიორაძის მიერ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით განზრახული შესამოწმებელი გათხრაც ვერ განხორციელებულა¹.

არმაზისხევიან არქეოლოგიური კვლევა-ძიება დაიწყო 1937 წელს. სათანადო ღონისძიებათა განხორციელება შესაძლოა შეიქნა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში, უოფ. კ ა ვ კ ა ს ი ს მ ც რ ა დ ნ ე ბ ი ს ი ნ ს ტ რ ი უ ტ ი ს ბ ა ხ ა ზ ე შეიქმნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი („ენიმკი“), რომელსაც სათავეში ჩაუდგა აწ განსვენებული აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ვ ი ა ლ ი.

სადღეისოდ არმაზისხევის შესართავთან ჩატარებული არქეოლოგიური თხრის 8 კამპანია, რის შედეგადაც დაწერილებით არის გამოკვლეული თითქმის 1 ჰექტარი ფართობი (იხ. გვეზე). ამ მცირე მინდორზე გამოვლენილი მირითადი ძეგლების სწორებას ექცევა საკმაოდ ფართო ფარგლებში—ას. წ. პირველი საუკუნეებიდან შუა საუკუნეებამდე, მაგრამ არის გაცლებით უფრო ადრინდელი ნაშთებიც—ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანისა. ძალიან ხშირად ვხვდებით სხვადასხვა დროის ძეგლთა ერთიმეორეში შეჭრას და ერთის მიერ მეორის დაზიანება-მოსპობას, რაც სტრატოგრაფიულ თანამიმდევრობას საგრძნობლად არღვევს და სურათს ართულებს.

ქვემოთ, სათანადო ადგილას, მოთხრობილია აქ წარმოებული მუშაობის უოველწლიური მიმდინარეობა-შედეგები. მანამდე კი საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც დაგვასანიათოთ ჯერ ის გეოგრაფიული, ხოლო შემდეგ ისტორიულ-არქეოლოგიური გარემო, რომლებშიც ეს ძეგლებია მოქცეული.

არქეოლოგიური თხრა წარმოება არმაზისხევის შესართავთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მის ერთ-ერთ ვიწრობაში,

¹ განსვ. გ. ნიორაძის სიტყვიერი ცნობა.
² იხ. [233].

როსელიც რეინიგის სადგ. ბეკვიდან სადგ. მესუამდე გრძელდება. 6-7 კმ მანძილზე და რომელსაც ქმნის მტკვარსე სამსრუიდან მომდგარი თრიალეთის ქედის მოამბალი შტო და ჩრდილოეთიდან მომდგარი სარკინეთის, ხსლტბის ანუ თხოთის ქედის არა ნაკლებ მაღალი მთები (ტაბ. XVII.1). თრიალეთის ქედის ამ შტოს სწავებლას ქედი ეწოდება [110, გვ. 259]. სოლო ამ უკანასკნელის ერთ-ერთ გამონაკლისს, რომელიდანაც იწყებს დენას არმაზისსევცი და კარნისსევცი — დიდარი¹. ეს სევცი ერთი ჩრდილოეთისაკენ, სოლო მეორე აღმოსავლეთისაკენ მიემართება და მტკვარს ერთვის, არმაზისსევი (არმაზის წყალი, არმაზის დედე) წყალმცირეა, მაგრამ მალე ღრმად ჩაქრილი. მის კალაპოტს მეტწილად მიჰქვია, განიპილი მკვიდრი ქანები შეადგენს, სოლო ალაგ-ალაგ დიდრონი ლოდები და ღორღნარი. სევი თითქმის მოლიანად ჰალეოგენის. უფრო ზუსტად, ეოცენის გულკანოგენს წყებაში, მასიურ-კლდოვან, ტუფოგენ ქვიშაქვიში შოფინება და მხოლოდ მის შუა ნაწილშია გემოქმედებული ჰალეოგენის ფლიორი ქანები, ე. ი. შედარებით თხელრეგებრივი და რბილი თისა-ფიქლებისა და ქვისაქვების მორიგება [142: 143]. მორფოლოგიურად ეს კლდეები თითქმის სვეის შესართავთან თავსებ და მდინარეული ტერასის ვაკეს უთმობს ადგილს, მაგრამ სტრატოგრაფიულად იგივე წყება მტკვარგალმავე ვრცელდება და მის სარკინეთის ქედის ჩრდილო ციცაბო კალთის მნიშვნელოვანი სიმაღლე უკავია. შემდეგ კი, მტკვარს გასწვრივ მიმავალ ტექტონიკური რღვევის ხაზს ჩრდილოეთით, მას ესება გეოლოგიურად გაცვლებით უფრო ახალგაზრდა, მიოცენური და მიოპლიოცენური ნალექები. სხვათა შორის, მიოცენური (მეტწილად სარმატული) ქანებითაა აგებული არაგვის თუ მტკვარის ტერასებით დაუკებელი, დაფარდებული მალღობები [143], რომლებზედაც ერთ დროს სოფელი კოდაშის ეუფილა გემენებული და რომელნიც სამთავროს მინდორს დაჭურებენ დასავლეთიდან.

სემოლინიზულ ვიწრობში მტკვარს რამდენსამე ადგილას — მეტწილად მარჯვენა ნაპირზე — დაუტოვებია მოგარბო და საკმაოდ ფართო ტერასები. ბეკვიდან მცესობამდე სამი ასუი მოზრდილი ტერასა დაითვლება. ზოგადად ეს სწორედ ის ჰიფსომეტრიული დონეა, რომელზედაც ქართლ-იმერეთის მეული მარაგზა (ამჟამად მხოლოდ რაიონთაშორის გზა) მიემართება და რომელზედაც (ცოტა უფრო მაღლა, სამსრეთით) შემდეგ რეინიგზა გაუკნლილი. ალაგ-ალაგ არის უფრო ახალი, ათიოდე მეტრით დაბლა მდებარე ტერასებიც.

არმაზისსევი მტკვართან შერთვისას ჰკეოს ამ სამთაგან შუა ტერასას, რომელსაც ჩვენ არმაზისსევის ტერასას ვუწოდებთ. დიდი ადრებისას სემა საკმაოდ მფოთიანი მოგარდნა იცის და ზოგჯერ დიდ ლოდებსაც კი მოაკორებს. სვეს კალმა-გამოღმა, საკმაოდ დიდ მანძილზე მღიერ დარღვეულია მტკვარის ტერასის ალუვიური ხსიათი და გემრცელებულია სვეისეული, უსწორმასწოროდ განლაგებული და არაერთგვაროვანი, მეტწილად ღორღნარი ნალექები.

¹ რუსულ რუკებზე «Гора Дуна». ასევე წერს ლ. მელიქსეთაბეგის [103, გვ. 10 და 28].

ამასთანავე, ტერასის აგებულებაში საქმაოდ დიდ როლს თამაშობს უშუალოდ კლდოვანი ფერდობებიდან ჩამოსატანი დელუვიური ნალექები.

არმაზისსევის ტერასას (ტაბ. XXVII) წავგრძელებული, შუაში გაფართოებული, რამდენადაც სამკუთსოვანი მოყვანილობა აქვს. მისი უდიდესი სიგანე 125 მ უდრის, უმცროსი — 25 მ. სვეს აღმოსავლეთით იგი 130 მ სიგრძეა, სოლო დასავლეთით — 320 მ. მისი ზედაპირი წარმოადგენს მტკვარსაკენ ოდნავ დასრილ ვაკეს. მდინარის თანამედროვე კალაპოტიდან ტერასა 14—15 მ სიმაღლეზე მდებარეობს. მასზე უფრო დაბლა, სვეს აღმოსავლეთით, 3—4 მ სიმაღლეზე, მტკვარს გაუყვება 420 მ სიგრძე და 50-ოდე მეტრის სიგანე, უფრო ახალგაზრდა ტერასა.

ტერასის ის ნაწილი, რომელიც სვეს დასავლეთით მდებარეობს, ტუიან-მუქიანია და ამ მხრივ იგი თითქმის არ გამოირჩევა რეინიგის სამსრეთით მდებარე ფერდობისაგან. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელზედაც სახლი და ბაღია გემენებული, წყაროს მასლობლად, 1941 წლიდან უკირავს იე. ჯავახიშვილის დასვლობის ინსტორიის ინსტრუქტორ, როგორც მცესეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა. სვეს აღმოსავლეთით მდებარე ნაწილი კი თითქმის მთლად თავისუფალია ტუისაგან. იგი დიდხანს წარმოადგენდა საყანე, სახანე-სათეს ადგილს და 1930-იან წლებშიც კი მცესეთის კოლმეურნეობას ეკუთვნოდა (ტაბ. XXVII, 1); მხოლოდ 1936 წლიდან დაიწყო ამ ადგილის დასახლება.

საერთოდ სადგ. მცესეთის დასავლეთით, ციცაბო-კლდოვან ფერდობებს გასწვრივ მდებარე უბანი საკმაოდ კარგ საზღესულო ავარაკად ითვლება. ამას ხელს უწყობს ტერასების მაღლა მდებარეობა მდინარის დონესთან შედარებით, სიმშრალე, ცივი და ხალი წყაროს წყლები, სარწყავად და საბანაოდ გამოისადგევი სვეის წყალი და, რაც მთავარია, ფერდობების დაბურვლობა სმირი, კარგად დაცული ტუით. ეს ტუე საგრძნობლად ასწავებს ამ უბნის ჰავას საკუთრივ მცესეთის სროკებისა და მდინარისპირა, ჰობიანი ადგილების ჰვისაგან.

ამ მხრივ სევებზე უფრო ხელსაყრელია არმაზისსევი, სადაც, ცისე-მონასტრის ირგვლივ და თვით ტუემიც, თავის დროზე საკმაოდ სმირი მოსახლეობა ეუფილა. განსაკუთრებით ითქმის ეს სვეის შესართავთან მდებარე, უმთო აღწერილ ტერასაზე. აქ, როგორც უმთო, ტუე თითქმის უშუალოდ მტკვარამდე ჩამოდის, ფართობიც ვრცელია და ამასთანავე მოიპოვება საუკეთესო წყაროები, რომელთაც მიუღეს რაიონში აქეთ სახელი განთქმული. შესამლებელია, ამ წყაროების წყლის ღირსებასაც მიეწერებოდეს და ხალსურ ეტიმოლოგიას წარმოადგენდეს არმაზისსევის სინონიმიური სახელწოდება „არმაზის წყალი—აღმასის წყალი“, რასაც, თუნდაც, ცნობილ „არსენას ლექსში“ ვხვდებით [206].

¹ რამდენიმე თბილისელმა ინჟინრმა ზედა ტერასის აღმოსავლეთ ნახევარზე ავარაკები გაიწერა, სოლო მკვდა ტერასაზე, ხეხილს ვარდა, ვახუე ჩაყარა, ცნობილი ქართველი ავრონიმის, საქ. მუნ. აკადემიის წამდ. წყაროს, აწ განსე. პროფ. ს. ჩოლოყაშვილის კონსულტაციითა და მის მიერვე შერჩეული ჯიშებით. ვახუეს და ხეხილმაც საესებით ივარდა და, ცხადია, ეს ადგილი ძველდაც შესაფერი იქნებოდა საამისოდ.

სწორედ აქ, ამ მძევნიერ ადგილას დამკვიდრებულან ახ. წ. ჰირველ საუკუნეებში ქართლის მეფის პიტიახმები ახუ ერისთავები, რომელთა შესახებ ქვემოთ გრცლად გვიქნება საუბარი. მაგრამ კარგ ბუნებრივ პირობებთან ერთად უთუოდ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა არმაზისსევის მღერაობას მტკვრის სტრატეგიულად მარჯვე ვიწრობაში, რომელიც ქართლის მეფეი დედაქალაქის, მცხეთის დასავლეთის ბუნებრივ კარს წარმოადგენდა. წერილობითი წყაროები და მათი დამადასტურებელი არქეოლოგიური ძეგლები მოწმობს, რომ ეს ვიწრობი ამასთანავე ციხე-სიმაგრეებით ჩაუკეტათ.

არმაზისსევის აღმოსავლეთით მდებარე ველი, სადაც აღმოჩნდა ქართლის მეფის ერისთავთა სამარხები, ნაგებობათა ნანგრევები და უფრო გვიანი ხანის სხვადასხვა ძეგლები, წარმოადგენს თითქმის სავსებით სწორ ვაკეს, რომელიც ქვედა ტერასაში მეტ-ნაკლებად ციფაბო კბოფან მუშავებით გადადის. თხრის დაწყებაზე ამ ველზე აქა-იქ იყო მძევის, მიწის, ჯაგ-რცხილისა და ტანმორჩილი ნეკრისხლის ბუქნარი, რაც საერთოდ ახასიათებს განისილ ტყეს. ველის იმ ნაწილში, სადაც შემდგომ ნაგებობათა ნაშთები გამოვლინდა, რამდენიმე მცირე შემადგება მოჩანდა; სამსრეთ-დასავლეთი უბანზე, მარჯვნივ ჰირას კი საკმაოდ ღრმა და ფართო ორმოები და მათგან ამოღებული, უკვე კორდით დაფარული და ნარ-ეკლით შემოსილი მიწის ბეჭობები იყო.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რვეოლუციამდე ამ მიწოდორს, თანახმად ადგილობრივ მოსახლეთაგან შეკრებილი ცნობებისა, მეგველები სწავდნენ და მათ სარ-კამეისთავის ბაგებიც ჰქონდათ გამართული, ზემოდანმწული ორმოებისა და ბეჭობების არსებობა ადვილი ახასხნელი იქნება. მეორე მხრივ, არც ისაა გამორიცხული, რომ ამ უბანზე, ჯერ რკინიგზის გაყვანისა და შემდეგ ბაქო-ბათუმის ნავთსადენის მიღების ჩაყრისას, წასწვლდომდნენ მეფე სამარხისა. ასე, მაგალითად, 1912 წელს მიწის მუშაობისას გამოირკვა, რომ ნავთსადენის ერთ-ერთი მილი სასურავსხლიდ ქვისსამარხის კედლებს მორის გადირიდა.

სევის მარცხენა ნაპირზე, ტერასის ფარგლებში, იქ, სადაც ისტორიის ინსტიტუტის სახლი და მამულია, სამარხები ან სხვა რამ არქეოლოგიური ძეგლები ჯერჯერობით არა ჩანს. სამაგიეროდ, 1938 და 1946 წლებში საკმაოდ მრავლად აღმოჩნდა ქვითნაკები სამარხები სახლს ზემოთ, სევის მამე ნაპირზე, ტუანს ფერდობზე, რკინიგზის ლიანდაკს გადაღმა. 1945 წელს, ამ მიდამოების დახვერვისას, აღნიშნულ სამარხთა შორისხლოს, მალა, ახალგაზრდა ტუით დაფარულ ფერდობზე მიკვლეულ იქნა რამდენიმე ნახაზდარი—ქეიტორის ნაგებობათა საპირველისა და კედლის ნაშთები, რომელთა თავზე უკვე მოუწერია ამოსვლა ტუეს.

* * *

არმაზისსევის არქეოლოგიურ ძეგლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ისინი ამომხეურებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიერ, სისტემური და ეტაპიანი თხრით, იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც ინს-

ტიტუტის წინაშე მისი სამოყვარებობის დღიდანვე წამოიჭრა. ამ ამოცანათა შორის: საზღვრო ადგილი ეკავა ქართველ ტომებში სახელმწიფოებრიობის ჩასახვისა და განვითარების საკითხის. ცნობილია, რომ საისტორიო წყაროების კრიტიკულმა შესწავლამ და ახალიზმს, ჩუენი ძველი ისტორიის მტკიცედ დაკავშირებამ მასლობელი დასოსავლეთის ჯარე დაწინაურებული ძეგლების ისტორიასთან და ამ სინაოლზე ქართველთა პირველდასოვლისის საკითხის განსილვამ აკად. ს. ვანაძამ მიიქვანა საქართველოში სახელმწიფოებრიობის წარმოშობის, მისი თარიღის ასლებერ გაგებამდე. ამ კვლევას შედეგად წამოკენებულ იქნა მისაზრება, რომ ქართველ ტომებში ჰირველ-ქოფა-თეძურა წუობილების რაკვეა ძლიერ ჯარე დაიწყო— ისე, რომ ძე. წ. ჰირველი საუკუნეებისათვის ჩვენში უკვე არსებობდა მონათმყოფლობური სახელმწიფოებრივი წარმოქმნები [415]. წერილობითი წყაროების ასლებებრივი ახალიზი აქენება საკითხის საქართველოს ძველი დედაქალაქის, მცხეთისა და მისი მიდამოების არქეოლოგიურად შესწავლის შესახებ. აქეთვე უწეოდა ინსტიტუტის მცხეთის მიდამოებში ჯარე აღმოსილი არქეოლოგიური ძეგლთა და მუხაკვესეთა სურათმოდერების ჩინებული ძეგლები. ამიტომ იყო, რომ დიდ არქეოლოგიურ სამუშაოთა ობიექტად დიანასა მცხეთა და მისი მიდამოები, სახელდობრ ტერიტორია, რომელიც ისახლვრება: აღმოსავლეთით რკინიგზის სადა, ზაპისთა, დასავლეთით—მიო-სღვიმე-მეგვის მიდამოებით, ჩრდილოეთით—მუსრანის ველით, სოლო სამსრეთით—საწიქველა-დიდგორის ქვითა. ეს იქნებოდა, ასე ვთქვათ, დიდი მცხეთა და მისი მიდამოები.

ამ ტერიტორიამ მრავლად შემოინახა ქართული მატერიალური კულტურის, სხვადასხვა დროისა და ხანაითის, მიწისზედა თუ მიწისქვეშა ძეგლები.

მტკვრისა და არაგვის შესაყარას, მცხეთის მუგელებში აღმართულია საყავლითა, დიდი ტამარი— სვეტიცხოველი (ტაბ. XVI, XVIII). მის ჩრდილო-დასავლეთით, დაბის განაპირას დგას სამთავროს დედათა მონასტერი (ტაბ. XIX). ქართული მინერალური სუროსმოდერების ეს ორი შესანიშნავი ძეგლი XI საუკუნის ჰირველ ნახევარს ეკუთვნის [310; 109; 212; 213; 214; 86].

სვეტიცხოვლის გაღავნში მიწის თხრისას უპოვინათ (1902 წლამდე) და კავასისი მუხეუმისათვის გადმოვიცათ: თისის 2 კუბო, ადამიანის ძეგლები, მინის 2 ჭურჭლის ნაშთებიც და ვერცხლის ჭურჭლის სასოვანი ურები. ჩანს, ანტიკური დროის სამარხებს წასწვლდომან [95, გვ. 89—90, ს. 2224—2236]. ჭურჭლის ურები სკანდებო წერილშიც არის გამოქვეყნებული [364].

1950 წელს, სვეტიცხოვლის ნაგებობის დაფუძნების ტექნიკური პირობების კვლევისას, ერთ-ერთი სვეტის ბირში აღმოჩნდა არქაული ჩუქურთმით მეგული არქიტექტურული დეტალი, რომელიც ათჯდაპირველ ნაგებობას მიეკუთვნება (151, გვ. 80). მამინე ტამრის მასლობლად მიწის თხრისას აღმოჩნდა დიდი ქვისსამარხი, რომელიც რამდენიმე ჩონჩხი იყო. ამ უკანასკნელთა თან ახლდათ მინის მთელი საძაურები და სწილენების ბურთულა დილები, რომელთა მიხედვითაც სამარხი მუხეოლდურ სანას უნდა მიეკუთვნოს.

სეკრიტისკოვს აღმოსავლეთით, არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ზედა მტკვარ-არაგვის შესართავთან, საღ კლდეზე შემორჩენილია ძველი მცირე საეკლესიო ნანგრევები (ტაბ. XX), რომელთაც ხალხი „ანტიოქსი“ უწოდებს¹ [341; 214].

სეკრიტისკოვს დასავლეთით, დაბის დასაწყისთან დასავლეთ ნანგრევი VI საუკუნის ბაქრა ერთნაწიანი საედრისა, რომელიც „მ. ე. მ. ი. ს. მ. ი. ს.“ სახელით არის ცნობილი [211, გვ. 12].

დაბის ჩრდილოეთით, არაგვის მარჯვენა ნაპირას, მაღალ გორაზე არის ნანგრევები ბებრის ციხისა² („ნაცხორი“; ტაბ. XXI), რომელიც ძველად ჩრდილოეთიდან დაცვულა დედაქალაქს [214].

დაბას და ბებრისკის შესართავს შორის, სამთავროს მინდორზე (ტაბ. XXII, 1) დიდი სანი მიკვლეულია და ითვრება შრავალენიანი სამაროვანი (ტაბ. XXII, 2, 3), რომელიც ეკუთვნის ზერიოას ძე. წ. II სასწლეულის შუა ხანებიდან ახ. წ. VIII—IX საუკუნეებამდე [23]. თანამედროვე მცესის მთელ ტერიტორიაზე და, კერძოდ, დასავლეთულ უბნებშიც შეტად სძირად ჩნდება როგორც ძველი სამაროვანი [211, გვ. 177—183; 311; 409; 5], ისე ძველ ნაგებობათა ნანგრევები, რაც აქ ძველად მჭიდროდ დასავლეთულ ქალაქს გვაგულისხმებინებს.

მცესის მიდამოები საერთოდაც დაუურსულია ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშთებით.

მტკვრის ვიწრობაში, არმაზისხევის დასავლეთით მდებარე ფართო ტერასაზე, სადაც ამჟამად ბაქო-ბათუმის ნავთსადენის ერთ-ერთი სადგური და რკინიგზის ბაქანი „ნავთსადენი“ მდებარეობს, თავის დროზე, ჩანს, აგრეთვე მოზრდილი დასახლებული პუნქტი ყოფილა. ჯერ ე. თაყაიძელმა [1], ხოლო შემდეგ მცესის არქეოლოგიური ექსპედიციის არმაზისხევის რაზმმა (1915 წ.) აქ მრავლად გაოსარეს როგორც ძველი ქვევრები და მენობათა ნანგრევები, ისე სამაროვანი—ადრეული შუა საუკუნეების.

1930 წელს ნავთსადენის ტერიტორიაზე უპოვინათ ითხის ქოანით დაფლული განძი, რომელიც შედგებოდა სასახური, IV—V სს. ვერცხლის მონეტებისაგან. ეს უკანასკნელები დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ნუმისმატიკის კაბინეტის განაშენიანების ფონდი №1612—1652). 1934 წელს იქვე შემთხვევით აღმოჩენილია ქვისსამარხი, რომელიც შეიცავდა I—III სს. ინვენტარს და მათ შორის გოტარხის მონეტასაც (საქ. მუხ. ისტ.-არქ. განკუთხის კოლექცია № 9—31; 1—12).

ნავთსადენის დასავლეთით, არმაზისხევიდან დასავლეთით 1,5 კმ მანძილზე, ამ უკანასკნელის ჰარაღლურად ჩამოშენებულ ნანგრევებს შორის ახლად აღმოჩენილია ანუ მარტაზის ხევეში ცნო-

¹ გამოთქმულია მოსარება, რომ ეს ძველი, ანტიოქის ეკლესია წარმოადგენს ანტიოქიის კარლისიანის სტეფანწმინდის [104, გვ. 4].

² ზოგიერთი მკვლევარი ბებრისციხეს აიგივებს ძველ წიწმურთან ანუ აქსამორასთან [104, გვ. 8; 103; 207; 208]. სულ სხვაგვარად ამუქებს ამ საკითხს მცესის ექსპედიციის 1953 წლის დაზვერვითი მუშაობის შედეგები [408].

საუბრალებოა აგრეთვე, რომ ბებრისციხის წინ ჩამოშენებულ ბევრ მცესულემა ახალციხის ხევის ურუბლებზე.

ბილია ცალკეული მცირე ნანგრევები თუ სხვაგვარი ნაშთები, ხოლო მის ქვემო ნაწილში რამდენიმე ქვისსამარხია აღმოჩენილი. 1951 წელს, ამ ხევეზე გადებულ რკინიგზის ხიდთან, თავი იჩინა კვიანი ბრინჯაოს ხანის და აგრეთვე უფრო გვიანდელმა სამარხულმა ნივთებმა, რომლებიც დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში (ისტ.-არქ. განკუთხის კოლექცია № 15—51; 1—2).

შემდეგ აღსანიშნავია ციხე დიდი, რომელიც მეტეხის ხევეს აღმოსავლეთით, მაღლობზე მდებარეობს და აგრეთვე სადგ. მეტეხს სამხრეთით, გორაკზე მდებარე ბორის საედარი. ამ უკანასკნელს თან ასლავს უფრო ძველი მეტეხებიც — სამარხები, რომლებშიც, მოსახლეობაში შეკრებილი ცნობების თანახმად, ზოგჯერ ძვირფას ნივთებსაც პოულობდნენ სოფელში.

1944 წელს სადგ. მეტეხს ჩრდილოეთით, მტკვრის ბორის, „ბარგიყარიად“ წოდებულ მინდორზე შემთხვევით აღმოჩნდა ოქროს მინიატურული ქანდაკება (აღაშთანის თუ ღვთაებისა) და აგრეთვე ათიოდე სხვა ნივთი¹. ამასთან დაკავშირებით იქ 1916 წელს საცდელი თხრა ჩატარა და მე. წ. ბოლო საუკუნეებისაღმე მისაკუთრებული რამდენიმე ორმოსამარხი აღმოჩინა მცესის ექსპედიციის არმაზისხევის რაზმმა.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე უნდა აღინიშნოს: შიომღვიმის ცნობილი სამონასტრო კომპლექსი² (ტაბ. XXIII, 1—6) [220]; „გრემელი მინდორი“, სადაც 1916 წელს ექსპედიციის მსუვრავმა ჯგუფმა (ნ. ღამბაშიძე) თითქმის რკინის წარმოების ნიმუშებსა და ნავებობათა საუკუნადღებო ნაშთებს მიაკვლია, ისე რომ შესაძლოა გასდა ქართული წარმოების „ქალაქ სარკინის“ ნანგრევთა შესახებ საუბარი [67]; კალოუზის ფრესკებიანი საედარი და კოშკის ნანგრევი (ტაბ. XXIV, 3—4); კოდანის მ. საედარი (ტაბ. XXIV, 1—2), ნასახლარები, ნამარხელები და ძველი სამარხები³.

1953 წ. კოდანში ნასახლარისა და სამაროვნის საცდელი თხრა ჩატარა მცესის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. სოფ. წიწამურის (არაგვის მარცხენა ნაპირას) თავზე, მაღალ სერზე მცესის ექსპედიციამ 1953 წელს მიაკვლია ძველი ციხე-ქალაქის—„სევესამორას“ ნაშთები [408]. სოფელს ქვემოთ, არაგვის მარცხენა ნაპირს გასწვრივ კი აღმოჩენილია მე. წ. I სასწლეულის და ახ. წ. I სასწლეულის სამაროვნები (406; 164; 209; 177; 92). ზედასწინის მონასტერი (ტაბ. XXV) და ციხის ნანგრევი (ტაბ. XXVI) დიდი სიმაღლიდან, მცესის ჩრდილოეთით აღმართული

¹ ქანდაკება და თითქმის მისი თანხლები ნივთები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოიტანა ექსპედიციის თანაშრომელმა ნ. ღამბაშიძემ, რომელიც ძველი მიდამოების არქეოლოგიურ დაზვერვაზე მუშაობდა (ისტ. არქ. განკუთხის კოლექცია №16—1—46; 1—10).

² შიომღვიმის მთავარ ეკლესიასა და საცხოვრებელ სახლს შორის არმაზის ექსპედიციამ 1937 წელს შეისწავლა შემთხვევით გამოვლინებული მუსული ნაგებობის ნაშთები, რომლებიც ახლანდელი დიდად უნდა უსწრებდნენ წინ შიომღვიმის კომპლექსს და სწორედ ამითაა საინტერესო (ტაბ. XXIII, 5).

³ ზოგი მკვლევარის (ლ. მელქისეთი-ბეგისა და სხვ.) აზრით, სწორედ კოდანის მაღლობზე ყოფილა ოფელსა ქალ მცესთა გაგებულული [103, გვ. 51].

სეკანსის მთიან გავსისქერის ნაქაროველის მეულ ავღ-
ქადაქს. მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მისი წვერზე
დგან VI საუკუნე ქართული სურათმოდგურების შესანიშნავი
მგელი, ვუარის საეღარი (ტაბ. XXVII) [191; 210; 211].

მცხეთიდან რამდენიმე მოძობებით, რკინიგზის სად-
გურ ხაპკის მიდამოებში აღმოსავლეთით სამთავროს სამ-
როვნის ქვედა ფენის თანამედროვე სამარხის [ხბ. 410]; სო-
ლო იმავე სადგურის ჩრდილო-დასავლეთით, დასრუტ ფერ-
დობზე, ბუღაშაურის წყალხაუნის მშენებლობის დროს, 1919
წელს თავი იხინა ადრეულ შუა საუკუნეთა ქვისნაშარსებამ,
რომელნიც გაოსარეს ს. ჯანაშიას სხ. ნაქაროველის მუხეუმის
თანამშრომლებმა. ზაქსთანვე, რკინიგზის ასალი ხიდის მშე-
ნებლობის დროს, 1938 წელს აღმოჩნდა დიდრონი თლილი
ქვივისაგან აგებული კვადრის ნაშთი (ტაბ. XXVIII, 1); თითქ-
მის ევედა ქვასე ამოჭრილი იყო თითო ან ორი ბერძნული
ასო (ტაბ. XXIX)¹. იქვე აღმოჩნდა აგრეთვე რამდენიმე ქვის-
სამარხი (ტაბ. XXVIII, 1), რომელნიც შეიცავდნენ ას. წ.
პირველ საუკუნეთა ინვენტარს. როგორც არმაზის ექსპედი-
ციის მიერ ჩატარებულმა დაზვერვამ ცხადყო, იმავე კვადრის
ნაშთები ჩრდილოეთით გრძელდება და გორაკის კალთამდე
მოდის [310; 216]. 1918 წელს კი მცხეთის ექსპედიციის
ბაგინეთის რაზმმა არქეოლოგიური დაზვერვისას დამატებით
გამოავლინა გაღუნის ნაშთები და მათ შორის ერთი კვადრი,
რომელზედაც ამოკვეთილია ბერძნული ასო Δ [29].

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არა ნაკლებ მრავ-
ალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი მგლები მოიპოვება. იმავე
სადგ. ზაქსის გულმა, დიდმის მინდრის დასასრულს შემადლე-
ბულ ზეგანზე, რომელსაც სალონი ნაქულ ბაქვეს უწოდებს
და ასევე იხსენიებს ვასუტო [98, გვ. 55], სახელწოდების
მისეღვით საკულისმებელია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი
სავაჭრო ჰუნქტის არსებობა მველად². ამას ზემოთ „არს
დევის-ნამუსლი—კლდე, გაჭრილი ცხად“ [98, გვ. 55].
ამ მიდამოებში 1867 წ. მასში აღმოჩნდა ას. წ. 75 წლის
ბერძნულ წარწერიანი ქვა, რომელიც ზემოთ აღვნიშ-
ნეთ და რომელშიც, როგორც ცნობილია, კვადრის გამარე-
ბასეა საუბარი. შემდეგ მოდის ფერდობზე და ზეგანზე შეფე-
ნილი მველი სოფლის, მუსათგვერდის ნაშთები (შენო-
ბათა ნანგრევები, საწნასლები, საკმაოდ მოზრდილი მველი
ჩუქურთმიანი საყდრის ნანგრევები, მდიდარი კულტურული
ფენა და სხვა). მუსათგვერდის ჩამოსწორებ, მტკვრის ტერასა-
ზე, საქართველოს სამხედრო გზასა და მდინარეს შორის,
ქვიტირის მრგვალი კომის ნანგრევია (გვიანი შუა
საუკუნეების), სოლო გზის პირას მოჩანს რამდენიმე ქვის-
სამარხი—ტეობა, გზის გაჭრისას ანგრეული სამაროვნის
ნაშთი.

მუსათგვერდის ზემოთ, კარხინის სვეტის შესართავთან
1926 წელს გაითხარა ას. წ. IV—V სს. ქვისნაშარსები [57].
1950 წელს ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ

გაოსრილი იქნა იმავე სამაროვნის კიდევ ერთი ქვისნაშარხი,
შემოსველია აღმოჩენილი სამხედრო გზის პირას. „კაბულმძე-
ნის“ სამუშაოს შედეგად.

ამ ხუკის ჩრდილოეთით მდებარეობს მთა, რომელსაც
მოსახლეობა ბაგინეთს უწოდებს. იგი მტკვრისა და მდინარე
ფრიალო კლდეების ხასით დაჭურვებს თავის მტკვარს (ტაბ.
XVII, 2), მაგრამ მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე სავ-
მაოდ ფართო და გრძელი ტერასებიც გამოიყოფა (ტაბ.
XXX, 1). მას ჯერ კიდევ 1880-იან წლებში მიუძღვრდა ქარო-
ველ ისტორიკოსთა და არქეოლოგთა, კერძოდ, დ. ბაქრა-
ძისა და ე. თაყაიძეების ურთავლება და იქ დიდი
ქაროველი მწერდისა და სასოფლო მოღვაწის ა. ბაქვა-
ვაძის ხელმძღვრებით, გაუხარიათ კიდევაც ერთადერთი მუსა-
შუა ნაგებობის ნანგრევები [358; 359]. 1937 წლიდან მუსა-
შის ექსპედიცია ზვერავდა ამ ფერდობს, სოლო 1918 წლი-
დან 1948 წლამდე ჩატარებული მუშაობის შედეგად იქ დიდი
აერობლის, მდინარის ზღვრისა და მის მაგნათ კი თლილი
ქვის მენობათა ნანგრევები (ტაბ. XXX, 2) და მდიდრული
სამარხები აღმოჩნდა [27; 28; 29; 335]. ამჟამად უკვე დადგე-
ნილად ითვლება, რომ სწორედ აქაა მუსათგველი არმაზისე
ანუ მველი ავღაქალაქის მდინარე [59—61; 25; 312; 313].

საუურადღებოა შემდეგი: ჯერ კიდევ ვასუტოსათვის
ყოფილა უდავო, რომ ქალაქი არმაზი არმაზისევიდან ნაქალ-
ბექვამდე გრძელდებოდა, სოლო მურვან ერუსა და მის მომ-
დევნოთა შემოსევებს შემდეგ იგი მოოსრდა და „დასუსი“-და
დარჩა [98, გვ. 55].

ბაგინეთსა და მუსათგვერდს შორის მოედინება წყალმცი-
რე, მაგრამ ღრმა და ფართო კალაპოტის მქონე კარხინის
სვეტი. სვეტის ზემო ნაწილში, ყოფ. მანგურთი ოსმერუტო-
რის (ამჟამად საქ. მეცნ. აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის)
შენობებთან დამოშებულია საინტერესო მგლები. ამ მგო-
ბებს უკან და ევერდით, საშინაოთი, ახალგაზრდა ტყეში სავ-
სებით ამჟარად გამოიცნობა საკმაოდ დიდი ნასოფლარი:
ქვიტირის მენობის ნანგრევები, ქვიტირის საწნასლები,
მარნები, ქვევრები, საყდრის ნანგრევები, საფლავის
ბრტყელი ღოდები, რომლებსედაც ამოჭრილია სხვადასხვა
გამოსახულებანი, და სხვა. აქვე აღმოჩნდა და ნაწილობრივ
მოიხინა კიდევაც შუა საუკუნეებში არსებული მინის-
საბერი ქარხნის ნაშთები [51; 55]. შემოსველია, გზის მშენ-
ებელი მიერ მოაოგებულად უფრო მველი დროის მგლებიც:
სამაურის სამაროვნის ქვედა ფენის თანამედროვე, ე. ი.
გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხი და ნივთები, ჩამოტანილი
1911 წელს მცხეთის ექსპედიციის არმაზისევის უგუფის
მიერ [23, გვ. 30], და IV—VI საუკუნეთა სამარხები, გაოს-
რილი ბაგინეთის რაზმის მიერ [27].

მცხეთის რკინიგზის სადგურთან, ახალი ხიდის აღმო-
სავლეთით არის წყლით დაფარული ნაშთები მველი ხიდისა,
რომლის დეფორმირება-გამარება ვასუტო გორკასლის სა-
ხელს უკავშირდება. გაუგებრობის ნივთზე ამ მველ სიღს
ბევრნი „პომპეისის“ უწოდებდნენ (ამის შესახებ დაწერი-
ლებით იხ. [217]).

ს. ჯანაშიას სახელობის ნაქაროველის მუხეუმში ინ-
სება ერთი საკმაოდ ნარევი კოლექცია (ისტ.-არქ. განკ. ბის

¹ იხ. ს. ჯანაშიას სხ. საქართველოს სხ. მუხეუმის ისტორიის
განყოფილების ჰქის მგლთა კატალოგი (MGS 159—171) და აგრეთვე [357,
გვ. 238—240].

² XIV საუკუნის მიწურულის ერთი სახეობის მს. მსოველ ნაქალ-
ბაქვეს უწოდებს [102, გვ. 155].

№ 9. (12: 264—276), რომელსაც ადგილსაზოგოელი „არმაზი“ აწერდა და „პომპეუსის ხილი“ (გამოქვეყნებულია— [95, №№ 2255—2263]). მის უმეტესობას შეადგენს შუა საუკუნეთა დამახასიათებელი ტიპის, მინისა და ბრინჯაოს სამაჯურები.

მცხეთის რკინიგის სადგურის მასობრივად არქეოლოგიურმა შესწავლით 1937, 1943 და 1951 წლებში გათხარა რამდენიმე ქვითა და კრამიტით ნაგები ნაშრომი (I—III სს.) და ეროვც დიდი, სრულიად განსაკუთრებული აღნაგობის აკლამა (იხ. ჩართული სურათი) ას. წ. I საუკუნისა [336; 344]. 1937 წელს ექსპედიციამდე აღმოჩენილა—სადგურს უკან მდებარე ბაღში—კრამიტსამარისი, რომელიც შეიცავდა I—III სს. დამახასიათებელ ინვენტარს (საქართველოს მუსეუმი-ის ისტ.-არქ. განკ. №№ 38—37:1.—5). უფრო ადრე, 1926 წელს, „მცხეთის სადგურის მიდამოებში“ მოხერხებია სხვადასხვა დროის (მკ. წ. V—ას. წ. III სს.) სამარხული ინვენტარი (არქვ. №№ 11—26: 1—26). ძველი სამარხების აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევა აღნიშნავენ სადგურის სამხრეთ-დასავლეთითაც, ასანთის ქარხნის ზემოთ, ფერდობზე.

სადგურის პირდაპირ, კლდეები მიის მიარს, ზატარა და თითქმის მძრული სვეთი თავში, კარხინსაკენ უღელტეხილით გადაზავალი, ბოლო დაკეცილი ბილიკის დასაწყისთან შეუქმულია რამდენიმე სამონასტრო ნაგებობა¹. ისინი განიხილა XIX საუკუნეში, ძველი ქართული საეკლესიო ნაგებობის ადგილას თუ მათი გადაკეთების შედეგად. ერთი მთავანი ღვთისმშობლის მიძინების სასულიერო უფილა და მისკან შემორჩენილა სუკაშვილის, ჩუქურთმისანი კანკელის (XI—XII სს.) ნატეხები (ქართ. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრ. რ. შმერლინგის ცნობა).

არმაზის ქედის უმაღლეს მწვერვალზე, რომელიც კარგად ჩანს როგორც მტკვრის სერიდან, ისე არმაზისსერიდან და კარხინდან, დგას მოძვრო, ერთნაეიანი „წმ. ნიკოს საეღარი“ (ტაბ. XXXI, 1). ამჟამად იგი შეკეთებული და ძლიერ გადაკეთებული აარს [103, გვ. 80].

მეფელა შემდეგი ჯგუფი უკვე თვით არმაზისსეეთანაა დაკავშირებული. სვეთი ზემო ნაწილში, მისი შემაღეენული ორი ნაკადის შერთვის ადგილას, კონუსურად შემალ-

ლებულ სალ კლდეზე, მტკიცე ქვიტკირით (რიეის ქვა, იქაური კლდის ნატეხები და მკერი დუღაბი) აგებულია მცირე, კარგად დგეგმილი ციხე (ტაბ. XXXII). ჩანს, იგი ამ სეოთის სათვალთვლო და საიმელოდ ჩამკეტ სიმაგრეს წარმოადგენდა, სიმაგრეთა დიდი—აღმათ, ძველი არმაზისისსადმი ლაქვემდებარებული—სისტემის ერთ-ერთი კვანძს. ეს ციხე შეერაეს სამსრეოთიდან და ჩრდილოეთიდან, სეუსე თუ მათი ფერდობებზე განზავლ გზა-ბილიკებს და გაკვერებს ერთი მსრეე „წმინდა ნინოს“ მათს და „კარხინის თაეს“ (უღელტეხილს), ხოლო შორეე მსრეე—მტკვრადამ, მათსე მდგარს კალოუნის ვკლესიან. ციხის მირითად კოშკს, კარგად შენასულს, სამეუთსოვანი მოეენილობა აქეს. იგი შუა საუკუნეთა ნაგებობის მთავედილებას ტოეებს, მაგრამ საფიქრებელია, რომ ძველის ნატეხეებს უნდა იეოს დაშეუბელი. ვახუშტი ამ ციხეს, ისევე, როგორც მათსა და სეუს, ქართლისსა სეუოდებს, მის აშენებას ქართლოსს მიაწერს და აღნიშნავს, რომ იგი მტერს არასოდეს შეუშესრავს და შერავს ერუსაც კი გადარჩენია [98, გვ. 55].

ამეე ციხეს უნდა გულისსმობდეს ლეონტი მროველი, როდესაც წერს: „...ამან აზოგამან მოარღუეენა ზღუდენი ქალაქსა მცხეთასა საფუძელითითრ და ბრეტუნა თოსი იგი ციხენი, რომელნი მოსდემიდეს ბირსა ქართლისასა: თაეადი ციხე, რომელ არს არმაზი, და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისასა“ (საბი ჩეენა) [97, გვ. 13]. „თაეადი ციხე“ უნდა იეოს ბაგინეთში მიკვლეული დიდი მიდაცხე [342], ხოლო „ციხე დასასრულსა არმაზისასა“—ის მოძვრო ციხე, რომელსედაც ახლა ვსეკვლობთ¹.

ამ ციხის დასავლეთით, სვეთი პირას, კლდეში საქამოდ მოზრდილი გამოქვაბულია (ტაბ. XXXI, 2). საღისის გადმოცემით, შიგ სმირად ქჷონია ბინა არსენა ოქელაშელის. იგი მართლაც საქამოდ საიმელო თაეშესაფარს წარმოადგენს, დაბურულ ტეეში მდებარეს. გამოქვაბული ძველი ნაშთი არა ჩანს რა.

შუა წელში სვეთი კალაპოტი ფართოვდება და მის ორსავე ნაპირზე მოზრდილი ტერასები ჩნდება.

მარჯვენა ნაპირის ერთ-ერთ ასეთ ტერასასე ვსედავთ მონასტრის რამდენიმე ნაგებობის (ორნაეიანი საეღრის, ორსართულიანი კოშკის, გუმბათიანი სამრეკლოს და სსე.) ნატეხეებს (ტაბ. XXXI, 3, 4). ამ ნაგებობებს XVII ს. შუა სენებთა და შორეე ნატეხრით ათარილებენ, ოლონდ აღნიშნავენ, რომ მათ ადგილას ადრეე (XI—XIII სს. და XIV ს. ბოლოს) ეთფილდა და დანერეულა საეკლესიო ნაგებობანი. [103, გვ. 66].

¹ ლ. მელიქიძე თ-ბეგი ამ საკითხზე, ჩეენი აზრით, უმართეული ვარაუდს გამოთქამს, როდესაც არმაზისსეეში მდგარ ციხეს მიჩნეენიდა, რომლსაც ლ. შროველი უწოდებს ციხეს დასასრულსა არმაზის ცხერიისასა [103, გვ. 80]. საქმრისთა დაეუკვრილო ლ. შროველის თსულების სათანადო ადგილს, რათა დაერწუნდო, რომ მას არმაზის ცხერიად მიანინა არმაზის მთის ის ბოლო, რომელზე არაგვის შესართავის პირდაპირ მდებარეობს. იგი წერს: ამანეე ადარ მოკელია ქირი ზღუდ ციხესა არ[და]მაზისსა, და აქათ მტკვრამდის, და წარმოზღუდა ცხერი არმაზის ვადრე მტკვრამდე [97, გვ. 8]. ცხალია, რომ იგი ვერ იტყოდა ამას იმ ბატარა ციხის შესახებ, რომელიც სვეთი სათავეში არის მიმაღული და მტკვრიდან ორიოდ კლომეტრითაა დაშორებული.

¹ ბოლო ნაგებამდე ეს მონასტრი ოლოგას სახელს ატარებდა [103, გვ. 83]. მონასტრის ძველი, ქართული სახელწოდების შესახებ სხვადასხვა აზრს გამოთქამენ. ჩეენი აზრით, ეს უფრო უნდა იეოს „ახალქალაქური“ და არა არმაზისსეეში მდგარი, აწ დაწეეული მონასტერი, როგორც ზოგი მკვლეარი ლ. უორველს ეოვინას, ლ. მელიქიძეთ-ბეგი უორზობს. ვერდნობით ეახეშტისეულს, საესეებით კონკრეტულსა და ნათელ ლოკალიზაციას, რომელიც ლ. მელიქიძეთ-ბეგს რატომაც თვითონ მოსაზრებს სასარგებლო საბუთი ჰქონია [103, გვ. 67]. ვახუშტი, მისი ათვერდის აღწერის შემდეგ, ამბობს: „...მას ზეით, მცხეთის ხიდის საპირით, არს მონასტერი ახალქალაქური, ყოფილწმინდისა, ევენაზოთ. კეთილს ადგილს... მის დასავლეთ მცირე ხევი ქართლისასა“ [98, გვ. 55]. გამოთქმა ამცხეთის ხიდის საპირით მკაფიოდ შემოფარვლავს მონასტრის ადგილს და საესეებით შეესაბამება ოლოგას მონასტრის მდებარეობას, ხოლო გამოთქმა ამის დასავლეთ მცირე ხევი ქართლისასა—კატეგორულად გამოირჩეება ამ მონასტრის მოთაესებას არმაზისსეეში, რომლის ქართლის ხეეთან ეაგიეებას თვით ლ. მელიქიძეთ-ბეგი ეწერეოდა და არცელ უსაზღვდლოდ ცდილობს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

საქართველოს მეჩუქეში ინახება ამ მონასტრიდან წა-
პოლებული ქვა, რომელზედაც ამოჭრილია დიდი ასომთავ-
რული წარწერა [116, გვ. 11, № 12; იქვე, ტაბ. XVI, 2].
მისი ამოკაისვა და დათარიღება სცადა რამდენიმე მკვლევ-
არმა (დ. ბ. ქ რ ა მ ე მ, ე. თ ა ე ა ი მ ე ი ლ შ ა, მ. ჯ ა ნ ა -
შ ე ი ლ შ ა). იგი XVII საუკუნეს მიეკუთვნება [116; იქვე
ლიტერატურის მიმოიხილა]. მონასტრის ესომი სხვადასხვა
დროს აღმოჩენილა რამდენიმე ქვის ნატეხი, რომლებზედაც
ასომთავრულ წარწერათა ნაწყვეტებია. აღმოჩენილა აგრეთვე
ქვა, რომელზედაც არის ცსოველთა (რელიგიური გამოხა-
სულება, მოჭიქული კრამილები, კოსტად შექმული აკურები
და სხვ. [103, გვ. 95—96].

მცირე მენობათა ნაშთები შემსრულებელი სეგვალმა, მონას-
ტრის ცოტა ქვემოთ მდებარე ტერასისზედაც, სადაც ამ-
ჟამად ეპანება. ეს ადგილი ნასოფლარის მთაბეჭდილებას
სტოვებს.

არმაზისსევის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ მაღალ
ფრიალო კლდეში, მონასტრის და ნასოფლარს ქვემოთ, სა-
მაოდ დიდ მანძილზე ჩანს გაჭრილი რუსმულის კალაპოტი
თისის მიღგაყვანილობისთვის, რომელიც, მცსეთელების
გადმოცემით, არმაზისსევის წყალს აწვდიდა მცსეთის საღ-
ერუსა და მასლობელ მონასტლებას თეთი XIX საუკუნის
90-იან წლებამდე. ამ რუსმულის კალაპოტის სიძველეს ეგებ
ისიც მოწმობდეს, რომ ექსპედიციის მიერ ამ მადამოების
ზეერისას, 1937—1938 წლებში, სწორედ სხენებული კალა-
პოტის ტრასის გასწვრივ, არა ერთსეულ აღმოჩენილა თისის
მილთა ფრაგმენტები. ეს ფრაგმენტები უდმიწვენილ მო-
გვაგონებს მიღებს, რომლებიც ფართოდ ეოფიდა გამოყე-
ნებული—როგორც ქვემოთაც დავისასვთ—ჯერ კიდევ II—
III საუკუნეებში, არმაზისსევის ჰიტანსმთა საცხოვრებელი და
ზოგიც სხვა დანიშნულების (კერძოდ, აბანოს) ნაგებობებში.
ამკარა, რომ ეს ნაგებობანიც იმავე არმაზისსევიდან მარა-
გდებოდა წყლით.

არმაზისსევი, არმაზის ცისე, მონასტერი და სოფელი
(„ზოგაერ „ქართლის“ სასელწოდებით) არა ერთსეულ ისენიება
ფეოდალური ხანის ქართულ წერილობით მეგლებში და
სიკელე-გუჯრებში, XII საუკუნიდან ვიდრე XVIII საუკუნემდე
[102].

* * *

მცსეთასა და მის მიდამოებში შემორჩენილი, სხვადასხვა
დროის ნაშთების ასეთი ზოგადი ჩამოთვლაჟე კი ცსადეოფს,
რომ ამ ადგილას თითქმის უწვევტი მონაცვლეობაა სხვადა-
სხვა დროის მეგლებისა და მამანადამე აქ ინტენსიური ცსოვ-
რება არასოდეს არ მომლილა.

აღნიშნულ მეგლთა არსებითი და მნიშვნელოვანი ნა-
წილი სადღესოდ საკმაოდ შესწავლილია.

მაღაუნებურად გვასენდება ჰ. იოსელიანი ნი მიერ ამ
ასიოდე წლის წინ მცსეთის შესახებ ნათქვამი: „ამჟამად, საუკუნე-

თა განმავლობაში მსკოებისა გამო მორეული ბეჭენარისა და
ტუის სიღრმეში ეერ კიდევ მრავალ იმალემა მველი ნანგ-
რეგები, რომლებიც, სამწესარად, დღემდე არაის აღუწე-
რიოა“ [315, გვ. 20]. ცოტა უფრო ადრე დასლოებით ამსკე
წერდა კეკასისი სიძველეოა ცნობილი მკვლევარი, ფრ. დ. ჯ-
ბუა დე-მონაჟერე—სწორედ არმაზისსევი მეშორენილ
ნანგრეგებთან დაკავშირებით: „ეინ იცის, ეერ კიდევ რამდენ
საუნეჟე იმალემა არქეოლოგს: ამ ნანგრეგებშიო“ [219,
გვ. 230].

ამ მეგლთა ნაწილი (უმათერეულ სამთავროს და აგ-
რეთვე არმაზისსევის, კარსნისა და სხე. უმველესი სამარსე-
ბი) იმდროინდელია, როდესაც მცსეთა არათუ დედაქალაქი,
არამედ სართოდ ქალაქიც კი არ იქნებოდა; მეორე, უმნიშვნე-
ლოვანესი ნაწილი—ბაგინეთის ნაგებობანი და სამარსები,
სამთავროს სამაროვნის შუა ფენისა და მისი იანაშეღროვე
სხვა სამარსები—მცსეთის დედაქალაქობის ხანას ევეოტის;
სოლო დანარსენი—მეწილად ქრისტიანული საკულტო ნა-
გებობანი და აგრეთვე სამაროვანთა უსილესი ფენები—იმ
ხანას, როდესაც მცსეთა უკვე აღარა დედაქალაქი, სახალაან
კინდება და „თხელდება“ და რელიგიური ცენტრის მნიშ-
ნელობას-ლა ინარჩუნებს.

მეგლთა მეორე ვეუვიდან განსაკუთრებულ ეურადღებას
იქცევს ნაშთები იმ, როდესაც ფართოდ განფენილი ცისე-
ქალაქისა, რომელიც დღევანდელი დაბა მცსეთის ჰირდაპირ,
მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ბაგინეთის მადლობე მდგარა
(ქართული თუ უცხოური წყაროების ეროსმივი მოწმობ-
ბით), ვიდრე არაბთა სარდალი მურვან-ურე არ მოაოხ-
რება მას.

ამ ცისე-ქალაქს ქართული წყაროები „ქართლსა“ და „არმაზისა“
უწოდებენ. ფრიად საეურადღებოა დეო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი ს
ცდა ამ ორი სახელწოდების ქრონოლოგიური მონაცვლეობის
დაცვისა. ეასუშტი კი მთასა და სეესაც ეუეოქანოდ უწო-
დებს უმველეს სასელს, „ქართლს“. რომ იგი მსოლოდ მწი-
კნაბრული გზით არ მიდის ასეა სახელწოდებამდე და ეს
უქანსენელი შუა საუკუნეებშიც ცოცხალია, ამას ამტკე-
ცებს თუნდაც XIV საუკუნის მიწურულის გუჯრის ერთი ად-
გილი: „სოფელი ქართლი, მონასტერი არმაზისა ცისისა,
შესაულითა და ბეითა“ [102, გვ. 195—196].

მცსეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბაგინეთის
მადლობე გაოსრილი მეგლები საფუძველს ევაძლევს არქე-
ოლოგიური მასლითაც დავანაბოთთ ამ ადგილის ძველ
სახელწოდებასა—„ქართლის“ და „არმაზის“ ქრონო-
ლოგიური მონაცვლეობის მრიველისეული განსახლარა. ექსპე-
დიციამ აქ აღმოაჩინა სამი სხვადასხვა დროის ეულტურული
ფენა და სათანადო ნაგებობათა ნაშთები. ქვედა, ე. ი. ჰირ-
ველი ფენა, უნდა მივიჩნიოთ უმველესი ქალაქის ნაშთად და
მე. წ. IV—III საუკუნეებს მიეკუთვნოსა. უფრო გვიანდელი
ფენები კი იმ ხანის ჩანს, როდესაც უკვე კარგადაა ცნობი-
ლი ამ ზენქტის სხვა სახელწოდებაც: ეს არის, ქართული
საისტორიო წყაროების ტერმინები რომ ვისმართო, „შიდა-
ციხე“ ან „თავადი ცისე“, რომელსაც ეს წყაროები
„არმაზის“ ან „არმაზის-ციხის“ სახელით ისენიებენ.
უქანსენელი სახელწოდება მველმა უცხოურმა საისტორიო


¹ ერთი ამოთავანი გამოქვეყნებული აქვს ე. თ ა ე ა ი მ ე ი ლ შ ა [420,
გვ. 62—63].


წარობებზე შემოინახეს. ასე, მაგალითად, ცნობილი გეოგრაფი სტრანბონი ასახელებს შდ. მტკვრის ჰირას კლდეზე გაშენებულ ციხეს „ჰარმოზიკეს“; ჰტოლემაიოსის თავის „გეოგრაფიაში“ ნახსენები აქვს „ჰარმოზიკა“, სოლო პლინიუსი ამ ჰუნქტს „ჰერმასტუსის“ სახელწოდებით იცნობს. ამ კლასიკურ წყაროთა „ჰარმოზიკე“, „ჰარმოზიკა“, „ჰერმასტუს“ და „ჰარმაკტიკა“ სახეებით მარტებულად არის მინებული ჩვენ მიერ გაცხადებული ჰუნქტის ქართული სახელწოდების — „არმაზიციის“ ანუ „არმაზისციხის“ უცხოურ გადმოცემაზე.

მისა და ციხე-ქალაქის ძველი სახელწოდება „არმაზი“ დღესდღეობით შემორჩენია მხოლოდ იმ სეეს, რომელიც ამ მთას დასავლეთიდან საზღვრავს და მის წიაღში იწყება, სოლო ხევის მისეფეთ ატრეოვე მასში მკებარე ციხესა და მონასტერს, რომელთაც გულისხმობს 'სემიოი' დამოწმებული ეპიგრაფი.

ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს ის მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც მიგნებული და გათხრილ იქნა მცხეთის ექსპედიციის მიერ ამ მონასტერს ქვემოთ, არმაზისხევის შესართავთან, ჩვენ მიერ უკვე დაწვრილებით აღწერილ ტერასაზე (ტაბ. XXIII)¹.

¹ მცხეთის ექსპედიციის მუშაობის პირველ წლებში არმაზისხევის შესართავს ვუწოდებდით „არმაზი“ და სწორედ ამ სახელწოდებითაა აღნიშნული აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები იმდროინდელ პუბლიკაციებში და საველე ჩანაწერებში. როდესაც გამოირკვა, რომ ამ ადგილას მხოლოდ ერისთავთა სამყოფელთან და სასაფლაოსთან გვაქვს საქმე და ქალაქი არმაზი ანუ „არმაზიციხე“ კი იქიდან აღმოსავლეთით, 4-ოდე კილომეტრის მანძილზე, ზაგინეთში იყენს თავს, აუცილებელი გახდა სახელწოდებათა დაწესება. 1944 წელს შემდგომ უკვე საუბარია, ერთი მხრივ, არმაზისხევის უბანზე და, მეორე მხრივ, ზაგინეთის, ძველი „არმაზისი“ ანუ „არმაზიციხის“ უბანზე.





რკინიგზის სადგურთან 1951 წ. აღმოჩენილი აგლდამა

არქეოლოგიური კვლევა-ძიება არმაზისსეკის შესართავთან

საბჭოთა ხანაში მცხეთის სისტემატური არქეოლოგიური შესწავლის წამოწყება და წარმატებით განსორციელება, როგორც უკვე ითქვა, ჯერ „ენიმკის“, ხოლო შემდეგ მისი უშუალო მემკვიდრის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის და მსახურებაა. კარგადაა ცნობილი ამ ინსტიტუტის პირველი ხელმძღვანელის, აკად. სიმონ ჯანაშიას განსაკუთრებული როლი ამ საქმეში, ინსტიტუტის სწავლულ კონსულტანტთან, აკად. ივანე ჯავახიშვილთან ერთად.

როგორც აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა, შემთხვევით არ ყოფილა არჩეული არქეოლოგიური მუშაობის ობიექტად მცხეთა—საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი, ისტორიულ წყაროებში ძველადვე კარგად გაშუქებული ჰენქტი, რომელსაც არასოდეს დაუკარგავს მნიშვნელობა, მიუხედავად ქვეყნის პოლიტიკური ცენტრების სმირი გადაადგილებისა [66; 117, გვ. 119-120]. „ენიმკის“ დაარსებისთანავე „მცხეთა უურადლები ცენტრში მოექცა, როგორც დაუყოვნებელი არქეოლოგიური გათხრისა და გამოკვლევის ობიექტი... ამ მუშაობას ინსტიტუტი შეუდგა უმთავრესად ლიტერატურული წყაროების ანალიზისა და ენობრივი და ეთნოგრაფიული მონაცემების გეოგრაფიის ნების შედეგად უკვე ჩამოყალიბებული წარმოდგენებით“ [66]. სამთავროს სამაროვნის არსი, ავად თუ კარგად, ცნობილი იყო უკვე XIX საუკუნეში და ეს გარემოება ერთგვარ მუქს ჰფენდა საერთოდ მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე არქეოლოგიურ ძეგლებს. მარჯვენა ნაპირი კი ნაკლებ იყო შესწავლილი და იმავე დროს უფრო საინტერესოდგ მიიჩნედა ინსტიტუტის, რადგან სწორედ აქ მიუთითებდა ძველი წერილობითი წყაროები მნიშვნელოვან ცენტრს, არმაზს.

ამ უკანასკნელის მიკვლევა ჰქონდა დავალებული—როგორც ერთი მხრივად ამოცანა—ინსტიტუტის მიერ 1937 წლის ივლისში მცხეთას გაცხადილი ექსპედიციას. თავდაპირველად მუშაობას დასვერვითი ხასიათი მიეცა. ამ პირველ კამპანიას უნდა ჩაეყარა საფუძველი მცხეთის რაიონის

ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლისათვის, ნიადაგი უნდა მოეშხადებინა შობავალი დიდი სტაციონარული არქეოლოგიური მუშაობისათვის, საპრობლემო გარკვეული გამოკვლევა და მასალა დაგროვებინა [3]. ექსპედიციას მუშაობდა ინსტიტუტის უფრ. მეუნ. იანაშვილი. ად. კალანდანი. სვერვამ ექსპედიცია მორე დღევანდელი მთიანეთის არმაზისსეკის შესართავთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იქ, ის-ის იყო, აგარაკებისა და მამულების მოწყობას შესაგროვდა რამდენიმე თბილისელი ინჟინერი. სამისოდ მათ სწორედ ხეყის მარჯვენა მხარეს მდებარე ვაკე, მტკვრის მე-2 ტერასა და აგრეთვე უფრო დაბლა მდებარე, 1-ლი ტერასა ჰქონდათ მერჩეული. ერთ მათგანს დასავლეთის განაპირა უბანი რკებოდა და კიდევც დაეწყო იქ სახლის მენება. ექსპედიციის წევრებმა ურადლება მიაქციეს საპრობლემო ამოკრილი ორმოში, მეტრ-ნახევრის სიღრმეზე თისის ჭურჭლის ნაშტურევას სიმრავლესა და აგრეთვე იმას, რომ ასრილის ერთ-ერთ ჩამონაჭერში ჩანდა რაღაცა ძველი ქვიტკირის მენობის კუსხე, ხოლო იქვე ასლეს — ასეთივე კვდლის ნაშაი. ამ დაკვირვების შედეგად ექსპედიციამ გადაწყვიტა უფრო გულდასმით გამოკვლია ის ადგილი, მალე გამოირკვა, რომ იქ მიწის ქვეშ დაფლულია საუურადლებო ძველი ნაგებობის ნანგრევები და ამის გამო გათხრამ ფართო ხასიათი მიიღო, იგი ექსპედიციის ძირითად საქმედ იქცა, თუქცა დრო და დრო გამოვლდებოდა მცხეთის მიდამოების ზვერვაც (ძველი იქნა: არმაზისსეკის მონასტერი, ციხე და გამოქვაბული; შიომღვიმე; ხეალსენი; ვუარი; კარსისსეკი და კარსხი; მუსათგვერდი; ნაქულობაქვი; შესწავლილი იქნა მცხეთის რკინიგზის სადგურთან აღმოჩენილი სამარსები და სხვ.). გათხრას საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ და სისტემატურად აღვნიშნენ თვალყურის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ს. ჯანაშია და არქეოლოგიის განყოფილების გამე პროფ. გ. ნიორაძე. მუშაობა ორთვესავე პირს გავრძელდა (10 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე). მუშების რაოდენობა ცვალებადი იყო (ზ-დან 20-მდე). გამოვლენილი იქნა: ზემოაღნიშნული ნაგებობის...

აბანოს დასავლეთი ნაწილი და მინაშენი, 11 ქვისსამარსი და ობილიანის იარაღთა სასულოსნოს მრავალრიცხოვანი ნაშთები—ბოლოდროინდელი ვარაუდით, ენოლითური ხანისა. სამარსიდან 7 ბავშვისა იყო, 4 სრულწლოვანისა. ზოგი კოლექტორს სამარის წარმოადგენდა. სამარსები კვლავითი ჰგავდა ე. თაუაიძის მიერ 1902 წელს ნაუბოლოვან გათხრილ-მსწავლილ სამარსებს, ოღონდ განილებით უფრო ღარიბულსა და ერთფეროვან ინვენტარს შეიცავდა. 1937 წლის წინაწარ ანგარიშში [3] ეს სამარსები დაასლოებით გაცოლებულია გ. ნიორაძის მიერ კარსნისსევის შესართავთან 1926 წ. გათხრილ სამარსებთან, რომელთაც იგი ას. წ. IV—V საუკუნეებით ათარიღებს. იქვე აღნიშნული სამარსთა ნაკლები ხნოვანება, აბანოსთან შედარებით. ამ საუკრადლებო არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ ზარსაძემ გამოქვეყნდა ა. კალანდაძის სათანადო ცნობა [6]. იმავე წლის შემოდგომაზე სელონების საქმეთა სამმართველოს კულტურის მეგლთა დაცვის განყოფილებამ დროებითი, ხის ჰავილიანი დაადგა აბანოს ნაშთებს და ამათ გადაარჩინა უკანასკნელი ბუნების გამანადგურებელ მოქმედებას (1941 წელს ეს ჰავილიანი შეიცვალა უფრო მკვიდრი, კრამიტით დასურული ნაგებობით).

ინსტიტუტმა 1938 წელსაც მიავლინა არმაზისსევიმ ექსპედიციას, კვლავ ა. კალანდაძის მეთაურობით. ექსპედიციამ ვეღარ 15 ივლისიდან 21 სექტემბრამდე დაჭო. იოსებოდა ორი ძირითადი ობიექტი: აბანოს ნანგრევები და აბანოს ირგვლივ გამოჩენილი სამარსები. თან ექსპედიცია განაგრძობდა დასვერვით მუშაობას—კვლავ არმაზისსევიმ და მთომედიში, აგრეთვე კომანში, კლონობში და სსე.

ამ წლის დასვერვითი მუშაობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ექსპურსია, რომელიც „არმაზის ექსპედიციამ“ 21 აგვისტოს ჩაატარა, კულტურის მეგლთა დაცვის განყოფილების დეპლემით, სადგურ ზაქსთან, სადაც გამოვლინებულ იქნა ვალახის წარწერიანი (ბერძნულ-სომეხიანი) ქვები და I—III სს. ქვისსამარსები, რომლებშიც საკმაოდ საუკრადლებო ნივთები აღმოჩნდა (ტაბ. XXVIII და XXIX) [216; 310].

არმაზისსევის აბანოს ნანგრევების გამოვლინება დასრულდა და ვერი მიდგა მისი მასშრადობელი წყალსადენის მიღებისა და სათავის გაკვლევასე. როგორც წინა, ისე ამ წელს მრავლად აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმის ნამტკრევებისა და ზოგიერთი წუნდებული ნაწარმისა და სუსტად გამოშვარი თისის გორბების მისეღვით გამოითქვა ასრი, რომ ამავე უბანზე, სადაც სულ ახლოს, მერმინდელ სანაბი თისის ჭურჭლის ქარხანა ყოფილა. უსულოდ აბანოს სამსრეითი მუგბარე უბანში გათხარა ერთიმეორეზე მაღიან მჭიდროდ მიჯრილი 20 ქვისსამარსი, ხოლო რკინიგზის კაბაღმა, მის სამსრეითი მგებარე ტუან ფერდობზე (მემდეგ წლებში განათარის „ტუის უხნად“ წოდებულზე)— 6, ე. ი. სულ 26. სამარსთა ნუშრავიცა ამ წელს თავიდან დაიწყო, ხოლო ტუის უბანში აგრეთვე ცალკე დაწესდა. სამარსთა არც ერთი ამ ჯგუფის გამოვლინება 1938 წელს არ დასრულებულა და ექსპედიციამ 1941 და 1943—46 წლებშიც განაგრძო მათ გვერდით მუგბარე, იმავე დროის, იმკვარივე

სამარსების გამოვლინება-გათხრა. ეს სამარსები მასობრივს, არამდირულ სამაროვანს თუ სამაროვანებს ეკუთვნოდა. მათ შორის ბევრი იყო ნატეხი ქვით ნაშენი სამარსი. უკვე 1938 წელს მენიშულ იქნა, რომ ზოგჯერ ქვისსამარსებისათვის გამოუენებით ძველი, დანგრეული მგობიდან აღებული თლილი ქვები. ქვისსამარსების უმეტესობა საოჯახო გამოდგა (2—3 ჩონისი). ინვენტარი კვლავ ღარიბული იყო, მკრწილად რკინა-ბრინჯაოს სამკაულები. ოქროსი სულ სამი ნივთი აღმოჩნდა. ზოგი სამარსი ამაკრად გამარცვლი ჩანდა. ერთ სამარსში იყო VIII საუკუნის არაბული ფული. წინა წლისკან განსხვავებით, წამოქენებულ იქნა სამარსების უფრო ზუსტი თარიღი—VI—IX სს. [4].

ექსპედიცია იმ რწმენით ჩამობრუნდა თბილისში, რომ, თანხმად „ენიქის“ დირექციის გადაწყვეტილებისა, 1939 წლის ზაფხულში იგი კვლავ ეწვეოდა არმაზისსევეს და განაგრძობდა ესოდენ საუკრადლებო ნაშთების შემცველი მინდერის ნაბიჯ-ნაბიჯ, გულდასმით თხრას, შემდგომ დასვერვით მუშაობასთან ერთად. ზაგრამ 1938 წლის ოქტომბერში მოულოდნელად შეიქმნა ვითარება, რომელმაც დროებით შეაცვლევინა ინსტიტუტს ობიექტი და არმაზის ექსპედიციის მთელი მუშაგენლობა ასალი უბნის კვლევასე დააუენა, ოქტომბრის მიწურულადანვე. ეს იყო ორი წარწერიანი ქვის აღმოჩენა სამთავროს მინდერზე (სავეტერინარო ზენქტისთვის სამირკვლის ჩასაყრელ თხრილში), რამაც ცსოველი ინტერესი აღმრა მცენიერულ წრეებში.

რესპუბლიკის სულმგებანელ ორგანოთა მითითებით გადაწედა, სამთავროში დაუოვენებლივ დაწეებულიყო არქეოლოგიური თხრა და შეჩერებულიყო ყოველგვარი მშენებლობა. იე. ჯაჯახიძის ელი და სულმგებანლობით შეიქმნა „მცხეთა-სამთავროს ექსპედიცია“, რომელიც ინტენსიურ მუშაობას ეწეოდა 1938, 1939 და 1940 წწ. განმავლობაში.

ვიდრე ექსპედიცია არმაზისსევისანაც განასლებდა მუშაობას, განათარ უბანს დეპატრონა მცხეთის ნათოსადენის მექანიკოსი მელნიკოვი, რომელმაც აბანოს სამსრეთ-დასავლეთით, 1938 წლის უკანასკნელი თხრილიდან სულ ოციოდე მეტრის მანძილზე მუშებს გააჭრეენა თხრილი სასლის სამირკვლის ჩასაყრელად. მუშები წაწედნენ ქვისსამარსის სასურავს. მცხეთის ექსპედიცია შეუდგა ამ სამარსის გათხრა-გაწმენდას მეორე დღესვე, 1940 წლის 22 ოქტომბერს. ამირკად განასხლა და სამთავროს ჰარალელურად ფართოდ გაშალა საველე მუშაობა არმაზისსევისანაც მცხეთის ექსპედიციამ. ამ მუშაობას უდევდობდა სამთავროს ჩრდილო პეუფის უფროსი ალ. კალანდაძე.

22 ოქტომბერსვე, ჰირველი სამარსის ჩრდილოეთით, მისკან 1 მ მანძილზე, მეორე, ორფერდასასურავიანი სამარსიც გამოჩნდა. სამთავროს სამსრეთ უბანზე უკვე ცნობილი იყო ამ ტიპის რადენიმი, მდირული სამარსი. მალე გაშირიკვა, რომ ეს ორი ჰარალელურად მგვარი სამარსი მოცვეული ყოფილა ქვეტიკრის სწორკუთსოვან ნაგებობაში. 25 ოქტომბერს ორივე სამარსისა და ნაგებობის გარემომწმენდა დასრულდა და 26 ოქტომბერს, „ენიქის“ ჰასუსის-მგებელ თანამშრომელთა დიდი ნაწილის თანდასწრებით, ეს სამარსები (№№ 1 და 2) გახსნილ იქნა. სამარსთა გახსნას იღებ-

ღნენ „საქსენოპრონიკის“ იანვრატორები. ბანურსახერავია-
ნი სამარხი (№ 1) ანპარუტ ერისთავისა გამოდგა, სოლო ორ-
ფერდასახურავიანი (№ 2)—უცნობი, ბაჟუბანი ჭლისა¹.

18 ნოემბერს გარდაიცვალა მცხეთა-სამთავროს ექსპედი-
ციის ხელმძღვანელი ი. ჯ ა ვ ა ხ ი მ ვ ი ლ ი და ამის შემდეგ
ექსპედიციის სათავეში ჩაუდგა ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა.

შემდეგი მუშაობისას, გარდა ანპარუტის სამარხს გარშე-
ხო თხრისა, ბუნებრივად წარმოიჭრა ამოცანა: გარკვეულიყო
ერთიერთობა ახლად აღმოჩენილ სამარხებსა და 1937—38 წწ.
ჯათხრილ შეგლებს (აბანოსა და მერმინდელ სამარხებს)
ჰორის. ამ მიზნით 10 ნოემბერს დაიწყო გაჭრა თხრილისა,
რომელიც 1938 წლის „X ფართობიდან“ სამხრეთით მიე-
პართებოდა. 18 ნოემბერს და თხრილში აღმოჩნდა მეოთხე
ამარხი². ეს სამარხი, ი.ე. ჯავახიშვილის გარდაცვალების გა-
მო, დაგვიანებით გაიხსნა.

პირველ და მეორე სამარხთა ირგვლივ მდებარე უბ-
ნის გამოთხვევად 19 ნოემბერს დაიწყო ორი მერიდიანუ-
ლი მიმართულების თხრილის გაჭრა. სამისოდ აუცილებე-
ლი გასდა იმ უბნის მთლიანად გაწმენდა ზემდგომი მიწისა-
გან. ამ მუშაობისას გამოირკვა, რომ ქვიციკირის წყობის
აღრე დაგრეული ნაწილი წარმოადგენდა პირველი და მეო-
რე სამარხების გარემომცველი ნაგებობის აღმოსავლეთ კუ-
რდელს.

19 ნოემბერს აღმოჩნდა მესამე სამარხი—მეორე სამარ-
ხის ახლოს, სამხრეთით. ზემოაღნიშნული მიწისა გამო-
ისიც დაგვიანებით, 21 ნოემბერს გაიხსნა. შიგ ნაპოვნის
ლანგრის წარწერის მიხედვით იგი მიჩნეულ იქნა ბერსუბა
ერისთავის სამარხად.

25 ნოემბერს, ანპარუტის სამარხს დასავლეთით, ნაგე-
ბობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა კრამიტსამარ-
ხი № 1 (პატარა, ბაჟუბის სამარხის ოდენა)—უსუსურავო და
ცარიელი.

ზემოაღნიშნული ქვიციკირის კედლების გაწმენდამ გამო-
არკვია, რომ ნაგებობა ორსართიანი ყოფილა. ამის შემდეგ
დასავლეთის მიმართულებით თხრა შეწყდა და მთელი ძალ-
ღონე სამხრეთი უბნისაკენ იქნა მიმართული.

25 ნოემბერს გაიხსნა მეოთხე სამარხი. იგი გამოდგა
გვიანდელი საოჯახო სამარხი, რომლის გრძივ კედლებად
გამოყენებინათ ერისთავთა კუთვნილი სტელები. ამ უკანას-
კნელთა წარწერებმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

26 ნოემბერს ბერსუბა ერისთავის სამარხის სამხრეთით
აღმოჩნდა ორი სარკოფაგი: მეცხრედი, ორფერდასახურავიანი და
მეექვსე, ბანურსახურავიანი სამარხები. ამ სარკოფაგთა გარშე-
მოწმენდისას მათ სამხრეთ-დასავლეთით, მიწის ზედაპირთან
ძალიან ახლოს გამოჩნდა დიდი, ორფერდასახურავიანი სა-
მარხი (№ 5), რომელიც იმავე დღეს გაიხსნა და გაბარცუ-
ლი გამოდგა.

28 ნოემბერს გაიხსნა მეექვსე სამარხი, რომელმაც მოგე-
ცა უკვლახე უფრო მრავალრიცხოვანი მდიდრული ნივთები,

¹ ამ წელს შესამდე დაიწყო სამარხებისა და მონაპოვართა ნუმერაცი-
ასა შემდეგ ერთობა და მეორეუ განწმენდაც გრძელდება.

² სამარხები ირომარბოდა მათი განხრის (და არა აღმოჩენის) თანა-
მიმდევრობისამებრ.

საუკისოო სამკაული და ჭურჭელი, მაგრამ შიგ დაკრძალულის
ვინაობა გარკვეული დაჩრა.

30 ნოემბერს გაიხსნა მეშვიდე სამარხი, რომელშიც აგ-
რეთვე ბრწეინვალი. თუცა კი ნაკლებ მრავალრიცხოვანი,
ინვესტარი აღმოჩნდა. დაკრძალულის ვინაობა აქაც უცნობია
დაჩრა.

ორივე სარკოფაგის გახსნა მრავალრიცხოვან სტუმართა
თანდასწრებით სდებოდა და კინოფირზე იქნა გადაღებული.
რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა იმავე დღე-
ებში გამოიტანეს საგანგებო დადგენილება „არქეოლოგიური
მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“.

ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „ენიშკის“ მიერ
არმაზ-მცხეთის რაიონში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა მუ-
შაობამ გამოიღწია უძლიერესი ისტორიული მასალა, რომ-
ელისიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

არმაზ-მცხეთის რაიონი არქეოლოგიურ ნაპოვანად გა-
მოცხადდა. ინსტიტუტის წინადადება მიეცა გაუშალა არქეო-
ლოგიური მუშაობა ამ რაიონში. საერთო ხელმძღვანელო-
ბაც ინსტიტუტს დაეუკლა. არმაზ-მცხეთაში არქეოლოგიურ სა-
მუშაოთა ხელმძღვანელად და მთავრობის მიერ აღრევე შექმნილ
ექსპერტთა კომისიის თაჟმდომარე და მტკიცება პროფ.
ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა. კულტურის დაცვის მეტლოთა განყოფილებას
წინადადება მიეცა 1940 წლის 25 დეკემბრამდე სელახლა
გადაესურა აბანოს ნანგრევები და აგრეთვე ერისთავთა სამარ-
ხები. საქართველოს სსრ განსახოპსა და „ენიშკის“ დაეუკლა
საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისთვის მოეწყოთ არმაზ-
მცხეთისა და წალკა-თრიალეთის არქეოლოგიურ მონაპოვარ-
თა გამოფენა.

დეკემბრის პირველ რიცხვებში ანპარუტის სამარხის
სამხრეთ-აღმოსავლეთით გაიხსნა კიდევ ორი, მეცხრე და
მეცხრე სამარხი. მეცხრე მხოლოდ ორი ჩონჩხი აღმოჩნდა,
სრულად უნევესტარი.

მეცხრე სამარხი გაიხსნა 7 დეკემბერს. შიგ აღმოჩნდა
ბაჟუბის ჩონჩხი, რომელსაც ოქროს სამკაული და ვერცხლი-
სა და მინის ჭურჭელი ასულა თან, ისე რომ უკველები გახ-
და მისი კუთვნილება აგრეთვე ერისთავთა წრისადმი.

ექსპედიციის ველად მუშაობა შეწყდა 15 დეკემბერს და
ითიქმის მთელი კოლექტივი დაუყოვნებლივ ჩაბმულ იქნა
ზემოაღნიშნული დიდი გამოფენის („სორიალეთი და მცხეთა—
საქართველოს უძველესი კულტურული კერები“) მოსაშხა-
დებელ მუშაობაში. გამოფენა გაიხსნა 1911 წლის 25 თე-
ბერელისათვის—საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავის ზეი-
მისა და ახლადარსებული მეცნიერებათა აკადემიის I სესიის
განხრის დღეს.

ამრიგად, მე-3 არქეოლოგიური კამპანია არმაზისხეკ-
თან მცხეთა-სამთავროს ექსპედიციის კოლექტივის ძლებით
ჩატარდა. მან თვესა და სამ კვირას გასტანა. ამ ხნის გან-
მავლობაში გაიხსნა საცხოვრ დალი ფართობი და აღმოჩნდა
10 სამარხი, რომელთა უმეტესობამაც, შეიძლება ითქვას,
ვერეურობითა განუმეორებელი ფურცელი ჩასწრა საჭარ-
სველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორიაში.

ამ ნაშკვილად დიდი აღმოჩენის შემდეგ, 1911 წელს,
მცხეთაში გაიგზავნა ორგანიზაციულად გარდაქმნილი და

გადმოვიტოვებოდა ქაშაღალისკენ, რომელსაც უნდა ემუქვინა ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა და სომხეთი. მაგრამ 5 უბანზე (არმაზისსვეთან, სამთავროში, ბაგინეთსა და ნაქელბაქეშსა და არეკვესუ) აჯ. ს. ჯანაშიას საფრთხი სულმძვინვარებით. დადგა დრო ინსტიტუტის მიერ შესაძლებელი იმთავითვე განხრახუნდ დიდ არქეოლოგიურ სასაბუთო სისუსით განსორცხვლებსა და გეგმაც ფართოდ იქნა მოხაზული.

19. ვერცხლის სარკე (კატალ. № 17; ტაბ. XI, ქვედა მარჯვენა; XL, 6). პატარა, სადა, შავრამ მოსდენილი. შედგება საკუთრივ სარკისა და მისი რგოლური, თხელი, ბუდეებთან მცირედ შესქელებული ჩარჩოსაგან. თვით სარკე მრგვალია გამოჭრილი ვერცხლის ფირფიტისაგან. ნაწირებზე ორ ადგილას, ერთიმეორის პირისპირ, აქვს თითო მცირე გამოწვეპერი, რომელნიც რგოლურ ჩარჩოზე ამოჭრილ ორ სათანადო ბუდეში ჩასმული და ამრიგად მაგრდება სარკე ჩარჩოში. ეს სელს შეუწობდა სარკის თავისუფალ ტრიალსა და მისი ორივე შედაპირით სარგებლობას. ამჟამად სარკეს აღნიშნული გამოწვეპერები მოტესილი აქვს და ჩარჩოს ბუდეებში ჩარჩენილი.

სარკე მიცვალებულის თავს უკან იღო, დასავლეთი კედლის ძირას.

სარკის დიამეტრი 4,2 სმ უდრის, ჩარჩოს დიამეტრი—4,9 სმ, სარკის ფირფიტის სისქე—0,4 სმ. სარკე 9,55 გრამს იწონის.

20. ვერცხლის აბზინდები (კატალ. № 18; ტაბ. XL, 9—11; სურ. 11, 12). სულ 3 ცალია: ერთი ენაინი და ორი

უენო. სამივე ბოლოვდება ორმაგი ფირფიტებით, რომლებიც ჩანს, აბზინდის ვიწრო ღვედებზე დასამაგრებლად იყო განკუთვნილი. ენაინ აბზინდის ეს ფირფიტა უფრო გრძელი და თანაბრად ფართო აქვს, სოლო სხეებს მოკლე, ცალ მხარეზე უფრო ვიწრო და ბოლოებში გაფართოებული. ფირფიტის ბოლოებზე სამივეს შერჩენია ტუეზე დასამაგრებელი, ვერცხლის თავბრტყელი ნასქელები (სიმაღლე—0,3 სმ).

აბზინდების სიგრძე 2,8 სმ, 3,5 სმ და 4,0 სმ უდრის, უდიდესი სიგანე—1,0 სმ. სამივე აბზინდის წონა 27,10 გრ. უდრის.

ეს აბზინდები მიცვალებულის წელის არეში აღმოჩნდა. უდავოა, რომ ისინი რაღაცა ვიწრო ღვედის შესაკრავი ეოფილა. ეგებ, გარდა საჩეიშო, ოქროს ბალთებით შეკვდილი სარტყლისა, ასპარუგს ერტუა შეორე, სამინაო ღვედიც, ან არადა ეს ღვედი სატყვის ეაწიშს („პორტუგაუს“) წარმოადგენდა.

21. ღვედელი ღუტეები და ჰატარარგოლეები, ორი წყვილი (კატალ. № 20; ტაბ. XL, 7, 12). ვერცხლის წერილი მკუთხლისაგანა გაკეთებული. ღუტეების ზომა 1,2 x 1,5 სმ უდრის, რგოლებისა—1,2 სმ. უკვლა კოსტადაა გამოკვანილი. საერთო წონა 30 გრ. უდრის.

აღმოჩნდა შუა ფილაქვის ცენტრში. ალბათ ტანსამოსთან იყო დაკავშირებული.


22. ვერცხლის კოლოფი (კატალ. № 19; ტაბ. XL, 4). მრგვალია, პატარა, ვერცხლისავე სასურავიანი. შიგ სის ნაშთებია, მღიერ გამოფიტული. კედელ-ძირიცა და სასურავიც თხელფირფიტოვანია. კოლოფის ძირსაც და სასურავსაც შუაში ამოჭრილი აქვს მრგვალი ფოსო, რომლის გარშემოც ოღნავ შესაძინევი კონცენტრული ღარებია.

კოლოფის დიამეტრი 4,3 სმ უდრის, სიმაღლე—1,1 სმ, წონა—15,35 გრ.

აღმოჩნდა შუა ფილაქვის ცენტრალურ არეში.

23. ვერცხლის ფირფიტა (კატალ. № 30; ტაბ. XL, 16). მრგვალია, სქელი, შუაში მღიერ შეხრეტილი, თითქმის ორად შეკეცილი. ნაწირის ირგვლივ შემოჭრილი აქვს ვერცხლისავე ჰაწია ნასქელები. თერთმეტი შემოჭრენილია, სოლო შუაში სამი, ერთიმეორის მომდევნო, დაკარგულა. ეს ნასქელები ფირფიტის შეორე მხარეზეა და მოღუნულია. ასე რომ, ჩანს, ის, რასედაც ფირფიტა ეოფილა თავის დროზე დაკრული (ტუევი ?), თხელი იქნებოდა. ფირფიტა სრულიად სადაა. მისი დიამეტრი 7,5 სმ უდრის, წონა—19,5 გრ. ეს ფირფიტა შუა ფილაქვასა და ჩრდილო კედელს შორის იღო, სამარხის შუაში.

24. ვერცხლის ფირფიტა (კატალ. № 29; ტაბ. XL, 13). მრგვალია, თხელი. შუაში ოღნავ შეხრეტილი. ოთხი სიმეტრიულად განლაგებული, მოგრძო ნასქელები ჰქონია, მაგრამ ერთი-და მერჩენია და სამისა მსოლოდ ნახურეტე-



სურ. 12

ბია. ნაპირები ჩამოტყვევული აქვს. ენტი მოშვანო აკრავს, ახე რომ გვებ არც იოს წმიდა ვერცსლისა.

ღიაშტერი 6,5 სმ უდრის, სამსკვალის სიმაღლე (მო-
ლუნვაჲმე)—0,6 სმ.

იქვე აღმოჩნდა, სადაც ზემოთ აღწერილი ფირფიტა.
შესაძლოა, ეს ორივე ფირფიტა წარმოადგენდა სარეცლის
ფესთა უღესკარავებს (იხ. ქვემოთ).

25. სა რ ე ვ ლ ის ფ ე ს ე ჯ ე (კატალ. № 26). წარმო-
დგენილია ვერცხლის კარსკარავები, რომელთა სიღრუვეში
მრავლადა შემორჩენილი კაკლის სის მერქნის ნათებით.

სულ ოთხი ასეთი ფესი აღმოჩნდა. პირველი მუველად
იღვა დასავლეთი კედლის ძირას, მის შუა ნაწილთან; მეორე
იღო სამსრეთ-დასავლეთ კუთხეში, ძირით სამსრეთ-
აღმოსავლეთისაკენ; მესამეც, დასავლეთით ასევე დამსრო-
ბილი, სამარსის სამსრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შუა ფილა-
ქვის აღმოსავლეთ ბოლოს ასლოს; სოლო მეოთხე იქვე,
ჩრდილოეთიდან სამსრეთით დამსრობილი, ძირით შუა ფი-
ლაქვის სამსრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან (ტაბ. XXXVI, 2
და 3; სურ. 3).

ფესების მრე-ნაკლებად კარგადაა შემონახული, თუმცა
უოველი მათგანი ენგინანგან საკმაოდ დაზიანებული და
ამოჭმულია. სანიშნოდ პირველს, ეველახე უკეთესად და-
ცულს, აღდგენილსა და ქიმიურად გაწმენდილს აღწერილ და
კურევენებ (ტაბ. LXXVII, 3; სურ. 13), მით უმეტეს, რომ
ოთხივე უღემწევნით მსგავსია. მასში გამოიყოფა რელიე-
ფურად გამოჩეკურომებული ოთხი ნაწილი. თავი მრგვალი
აქვს, სადა და მას მსოლოდ ერთი რელიეფური ზოლი მე-
ძოვევება ირგვლივ. მის ქვემოთ სადა ევლია, სოლო ევლს
ქვემოთ—აღმაცერად და ღრმად დაღარული ბურთობი. შემ-
დეგ შოლის კვლავ ევლი, რომელსაც მუველად დაუეება
შეიდი რელიეფური ზოლი. ეს ზოლები ქვემოთ მღებარე,
ძირითად ბურთობზე გადადის თითო-თითო რელიეფში,
სათანალო საფესურების შემეგობით. ეს რელიეფები სტილი-
ზებულად და ნსეკურად ფანტასტურად გამოსატავს საესებით
ერთხანის, რეკერსილსა და თითქოს ნისკარტან ვერმის-
თავებს, რომელნიც ერთიმეორისაგან თითქმის თანაბრად
არიან დამორებული. ამათ ქვე არის სადა-რელიეფური
ჰორიზონტული ზოლი, რომლითაც თავდება ეს ძირითადი
მუსლი. მეოთხე მუსლი მესამისადა აგრევეც გამოყოფილია
ევლით, რომელსაც სუთი რელიეფური ზოლი დაუეება
მუველად. ეს ზოლები, საფესურთა მუეეობით, გადადის
სუთ კლანჯისებრ გამოსახულებამი. ეს უკანასკნელები ნა-
ლებ რელიეფურია, ვიდრე შუა მუსლისა. სულ ქვედა ნაწილი
სადა და ოდნავ მომრგვალებული.

ფესის სიმაღლე 23 სმ უდრის, შუა ღიაშტერი—9,6 სმ,
ქვედა—6,7 სმ. ფესებს სხვადასხვა წონა აქეთ: 235-დან 247
გრამამდე.

საერთოდ ეს კარსკარავები ოქრომჭედლობის ღირს-
შესანიშნავ ნაწარმობად ჩათვლება. ჩუქურთმა გაბედული
ხელით, მკაფიოდ არის გამოეენილი; ვერმისთავები უტუშ-
არი გემოვნებით სტილიზებული და კარგად გამოკვეთილია.
როგორც ამ რთული საგნების თვალდათვალ შესწავ-
ლამ გაჩვენა, უოველი ფესი თავდაპირველად გამოუსარა-

ტებით კაკლის სისაგან, სასურველი ჩუქურთმა-სახეები გა-
მოუეენიათ მასზე და შემდეგ გარშემოეკრავთ ვერცხლის ფერ-
ცვლი, რომლის სისქე სულ 0,5 მმ უდრის. ბოლოს კი
შემოდან ვერცხლისევე მრგვალი ფირფიტა დაეკრავთ. ამ
ფირფიტის შუაში გარდიგარდმო ამოჭრილია საკმაოდ ფარ-
თო სწორკუთხედი, რომელიც, ჩანს, სარეცლის ფიცრებისა და
ფესის დამავებრებელი სის ნაწილი უოფილა ჩარეობილი.

ს. ჯანაშიას რეზ. საქართველოს სასელმწიფო მუზეუმის
ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში პროფ. ფ. თავეა-
ძის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა
კვლევამ დადასტურა და თან არსებითად შეეგო წინასწარი
წარმოდგენა სარეცლის ფესთა გაკეთების წესის შესახებ და
შესაძლოა განსად სათანადო ტექნოლოგიური პროცესის
მიღიანად აღდგენა. გამოირკვა, რომ ამ საგნების დამზადება
განსაკუთრებით რთულ საქმედ უნდა ჩათვალდეს. „ვერცხ-
ლის ფურცელი მჭიდროდა გარშემოეკრული სის კალაპო-
ტის რელიეფზე და მას არსად ემწევა რჩილვის კვალი.
ამგვარი საგნების დამზადება შეიძლება მსოლოდ დაწვევის
სამუელებით, რასაც შემდეგ მოსდევს ტვიფრვა და კვერვა,
იმავე კალაპოტზე“. მისივე ეს პროცესი წარმოებდა სასა-
რტო ჩარსისა და საწნევი ხელსაწყოთა გამოეენებით. ჩარსზე
ბრუნვად თვით სის კალაპოტი, სოლო ხელოსანი უმარ-
ჯეება საწნე ხელსაწყოთა გამოეკრულ ვერცხლის ფერ-
ცვლზე სათანადო სასეების გამოსაეენად [352, გვ. 70—71].

არსებითად ანაპრეკის სარეცლის ფესთა კარსკარა-
ვის მსგავსია მესამე და მეექვსე სამარხებში (იხ. ქვემოთ)
და აგრევეც მოფულ ბორში (ორჯანიკიძის რაიონი) აღმო-
ჩენილი კარსკარავები [154, ტაბ. IV, 2, 3, 5, 6; V, 10].
სხვათა შორის, ეს ერთი იმ გარემოებათაგანია, რომელნიც
მჭიდროდ აკავშირებენ ერთიმეორესთან არმაზისხევის ერის-
თავთა სამარხებისა და ბორის სამარხების ინვენტარს. უო-
ველ შემთხვევებში, აღნიშნული საგნები შეგვიძლია ერთობ-
ლივ განვიხილოთ, როგორც მუეილი ქართული ოქრო-
მჭედლობის მუელები.

ამ კარსკარავებზე გამოსახული ვერმისთავების სემან-
ტიკა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მათ, ისევე რო-
გორც ქვემოთ განხილულ სკულპტურულ გამოსახულებებს
(იხ. მე-6 და მე-7 სამარხთა ინვენტარის აღწერა), აპოტრო-
პული დანიშნულება უნდა ჰქონდიათ. ამასთან დაკავშირე-
ბით საუარადებულა დ. სტეფანის მოსაზრება. მისი
სიტუეობი, აღბათ უოველგვარი სიავისაგან დასაცავად ამკო-
დნენ მუელად ცხერის გამოსახულებით იარაღს, ჩაფხუტებს,
სომაღლებს (რომელთაც ამის შემწეობით უნდა დაეკრიათ
მტრის სომაღლები), საფლავის ქვეშ 1, ჰენობათა ჰილასტ-
რის ძირებს, სტეტილთაეებს, სავარძლის ფესებსა და სასე-
ლურებს და სხე. [244, გვ. 130—138].

სწორედ სავარძლის თუ სარეცლის ფესთა კარსკარავები
აღმოჩნდა 1946 წელს ბაენეთის „კოლდეკარის საკოფე-
ში“ [64; 65; 335]. მათ გამოსახულებამი გამოიღნობა,

¹ აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ საქართველოში გვიანსაშუალო საუკუ-
ნეებამდე და ზოგან თითქმის XIX საუკუნემდე კი შემორჩა წესი საფ-
ლავის ქვეშის ცხერის სახით გამოეეობისა [297]. ამგვარი მუელები დაყულია
ს. ჯანაშიას სახ. საქ. სასელმწიფო მუზეუმში.

უნიკველეს ეოვლისა, ფსკუნჯი, რაც ამსკავსებს ამ გარსკრავებს მველი წინაზიური და კერძოდ, ურარტული ტასტ-საგარძღების შემეულობას, რომელთა შორის გვხვდება არმაზისსევის სარეცლის ფესთა მსკავსი მოტივებიც, ოღონდ ბრინჯაოსაგან ნაშუქურთმევი [138, სურათები გვ. გვ. 151, 185, 187]. ეს დაკვირვება ძველადმოსავლური ჰეღური ხელოვნებისაგან გვადებინებს გულს, მით უმეტეს, რომ ბერძნულ-რომაულ სამეაროში, თუ მის ორბიტაში მოქცეულ ტერიტორიაზე, ამგვარი სარეცლის ფესები არსად გვეკვლება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ბავინეთის სარეცლის ფესებზე გამოსახული ფსკუნჯი პირობითი სტილიზაციითაა გადმოცემული არმაზისსევეურსე იმ თითქოს ნისკარტიანი ვერძისთაუებისა და კლანჭების სახით, რომლებიც ზემოთ, აღწერის დროს ვახსენეთ. ამას გარდა, არმაზისსევეური გამოსახულება არ შეიძლება არ მივიჩნიოთ ბრინჯაოს იმ „ცხვარჩიტების“ თავისებურ განმეორებად, რომლებიც გავრცელებული იყო ჩვენში შუა ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული [181], რაც ბევრად უსწრებს წინ ჩვენ მიერ ზემოთ მითითებულ ძველადმოსავლურ ანალოგიებს.

ჩვენ მიერ აღწერილი, სტილიზებული გამოსახულებანი არმაზისსევის, ბორისა და სხვა ანტიკური ქართული ძეგლებისათვის საერთო დამახასიათებელია. ცხვარი ან ცხვრის თავი საქართველოში ძველითაგვე შეადგენს მცირე ზღანსტიკის ერთ-ერთ ეველასზე უფრო გავრცელებულ მოტივს და, ზემოთ მოტანილ მოსაზრებათა შესაბამისად, ალბათ იმათათვე მიერთადად აპოტროპეული ფუნქციის მატარებელი იყო.


თვით ცხვარს რომ უკვე გვ. წ. მეორე ათასწლეულში მკვიდრად აქვს ფესი მოკიდებული ქართველ ტომთა მეურნეობაში, ამას მოწმობს საქართველოს სხვადასხვა სამაროვანთა ძველი სამარხები, რომლებშიაც სარ-მროსის, ღორისა და თხის ძვლებთან ერთად, და მათზედ უფრო სმარადაც, გვხვდება ცხვრის ძვლები, როგორც თავის დროსე მიცვალებულთათვის საიქიოს ცატანებული „საგზისი“ ნაშთი [17—21; 35; 36; 92; 199; 298 და სსე.]. ამ ნივთიერ ბასისზე უნდა აღმოცენებულიყო ცხვრის, როგორც საკულტო ცხოველისა, და მისი გამოსახულების, როგორც მფარველი ავგაროზის, იღუა. ჩვენს ტერიტორიაზე დამოწმებულ ასეთ გამოსახულებათაგან უმეფლესად უნდა ჩაითვალოს სოფ. დებთან, ბრინლის სამაროვანის ძვ. წ. II ათას-

წლეულის შუა საუკუნეების ფენაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცხვრის გამოსახულებანი, რომლებიც ზოგჯერ დამოუკიდებელ ქანდაკებას წარმოადგენს, სოლო ზოგჯერ სასიომო ცულებს ამკობს [362; ტაბ. XI, XII და XLI]. ისინი გვხვდება აგრეთვე როგორც ბრინლისავე სამაროვანის უფრო ახალი სამარხებიდან ამოხსნილ ბრინჯაოს ბალახებზე და თიხის ჭურჭლებზე [153], ისე საქართველოს სხვა კუთხეებში, სულ სხვადასხვა ხანაში. ასეთია, მაგალითად, ბრინჯაოს სამი ცხვრის-თავით შემკული კვეროსი და ბრინჯაოს შესაბნევი, აგრეთვე ცხვრისთავით შემკული, აღმოჩენილი მ. ივანისკოს მიერ აფსასეთის ერთ-ერთი დოლოშენის იმ ფენაში, რომელიც გვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისს ეკუთვნის [300, გვ. 26—27, სურ. X, 6, 12]. შემდეგ უნდა მივიხილოთ წალკაში, ბუთაქანის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს აბსინდა, რომლის ნისკარტი რქახვეული ცხვრის თავითაა დაკვირვებულად მოკიდებული [92, გვ. 68, სურ. 70]. უსხვეგის განმიც (გვ. წ. VII—VI სს.) ბლომად მიეცა ცხვრის თავ-რქის ბრინჯაოს სტილიზებულ გამოსახულებებს [94, სურ. 139, ტაბ. LXXI, 6; 241, სურ. 16, 17, 20—22]. დასასრულ უნდა აღინიშნოს ერთი ყველა სამაროვანის თიხის ჭურჭლებისა (გვ. წ. X—VI სს.), რომელთაც მხრებს ზემოთ დაქურჩილი აქვთ ცხვრის თავის მღიერ სქემატური გამოსახულებანი — ჩანს, ჭურჭელში ჩასხმული სიოხის „მფარველად“.

ასეთივე ჭურჭლები აღმოჩენილია სტალინის ხანაგორაზე [336, გვ. 247, ტაბ. V, 6]. როგორც ვსეღავთ, ამ მხრივ არმაზისსევის II—III საუკუნეთა ნივთებზე ცხვრისთავთა გამოსახვას შორეულ წარულებივე ჰქონია საწყისები. ეს ტრადიცია ადგილობრივი, ნოყიერი ნიადაგით საზრდობს.

ქვემოთაც, ერისთავთა სამარხებში აღმოჩენილი სხვა ნივთების დასახიზათებისას, გვექნება საქმე ცხვრის თავის სიმბოლიკურ-აპოტროპეულ გამოსახულებებთან. აქვე გავისხნოთ ზემოაღწერილი (სამაროვანის ქარქაშის ოქროს გარსაკაფის) მგაღლიონის ტიხორვანი მინანქარი, რომლის შუაგულში გამოსატული თავიც ეგებ ცხვრისა იყოს.

26. ვერცხლის მონეტა (კატალ. № 31; ტაბ. XCI, 18). რომელი ღვწარი უნდა იყოს, ავგუსტე კეისრისა (გვ. წ. 27 წ.—ახ. წ. 14 წ.), ან მისი შიბაპით მოჭრილი. გამოსატულებისათვის აღარაფერი ჩანს. წონა 2,35 გრ. უღრის, დიამეტრი—19 მმ.



სურ. 13

შუა ფილაქების ჩრდილო განაპირას იღო, აურეუსები-
საცან მოპორებით და საერთოდაც განცალკევებით.

ეს ერთადერთი ვერცხლის ფული იყო ამ სამარხში.
27. ბრინჯაოს ბაღთა (კატალ. № 32; ტაბ. XI,
ქვედა მარცხენა; XL, 5). ზურგზე დარჩილული მოხრილი,
რკალური მოყვანილობის ეუნწი გვანცნობს, რომ ეს ბაღ-
თა რღაცანზე დაკრებული უოფლია. იგი აღმოჩნდა სარ-
ტყელ-სატყერის სამკუთაო გასწვრივ, შუა ფილაქასა და
ჩრდილო კედელს შორის, იატაკზე. ბაღთა მრგვალია, ოდნე
ამოსწეული. მისი ზედაპირის შემკულობა ნამდვილად უნი-
კალურია. იგი წარმოადგენილია ნაირფერადი, ამაყად რამ-
დენადმე გასუნებული, გამჭრქალბული მინანქრის გეო-
მეტრიულ-ეკვივალოვანი ორნამენტით, რომელიც შემოფარ-
ილულია სუ კონტენტრულ, რელიეფურ წრეს შორის გამო-
ყვანილი ორგონის წრით. ეს ეკვივანული თავის მხრივ
ლურჯმინანქრიან არმიას წარმოადგენს.

მინანქარი მრავალფეროვანია: მუქი ყვითელი, ღია
ლურჯი, მოცინფერო და რუხი. სახეები წინასწარაა ამოკვე-
თილი ლითონზე და ამრიგად გაკეთებულია საჭირო მოყვ-
ანილობის ბუდეები, რომლებშიც ჩასხმულია ახა თუ იმ ფე-
რის მინანქარი. მიუხედავად გასუნებისა, მინანქარი მაინც
ღამაზია.

ბაღთის დიამეტრი 3,6 სმ უდრის, სისქე — 0,3 სმ,
ეუნწის სიმაღლე — 0,7 სმ. ბაღთა 15 გრამს იწონის.

ეს ბაღთა კიდევ ერთხელ (ქარქაშის მედალიონის
გარსაკრავთან ერთად) აპყარად მოწმობს საერთოდ ჩვენში
მინანქრის დიდ სიძველეს. მეორე მხრივ, იგი შეიძლება
იმასაც მოასწავებდეს, რომ სამთავროს ბრინჯაო-რკინის
სანის ორმოსამარხებში საკმაოდ გავრცელებული მოტიუელი
ჭურჭლის მიხედვით აპყარად დადსტურებულს ამ ხელობას
ახ. წ. პირველ საუკუნეებში ჩვენში მღიერ მალაღი საფე-
სურისათვის მიუღწევია და იგი, სხვათა შორის, მინანქრის
სელობადაც განკითარებულა. როგორც ვიცით, მინანქარი
არსებობდა იგივე წესით შემოხვეთა, ოღონდ ლითონის ნიე-
თებზე გადატანილი. არმაზისხევთან 1911 წელსაც აღმოჩნ-
და ერთი მინანქრიანი სამკუთელი, ოქროს ბუქედი (მის შე-
სახებ იხ. ქვემოთ); 1918 წელს მცხეთის ასლად აღმოჩე-
ნილი სამარონის ერთ-ერთ სამარხშიც იყო მინანქრიანი
აგრაფი [5, ტაბ. IX, სურ. 25, № 57]; სოლო სამკუთელი საუკუნეთა
ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში მინანქრის მრავალრიცხ-
ოვანი ბრწყინვალე და სინირად სწორუზოვარი ნიმუშები სომ
საუოველთაოდ ცნობილია.

ეს ბაღთა მოყვანილობითა და მრავალფერადოვნებით
რამდენადმე მოგვაგონებს ოქროს მოთვალულ მედალიონს,
ჩამოკიდებულს ფერადი მძივების 6 რიგისაგან შემდგარ ეულ-
საბამზე, რომელიც ძველი სუმერული ქალაქის, ურის ნამ-
თების თხრისას აღმოჩნდა [178, ტაბ. 133, № 8565].

ამ ბაღთის ორნამენტო საკმაოდ ჰგავს რაკის არქე-
ოლოგიური ექსპედიციის მიერ სოფ. კვაშითისში 1953 წ.
აღმოჩენილი ვერცხლის ზინავის შიდაპირზე სევაღით გამო-
ყვანილ მოტივს [182].

28. ბრინჯაოს აბჯინდა (კატალ. № 33; ტაბ.
XL, 6). უნია. სიგრძე 3 სმ უდრის, რგოლის დიამ.—

1,5 სმ. თან ასლავს ბრინჯაოსივე ფირფიტები და სამსკვლე-
ბი. ეველაფერი ეს ეყარა შუა ფილაქის სამსრეთ-დასავ-
ლეთ კუთხესთან, სამარხის პირზე.

29. რკინის დანისპირი (კატალ. № 35; ტაბ.
XL, 3). ფხა სწორი აქვს, ეუა კი გრძელს, ძალიან სქელს,
უთანასწორო სიმაღლის, ტალღისებრ რკალს წარმოადგენს.
ტარი, ეტეობა, ძეღისა ჰქონია და, სატარე ეუნწის მიხედ-
ვით, საკმაოდ ფართო. დანის ტარი ზირის დასაწყისთან ღია
რკალით უოფლია დაბოლოებული. ზედ პირზე შემორჩენი-
ლია ასეთი რკალის კვალი. სიგრძე 13,4 სმ უდრის, სიგა-
ნე ტართან—3,3 სმ.

ეს დანისპირი სარტელის ბაღთებთან ერთად იღო.

30. რკინის დანისპირი (კატალ. № 34; ტაბ.
XL, 1). აგრეთვე უტარია, ტოლფერდა-სამკუთხოვანი მო-
ყვანილობისა. ეუა ოდნე შესქელებული აქვს. შემორჩენილი
ნაწილის სიგრძე 11,7 სმ უდრის, უდიდესი სიგანე—2,2 სმ.
თან ასლავს ირმის რქის ნატესი (ტარად თუ ჰქონდა).

აღმოჩნდა შუა ფილაქის სამსრეთ კიდევ.

როგორც ვედავთ, ამ სამარხში სულ სამი იარაღი
უოფლია: ერთი სახეიმო-ქარქაშისანი სატეგარი და ორიც
მომცრო დანა.

31. ჰასტის მძივები (კატალ. № 37—38; ტაბ. XL,
15; სურ. 11, 13). სამარხის სამსრეთ-დასავლეთ კუთხეში აიკ-
რიფა სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის, მოყვითალო,
მორუსო და მონაცრისფრო (საერთოდ მუქი) ჰასტის 400-ოდე
მძივი. მათი უმეტესობა ბურთულა და ცილინდრულია. მათ
შორის ერთის, უდიდესსა და ცილინდრულიც, სიმაღლე 0,6
სმ უდრის. ამასთანავე აღსანიშნავია მიცვალებულის თავ-
თან აღმოჩენილი ერთი მსხვილი, ბირთვივებრი მძივი
თეთრი ჰასტისა (ტაბ. XL, 14; სურ. 11, 11), რომელსაც
გარედან რუხი ფერი მისცემია. მისი დიამეტრი 3,1 სმ
უდრის, სიმაღლე 2,8 სმ, სოლო ნასერეტის დიამეტრი
1 სმ აღწევს.

32. მკელი მოგრძო, თხელფირფიტოვანი ნიეთის
ნატეხე (კატალ. № 36), რომლებიც სამარხის სამსრეთ-
დასავლეთ კუთხეში აიკრიფა (დანის ტარისა?).

33. მინის ჭურჭელი (კატალ. № 39; ტაბ.
LXXII, 2). ფერად მომწვანო, გამოფიტული ქერქი აკრავს.
ეულმაღალია და პირფართო, მუცელი მღიერ დაბალი და
დაბრტყელებული აქვს, მირი საგრძნობლად შედრეკილი.
მოელი იყო მსოლოდ ეული, რომელიც ეგდრო სამარხის
სამსრეთ-დასავლეთ კუთხეში, ერთ-ერთ ვერცხლის სურას-
თან, ჰირით დასავლეთისაკენ; მუცლის ნამტერეები კი შუა
ფილაქის დასავლეთ მხარესედაც ეყარა. ეულის სიმაღლე
უდრის 16,0 სმ, პირის დიამეტრი—4,4 სმ, მუცლის დია-
მეტრი—10,0 სმ. ჭურჭელი ამაყად შეკოწიწებულია. უნდა
წარმოადგენდეს სანელსაცხებლეს, საკმაოდ თავისებური მო-
ყვანილობისა. მღიერ ჰგავს მუცსეუ სამარხში აღმოჩენილ
ერთ-ერთ მინის ჭურჭელს (კატალ. № 229; ტაბ. LXXII, 1).

34. ნამტერეები სქელკედლიანი მინის ჭურ-
ჭლისა, რომლის მოყვანილობის წარმოადგენა მწელია,
რადგან ბეგრი აკლია და აღდგენა არ სერსდება (კატალ.
№ 40). ენენიც შუა ფილაქის დასავლეთ მხარესე ეყარა.

უოველ შემთხვევაში, ის მინც ითქმის დანამდვილებით, რომ სამარხში მინის 2 ჭურჭელი უოფილა.

35. ნატეხები რკინის გურკვევლი დანიშნულების კაკეებისა, სიგრძით 8 სმ-მდე; 6 ცალი (კატალ. № 35). შესაძლოა რკინის ჭრატის ჩამოსაკიდი კაკეების ნაშთი იყოს (მღრ. ტბ. LXXVI, 3ა).

36. სის ნაშთები (კატალ. № 41). საურადღებო შედეგები მოგვცა ამ სამარხში, ცალკე თუ ზოგიერი ზემოაღწერილ სკანში, აღმოჩენილი ხის ნაშთების (სულ 12 ნიმუშის) შესწავლამ, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისოვნიით, ამავე აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში ჩატარა [33]. ნიმუშების განსაზღვრა გააძეულა იმან, რომ ისინი ძლიერ ცუდად იყო შემონახული.

ამ არქეობოტანიკური კვლევის შედეგებიდან აღსანიშნავია: ა) ცაცხვის (*Tilia sp.*) მერქნის ნაშთების დადასტურება რკინის სატყერის ქარქაში; ბ) ზღმარტლის (*Mespilus germanica L.*) გამონობა, თუმცა კი პირობით; გ) აკაის (*Celtis sp.*) თესლის გამონობა; დ) კაჯლის ხის (*Juglans regia L.*) მერქნის დადასტურება სატყერის ფესვებში (გამორკვა, რომ ორი-სამი სხვადასხვა ნაჭრისა, ეგებ სხვადასხვა სხეებისა); ე) ხის ფოთოლთა მარღვების გამონობა.

კაჯლის ხისა და ცაცხვის მერქნის ნაშთების არსებობა სასებით განსაზღვრავს: ჩანს, სატყერის ფესვები, და ეგებ ზოგი სხვა ნაწილები, კაჯლის ხისაგან ყოფილია გაკეთებული, როგორც დიდკაცის მკაში შეფერება. რაც შეეხება მერქლი იარაღის ქარქას, მას დღევანდელი მეთარღვე სელოსნებიც ცაცხვისაგან აკეთებენ. ზღმარტლი კი გამონობილიც პირობითადაა და არც მისგან გაკეთებული სკანის დანიშნულებაა გარკვეული.

სხვაგვარი ვითარებაა საკარადღებელი ხის ფოთლებისა და თესლის დადასტურების გამო. ეველსე უფრო მარაბული იქნებოდა, თუ წარმოვიდგენდით, რომ სამარხში აკაის ფოთლიან-თესლიანი მტოები ჩაუფენიათ ან მიმოუბნევიათ ასპარეგის დაკრძალვისას. ამ მოსაზრებას ამლიერებს საშთაეროს ერთ-ერთ სამარხში (სამსრეთი უბნის № 236) 1940 წელს ბსის მტო-ფოთლების მრავლად აღმოჩენის ფაქტი [36; 40]. საქართველოში აკაის სე, ჩვენი დაკვირვებით, თითქმის აუცილებელი თანსწლებია მველ საკულტო ნაგებობათა ნანგრევებისა და, მამასადაც, მას შეეძლო სპირად ბსის მაგივრობაც გაეწია დაკრძალვის რიტუალში.

ზემოთ დამოწმებული ნაშრომის ავტორებს ბოტანიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით სასებით კანონსომიარად მიანხიათ ცაცხვის, ზღმარტლისა და აკაის ხის ნაშთების აღმოჩენა სამარხში, რადგან არმაზისხევის მიდამოებში ახლაცაა ეს ვიშები, ტუიან ფერდობებზე. კაჯლის ხის მერქნის აღმოჩენა კი, მათი აზრით, აუენებს ასალ საკითხს—ამ ხის საქართველოში (ირანდან) „ინტროდუქციის“ დროის შესახებ. სახელდობრ, თუ სამარხში აღმოჩენილი კაჯლის ხის მასალა შემოტანილი არაა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ აქ კაჯლის ხის კულტურა შემოსულა არა უგვიანეს ახ. წ. III საუკუნისა და ამ დროს აქ კაჯალი უკვე ცნობილი უოფილა

არა მარტო როგორც საკების, არამედ ატრეფე საუკუთისო მერქნის მომეგები სე [51, გვ. 156—157].

არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ ასპარეგის სატყერის ხის მასალა იმპორტულად მივიჩნიოთ (ამას ხომ თვით დამოწმებული ნაშრომის ავტორებიც სათუოდ ხდინან). მეორე მხრივ, გაუმართლებელია ჩვენში კაჯლის ხის გავრცელების თარიღის ქვედა მიჯნად ახ. წ. III საუკუნის მიჩნევა, ვინაიდან გაცილებით უფრო ადრინდელი (მე. წ. 63—ახ. წ. 19 წ.) და საერთოდ ნდობის ღირსი ავტორი სტრაბონი იხსენიებს ამ სეს საქართველოს მთიან კუთხეებში [99, გვ. 235, 18]. მამასადაც, წელთაღრიცხვათა მიჯნაზე საქართველოს მთა ადგილებშიც კი მრავლად უოფილა კაჯლის სე და ამიტომ 'სედეპტია მისი ირანიდან „ინტროდუქციის“ შესახებ საუბარი.

მითიებულ წერილში გადმოცემულია ორიოდ სევა, არაბოტანიკური, მკრამ ჩვენთვის საურადღებო დაკვირვება. მცენარეულ ნაშთებთან ერთად, შეტწილად ვერცხლის: ჭურჭლებიდან ამოღებული მიწის ნიმუშების (კატალ. № 43) მკრო-პეტროგრაფიული შესწავლას გავრკვევია, რომ ეს მიწა უმთავრესად მარღვაც სამარხის შემადგენელი, ქვიძაქვის ფილების ანაფქვენი და მტვერია. ვერცხლის დიდ ორურსა ჯამში (კატალ. № 25), ხის და ძელის ნაშთებთან, ოქრომკედის ნაწვეტებთან და სსე, ერთად, აღმოჩენილა ქსოვილის ძალზე დამლილი, ჰატარა ნაფლეუები. ეს ჭურჭელი, როგორც ციციტი, ასლის იყო მუა ფილაქუსთან, რომელსეზად მიცვალებულის მველები ეკრავა, ორგანულ ნივთიერებათა ნაშთების ერთი წვება იმქნად მიხეარალიხებული გამომდგარა, რომ მათი წარმომობა ვერ გარკვეულა. იმავე მიწაში აღმოჩენილა ბუხის ცრუ-ჭურჭრები და ამის მიხედვით წერილის ავტორები, არცთუ უპართებულოდ. ფიქრობენ, რომ იმ ჭურჭელზე თუ ჭურჭლებზე მიცვალებულის დაკრძალვისას ირამე საქმელი, უფრო კი ხორცეული, დაუღვიათ ჰირისუფლებს. ოღონდ, ჩვენი აზრით, არაა საკულდებულო მინცდამინც „საგულად გატანებული“ ხორცეულის წარმოდგენა, მით უმეტეს, რომ ცსოველთა მველები სრულად არა ჩანს.

სამარხის სწოვანების საკითხისათვის. როგორც ვნახეთ, პირველ სამარხში აღმოჩენილია 6 ოქროს მონეტა და 1 ვერცხლისა. ვერცხლის მონეტა წარმოადგენს ავგუსტეს ღვარს. იგი კველასე ადრინდელი მონეტა ამ სამარხში (მე. წ. I—ახ. წ. I სს.). მისი დამათარღებელი ღირებულება საერთოდ მცირეა, ვინაიდან ჩვენში ეს მონეტა გავრცელებულია ჩანს I, II და III საუკუნის მონეტებთან ერთად, და გამოიქმულია მოსაზრება, რომ იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოშიც იკრებოდა [302]. ამ შემთხვევაშიც მას თან ახლავს ახ. წ. I—II საუკუნეთა მონეტები, რომელი აურეუსები.

ოქროს მონეტებიდან ერთი ეკუთვნის ახ. წ. I საუკუნის ბოლო მეოთხედს (ტიტე), სოლო დანარჩენი სუთი— ორ იმპერატორს, რომელნიც II საუკუნეში მეთობდნენ, ერთიმეორის შემდეგ (ტრაიანე და ადრიანე). ამ შემთხვევაში

¹ უფრო ზუსტი იქნებოდა საუბარი II საუკუნის შესახებ.

ადრინეს აღზევების დრო—ახ. წ. 117 წ.—გვაძლევს სამარხის ხნოვნების ქვედა მიჯნას. ზედა მიჯნის საკითხი, როგორც უოველთვის ასეთ შემთხვევებში, უფრო ბუნდოვანია, მაგრამ ინვენტარის საერთო რაგვარობის, თვით ოქროს მონეტების გავრცელებობისა და მათში სწორედ აღრიანესეულთა სიჭარბის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამარხის ზოგადად ახ. წ. 11 საუკუნის შუა წლებს ან მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნოს.

მეორე სამარხი

მეორე სამარხი ეკუთვნის ქალს, რომლის ვინაობა არ ვიცით, მაგრამ რომელიც უწყველად ერისთავთა ოჯახური წრის ერთ-ერთი წევრი უნდა ეთყობოდეს. ეს სამარხიც ჩადგმულია ქეითარის ორსენიან ნაგებობაში, დიდი სენაის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ასპარუგის სამარხის სამხრეთით, ზუსტად ჰარაღელურად (ე. ი. აღმოსავლეთიდან დასავლეთით დაშრობილი), მისკან 1,1 მ მანძილზე (ტაბ. XXXV, 1, 2, 3).

სამარხის სასურავი მიწის ზედაპირიდან 0,7 მ სიღრმეზე გამოჩნდა. გამოჩენისთანავე გამოირკვა, რომ იგი წარმოადგენს ორფერდასასურავიან სამარხს, არმაზისსევისსათვის ჰირველს. მისი ოთხივე კედელი თითო ფილაქვაა. სამხრეთი კედელი შუაზე გაბზარული და რკინის სამაგრით შეკავშირებულია. სასურავის სამხრეთი ფერდი მთლიანია, ჩრდილოეთისა კი შედგება ორი, რკინის სამაგრებით გაღებულ ფილაქვისგან (სურ. 14). სამარხის განივ კედლებს სუთუოსოვანი მოყვანილობა აქვს (სურ. 15). მთი სიმაღლეზე, მსხრებად ამოჭრილი აქვთ ნარიბანდები, რომლებშიც ერთივე კედელთა თავებია შედგმული. ფილაქვები მიგინიდან კარგადაა გათლილი (ტაბ. XXXV, 2—3, მარცხენა). ეს სამარხიც, ასპარუგის სამარხის მსგავსად, დადგმულია ოთხი ფილაქვისგან შედგენილ იატაკზე. კედლის ფილაქვათა შორის ნაწიბურები კირითაა ამოლესილი. იატაკიც და კედლებიც კარგადან ჰატარა ნატეხი ქვებითაა შემაგრებული. სამარხის ნარეკანი სიგრძე 2,6 მ უდრის, სიგანე—1,1 მ, უდიდესი სიმაღლე, საფუძვლიდან ორფერდა სასურავის თხემამდე—1,82 მ. სამარხის სიდიდეს ცხადყოფს ზოგიერთი მისი შემადგენელი ფილაქვის ზომა. მაგ., სასურავის სამხრეთი ფერდის სიგრძე—2,6 მ, სიგანე—0,82 მ, ჩრდილო კედლის სიგრძე—2,13 მ, სოლო სიგანე—0,92 მ. ფილაქვათა ნისქე საშუალოდ 0,2 მ უდრის. სასურავის დიდ ქვას რამდენსამე ადგილას ეტეობოდა კანივი ბზარები, რომელთა გამოც ის განსისხსნებულა კარგადაც.

სამაფროს სამაროვანზე მცხეთის ექსპედიციის მუშა-

ობის გამოცდილების მიხედვით ორფერდასასურავიანი ქვის-სამარხები უოველთვის მდიდრული იყო და ქალის ინვენტარს შეიცავდა.

სამარხში მიწა არ ჩაცვივნილიყო, მაგრამ ინვენტარი და ძელები დაფარული იყო ფილაქვათა გამოფიტვითა და დაშლით წარმოქმნილი ქვიშა-მტვრით, რომლისგანაც სამარხი სულ ადგილად გაწმინდა.


სამარხში ორი მიცვალებული ესვენა: სრულწლოვანი და ბავშვი, ალბათ დასვლოებით ერთდროულად დამარხული დედა-შვილი. ბავშვის ჩონჩხი ძალიან დაზიანებული იყო და ძელები რამდენამე ადგილნაცვალა, რის გამოც თავდაპირველი მდებარეობის განსაზღვრა მწუხარად გასდა, მაგრამ ის მინც ჩანდა, რომ ბავშვს თავი დასავლეთისაკენ ჰქონია მიქცეული და საერთოდ სამარხის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი სჭერია. სრულწლოვანი მიცვალებული წოლილა სამარხის სამხრეთ ნაწილში, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ. მას ფეხები ოდნავ შემოკეცილი ჰქონოდა, შემო კიდურთა ძელები—რამდენამე ადგილნაცვალა. თავისქალა და ზედატანის ძელები აღარ იყო ადგილზე (სურ. 16). ძელები საერთოდ ძლიერ ცუდად იყო შენახული (ტაბ. XXXV, 4).

ინვენტარი წარჩინებული და მდიდარი ქალი-სა გამოდგა. მასში რამდენიმე ძალზე ჰატარა სამკაული ერია. ამან განამტკიცა წარმოდგენა, რომ, ჯერ ერთი, სამდელოად დედა-შვილი ემარსა და, მეორეც, რომ ეს დედა-შვილი ერისთავთა ოჯახის წევრები ეოფილან.

ამ სამარხის ინვენტარი რაოდენობით ჩამოუვარდება ასპარუგისს, მაგრამ მინც შეიცავს საკმაოდ მრავალრიცხოვანს, მრავალფეროვანსა და ზოგაერ უნიკალურ ნივთებს. აქ გვაქვს: ოქროს ბეჭდები (5 ც-), სასურეები (3 ც-), რგოლები (2 ც-), დიდ-საკიან მკვდები (7 ც-), სამაჯური, გულსაკიდი, საკიდი, საავგაროზე და მონეტები (4 ც-); ვერცხლის ჰინაკი¹ და დუგმა; მინის ჭურჭელი, ქსოვილი ნაშთები და სხვ. კატალოგში სულ 25 ნომერია ჩაწერილი.

ამ ნივთებს დაწვრილებით აღწერთ.

37. ოქროს სამაჯური (კატალოგ. № 59; ტაბ. 11, 3; XLVI, 14). ფართო და ბრტეულია. შედგება ორი თითქმის ტოლი ნაწილისგან, რომელთა შორის ჩართულია შედლიონი. აკებულია ფართო, ფირფიტოვან რგოლთა მწკრივებისგან (განდაგან 4 და სიგრძეზე 29), რომელთაც ერთიმეორისთან აკავშირებს ჰაწი, მაგრამ შედარებით მსიეურ, ამობრტულ რგოლთა 27 წყება (108 რგოლი). ერთი შეხედვით წნელის შობაზედ ილუბას ტოკებს. პირველი რიგის რგოლთა დაიპტერი 4,5 მმ უდრის, სისქე—0,5 მმ; მეორე რიგის რგოლთა დაიპტერი—3 მმ, სისქე—0,5 მმ-მდე. მედალიონი ჩამხულია ოვალურ თვალბუდეში, რომელიც თხელფორფიტოვანია და საგრძობლად შემადლებულია



სურ. 14

¹ ჰენს ლიტერატურაში, ჩანს, რაღაც გაუგებრობის შედეგად, მოიპოვება ცნობა, თითქმის ასპარუგის სამარხში III საუკუნის მონეტაც ეოფილური აღმოჩენილი [88, გვ. 188].

¹ ეს პირაე ლიტერატურაში [71, გვ. 29] შემთხვევით მოიუწყებულა ილა ასპარუგის სამარხისაღმა.



1a



1b



2



3

ლი, ირგვლივ სმირ-სმირად ჰდგული. ეს ბუდე ზ ჰაწია რგოლის მეშვეობით გადაბმულია ფორფიტოვან რკალთა წყებაზე. ამ უკანასკნელთა ბოლოები ერთიმეორეს შეეკვრის თხელფურცლოვანი, მომრგვალებული კუნწებისა და მათში გასაურელი ორმაგი, თავკომბლა სამსკვალის მეშვეობით.


სამაჯური სიგრძე 19,6 სმ უდრის, სიგანე—1,8 სმ; თვალბუდის სიგრძე—2,7 სმ, სიგანე—2,2 სმ, სიმაღლე—3,0 მმ. სამაჯური 43,5 გრამს იწონის.

სამაჯური აღმოჩნდა სამარის შუა ადგილას, სრულწლოვანის მარცხენა ნიდაუეთან, მენჯს ზემოთ. სხვათა შორის, ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მიცვალებულს მარჯვენა ხელი მარცხენა ნიდაუეთან მიტანილი სჭერია, სოლო მარცხენა—ტანს გასწვრივ გატემული, და სამაჯური კი მარჯვენა ხელზე ჰქონია წამოტემული (ტაბ. XXXV, 4; სურ. 16).

თვალბუდეში მჭიდროდ ზის მუქი მუწანე, ბოლოვანი ნეფრიტის თვალური, მცირედ და თანაზომიერად ამობურცული თვალის, რომლის ზომა 1,8—2,2 სმ უდრის. ამ თვალზე ამოკვეთილია გეგმა, რომელიც გამოსატყვის მადრამარე ათინა პაღადას, 3/4-ით მარცხნივ შებრუნებულს. განსაზღვრა ემპარება აღნიშნული ქალღმერთის გამოსახსულები სათვის ჩვეულ ატრიბუტებს. მარცხენა ხელით მას დიონჯი შემოურტყამს, ზედა ტანზე ვიწრო, სარტყელმემოჭერილი ქიტონი აცვია, სოლო ქვედა ტანზე—საკმაოდ სრული, თხელი და ჩაკეცილ-ჩანარტყებული კაბა. თავზე ჩაჩენია ასურაქს, სურჯს უკან შუბი მოაჩანს. ქალღმერთი ჩამოჭადარია სავარძლის კიდეზე და მარცხენა ნიდაუეით ეგრდნობა სავარძელზე დაეუდებულ მრგვალ ფარს. წინ უდგია მცირე საკურთხეველი, რომელზედაც ცეცხლი ანთია. მარჯვენა ხელი ნიდაუეში ოდნავ მოუღუნავს და საკურთხეველის ზემოდან წინ გაუწვდის (ტაბ. II, 3; სურ. 17). ქალღმერთს მაღალი, მოქნილი ტანი, მუქტი კიდურები და დახვეწილი მკერდი, ზედმიწევნით სწორად ჩამონაკეთილი პირისაზე მდიდურობის, ცივი სინანისა და სინატიფის იერს ანიჭებს. მდიდურობას აძლიერებს აგრეთვე ქალღმერთის საერთო პოზა.

ათინას ეს გამოსახულება დიდად თავისებური ჩანს. ის არა ჰგავს ბერძნულ-ელისისტური თუ ადრერომაული პერიოდისათვის დამახასიათებელი სტილით შესრულებულ გამოსახულებებს [მდრ. 184, ტაბ. IX, 33; XV, 79; XXX, 33;

XXXIV, 42, 43; XLIX, 11, 11a, 12; LXIII, 29]. იგი არც იმ გემებას ჰგავს, რომლებიც სამხრეთ რუსეთში აღმოჩენილი [მდრ., მაგ., 187, ტაბ. VIII, 260]. მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ, ათინას მრავალრიცხოვან გამოსახულებათა შორისაც ვერ გამოვლინებთ ჩვენი გემების მისამსგავსებულს [მდრ. 186, ტაბ. III, 116, 125; IV, 141—143, 146—155]. სტილისტურად სასველით განსხვავდება ამ გემებისგან აგრეთვე სამთავროში 1862 წელს აღმოჩენილი ბუჯის ქალღმერთის თვალზე ამოჭრილი, მდგომარე ფიგურა ათინასი [186, ტაბ. III, 126].



სურ. 15

არმაზისხვეური სამაჯურის ნეფრიტის თვალზე ამოკვეთილი გამოსახულება ამ დეოთების, დღემდე ჩვენი ცნობილ, გამოსახულებათაგან არსებითად განსხვავდება არა მარტო საერთო კომპოზიციის, არამედ იდეალური ელემენტების გადმოცემის მანერის მხრივაც, რის გამოც ჩვენ ის, ზემოთ დამოწმებულ გემებთან შედარებით, სხვა კულტურული სფეროს და, ეგვიპტე, ადგილობრივი ოსტატის ნაწარმოებად გვესახება.

ამ მოსახურებას აძლიერებს ის გარემოება, რომ თვით სამაჯურიც მღიერ თავისებურად გამოიყურება.

38. ოქროს გულსაკიდი (კატალ. № 60; ტაბ. II, 2; XLVI, 10). შედგება ორი ნაწილისაგან—წერილი ევლსაბამი მეწვეისა და მოხრდილი მდღალიონისაგან. აღმოჩნდა სამარის შუა ადგილას, სწორედ იქ, სადაც შეგვიძლია მკვრივი კიგულისხმით—მარცხენა წინა მხრის მუალთან ახლოს.

მეწვეი შედგენილია მრავალრიცხოვანი, ერთიმეორესე გადაბმული, წერილ-მთულოვანი, ოთხგან ღუნვილი მუსლისაგან. თითოეული მუსლის სიგრძე დაასლოებით 0,5 სმ უდრის. ყოველ მუსლს შუაში აქვს ოქროსივე, უფრო მობრტეო საღტე. მეწვეი ბოლოვდება მოგრძო, თავაკუტა ღერაკითა და რგოლით, რომელთა საშუალებითაც შეიკვროდა ეს ევლსაბამი კისერზე. მდღალიონი საგანგებო, ზედა კიდეზე მირჩილული უნწის მეშვეობითაა ევლსაბამ მეწვეზე მობმული; ქვემოდან კი მას, სათითაო მრგვალ უნწზე და ირგვლივ მათუთმემოკლანილ ღერაკებზე, 3 მოხრდილი მარგალიტი ჰკიდა. გამლილი მეწვეის სიგრძე 17 სმ აღწევს. მდღალიონის უდიდესი



სურ. 16

სიგრძე 2,4 სმ უდრის, სიგანე—1,9 სმ; მარგალიტის ღერაკების სიგრძე—1,5 სმ; მარგალიტების საშუალო დიამეტრი—0,5 სმ. გულსაკიდი 16,49 გრ. იწონის.

მედალიონი წარმოადგენს მოგრობ ამბურცულ თვალს, ჩასმულს ოქროს დაბალსა და განიერ ოვალურ ბუდეში. ამ თვალზე ამოკვეთილია კამეა — რელიეფური გამოსახულება წინა ფეხებზე დავარდნილი, გრძელფეხა ძაღლისა (ტაბ. II, 2; სურ. 18). მკაფიოდაა გამოყვანილი მისი აპრესილი კუდიც, თათებიც, უერებიცა და ნეწებიც კი. საერთოდ გამოსახულება ძლიერ ცოცხალა, მომრავაბა ლაღად და ლამაზადაა გადმოცემული.

კამეისათვის გამოყენებული ქვა საგანგებოდ შერჩეულ, ბუნებრივად ორფეროვან აქტას წარმოადგენს, ისე რომ ფონი მთათაღმოსვლი და გამჭვირვალეა, ხოლო თვით ძაღლის გამოსახულება — რმისფერი, მკრქალი.

კამეის არმა შედგენილია ალმანდინის მოგრობ-თისკუთხიანი (უფრო სწორად, ღარიბებრი პარალელეოგრაფია მოყვანილობის), ოსელი, თითქმის ერთნაირი და ერთიმეორისაგან ოქროს ტისრებით გამოყოფილი რვა ფირფიტისაგან, რომლებიც რადიალურადაა განლაგებული. ფირფიტებს შორს უფერია ოქროს ოსელი ფორცლები, რომლებიც პატრონის თვალთა კიანჭს აძლიერებს.

არმიის აკუბლებით ეს მედალიონი ძლიერ ჰგავს მცხეთასა და აგრეთვე 'სოგ სსვა ადგილას გასრილ სამარსებში აღმოჩენილ, პოლიქრომულ ნივთებს. ასეთია, მაგ., არმასისსევის მუხამე სამარსის სატყერის ტარი (ის. ქვემოთ, ტაბ. III), რომელიც ასევე ოქროს ტისრებით შემოფარებული ბუდეებით წის წითელი ფირფიტები; სამთავროს 1938 წ. ჩრდილო უბნის მე-4 ქვისსამარსის პორტრეტანი მედალიონი (სვა. წიგნი. № 11), რომელსაც ამგვარივე არმა აქვს (ოღონდ ბუდეებით მინანქარი უხის) და რომელსაც, თავის მხრივ, მოჰყვება საყურადღებო პარალელები: ქსნის სეობაში აღმოჩენილი, ახ. წ. IV საუკუნის მედალიონის სახით (ის. ქვემოთ, თავი VIII) და აგრეთვე ქერის კატაკომპერ სამარსში (IV—V სს.) აღმოჩენილი ოქროს მედალიონის სახით [330, სურ. 45]. ბუდეში ჩასმული ალმანდინის ოსელი, ღარიბებრი ფირფიტებითაა დამუყენებული აგრეთვე არმასისსევის მე-19 სამარსის წყვილი ბრტყელი საურე (ტაბ. XII, 4) და მე-10 და 43-ე სამარსთა სამაურები (ტაბ. XIII, 1—2).

ამ გარემოებას იმიტომაც ენიჭება მნიშვნელობა, რომ, როგორც ქვემოთაც ენახავთ, ერთიმეორის ესოდენ მსგავსი ტექნიკით მოთავსული ნივთების შემცველი სამარსები 'სოგი III და 'სოგი IV—V საუკუნეებს ეკუთვნის. ასე რომ, ამ თავისებური ტექნიკის სახით საქმე გვაქვს ერთ-ერთ ისეთ მსატერულ სერსთან, რომელიც სამი საუკუნის მანძილზე მანც ცოცხლობს საზოგადოების წარჩინებული წრის კუთხილ ცოცხლდღურ საცნებში.

ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშნაც, რომ 1902 წელს ბ. ფარმაკოვსკის მიერ ოღვის სამაროვანზე გათხრილ ერთ-ერთ სამარსში აღმოჩენილ მქვილდასკინს ზემოდან დაურული აქვს მრკვალი მინანქარიანი მედალიონი, რომელიც

რადიალური დატისრულობით წყნს მედალიონს მოგავგონებს [130, გვ. 116—117, სურ. 60—61].

39. ოქროს ბეჭედი (კატალ. № 56; ტაბ. XLVI, 11), მრკვალი, საშუალო ზომისა. რკალის შუა ნაწილი ძლიერ გაწვრილებული აქვს, ხოლო მისი ბოლოები, ე. ი. ბეჭდის მხრები — სიმეტრიულად გაბრტყელებული. მხრებზე გამოყვანილია სამწყება ფოთლები („პალმეტები“). ფოთლთა შორის რკალზე დარჩილულია წესიერ-ოვალური, ნაპირებსწორი თვალბუდე. ბუდისა და ბეჭდის რკალის შეერთების ადგილას რკალზე ღომის მარცვლის ოდენა ოქროს ბურთულაა დაკრული. ასეთივე, ოღონდ უფრო მცირე მარცვლებია რკალის ვიწრო ნაწილისა და ფოთლების შირთა შეერთებაზე (თითქოს უკვილთა ელორტებზე გაბრტყილი ლენტების წინწყვლებია). თვალბუდეში ზის ღვიზისფერი ალმანდინის თვალი, ოვალური და სწორად თავკვეთილი, რომელსედაც ამოჭრილია გეშა — პარტიტველი, საყურისანი (?) მამაკაცის მარცხენა პროფილი (სურ. 19).

თავზე მამაკაცს თითქოს ფრთხანი ჩაფურეტი ახურავს. მხრები და გულმკერდი სამი ოვალური ფოსლის სახითა აქვს გამოხატული. საფიქრებელია, რომ ეს ნივთიც საბუდედაც ბეჭდს წარმოადგენს, ვინაიდან მსარ-შეგრდის თითოეულ ფოსოზე თითო ბერძნული ასოა ნეგატიურად ამოკვეთილი: მარ-ჯვენაზე — Z, შუაზე — V, ხოლო მარცხენაზე — თითქოს X, ისე რომ ანახებულზე წაიკითხება ZVX, რაც კიდევ ერთსეულ სეგასის სახელს უნდა გადმოცეცეცქმაც, ოღონდ ქარაკმულად. ამ გეშმის ნახელობის შესახებ სრულიად ვერ ვიტყვით იმას, რაც არმასისსევის გეშმათა უმეტესობის, პირველსარისოვანი და ფაქიზი ნამუყერების შესახებ ითქმის. გამოსახულება ერთბ სემატურია და არ მოგავგონებს კარშათან ერთად გამოხატულ კაცს. მაგრამ არა გამოიჩენილი შესაძლებლობა, რომ იგი წარმოადგენდეს სსვა სეგასს, მით უმეტეს რომ წარწერების მიხედვით გულის-სმობენ ორი, სსვადასსვა თაობის კუთხილი სეგასის არსებობას [71, გვ. 34; 82, გვ. 422].


ბეჭდის დიამეტრი 2,0 სმ უდრის, უდიდესი სიკაენე — 0,8 სმ, თვალბუდის სიმაღლე — 0,2 სმ, თვალის დიამეტრი 0,8—1,1 სმ. ბეჭედი 4,35 გრ. იწონის.

ბეჭედი ეგდო სამარსის შუა ნაწილში, ქალის მკერდის არეში, ზემოაღწერილ გულსაკიდ ქვემოდან, მარცხენა ნიდავეს ახლოს. ჩანს, მარცხენა სელის ერთ-ერთ თითსე უფოთლა წამოცმული.

40. ოქროს ბეჭედი (კატალ. № 57; ტაბ. XLVI, 9). საშუალო ზომისა, მასიური, მრკვალი. რკალს გარედან შემოუყვება სამი ღარი, რომელითა ბოლოებთან, ბეჭდის ორსავე მხარესე, მინატიურულ ბუდეებში ღია გარდისფერი ალმანდინის თითო მცირე მარცვალი ზის. ამთ სეფრით, შირითად ბუდეში, ბეჭდის სიმეტრიულად გაბრტყელებულ-გაფართოებულ მხრებზე ჰეღვით გამოყვანილია



სურ. 17



სურ. 18

სამი, ერთიმეორეზე მიჯრილი მოგრძო ფოთლის ან, ეგებ, გვირგვინის ევაილის ფურცლები. ამ ორნამენტულ დეტალებს შორის მოქცეული მირითადაი თვალბუდე წარმოადგენს დაბალ ცილინდრს, რომელსაც აქეთ-იქიდან დამატებით თითო დაბალივე, სწორკუთხა ბუდე აქვს მიჩრილული. ამ უკანასკნელში მწვანე მინის ფორფიტები ზის, ხოლო მთავარ ბუდეში—მარგალიტის მძივი, რაც ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა არმაზისსვეის ბუდეებს შორის. ამჟამად მძივი ბუდეში მალან თავისუფლადაა, რადგან მარგალიტი „მოშკვდარა“ და ქერქი შემოფეცნა.

ეს ბუკედი, ისევე როგორც შემოაღწერილი, კარგი და მდიდრული ნახელავია.

ბუკედის დიამეტრი 2,1 სმ უდრის, უდიდესი სიგანე (ბრტყელი ნაწილისა)—0,8 სმ, უდიდესი სისქე—2,5 მმ, მთავარი ბუდის დიამ.—0,8 სმ. ბუკედი 7,35 გრ. იწონის.

აღმოჩნდა შემოთ აღწერილ ბუკედს გვერდით; მასხადამე, ისიც მარცხენა სულის თითვე უთიფლა წამოცმული.

41. ოქროს ბეჭედი (კატალ. № 55; ტაბ. XLVI, 1). მრგვალია, სამუხლო ზომისა. შედგება თანაზომიერად მსხვილი მავთულის რგოლისა და ზედ დარჩილული მცირე, რომბული, პირფართო ბუდისგან, რომელშიც ზის ორწანსნად გამოთილილი მთის ბროლი. ერისთავთა სამარხების ბუკედის თვალთა შორის, ამის გარდა, ეს მინერალი არსად გვხვდება.

ბუკედის დიამეტრი 2,5 სმ უდრის, თვალბუდის ზომა—0,9×0,8 სმ, სისქე—1,5 მმ; ბუკედის წონა—4,14 გრ.

ბუკედი აღმოჩნდა სრულწლოვანი მიცვალებულის ჩინჩის მარჯვენა ბარძაყის ძვლის შუა ნაწილთან ასლოს, მის მარჯვნივ, ე. ი. სამსრეთით.

42. ოქროს ბეჭედი (კატალ. № 48; ტაბ. XLVI, 12). მცირეა, თითქმის მრგვალი. რკალს ირგვლივ წიბო შემოუკვება და ამის გამო სამკეთსა განივკვეთი აქვს. აზიდულ მხრებზე წიბოები ქრება და იქმნება სიბრტყე ჰაწია, თვალური ბუდისათვის, რომელშიც აღმზანდინის ოდნავ რელიეფური, სადა თვალი ზის.

ბუკედის დიამეტრი 1,5 სმ უდრის, წონა—1,85 გრამს. აღმოჩნდა დასავლეთის კედლის ძირას, შუა ადგილას, ძვლებს შორის.

43. ოქროს ბეჭედი (კატალ. № 47; ტაბ. XLVI, 8). პატარაა, რკალი ფორფიტოვანი აქვს, კიდევბდაკბილული. მის უფართოეს ნაწილზე არის ოდნავ შემადლებული, მრგვალი ბუდე, რომელშიც ზის კონუსური თვალი—ფირუსი. ბუკედის დიამეტრი 1,4 სმ უდრის, რკალის უდ. სიგანე—2,55 მმ, წონა—1,5 გრამს.

აღმოჩნდა დასავლეთის კედლის ძირში, შუა ადგილას, მიცვალებულის ცალკეულ ძვლებთან ასლოს.

44. ოქროს საეურე (კატალ. № 49; ტაბ. XLVI, 2). მარტივია. პირმეურე რგოლს (რომელზედაც თავის დროზე ეურზე სამოსავიდი ნაწილი იქნებოდა წამოცმული) მიჩრილული აქვს ჰაწია, მრგვალი ეურწი და ამ

უკანასკნელზე ჰკივია 2,2 სმ სიგრძე ღერაჯი. ღერაჯზე ორი მცირე მძივი მერჩენილა: ერთი ოქროსი, მეორე მწვანე ჰასტისა.

საერთო სიგრძე 3,7 სმ უდრის, რგოლის დიამეტრი—1,2 სმ, წონა—2,1 გრ.

აღმოჩნდა ვერცხლის ჰინაკთან.

45. ოქროს საეურეები (კატალ. № 53; ტაბ. XLVI, 4), ჰაწია, საბაჟოა (?). წარმოადგენს წერილი მავთულის პირმეურეზე, ერთიმეორეში გაურთლ რგოლებს. პირთან ასლოს თითოეულს მიჩრილული აქვს სათითაო წერილი ღერაჯი, რომელიც ბოლოვდება ზედ წამოცმული, ოქროსივე ჰაწია ბურთულებით. ღერაჯებზე თავის დროზე მძივებიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ აღარ შემორჩენილა.

საურის საერთო სიგრძე 3,5 სმ უდრის, რგოლის დიამეტრი—0,9 მმ; საურო წონა—1,35 გრ.

აღმოჩნდა ვერცხლის ჰინაკისა და სრულწლოვანი მიცვალებულის ძვლებს შორის.

აღსანიშნავია, რომ ამკვარი და შემოთ აღწერილის მსგავსი საეურეები ერისთავთა არც ერთ სამარხში არ აღმოჩენილა და სამკვირვოდ მრავლად აღმოჩნდა უფრო გვიანდელსა და ნავეზე მკადრულ სამარხებში.

46. ოქროს რგოლი, წერილმავთულოვანი, ჰაწია (კატალ. № 54; ტაბ. XLVI, 7). ოდნავ დარტყელებულ ადგილას დარჩილული აქვს დაბალი, მრგვალი ბუდე (ამჟამად ცარიელი). მუძილვდა საურის ნაწილი იყო.

დიამეტრი 0,9 სმ უდრის, წონა—0,9 გრ. აღმოჩნდა ვერცხლის ჰინაკის ასლოს.

47. ოქროს რგოლი (კატალ. № 52; ტაბ. XLVI, 13), წერილმავთულოვანი, კოსტა, პირიპირზე გადატანილი. ესეც საურის ნაწილი ჩანს. უდიდესი დიამეტრი 1,0 სმ უდრის, სიმაღლე—0,1 მმ, წონა—0,08 გრ.

აღმოჩნდა ვერცხლის ჰინაკსა და სამსრეთ-დასავლეთით მდებარე ძვლებს შორის, ჰინაკის ასლოს.

48. ოქროს საკიდი (კატალ. № 50; ტაბ. XLVI, 3; სურ. 20, 6). წარმოადგენს ჰაწია ოთხკუთხა ბუდეს, რომელსაც ძირზე ორი გამკალი ნსვრეტი აქვს, ალბათ ჩამოსაკიდაც. ამ ბუდეში აღმზანდინის ოთხკუთხედივე, სადა თვალი ზის. ბუდეს ერთ მხარეზე აქვს ეურწი, რომელშიც გაურთლად წერილი, მავთულშემოკლანილი ღერაჯი. ღერაჯის კლანდ ბოლოს და ბურთულა ბოლოს შორის უნდა ყოფილიყო მძივი, რომელიც დაკარგულია.

საკიდის საერთო სიგრძე 2,0 სმ უდრის, ბუდის ზომა—0,7×0,6×0,3 სმ. საკიდი 0,9 გრ. იწონის.

აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ კედლის ძირში, შუა ადგილას, ოქროს ბუკედის გვერდით.

49. ოქროს საეურე (კატალ. № 56; ტაბ. XLVI, 6; სურ. 20, 5). შედგება ორი თვალური, ფორფიტოვანი, ირგვლივ-დარული კოლოფისგან. რომლებიც ერთიმეორესთან თავისუფლადაა დაკავშირებული, ძირეზე მიჩრილული ეურწებისა და ამასში გაურილი, თავბურთულა სამსკვლის შემეკობით.




სურ. 19

ბუღეთა სიგრძე 1,0 სმ უდრის, სიგანე—0,8 სმ, სი-
მაღლე—0,7 სმ; ღერავის სიგრძე—1,7 სმ. საერთო წონა—
6,36 გრ.

ეს ნივთი ვერცხლის ზინაზე იღო.

შეეჭვსე სამარხში აღმოჩენილი, ზოგადად მსგავსი ნივ-
თების მიხედვით (იხ. ქვემოთ) ესეუ შეგვიძლია ავგაროზის
ბუღედ მივიჩნიოთ.

50. ოქროს დი-ლ-საკინძველები, 7 ცალი (კა-
ტალ. № 51; ტაბ. XLVI, 15; სურ. 20, 1-4). ეველა ერთნაირია
და ტოლი. თითოეული მოიგანი წარმოადგენს დაბალი, თავ-
ფართო სამსკვალის მსგავს საგანს, ოღონდ ღერავის ბოლო
გაფართოებულია და არა წაწვეტილი. მოგვაგონებს ასპარუ-
გის სამარხში აღმოჩენილი დიადემის ასეთსავე დეტალებს,
ოღონდ მათ თავი ფირუხითა ჰქონდათ აღმუქვებული. სხვა
სამარხებში აშკარა საგნები არ აღმოჩენილა.



სურ. 20

თსელფირფიტოვანის თავის დიამეტრი უდრის 1,3 სმ,
ქვემოდა მირჩილული ღერავის სიგრძე—1,3 სმ; საერთო
წონა—8,55 გრ.

2 ცალი ვერცხლის ზინაზე იღო, 3—ზინაზე ქვეშ, სოლო
ორივე ზინას შორიასლოს, სამსრეთის კედლის ძირში.

51. ოქროს მონეტები (კატალ. №№ 61—64; ტაბ.
XLVI, 16) 4 აურუსით იყო წარმოდგენილი:

ა) სეპტიმი სევერისა (193—211 წწ.). შუბლზე
(ტაბ. XC, 5) გამოსატულია დაფინსგვირგვინოსანი იმპე-
რატორის მარჯვენა პროფილი. გვირგვინის ღუნტები უკან
შესვენილია და მათი ბოლოები ზურგზე სცემს. კეისარს
სშირი სუბუჯი თმა და ასეთივე, სამკუდულიანი წვერი აქვს.
ირგვლივ წარწერა: SEVERUS PIUS AUG. | P. M. TR. P.
VIII. წარწერის გარშემო წერტილოვანი წრეა. ზურგზე
(ტაბ. XC, 5a) გამოსატულია სამი ადამიანი, მკერდზევით.
მუხში ქალია, პირდაპირ მომხირალი. გრმელი და სშირი,
მუხზე გადაყოფილი თმა ურბებს ქვემოთ ჩამოსდის და ღო-
უებს უფარავს. მის აქეთ-იქით გამოსატულია მისივე მომხი-
რალი ორი ემანფილი. ზემოდან აწერია FELICITAS, სოლო
ქვემოდა—SAECULI. ირგვლივ წერტილოვანი წრე არტია.

მონეტის დიამეტრი 19—20 მმ უდრის, წონა—7,34 გრ.
იგი აღმოჩნდა დასავლეთის კვადლიდან 30—35 სმ,
სოლო სამსრეთის კვადლიდან 15—20 სმ მანძილზე, ვერ-
ცხლის ზინაის ასლოს, მიცვალებულის ევლ-მკერდის არეში.
ეს ბუნებრივია, ვინაიდან მონეტას ეტეობა, რომ იგი.
პატრონს ჩამოკიდებული უტარებია: ნაბირზე შემორჩენილი
აქვს ზედ დარჩილული კუნწის ნაბირი. ამასთანავე, ეს მონე-
ტა მუდმივი სასუნისგან ძლიერ განსხვავებულია და საერთოდ
ერთი ეველზე უფრო ურეტად შემონახულია განა არმასის-
სევის აურუსებს შორის. როგვსაც მონეტა ამ უუნწით ჩამო-
კიდებოდა, სეპტიმი სევერის პროფილი თავდავირა მოექცეო-
და. ისე რომ, ეტეობა, მისი ცოლ-შვილის გამოსატულები
გამოჩენა იყო ამ საკიდის ტარების მიზანი. ამასთან დაკავ-
შირებით აღვნიშნავთ, რომ სეპტიმი სევერის მონეტა
აქვს გამოქვეყნებული ა. ბლანშეს, რომლის აზრითაც ეს
FELICITAS SAECULI (ე. ი. ბედნიერი, კეთილდღეობაში
მყოფი მოდგმა, გვარუდობა, თაობა) გამოსატულებს სეპტიმის
შეუდღეს, იულია დომანს და შვილებს—კარაკალას და გეტას.
[ქმ, გვ. 133, ტაბ. VII, 3].

შეიძლება შემთხვევით არ შეერიოს ერისთავთა ოჯა-
სის წევრ ქალს კეისრის ცოლ-შვილის გამოსატულება ევლ-
ზე შესაბამედა.

ბ) სეპტიმი სევერისა. შუბლზე (ტაბ. XC, 4)
გამოსატულია დაფინსგვირგვინოსანი კეისრის მარჯვენა პრო-
ფილი. მას აქვს სშირი სუბუჯი თმა აქვს და ასეთივე უღვაში
და წვერი, რომელიც ოსს კვლულად ეშვება მკერდზე. კეისრის
უკან წერია SEVERUS, სოლო სასის წინ—PIUS AUG. წარწე-
რის ირგვლივ წერტილოვანი წრეა. ზურგზე (ტაბ. XC, 4a)
გამოსატულია შლეგის ქალღმერთი—ფრთოსანი ვიქტორია,
მარცხნივ მომხირალი. მარჯვენა, წინაწვედილ სეპტიმი მას
დაფინს გვირგვინი უკირავს, სოლო თემოსთან ჩამოშვებულ
მარცხენაში—ზალმის შტო. ამ გამოსატულები ქვემოთ მოკლე
პირიზონტული საზია, სოლო მის ირგვლივ—წარწერა:
VICTORIAE BRIT. წარწერის ირგვლივ წერტილოვანი
წრეა.

ეს აურუსი განსაკუთრებით კარგადაა შემონახული. მი-
სი დიამეტრი 20 მმ უდრის, წონა—7,99 გრ. იგი აღმო-
ჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მიმობნეულ
შეკლთა შორის.

გ) ფილიპე უმცროსისა (247—249 წწ. განმა-
ვლობაში თავისი მამის, ფილიპე არაბის თანამოსაუდრე).
შუბლზე (ტაბ. XC, 10) გამოსატულია ჰაბუჯი კეისრის
მარჯვენა პროფილი, მკერდზევით. იგი პირტიტეულია, მოკ-
ლე და შეუქმობელი თმა აქვს. ირგვლივ წარწერა: M. JUL.
PHILIPPUS CAES. ზურგზე (ტაბ. XC, 10a) გამოსატუ-
ლია საომრად აღჭურვილი კეისარი, სანახევროდ მებრუნე-
ბული. ტახტი ვაჟმანი აცვია, ფესით—მაღალი ფესისაგმელი;
თავზე პატარა ჩაფსუჯი ასურავს; წინაწვედილ მარჯვენა-
სეგში კვერთხი უკავია, სოლო მირდაშვებულს და მოღუ-
ნულ მარცხენაში—გრმელი მუხი. ამ გამოსატულები ქვე-
მოთ მოკლე პირიზონტული საზია, სოლო მის ირგვლივ—
წარწერა: PRINCIPI IVVENT. ამის გარშემო წერტილო-
ვანი წრეა.

ეს აურეუსი მშენებარადა შემონახული. მისი დიამეტრი 21—22 მმ უდრის; წონა—4,71 გრ.

იგი აღმოჩნდა სამსრეთი კედლის ძირას, დასავლეთის კედლიდან 30-ოდე სმ მანძილზე, გერცხლის ჰინაკს შორის-ასლოს.

დ) ვალერიანესი (253—260 წწ.). მუბლზე (ტაბ. XC, 13) გამოსატულია დაფინსკვირკვინოსანი კეისრის მარჯვენა პროფილი, მკერდზევით. წამოსასხამი მარჯვენა მხარეთან შეხებულა. წამოსასხამს შიგნიდან მკერდთან ორი წერტილოვანი სახია (ტუნიკის თუ ჯაჰმის სედა ნაპირი). ირგვლივ წარწერა: IMP. C. P. LIC. VALERIANUS. AVG. სურგზე (ტაბ. C.V, 13a) გამოსატულია სამხარი ვტლი, რომელსე ორი ცხენი მარჯვენა მიაჯუნეს. სედა ზის ძღვევის ქალღმერთი ექტორია, რომელსაც მარცხენა სედაში სადავე უკირავს, სოლო მარჯვენაში შოლტი. გამოსასულების წინ წერია VICTORIAE, სოლო ძირს, ჰორიზონტულ სახს ქვემოთ—AUG. ეველაფერ ამას ირგვლივ არტუია წერტილოვანი წრე.

მონეტა მშენებარადა შემონახული. მისი დიამეტრი 18—19 მმ უდრის, წონა—3,44 გრ.

იგი იღო გერცხლის ჰინაკზე.

ამ სამარსში გერცხლის ორი ნივთი აღმოჩნდა.

52. გერცხლის დუგმა, დედალი (კატალ. № 66; ტაბ. XLVI, 5; სურ. 20, 7). რგოლი მსხვილი აქვს, სოლო განზე სწორი კუთხით გაწვდილი ბოლოები—უფრო წვრილი. რგოლის დიამეტრი 0,9 სმ უდრის, სიგრძე—1,7 სმ. დუგმა 1,5 გრ. იწონის. იგი სამსრეთის კედლის ძირას იღო.

53. გერცხლის ჰინაკი (კატალ. № 66; ტაბ. XLVII, 1; XLVIII, 1, 2). მოზრდილია, არმაზისხევის გერცხლის ჭურჭელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოდ შემონახული-თაგანი და ეველაზე უფრო მარისურია. მაღალია, საშუალოდ გამდილი, ქუსლდაბალი. ნაპირი შიგნიდან დასლოებით ერთი სანტიმეტრის სიმაღლეზე გასქელებული და მოქროვილი აქვს. ეს არშია მცირედ გადადის ჰინაკის სედაძირის კიდეზე. მისი შესქელებული ნაპირი შიგნითა, დამატებითი ღართაა გამოყოფილი.

ჰინაკის კალთებზე ჩაჭედილია მრავალრიცხოვანი მრგვალი, ტოლი ფოსოები, რომლებიც ოთხ კონცენტრად არის დამწკრივებული და კალთების სედაძირს მთლად მოიცავს. თითოეულის დიამეტრი 1,2 სმ უდრის. სედა კონცენტრში 35 ფოსოა, მეორეში—31, მესამეში—27 და მეოთხეში—19. შიგნიდან ჩაჭედილია-ჩაღრმავებულ ფოსოებს გარედან ბურცობები შეესაბამება.

ფსკურზე შიგნიდან არის მედალიონი, შემოფარგლული კონცენტრული ღარებით და მათ შორის დაუოლებული რელიეფური ზოლებით. მედალიონი ოდნავ რელიეფური ჩანს და ეს იმგვარადა მიღებული, რომ ჰორიზონტულ სიბრტეზე შემოდან ჩავერილია სახეები, წერტილები და ღარები. ერთი დასედეით რელიეფი, პირიქით, სურვიდან ამონაჭედის მთაბეჭდილებას სტოვებს.

მედალიონზე გამოსატულია მამაკაცის მარჯვენა პროფილი (ტაბ. XLVII, 2; სურ. 21). მამაკაცს დიდაცურთ

თავსაბურავი და სამოსელი უჩანს. მას აქვს საშუალო სიგრძის ნუჭიერი წვერი და მოგრძო კულულოვანი თმა. ცხვირი სწორი აქვს და მოზრდილი. ქედი წვერბლაკია, წინ წამოწედილი და ნახევარი მოვარითა და წვრილი წრეებით შემკული. ქედის ძირს ირგვლივ შემოუკეება არშია, რომელიც შემკულია რიგრიგობით გამოსატული წრეებითა და ჯვარედინი ნიშნებით. თავს უკან ლენტო ფრიალებს. უკრზე მამაკაცს გრძელი, მსლდისებრი მოვევანილობის საურე ჰკივია, სოლო ეველზე — ეველსაბამი, რომლის წ მსხვილი მრგვალი მძივი კარგად ჩანს. ტანისამოსს გრძელი სასელოები აქვს. სამ ადგილას—მამაკაცზე, მამის ზემოთ და მკლავზე—სალტეები აქვს შკიდროდ შემოჭერილი. სალტეებზე ვხედავთ ირგვლივ ჰარაღელურ ღარებსა და მათ შორის მთავსებულს; ერთიმეორის მომდევნო წვრილ წრეებს. მკლავის სალტეზე სუთი ასეიი წრე ჩანს, სხეებზე კი ოთხი და სამი.



სურ. 21

მამაკაცს უჩანს მსოლოდ მარჯვენა სელი, ნიდაევი მოსრალი. ნეკი განზე გაუმეორია, სოლო ცერითა და სალოკი თითით უკირავს ევევილი, რომელიც ცხვირს ზემოთა აქვს მიტანილი. ევევილი შრომანს მოგვაგონებს, სტილიზე-ბულია.

თვალის გუგები, ნესტოები და ბავის განაპობი გამოხატულია თითო წვრილი და ღრმა წერტილით, ტანისამოსის კი იშვიათი, მცირე და კლაკნილი სახეებით.

გამოსასულების ფონს წარმოადგენს ღამაზი ევევილოვან-ფოთლოვანი არე, რომელსაც მედალიონის წრის თითქმის ნახევარი უკავია.

აღწერილი ჰინაკის გარეშა ნაპირს, ბურცობებისაგან თავისუფალ არშიაზე, გარემომწერილობის თითქმის ნახევარზე შემოყოლებული აქვს მსხვილ წერტილებად ამონსელებული წარწერა (ტაბ. XLIX). გერცხლი აქ ბევრგან შესორკლილ-ამოჭეულია, რის გამოც წარწერის მნიშვნელოვანი ნა-

წილის წაეთხვა ბლიერ განხლებულია და, ჩანს, შეუძლებელია. პროფ. გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ პირველი წაშლილი სიტყვის ბოლო ორი ასოს შემდეგ იხსენიება „ბიტახში ლეთაბრივი არადაპირისა, ლეთაბრივი (ჰაპაის?) მისა“. შემდეგ მორღება სიტყვა ხსნ [Y] და იხსენიება ქვეყანა, ეგებ იბერია (ბოლო ასოები rgn საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ vrg[erka]). დასასრულ აღნიშნულია ჭურჭლის წონა: „53 დრაჰმა (ზუნა)“. გ. წერეთლის სიტყვით, ამ წარწერაში სხვა ენობრივსა და ჰალეოგრაფიულ ტრადიციებთან გვაქვს საქმე, „არამზულ“ წარწერებთან შედარებით; წარწერის ენა სპარსულია, ჩვეულებრივი სახანურ-ფალაური. მისი ზნით, შესაძლოა, ჰინაის წარწერის ენაში გარკვეული ბოლიტიკური სიტუცია იქონიერებდა [71, გვ. 55—56].

წარწერის მინარსი და გამოსახულებიანი შედარებით განამტკიცებს ზოგად მთავებულებას ჰინაის სახანურობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მივაქვევთ უნარდლებას აგრეთვე სამოსელის წერტილებით შემოკბას, რაც ჩვენს ჰინაზე აშკარად გამოსატულ მოტივად გვევლინება. საქმე იმაშია, რომ ეს სამწერტილოვანი სამკაული გვსვდება სხვა, მერმინდელ სასანიან მეფეთა გამოსახულებებზედ: მაგ., პორმინდ IV, ვარაჰან VI, სოსრო II და სხვ. [შდრ. 169, ტბ. XXVI, №№ 2, 4, 6, 7, 9, 12, 13; 14b; 245].

ჰინაის დიამეტრი 2,10 სმ უდრის, სიმაღლე—4,2 სმ; გამოსახულებიანი წრის დიამეტრი (არძიის ჩათვლით)—9 სმ, ქსელის დიამეტრი—9,2 სმ. ჰინაი 850 გრამში იწონის.

ჰინაი იდგა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. შიგ იყო ზოგიერთი ზემოაღწერილი ნივთიანები.

54. შინის ჭურჭელი (კაჯალ, №67; ტბ. L). დიდა, ცალეურა, საკმაოდ სქელკედლიანი. მინა მომწვანოა. ჭურჭელს ტანი განიერი და ზოგადად მსხლისებრი მოყვანისა აქვს, მაგრამ შესამჩნევად უსწორმასწორო და უერის მიმართულებით წაფარებული. ქსელი საკმაოდ მაღალი აქვს, მაგრამ ისევ ტლანქად და უსწორმასწოროდ გამოუყვანილია. შირი ფართოდ დაბრტყელებულია, მრგვალი, ასიმეტრიული. უერი მქვლია, ბრტყელი, არათანაზომიერად განიერი, ბოლოებდაკლანკილი. უერის ქვედა ბოლოდან იწყება და თიასქის (1,3 სმ აკლია) ქესლამდე ჩანდევს სქელი, უსწორმასწორო წიბო. ცხრა უფრო წვრილი და წესიერი წიბო დაუყვება ჭურჭელს უერის ზედა ბოლოდან (2,5 სმ აკლია) ქესლამდე. ერთი მათგანი უერქვეშ გაივლის (უერი უფრო გვიანა მიადლებულია). ყელ-მუცლის საზღვარს ირგვლივ ჭურჭელს შემოუყვება მინის 4—5 წვრილი მაფი, საკმაოდ დაუსუსული. ფსკერი უსწორმასწოროდაა შედრეკილი და ზედა მინის მოწაწეკტი ეტკობა.

როგორც ვხედავთ, ეს ჭურჭელი საერთოდ არაა პირველ-სარისსოვანი სელობისა, მაგრამ ის უნარდლებას იქცევს სიდიდისა და თავისებური (სამთავროსათვისაც და არამახის-სევისთვისაც უცნობი) ფორმით. იგი წესიერად, თითქოს შეუმრავლად იდგა სამარხის შუა ადგილას, სრულყოფილია მიცვალებულის მარცხენა მკლავის ახლოს, მის ჩრდილოეთით.

ჭურჭლის სიმაღლე 23,0 სმ უდრის, მუცლის დიამეტრი—12,5 სმ, პირის დიამეტრი—8,5 სმ, უელის დიამეტრი—4,3 სმ, უერის სიმაღლე—10,5 სმ, ქსელის სიმაღლე—1,3 სმ.

სამარხის სასურავის სიგრძე 3,1 მ უდრია, სიგანე—1,65 მ; კედლებზე თითო, ხოლო სასურავად სამი ტლანქი ბრტყელი ლოდი ჰქონდა, თითქმის სულ დაუმუშავებელი: მხოლოდ კედლებში იყო ამოკრული ნარიბანდები. კედლების საშუალო სისქე 20 სმ უდრია, სასურავის ლოდების სიგანე—1,1 მ. სამარხის მინაჯანი სიგრძე 2,5 მეტრი იყო, სიგანე—1,1 მ, ხოლო სიმაღლე—0,9 მ. კედლებს შორის ნაწილებში ამოვსებული იყო ჰატარა ქვებითა და მიწით.

ნაცვინული მიწის ფენა თხელი იყო, ისე რომ ჩონჩხი თითქმის მთლად ჩანდა. ძვლები აქვს ადგილიდან დაპრული აღმოჩნდა: თავისქალა, წვისსამებრ, დასავლეთი კედლისა იყო, სოლო ქვედა ება—შუა სამარხში; მალევისა და ნეკნების ნაწილი სასმრეთ-დასავლეთ კუთხეში ეყარა. ეს აქვს მიწისქვეშა ცხოველების ნაშთებში უნდა იყოს.

მარჯვენა მუსლის თავთან ჰატარა ბავშვის თავისქალის ნაშთიც აღმოჩნდა. ასე რომ აქვს, ისევე როგორც ერისთავთა მეორე და მეექვსე სამარხებში, თითქმის დედაშვილის ერთად დასაფლავება უნდა ვივარაუდოთ. ბავშვის სისვა ძვლები აღარ შემონახულა.

მიცვლებული გულამა გამოტილი დაწვევებისათ. ხელები ტანს ჩამოსწვრივ ჰქონდა გამართული (სურ. 66).

ჩონჩხს ირგვლივ მრავლად იყო მიმოფანტული რკინის ღერძმები და სის ნატვები, ე. ი. აქვს აღბაი, კეზის ნაშთებთან გაქვს საქმე.

დაკრძალულს აღმოაჩნდა შემდეგი ოქროს სამკაული: სამი საურე, ოთხი რგოლი, ორი ბეჭედი და ორი საკიდი.

205. ოქროს წვეილი საურე (სავ. წიგნ. №№ 341 და 342; ტაბ. XII, 7, მ). თავისქალას მარცხნივ და მარჯვნივ აღმოჩნდა.

ესენიც იმავე ტიპისაა, როგორც მე-12 სამარხში იყო, ოღონდ რამდენადმე უფრო რთულად აგებული. რგოლი ერთს დაახლოებით წრიული და პირგახსნილი აქვს, მეორეს — მოგრძო და პირი-პირად დაღებული. ამ რგოლზე ქვემოდან მიჩნდილია თავებურთულა, მრგვალი ეუნწი, რომელშიც გაერილია გრძელი, თავუწნაინი, ბოლოგადაკვერილი ღერავი. ამ უკანასკნელზე ჰკიდია: ოქროს მრგვალ-ბრტყელი მძივი, ლეყვარის ასეთივე მძივი, ოქროს ამგვარივე მძივი და სულ მირს კი მარგალიტის დიდი მოგრძო ბურთულა.

მარგალიტი ორივეს გამოფიტული და გარემოფცქვინილი აქვს; ერთს ცალი მხარეც ამოსტეხია.

საურეთა სიმაღლე 4,0 სმ უდრის, რგოლის დიამეტრი—1,4 სმ, მარგალიტის დიამეტრი—1,0 სმ. ორივე საურე 6,02 გრამს იწონის.

209. ოქროს წვეილი რგოლი (სავ. წიგნ. №№ 343 და 344). აღმოჩნდა ზემოაღწერილ საურეებთან, ცოტა ჩრდილოეთით. ოვალური მოყვანილო-

ბისა, პირი-პირზე გადატანილი. ერთს ამ ადგილას ოქროს ბურთულა აქვს წამოცმული, ხოლო მეორეს, მის გარდა, მარჯნის ჰატარა მრგვალ-ბრტყელი მძივიც. ეგებ, ესენიც საურეები ან საურეთა ნაწილები იყო.

დიამეტრი 0,8—1,2 სმ უდრის, სიმსხო—0,1 სმ, ორივეს წონა—1,79 გრ.

210. ოქროს წვეილი რგოლაკი (სავ. წიგნ. № 345). თითო საურესთან თითო აღმოჩნდა და, შესაძლოა, საურეთა ნაწილებს წარმოადგენდა. ორივე წვეილია, ჰატარა, სადა, თითქმის პირმეკრული.

დიამეტრი 0,7—1,0 სმ უდრის, სიმსხო—0,1 სმ, ორივეს წონა—0,52 გრ.

211. ოქროს ბეჭედი (სავ. წიგნ. № 346; ტაბ. XCVII, 7). აღმოჩნდა მენჯის ძვალთა შორის და ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ხელები ან ერთ-ერთი მათგანი მიცვლებულს მუცელზე ან მუცელს ქვემოთ ედო, რასაც საკმაოდ ხშირად გვხვდავთ სამთავროსა და არამზისსევის ტიპანდულ სამარხებში.

ზემოაღწერილ თავისებური ბეჭედი. ამის მსგავსი არ გვხვდება არა მარტო არამზისსევისა და მსეთის, არამედ საერთოდ ძველი სამარხებიდან მოპოვებულ სამკაულთა შორის.

ჰატარა, თხელი. რკალი ორმაგი და ირგვლივ დაკვენილია, რის გამოც, ერთი მუხედვით, გვარსიანის შთაბეჭდილებას სტოვებს. თვალბუდის აქეთ-იქით რკალი გაფართოებული და წვეილ-წვეილი მარუქით დაბოლოებულია. თვალბუდე წარმოადგენს დაბალ, მრგვალ ჩარჩოს, რომელშიც ტისრული მიწისქალა ჩასმული. მინანქარს ამაჰმდ მთავო ფერი გადაჰყარავს. ტისართა სისტმა შედგება ორი ავარუდინი სწორი სახისა და მათ შორის ავრეთვე გადაჯვარედინებული ორი, ბოლომოკაუბებული, კლაკნილი სახისგან. ბეჭედი ძალიან ჰატარა და სუსტია. მის მშვენებას რკალის ზემოაღნიშნული, თავისებური აღნაგობა და მინანქრის თვალის შედგენს.

შნული, თავისებური აღნაგობა და მინანქრის თვალის შედგენს.

მიიძლება ითქვას, რომ აქ ტისრული მინანქრის კარგ. მინიატურულ ნიმუშთან გვაქვს საქმე.

ბეჭდის დიამეტრი 1,5 სმ უდრის, რკალის სიგანე—0,2—0,7 სმ, თვალბუდის ზომა—0,8—1,2 სმ. ბეჭედი 1,68 გრამს იწონის.

212. ოქროს წვეილი საკიდი (სავ. წიგნ. № 347; ტაბ. XII, 1; XCVII, 1). ორივე მეკრდს ქვემოთ აღმოჩნდა. თავისებური სამკაულია: ბუნებრივი, ოღონდ, ჩანს, წელის მიერ ნაკორები კენჭებია მომუქვედული ოქროს ვიწრო და თხელ, გადაჯვარედინებულ სალტეებში. სალტეებს ზემოდან ოქროსივე ეუნწები ასხია, ჩამოსაყიდად. ერთი კენჭი მთის ბროლისაა, საცხებით გამჭვირვალე; მეორე კი მოყვითალო, მღვრიან და ქალცეღონ-აქატს წარმოადგენს.



სურ. 66

ორივეს მოგრძობა-ოვალური, დაბრტყელებული მოყვანილობა აქვს.

ბუნებრივი კენჭების ოქროთი შემოსვა და სამკაულსაკიდად გამოყენება არცთუ იშვიათი მოვლენაა. მაგალითისათვის გავისწავლოთ თუნდაც ურუმბი აღმოჩენილი ოთხი საკიდი, მარკაიტის კონკრეტებისაგან გაკეთებული [30, გვ. 97—98, სურ. 6; 13, გვ. 102, სურათი] და მცხეთის ასლად-აღმოჩენილი სამაროვნის. №1 ავსურ-კარამიტისამარხში ნახოვანი, ერთ-ერთი საუერის საკიდი, პირიტის კრისტალისაგან გაკეთებული [5, გვ. 267, ტაბ. VII, სურ. 36]. არმაზისხევიტ გვაქვს, მე-6 სამარხში, რამდენიმე ლაზაზი ბუნებრივი კენჭი, მაგრამ ისინი არაა ოქროთი შემოსილი.

საკიდების სიგრძე 1,6 და 1,9 სმ უდრის, სიგანე—1,3 და 1,5 სმ, უდიდესი სისქე—0,8 სმ. ორივე 5,21 გრ. იწონის.

213. ოქროს ბეჭედი (საგ. წიგნ. № 348). აღმოჩნდა ბავუშის თავისქალასთან. პატარაა, ფუფე, განივბეჭეული. თვალი ამოვარდნილი აქვს.

ბეჭდის დიამეტრი 1,2—1,4 სმ უდრის, უდიდესი სიგანე—0,4 სმ, თვალბუდის ზომა—0,5 სმ. ბეჭედი 0,72 გრ. იწონის.

214. ოქროს საუერე (საგ. წიგნ. № 349). ბავუშის თავისქალის ქვეშ აღმოჩნდა და, როგორც ჩანს, მასვე უნდა ეკუთვნებოდა, მით უმეტეს, რომ ზაფია არის.

წარმოადგენს მრგვალ, პირი-პირთან მიტანილ რკალს, რომელსაც ქვემოდას ბურთულის მუკეობით მირჩილული აქვს პირმკერული რგოლი. თითქოს მასვე ახლავს თან მოთეთრო ჰასტის როდინისებრი მძივის ნატეხი. რგოლი რამდენადმე დაჭყლეტილია.

რგოლის დიამეტრი 1,0 სმ უდრის, სიმაღლე—1,7 სმ, სიმსხო—0,1 სმ, წონა—0,95 გრ.

მეტსარამეტე სამარხს

გაიხსნა 1941 წლის 1 იანვარს. მდებარეობდა მე-13 სამარხის სამხრეთ-დასავლეთით, 0,6 მ მანძილზე, მიწის ზედაპირიდან 1,4 მ სიღრმეზე. დამსრობილი იყო ჩრდილო-დასავლეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთისაკენ. ძალიან დიდი და მალღი სამარხი იყო, აგებული ქვიშაქვის დიდრონი, ტლანქად დამუშავებული ლოდებით. განივ კედლებში ნარიბანდები ჰქონდა ამოღებული. სასურაეს სამი ულაზათო ლოდი შეადგენდა. ლოდებს შორისი ფარდატები წვრილი ქვით იყო ამოვსებული.

სამარხის სასურავის სიგრძე 2,63 მ უდრის, უდიდესი სიგანე—1,3 მ; სასურავის დასავლეთი კუთხე სიგრძე—1,45 მ, სიგანე—1,1 მ, სისქე—0,26 მ; შუა ქვისა—1,23×0,9×0,27 მ; აღმოსავლეთი ქვისა—1,85×0,97×0,25 მ; კედლების სამუალო სისქე—0,25 მ. მიკინთ სამარხის სიგრძე 2,15 მ უდრის, სიგანე—0,8 მ, სიმაღლე—1,3 მ.

მიწა იმდენად ცოტა იყო სამარხში, რომ თავისქალასაც კი ვერ ფარავდა. მიცვალებული დასვენებინათ სამარხის სამხრეთ ნაწილში და ჩრდილო მხარე თუდაპირველად თითქმის თავისუფალიც კი იქნებოდა. აქაც ისეთი შთაბეჭ-

დილება გვჩნება, საიქოს ადგილი შეენახათ ვისთვისმე-თავი დასავლეთით ჰქონდა, ოღონდ იგი მარჯვენა ლოკუსზე იყო გადაწოლილი, პირით სამხრეთისაკენ. მარცხენა ბარბაქის, ორივე ტერფის, მარცხენა მკლავისა და მარჯვენა წინამხრისა და ნების ძელები დამრუდი და მეტ-ნაკლებად ადგილმაცვლი იყო. ასევე ზოგიერთი ნეკნიც, კერძოდ, მარცხენა ბარბაქის მგალი გარდებარეობდა იღო და ჩრდილო-კედელს ვეჯდებოდა. მიუხედავად ამისა, თითქმის უძრავად დარჩენილი ხერხემალ-მენჯისა და მარჯვენა ფეხის ძვლების მიხედვით, აშკარა იყო, რომ გვამი გულაღმა გამოტრული წოლიდა და ხელები ნიდაყვებამდე ტანს გასწვრივ სდებოდა, ხოლო მარცხენა ნები, ეგვბ, მუცლის არესთან ჰქონდა მიტანილი (ტაბ. XCV, 2; სურ. 67).

მარჯვენა მუცლთან, მიკინდან იღო ბავუშის თავისქალის დამტერული სარქველი და ორივე ნატეხი ზაფია, ქათმის ძვლის ოდენა ძვლებისა. ეტუობა, სრულიად ჩვილი ბავუში ეოფილა და, რაკი მისი ძვლების მდებარეობაც ხელს ევიწოებს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ იგი ასალ-მობილი იქნებოდა და, ეგვბ, მუცელს გადაუოლიდა ღუდასთან ერთად დაკრძალული. ასეთი შემთხვევა სამთავრომაც არის დადასტურებული (1939 წ., ჩრდილო უბნის მე-17 ქვის-სამარხი).

მიცვალებულს აღმოაჩნდა საქაოად მრავალრიცხოვანი, მეტწილად თავისებური და მოსღენილი, ოქროს სამკაული: 2 წვეილი საუერე, მიცვაობის ეელსაბამი, მძივების სამკაური, 4 ბეჭედი და რგოლი.

215. ოქროს წვეილი საუერე (საგ. წიგნ. № 321 და 322; ტაბ. XII, 5, 6; XCVI, 4). თავისქალასთან აღმოჩნდა, ერთი მარცხნივ და მეორე მარჯვნივ. სრულიად მსგავსი საუერეებია და მსოლოვ ერთს აღეწურათ.

რგოლი ორი აქვს. ერთი უშუალოდ ეურსაკიდა, მღიერ მსგავსი მე-13 სამარხის № 214 საუერის (რომელიც ამის მიხედვით, ეგვბ, არც იოს ცალკე საუერე არამედ იმავე სამარხის საუერეთა ასეთივე ეურსაკიდა, შემოსხვევით მოშორებული), მეორე—ამკვარივე, ოღონდ უფრო დიდი, ერთგან პირგასხნილი და თითქმის მრგვალი, მეორეგან ტაქულეტილი და ბოლო-ბოლოზე გადატანილი. ამ უკანასკნელს ბურთულის მუკეობითა მირჩილული აქვს მთლიანი ეუნწი, რომელმაც გაუერთიდა გრძელი, ბოლოეუნწიანი ღერაკი. ღერაკის ეუნწი კი, თავის მსრივ, გაკრილია თვეუნწიანი და ბოლოგადაკვერილი, უფრო მოკლე ღერაკი. ზუდა ღერაკზე ასმულია (ზემოდან ქვემოთ): ოქროს მრგვალ-ბრტყელი, ორწკება-ბურთულოვანი ვარდული, ლაქვარდის ცილინდრული მძივი, ისე პირველის მსგავს ვარდული და მარგალიტის დაბალი ბურთულა მძივი. ამას ქვემოთ არის ეკვე ოთხტოტონი სისივანა: ბოლომეტადაკვერილი ღერაკებზე წამოცმული, მეტ-ნაკლებად ბურთულა მარგალიტები, რომლებიც მკვრივ ეუნწულას ქმნიან. ქვედა ღერაკზე წამოცმულია: ოქროს ვარდული, ლაქვარდის ცილინდრული მძივი, კვლავ ოქროს ვარდული და ბურთულა მარგალიტი.

ამრიგად, ამ საუერეს აგებულების სქემა თითქოს იგივე აქვს, რაც ეველა ზემოთ განსილოვს, ოღონდ იგი სკარმნობლად გართულებული და გამყენიერებულიც არის.

სიმაღლე 7,4 სმ უდრის; ურსაკიდი რგოლის დიამეტრი—1,2 სმ, ქვედა რგოლისა—1,6 სმ; „სხივანა“ უეწუნულის დიამეტრი—1,4 სმ; ზედა ღერაკის სიგრძე—3,0 სმ, ქვედასი—1,5 სმ; აღსანიშნავია საუერების თითქმის ზედმიწევნით ტოლობა. ორივე საუერე 13,85 გრ. იწონის.

216. ოქროს წვეგილი ოსაუერ (საე. წიგნ. №№ 323 და 324; ტაბ. XII, 4; XCVI, 1). აღმოჩნდა ზემოაღწერილ საუერებთან ერთად; ჰირველი მარცხენასთან, მასა და თავისქალას შორის, მეროე—მარჯვენასთან, მას ზემოთ.

ურსაკიდი რგოლი წვრილია, ოვალური, მღიერ ჰირგასსნილი. მას ქვემოდან მირნილული აქვს მრგვალი უეწი, რომელზედღეც სასხრიო ჰჰიანია საუერის პირითაიდა ნაწილი. უეწს ზემოთ, მასზე და რგოლზე ღარნილულია საკმაოდ მაღალი ბუდე, რომელსაც სამეურა ფოთლის მოუყანდობა აქვს და რომელშიც თეთრი ჰასტის საბურცობიანი თვალი ზის. ამ დეტალთა იგი მოგვაგონებს ერისთავთა მე-ს სამარსის რთულ საუერეთა ერთ-ერთ ნაწილს (სე. აღწ. № 97) და აგრეთვე მე-40 სამარსის ირგვლივ მოთვალულ ბუქედსა და ბრტყელმუსლოვანი სამაჯურის დეტალს (სე. აღწ. №№ 229, 230). უეწიდანვე გამოდებულია მოკლე, ბოლო-გადაკვერილი ღერაკი, რომელზედღეც წამოცმულია ჰატრა, ბურთულია მარგალიტი.

საუერის პირითაიდა ნაწილი წარმოადგენს ოქროს სქელს, მოგრძო-ოვალურ ფირფიტას, რომელსაც ქვედა ნაპირები შემაღლებული, დაკბილული და გაჰარსებულვებული აქვს. ამ ფირფიტის შუა ადგილას ჩასმულია ორი წვეგილი ნუმიუსები ალმანდინის თვალი (წვერით ქვემოთ), რომელთა ბუდეები ისეა ერთიმეორეზე მიტკუებული, რომ გულსებრი კონტური მიიღება. მის ირგვლივ ისეთივე თეთრი ჰასტა, როგორც სამეურა ფოთლისებერ ბუდეში. ამ თეთრ არეს ზემოდან არტეია ათი ჰაწია მრგვალი ბუდე, რომლებშიც მოცისფრო ჰასტის ჰარცვლები ზის. ქვემოდან კი სიმეტრიულად, კიბურად შემოშკრივებულია 9 ვიწრო-გრძელი, სწორკუთხოვანი ბუდე, რომლებშიც ალმანდინის ასეთივე ფირფიტები ზის.

ქვედა ნაპირში გამოდებულია 5 მრგვალი უეწი, რომლებშიც გაურილია საუეწნიანი, ბოლოებგდაკვერილი ღერაკები. ამ უეწანასქელვებზე ჩამოკიდებულია: ოქროს ბურთულხოვანი ვარდული, მოვარდისფრო ჰასტის როდინისებრი მძივი, კვლავ ვარდული და ბოლოს ბურთული მარგალიტი.

ურსაკიდი რგოლთან დამაკავშირებელი სასხარი შედგება ორი უეწისა და მათში გაურილი სწილენის ღერაკისა თუ რგოლასისაგან.


დიდდ თავისებური და, კოველ შემთხვევაში, ქართულ არქეოლოგიურ მასალებში სწორკუთხოვი საუერებია. ისინი

შეიძლება არმასისხევის ერთ-ერთ ულამაზეს სამკაულად ჩათვალოს.

ერთ საუერეს აკლია: სასხრის ღერაკი თუ რგოლაკი, ურსაკიდი რგოლის მარგალიტი, ორი ჰატრა მოცისფრო მარცვალი და ოთხი როდინისებრი მძივი; მეორეს—მხოლოდ ერთი როდინისებრი მძივი.

საუერთა სიმაღლე 5,0—5,5 სმ უდრის, ბრტყელი ნაწილის უდიდესი სიგანე—2,0 სმ, სიმაღლე—2,7 სმ, რგოლის დიამეტრი—1,3 სმ, მარგალიტთან ღერაკთა სიგრძე—0,9—1,2 სმ. ორივეს წონა 14,15 გრამია.

217. ოქროს ეკლსაბამი (საე. წიგნ. № 325; ტაბ. XCVI, 2). აღმოჩნდა კისერის ირგვლივ, ე. ი. თავდაპირველ ადგილას. რიგვიგობით ასმული ეოფიანა ოქროს



სურ. 67

40 მძივი, სულ ორი ტიპისა. ერთი ტიპი წარმოადგენს შიგნით ცარიელ ცილინდრს, რომელსაც ორივე მირი საკმაოდ შედრეკილი და ზედაპირი სმირი, წვრილი სორკვლებით დაფარული აქვს. ასეთი 21 ცალია. მეორე ტიპი (19 ცალი) წარმოადგენს თსულკედლიან ცილინდრს. როგორც ერთ-ერთი, გატყისილი და ნაკლული ცალის მისეღვით შეკვიძლია დაუხსკნათ, ამ ცილინდრს შიგნით აქვს მრგვალი ღერძი (რის გამოც იგი რამდენადმე „მაფის კოჭს“ მოგვაგონებს), გარედან კი შემოკრულია ოქროს სამსამი ან ოთხი-ხუთი ისეღი ფურცელი, რომლებზედღეც დაკრულია ალმანდინის სათითაო თსეღი, დარისებერ გამოთლილი ფირფიტა. ეს მძივები, ცალ-ცალკეც და ერთად ასმულიც, მაღიან ღამაზია.

მეუსეღვად იმისა, რომ არც ერთი მძივი მასიური არ არის, საერთოდ უელსაბამი საკმაოდ მძიმეა: 33,12 გრამს იწონის. მოთვალულ მძივთა სიმაღლე 0,7 სმ უდრის, დიამეტრი—0,6 სმ; ალმანდინის ფირფიტების სიგრძე—0,6 სმ, სოლო სიგანე ნაირ-ნაირია, 0,5 სმ-მდე; სორკვიან მძივთა სიმაღლე—0,6 სმ, დიამეტრი—0,55 სმ. სორკვიან მძივთაგან ოთხს ცალი ბოლო

შეტყისილი აქვს (თითქმის დიდი ნახურეტი მოსეღვითაო). ალმანდინიან მძივთაგან ორს ვიწრო წითელი ფირფიტა აკლია.

218. ოქროს სამაჯური (საე. წიგნ. № 326; ტაბ. XCVI, 3). მარცხენა ნიდაუვის ძელის ქვემო ბოლოს ირგვლივ აღმოჩნდა მისი შემადგენელი 58 მძივი და ამიტომ მთავინკვით სამაჯურად. დიდი უმეტესობა წარმოადგენს დაბალ ცილინდრულ მძივებს. ორ მათგანს მირნილული აქვს გრძელი უეწები, რომლებითაც ისინი ერთიმეორეზე გადამებულია. ჩანს, ამრიგად იყო საერთოდ შეკრული სამაჯური. ურევა აგრეთვე გიმრის 2 მძივი, ისეთივე და იმოღენავე, როგორიც ოქროს მძივებია.

თითოეული მძივის სიმაღლე 2,55 მმ უდრის, დიამეტრი—2,0 მმ; გადასაბამი უეწების სიგრძე—1,5 მმ, დიამეტრი—1 მმ; მძივთა საერთო წონა—5,6 გრ.



2a



1



2b



4a



4b



3a



3b



7



5



6



8



9



10

219. ოქროს ბეჭედი (საე. წიგნ. № 327; ტაბ. XII, 3; XCVI, 5). მარცხენა ბარბაქის ძეგლის შუა ნაწილთან აღმონდა, ფულანგაზე წამოფუძლი. საფიქრებელია, რომ მარცხენა ძეგლის ერთ-ერთ თითზე იქნებოდა თავის დროზე ბეჭედი დიდია. ზედა ნახევარი ძლიერ გაფარსოებული-გამსხვილებული და შიგნიდან ფუქუ აქვს, ქვედაც ფართობა, მაგრამ ბრტყელი და შედარებით თხელი. ქვედა ნახევარი შემკულია გამოსაკვერი წიბოებით, ხოლო ზედა—საკმაოდ რთული ფოთლოვან-უკუვილოვანი სასკეპით. თვალბუფე დიდია, ოვალური, ოდნე ნაპირმადლებული—უფრო სწორად, ნაპირმადლებული. შიგნით ზის ალმანდინის ლამაზი თვალი, ჩომირად ამოხრეული.

ბეჭდის რკალის დიამეტრი 2,0—2,3 სმ უდრის, სიგანე—0,4—0,8 სმ, თვალის დიამეტრი—1,7—2,2 სმ, თვალის სიმაღლე—0,4 სმ. ბეჭედი 11,16 გრ. იწონის.

220. ოქროს ბეჭედი (საე. წიგნ. № 328; ტაბ. XCVI, 7). აღმონდა მარჯვენა ბარბაქის ძეგლს ახლოს—იქ, სადაც მარჯვენა ძეგლის ნები უნდა ეოფილიყო თავის დროზე. აქვე იყო ქვემოაღწერილი ორი სხვა ბეჭედიც. ეს იმას მოწმობს, რომ მარჯვენა ძეგლი ტანს გასწვრივ გაკომილი ეოფილა და არა მუცელზე გადატანილი, როგორც მარცხენა.

პატარა ბეჭედი, მობრტყი, თანაბრად მსხვილი. თვალბუფე მრგვალი, პატარა და დაბალი აქვს. რკალი ფაქიზადაა გამოკვეთილი და თითქოს დაფინის გვირგვინს გამოსახავს. თვალი დაკარგულია.

ბეჭდის დიამეტრი 1,8 სმ უდრის, რკალის უდიდესი სიგანე (თვალბუფესთან)—0,5 სმ. ბეჭედი 2,62 გრ. იწონის.

221. ოქროს ბეჭედი (საე. წიგნ. № 329; ტაბ. XII, 2; XCVI, 6). იქვე აღმონდა, სადაც შემოაღწერილი ბეჭედი. რკალი ოვალურია, ზემოთ ფუქუ. სათვალბუფე ნაწილი ძლიერ გამსხვილებული აქვს. თვალბუფე წარმოადგენს შემადლებას, რომელიც სამი სწორკუთხედიან, თითქოს ერთიმეორეზე „დადგმული“ ზედან ნაპირები მცირედ შემაღლებული აქვს. თვალბუფე სწორკუთხედიან და თანაზომიერად ამონეჭილი; დახლოებით ისევეა ალმანდინისკან გამოთლილი, როგორც უელსაბამის მძივთა გარსაკრავები. რკალს ირგვლივ შემოუკვება რელიეფური წიბოები, რომლებიც თვალბუფესთან მიახლოებისას სშირდება და წვეილ-წვეილად ბემის თავებით ერთიმეორეს.

ბეჭდის რკალის დიამეტრი 2,0 სმ უდრის, უდიდესი სიგანე—1,3 სმ, უდიდესი სიმაღლე—0,7 სმ, თვალის ზომა—0,6×0,9 სმ. ბეჭედი 4,02 გრ. იწონის.

222. ოქროს ბეჭედი (საე. წიგნ. № 331; ტაბ. XCVI, 9). აღმონდა იქვე, სადაც წინა ორი (ეს სამი ბეჭედი დამწერივებული ეწო). ჰაწია ბეჭედი. რკალის მოყვანილობა ქვედა ნაწილს ოვალური აქვს, ხოლო ზედას—თითქოს კუთხეოვანი. ქვედა ძლიერ ვიწრო და თხელია, ზედა საკმაოდ სწრაფად ფართოვდება. შიგნით ფუქუა. ზედა ნაწილს ზედპირი ძალზე წვრილი თევზიფხურა ტყევიითა აქვს დამყენებული. თვალბუფე რკალშია ამოჭრილი, მოგრძო-ოვალურად. თვალი დაკარგულია. ბეჭდის რკალის დიამეტრი 1,5 სმ უდრის, სიმაღლე—0,1—0,35 სმ, თვალბუფის ზომა—0,25×0,45 სმ. ბეჭედი 0,88 გრამს იწონის.

223. ოქროს რგოლი (საე. წიგნ. № 330; ტაბ. XCVI, 8). აღმონდა № 219 ბეჭედთან ერთად. ჰაწია, წვრილი. ბოლოები ერთიმეორეზე გადახვეული აქვს, ისევე როგორც, მაგ., ერისთავთა მე-9 სამარხის ოქროს სამაჯურის, ოღონდ მკვიდრად და არა მოძრავად.

რგოლის დიამეტრი 1,5 სმ უდრის, სიმაღლე—0,1—0,35 სმ, თვალბუფის ზომა—0,25—0,45 სმ; წონა—0,52 გრ.

აღწერილი ინვენტარი, ერთობლივ, მანიშნებელია უტყუარი, დახვეწილი მსატყურელი გემოვნებისა და კარგი ოქრომკვლელი ოსტატობისა. სამკაულთა შეტეტობა მკაფიო თავისებურებით გამოირჩევა და თუ ჰგავს ამავე ჯგუფის სხვა სამარხებისას, ისევე ბეჭედი, რომელთა საერთო დამახასიათებელია რგოლის შემოხაზვა რთულსაოვანი ნაჭედობით (მდრ. №№ 12 და 13 სამარხებში აღმოჩენილ ბეჭედებს). იმავე დროს თვით ამ ერთი სამარხის ინვენტარის სტოლისტური ერთიანობაც აშკარად იჩენს თავს—იმავე ბეჭედების, უელსაბამის და სამაჯურის აბეჭედელობას, უელსაბამის მძივების და ერთ-ერთი ბეჭდის მოთავსების სერისში და ა. შ. ამ სამარხის ინვენტარში გვევლინება ნამდვილი უნიკუმიტი: ბრტყილი საურეები და უელსაბამი. საურეთა შორე წვეილი საერთოდ მოკვანუნებს მე-12 და მე-13 სამარხებში და მე-2 სამარხში აღმოჩენილსა და აგრეთვე მრავალ სხვა საურეს, ოღონდ უფრო რთულია და ამ შირე ჰგავს კლდეებისას, 11 სიმაღლის [13, გვ. 101, სურათი].

ერისთავთა სამარხების ინვენტართან მე-19 სამარხის ინვენტარს დასლოებს, უპირველეს ყოვლისა, საურეების მარგალიტით შემკობის წესი. ეს, როგორც გიცით, ერისთავთა სამარხებიდან მხოლოდ მათ შორის უახლესში, მე-2 სამარხში გვხვდება და, მაასადაც, ჩვენსეურო ოქრომკვლელობაში შედარებით გვიან შემოსული უნდა იყოს. გარკვეულ მსგავსებას იჩენს ბეჭედებიც: ფუქუ რკალი ამოჭრილი (და არა ზედ დადგმული და დარჩილული) თვალბუფით ისინი ასაბურგის საბეჭედს და, საერთოდ, ერისთავთა სამარხების ბეჭედთა შორის გაბატონებულ ტიპს მოკვანუნებს, ხოლო რკალის სახეობით ნაჭედობით—მე-8 სამარხის ზოვიერთ ბეჭედს. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 სამარხის ინვენტარის რაოდენობითა და სიმდიდრით ვერ მოვა ერისთავთა ვერც ერთი სამარხის ინვენტართან (ეგებ, გარდა მე-9, ბუშის სამარხისა), შეიძლება ითქვას, რომ ზოგი რამით ერისთავთა ეველა სამკაული ვერც ის შეედრება მისას. ეს გარემოება გარკვეულ კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს მე-19 სამარხის ნივთებს, თუცა მათი პატრონის შესახებ არავითარი კონკრეტული ცნობა არ მოგვეპოვება. აქვე დავსძენთ, რომ ამგვარი ცნობა არც ზოგ ზემოთ განხილულ მდიდრულ, ნამდვილად ერისთავთა წრის კუთვნილ სამარხში დაკრძალულთა შესახებ გაცხარია.

მაასადაც, განხილულ სამარხთა ჯგუფი ძირითადად მე-19 სამარხის შემკობით ექსკვა წარჩინებულია სამარხების კატეგორიაში და უკავშირდება ერისთავთა სამარხებს.

¹ დრა-ვერობისში აღმოჩენილი ამგვარი დანაკობის რგოლები საუკრება აქვს მიხეული [349, გვ. 11—12, 78—80; ტაბ. XLV, 2, XLVI, 1].

ტერიტორიული სიასლოვითა და აგებულებით ზემო-აღწერილ სამ სამარხს შეიძლება დაუკავშირდეს კიდევ ორი სამარხი.

მეთერთმეტე სამარხი აღმოჩნდა მეთორმეტეს ჩრდილოეთით, მისგან 2 მ მანძილზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთ-დასავლეთით დაშორებული. ესეც დიდი სამარხი იყო, დიდრონი, სქელი და დაუმუშავებელი ლოდებით ბგებულ-გადასურული (სასურავის სიგრძე—2,66 მ, სიგანე—1,55 მ, სამარხის საერთო სიმაღლე—1,3 მ). ჩონჩხი გულაღმა იდო, თავით დასავლეთისაკენ. ძვლების მნიშვნელოვანი ნაწილი დაშრული და ადგილმაცვლი იყო. მამაკაცის ჩონჩხს ჰგავდა. აღმოჩნდა მსოლოდ მინის 2 საწვლსაცვლის ნატეხები (ერთი ბურთისებრია). ამრიგად, სამარხს ამ კვლევის ინვენტარში მინის საწვლსაცვლებლებიც არის გასათვალისწინებელი (სურ. 68).

მეთოთხთმეტე სამარხი აღმოჩნდა გვიანდელი ორსეკანადი ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ქვეშ და მის შესახებ ამ ნაგებობასთან დაკავშირებითაც მოგვისდება საუბარი (იხ. მეექვსე თავი). იგი შეცამტე სამარხს სამხრეთით, მისგან 2,6 მეტრზე, პარალელურად იყო ჩადგმული და მასზედაც გადდიოდა ის მმრალად ნაწილი კედელი, რომელიც შეცამტე სამარხთან დაკავშირებით აღგნიშნეთ. სამარხი დიდი იყო: სასურავის სიგრძე 2,65 მ უდრიდა, სიგანე — 1,6 მ. შიგ ერთი მუალმსვილი ჩონჩხი აღმოჩნდა, თავით დასავლეთისაკენ მდებარე. მას ასლდა მსოლოდ მრავალრიცხოვანი რკინის ღურსმნები და მათთან დაკავშირებული ხის ნაშთები. ამით ეს სამარხი მოგვაგონებს ზემოთ განსილულ, მეთორმეტე და შეცამტე სამარხებს. როგორც ვხედავთ, ამ კვლევის ხუთი სამარხიდან ხის კუბო 50 მმ მანძე არის სავარაუდებელი.

მეთოთხთმეტე სამარხი იმითაც იქცევს უვრადლებას, რომ, როგორც ჭრილშიც აშკარად ჩანს (იხ. სურ. 69), მისი ჩადგმისას ანტიკური კერამიკის ნატეხთა შემცველი კულტურული ფენა ჩაჭრილი, ხოლო, მეორე მხრივ, მისი სასურავიდან 0,5 მ სიმაღლეზე დაფუძნებული ორსეკანადი ნაგებობა (იხ. საერთო გეგმა). ამრიგად, ამ სამარხის ხროვანება გვიანანტიკურ ხანასა და მის შერძინდელ ნაგებობას შორის ექცევა. ეს კარგითაა კარგად შეესაბამება ზემოთ განსილულ სამარხსთა ზოგადი თარიღის შესახებ ჩვენს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც აქ IV საუკუნისთან და ნაწილობრივ, ეგებ, აგრეთვე V საუკუნის დასაწყისთან უნდა გვერიდეს საქმე.

გაიხსნა 1943 წლის 25 დეკემბერს. მდებარეობს ერის-თავთა სამარხებთან დაკავშირებული ქვითყირის ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 38 მ მანძილზე. მისი ორფერდა სასურავის თხემი მიწის უდაპირიდან 1,7 მ სიღრმესე გამოჩნდა. ეს ზომა საშუალოა, გინადიდან სამარხის თავსე მდებარე მიწას აქ თხრის დაწყებამდე პლიერ უსწორმასწორო რელიეფი ჰქონდა: გასათხრელად მოსაშული ფართობის დასავლეთ ბოლოში იყო ბეჭობი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ თანდათან დაბლდებოდა. სამხრეთ ნაწილში, პირიქით, იყო მოზრდილი ორმო — ჩანს, რამდენიმე ათეული წლის წინ ამოთხრილი, მაგრამ იმ დროისათვის უკვე ნარეკულითა და ბურქებით დაფარული. ამიტომ ზოგან თუ სამარხსამდე დასასვლელად ამოღებული თხრისთვის სიღრმე 2 მეტრზე უდრიდა. ზოგან მსოლოდ 1,4 მ სიმაღლე მიწის ალება გასდა საჭირო.

სამარხი წარმოადგენდა ერთ-ერთ. ახურე საინტერესო ნაგებობას (ტბ. XCIX, 1). კედლებად თითო ფილაქვა ჰქონდა, სახურავად — ორი. ფილაქვების-განზე შედგებოდა იატაკი, რომელიც სამარხის ახლისას 15-ოდე უსწორმასწორო, არაიანაბარ ნატეხედ იყო ქვეული (ტბ. XCVIII). იატაკს ქვეშ, 5 სმ სისქეზე დაერილი იყო მდინარეული, წვრილმარცვლოვანი, მორუსი სილა.

სამარხის სასურავი ორფერდიანი იყო. და შედგებოდა ორი გრძელი, მეტ-ნაკლებად სქელი და წესიერი სწორკუთხოვანი ფილაქვისიდან, რომლებიც ერთიმეორესთან 45° კუთხეს, ხოლო გრძე კედლებთან 135° კუთხეს ქმნიდა. სამხრეთი ფერდი, ჯერ კიდევ მანამდე დაფიქლებული და დაზარული, სამარხის გახსნისას სულ დამილა, ხოლო ჩრდილო ფერდი დღესაც მაგრად დგას, მიუხედავად ერთი გარდობადრომ ბზარისა (ტბ. XCVII; სურ. 70, უკან). სასურავის კალთებს ზომაც

სხვადასხვა ჰქონდათ: სამხრეთის კალთის სიგრძე—2,9 მ, სიგანე—0,8 მ და სისქე—0,2 მ; ჩრდილო კალთის სიგრძე—3,3 მ (სიგრძით მას ვერ შეედრება არმაზისსევის ქვის-სამარხთა კედლებად თუ სასურავებდ გამოყენებული ვერც ერთი ფილაქვა); სიგანე—0,75 მ, ხოლო სისქე—0,22 მ. როგორც ვხედავთ, სამხრეთის კალთა გაცდილებით უფრო მოკლე, ნაკლებ მასიური და, მამასადამე, უფრო მსუბუქი იყოფილა, ვიდრე ჩრდილო კალთა. ეს იმიტომ, რომ იგი წინასწარ იყო განკუთვნილი ასახვლად და დასასურავად. შიდაპირი ორივე კალთას, ჩვეულებისამებრ, გათლილი ჰქონდა, ხოლო სამხრეთისას გათლილი ჰქონდა გარეთა შედა-




სურ. 68

ზირიც. რაც შეეხება ჩრდილო კალთას, მას გარედან გათლა არც ესაჭიროებოდა, ვინაიდან იგი სხვა ქანისაგან იყო გამოჭრილი და ზედაპირი ბუნებრივად სასესებით გლუვი და სიბიჯ კი ჰქონდა. კალთების ნაწიბური ზემოდაც დაბალენილი იყო კირით, რომელიც ალაგ-ალაგ აცვლილი ჩანდა.

სამარხის განივი კედლების სიმაღლე და, მამასადაბე, სამარხის უდიდესი შინაგანი სიმაღლე 1,5 მ უდრის; განივი კედლების სისქე 0,2—0,3 მეტრია. სამკუთხოვანი ნაწილი დასავლეთ განივ კედლებს ტოლფერდა აქვს (თითოეული ფერდის სიგრძე 66 სანტიმეტრია, ხოლო ზედა კუთხე 15°), აღმოსავლეთის კედლისა კი რამდენადმე ასიმეტრიულია: ფერდების სიგრძე 68 და 72 სმ უდრის. განივი კედლების ორივე ნაწილზე ამოჭრილია ნარიბანდები. მათი სიგანე 12—14 სმ უდრის, ისე რომ გრძივ კედელთა ბოლოები სასესებით ვერ თავსდება მათში. განივ კედლებს ორივე მხარე გულდაგულ აქვს გამოთლილი. ნაწიბურები კედლებსა და სასურავის კალთებს შორის კირით იყო გალესილი.

გრძივი კედლები წარმოადგენს წესიერ სწორკუთხედებად გამოჭრილ ფილაქებს, სიგრძით 2,63—2,65 მ, სიმაღლით 0,90—0,95 მ, სისქით 0,18—0,20 მ. ორივეს

ისევე როგორც სასურავის სამხრეთი კალთა. მათი საკმაოდ დიდი ნატეხები შიგ სამარხში იყო ჩაცვივნილი, რის გამოც ზოგი ნივთი კიდევაც დაზიანებულიყო. ორივე გრძივ კედელს შიდაპირზე ენციკსფერი გადაჭარავდა. სასურავის კალთებისა და გრძივი კედლების მუხების ადგილები მიცანიდან ამოლესილი იყო კირით.




სურ. 69

სამარხის შიდა სივრცე უდრია 2,6×0,65×0,90 მ.

სამარხი დამსრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ-დასავლეთისაკენ.

იატუზე გულდაბ დასვენებული იყო ორი სრულწლოვანი შიგადადებული, ერთიპიორის კერძისა, თავის დასავლეთისაკენ. ორივე თავისქალა მდლიან ცუად დაცული და ებებიც კი ნამტერევეზად ჩვეული იყო (ერთ-ერთის ქვედა ების გარდა). ჩონჩხის სხვა ძეგლებიც შეწყლიდა დამტერეული აღმოჩნდა. შედარებით

კარგად იყო შენახული ლულოვანი ძეგლები. ჩონჩხის ძლიერ დაზიანების გამო ძილად გარკვეული არაა სელების მდებარეობა. ამის შესახებ ერთგვარ მითითებას გვაძლევს სამკაულთა განლაგება, რის შიხედავითაც ხელები ორივე შიგადადებულს მკერდზე უნდა ჰქონოდა დაკრებილი (ტაბ. XC.VIII და XC.IX, 2).



სურ. 70

მასალად გამოყენებულია გლუვქნაპირიანი ნატრისფერი ფილაქებიანი ქვიშაქვა, რომელიც კალთას არ საჭიროებდა. ჩრდილო კედლის ქვა შედარებით მკვრივი უოფილა, მაგრამ შიგნიდან მას შინც აქვს ალაგ-ალაგ აფიქსნილი თხელი ფურცლები. სამხრეთი კედლის ქვა მეტისმეტად ფილაქებიანი უოფილა და გახსნილს უკვე მღიერ დაშლილი იყო—

სამარხის ოთხივე კედელს გასწვრივ და აგრეთვე შუაში აღმოჩნდა რკინის ლურსმნები და ხის ნაშთები. ისევე როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში, აქც ხის კუბო უნდა ვივარაუდოთ. კუბოს გამოფიტვისა და დაშლის შემდეგ მისი ჩაწოლა და შიგ მდებარე ჩონჩხთა ძეგლების არეუ-ღარევა ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა არც მიწისქვეშა ცხოვე-

ლების მიერ ზოგიერთი მცირე ჰვლის გადაადგილების შესაძლებლობა გამოირჩეული (მაგ., ფესის თითების რამდენიმე ფალანგა თავისქალათა ნატესების უშუალო მახლობლად იღო).

ნრდილო ჩონჩისის ძვლები უფრო არეული და საერთოდ ამპირად ჩრდილო მხარეზე მაწეული იყო. ეს ალბათ იმის გამოა, რომ სამხრეთით მდებარე ჩონჩისი უფრო გვიან დაკრძალულ მცვალებულს ეკუთვნის.

ნიკოპოლის დიდი უმეტესობა სამხრეთით მდებარე ჩონჩისს აღმოაჩნდა. ეს იყო: ოქროს 3 ბუკედი, წყვილი სამაჯური, წყვილი საუერო, მუწკვი, სავაგაროე მილა და რკინის მჭიდლდასკიმბა ნატესები. ჩრდილოეთით მდებარე ჩონჩისთან აღმოჩნდა: ოქროს წყვილი საუერო და 2 ბუკედი. რკინის ლერწმები და ხის ნაშთები ორივე ჩონჩისს ასლდა ირგვლივ.

221. ოქროს ბუკედი (სავ. წიგნ. № 653; ტაბ. XIII, 6; C, 10, 1b). აღმოჩნდა სამხრეთით მდებარე ჩონჩისის მარცხენა მხრის მგალიან, ხელის თითის მოზრდილ ძვალთან ერთად. დიდი ბუკედი. რკალის ქვედა ნახევარი მასიური აქვს, ხოლო ზედა—ფუე. თვალბუდე, რკალთან შედარებით, დიდად მუზაღვლებულია. რკალი ოვალური მოყვანილობისა, მაგრამ მხრები მღერი კუთხოვანი აქვს. მხრებს ქვემოთ, რკალს ირგვლივ შემოუკვება სამი წიბო, რომლებიც მხრებს შემოთავსებულ და, ერთიმეორეს თანდათან დაშორებული, თვალბუდის ზედა ნაწირამდე აღწევს. ოთხ-ოთხი, სუსტად გამოსატული წიბო საკუთრივ თვალბუდის გვერდებსაც აუკვება. ამრიგად, რკალი საერთოდ წახნაგოვანი წიბოებისაა. თვალბუდის კვლეები მიცნად დაქსნებულია. მოყვანილობით თვალბუდეც ოვალურია. მივ ჩასმულია აღმანდინის ამობურქული თვლი, რომელზედაც ამოკვეთილია გეჰმა: მამაკაცის მარცხენა პროფილი, მკერდის ზედა ნაწილითურთ. სახის ნაკეთები მამაკაცს წვრილი და პროპორციული აქვს, რამდენადაც მოგონო, საერთოდ სასიამოვნო იერისა. წვერ-ულვაში მოგონო აქვს და სუკუტა. გრძელი, კულულოვანი თმა ბუკეტზე სცემს. უერზე მოზრდილი, ბურთულა საუერო ჰკიდა (სურ. 71). არმაზისევის მდიდრულ სამარხულ გემებზე საუერანი მამაკაცის გამოსახვის ეს მეორე შემთხვევა გვაქვს, მეორე სამარხის ოქროს ერთ-ერთი, „21X“ წარწერით აღჭურვილი ბუკედის (ჩვ. აღწ. № 39) თვალზე ამოკვეთილი მსგავსი გამოსახულების შემდეგ.

ეს პორტრეტი შესრულების მანერით მოგვაგონებს ერისთავთა სამარხებში აღმოჩენილ ზოგიერთ გამოსახულებას (უფრო ზეგასისა და კარპაიასის, ნაკლებ—ასპარეგისას), თუმცა გაცილებით უფრო სქემატურია. თვით სახე კი სავრძობლად ჰგავს „უსა პიტანისის“ სახეს¹. აქვე შევნიშნავთ, რომ საუერო „უსასაც“ ჰკიდა. ჰკიდა იგი, სხვათა მორის, მე-2 სამარხის ვერცხლის პინაკზე გამოსატულ დადგენს (ჩვ. აღწ. № 53).

ბუკედის საერთო სიმაღლე 3,0 სმ უდრის; რკალის დიამეტრი—2,5 სმ, სიფართო—0,35—0,8 სმ, სისქე—0,2—

0,4 სმ; თვალბუდის დიამეტრი—2,2 სმ, სიმაღლე—0,7 სმ; თვალის დიამეტრი—1,8—2,3 სმ, უდიდესი სიმაღლე—0,9 სმ. ბუკედი 13, 94 გრ. იწონის.

225. ოქროს პაწია ბუკედი (სავ. წიგნ. № 656; ტაბ. C, 9, 11). აღმოჩნდა სამხრეთით მდებარე ჩონჩისის მარცხენა ბარბაისის ძვლის თავთან. თვალბუდე მრგვალი აქვს. რკალი თვალბუდის აქეთ-იქით, ორსავე მხარეზე ქვემოთკენ თანდათან ვიწროვდება და თხელდება, ისე რომ მისი სიფართო 0,6 სმ-დან 0,2 სმ-მდე, ხოლო სისქე 0,35 სმ-დან 0,1 სმ-მდე ჩამოდის. განივკვეთი რკალს ბრტყელი აქვს. თვალბუდეში ფის ცისფერი, გამოხეხებული მინის თხელი და მრგვალი ფირფიტა.

ბუკედის სიმაღლე 1,7 სმ უდრის, რკალის დიამეტრი—1,6 სმ, თვალბუდის სიმაღლე—0,25 სმ, თვალბუდის დიამეტრი—0,7 სმ; ბუკედის წონა—1,95 გრ.

226. ოქროს პაწია ბუკედი (სავ. წიგნ. № 659; ტაბ. C, 7, 15). აღმოჩნდა სამხრეთით მდებარე ჩონჩისთან, იქ, სადაც უნდა უოფილიყო მესჯი, ხოლო ამ უკანასკნელთან ასლის—სელი. იმდენად პატარაა, რომ, ისევე როგორც წინა ბუკედი, ნეკზე ან სხვა თითის ბოლო ფალანგებზე თუ წამოიციმდა. რკალი ოვალური აქვს, ბრტყელი და მღერი თხელი. თვალბუდე მრგვალია, მაღალი და რკალთან შედარებით არაპროპორციულად დიდი. მივ სის მომრგვალო, უსასო „თვალა“. გამოირკვა, რომ ეს უოფილა ბუკედის მონაცვალი კბილი, ნაწილობრივ მინანქარგადაცვლილი და მცირედ ჩასურეტილიც.

მონაცვალი კბილის სამაჯულებში შემონახვის ეს მეორე შემთხვევა გვაქვს არმაზისევის სამარხებში—ურისთავთა მემვიდე სამარხის ვერძისთავიანი ეულსაყიდის შემდეგ (იხ. შემოთ, ჩვ. აღწ. № 148).

ბუკედის სიმაღლე 2,0 სმ უდრის; რკალის დიამეტრი—1,5—1,7 სმ, საშუალო სიგანე—0,25 სმ, სისქე—0,1 სმ; თვალბუდის სიმაღლე—0,5 სმ, დიამეტრი—0,5 სმ. ბუკედი 1,80 გრ. იწონის.

227. ოქროს წყვილი სხა უერო (სავ. წიგნ. № 654). აღმოჩნდა № 653 ბუკედს ასლოს. თითოეული შედგება ოქროს მავთულოვანი რგოლისა და ქვემოდან მიჩინილი ლერაკისაგან. ისინი საკმაოდ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

ერთ მათგანს (ტაბ. XIII, 4) რგოლი გახსნილი აქვს და პირი-პირგადადებული. ლერაკის ქვედა ბოლოზე წამოცმულია და ლურსმნის თავისებრ მიკვერილია ოქროს თხელი, მრგვალი ფირფიტა. ამ ორ გამსხვილებულ ბოლოს შორის ლერაკზე ასმულია 2 მივი: ზემოთ ოქროსი, პაწია როდინის მსგავსი, თავ-ბოლოგაუარსიანი; ხოლო ქვემოთ—მოზრდილი, კვერცხისებრი მოყვანილობის მარგალიტი, დაზარული, მაგრამ მაინც კარგად, თეთრად შენახული (რაც სამარხებში არცთუ ხშირ მოვლენას წარმოადგენს). მათ შორის არის მათი გამეოფი, ოქროს ბრტყელი და მრგვალი ფირფიტა.

საუერის საერთო სიმაღლე 2,9 სმ უდრის; რგოლის დიამეტრი—1,4—1,5 სმ, სიმაღლე—0,2 სმ; ლერაკის სიმაღლე—1,5 სმ; ოქროს მივიის სიმაღლე—0,4 სმ, მისი დია-

¹ „უსას“ სახედავი, როგორც ცნობილია, პარიზში ინახება, ხოლო მისი ანაბედი დაყოლია აკად. ლ. ჯანაშვილს. საქართველოს სახელმწიფო ზეუფის ვლადიკის კაბინეტში (№ 413). იხ. აქვე, გვ. 24, ზენ. 2.

მეტრი — 0,25—0,35 სმ; მარგალიტის სიმაღლე—0,8 სმ, უღიდესი დიამეტრი — 0,6 სმ. საყურე 2,08 გრამს იწონის.

მეორე საყურის (ტაბ. C, 2) რგოლი უფრო უწყესო მოკვანდილობისა, სოლო ბოლოები უფრო მეტადაა ერთიმეორესზე გადატანილი. იმის გამო, რომ ამ საყურის ღერაჯის სურულებით არ შეიძლება მარგალიტის მძივი, სამუაღება გეგმულვება შევისწავლოთ ღერაჯის აბეჭდვლები. ღერაჯის ქვემო ნაწილზე წამოცმულია ოქროს თხელი ფურცლი-საკან გაკეთებული წვრილი ძილაჯი, რომელსაც ზემოდან მრგვლად დაბრტყელებული „ტუჩი“ აქვს. ამ უკანასკნელს ქვედა ბოლოთა ეყრდნობა (და თავის დროზე ამრიგად იმიჯ-ნებოდა მარგალიტისაკან) ოქროს რადიისებრი მძივი. მძივს ქვემოთ დარჩენილი თავისუფალი ჯგჯილის მისეკვათა, დაფენილი მარგალიტი უფრო დიდი ეფილა, ვიდრე ჰირველი საყურისა. ამასთანავე, მარგალიტი ძილაჯზე უფილა წამოცმული და არა ღერაჯზე. როგორც ნაწიურის დიკონ-ნაღური მიმართულება გვიჩვენებს, ძილაჯი რომბისებრი ფურცელაქისაგან უნდა იყოს გაკეთებული.

საყურის საერთო სიმაღლე 3,1 სმ უდრის; რგოლის დიამეტრი — 1,4—1,5 სმ, სიმაღლე—0,2 სმ; ღერაჯის სიმაღლე—1,7 სმ; ძილაჯის სიმაღლე—1,0 სმ, მისი სიმაღლე—0,18 სმ; ოქროს მძივი იმოდენავეა, რამოდენავე ჰირველი საყურისა. საყურე 1,96 გრამს იწონის.

228. ოქროს მეწკვი (საუ. წიგნ. № 655; ტაბ. C, 3). სამსრუთით მღებარე ჩონჩხის მარცხენა მხრისა და კისრის არემი იდო. საფიურებელია, რომ კისრზე ება მიცვლებულს. წვრილია და მოქნილი. შედგება მრავალრიცხოვანი ჰაწია, ოვალური, თანაბარი, ოდნავ ჰირვასნისი რგოლებისაგან, რომლებიც მკიდროდა ერთიმეორესზე გაურდილი. ორივე ბოლოზე საითათა, სივებზე უფრო დიდი, წვრილი მოკვანდილობის რგოლი აბია. საერთოდ მეწკვი ფაქისად და გეგმობებითა ნაკეთები. არამასისწყვის სამარსებში, ამის გარდა, კიდევ რამდენიმე მეწკვია ნაპოვნი, მაგრამ ეველა ისინი სხვა სამკაულებთან ივენენ დაკავშირებულნი, ეს კი ცალკეა და თან რგოლების აღნაკობითაც განირჩევა დანარჩენი მეწკვებთან.

მეწკვის საერთო სიგრძე 55,5 სმ უდრის, თითოეული რგოლის დიამეტრი—1,5—2,0 მმ; ბოლო რგოლთა დიამეტრი—3,0 მმ; რგოლთა მკაულის განაკვეთი (თასწან-ნაკოვანი)—0,5 მმ. მეწკვი 12,26 გრამს იწონის.

229. ოქროს ბრტყელი დასასხრული სამკაუ-ური (საუ. წიგნ. № 657; ტაბ. XIII, 2; C, 13). წამოცმული იყო სამსრუთით მღებარე ჩონჩხის მარცხენა წინამხრის ძვლებზე. შედგება სამსკვალ-უქსუებით გადაბმული, 10 ბრტყელი სწორკუთხოვანი მუსლისაგან, რომლებიც მორიგეობით განლაგებული 2 ტიპი გამოირჩევა. ორივე ტიპი სასიათდება ჰვირული აღნაკობით. ერთს ამკობს აღმანდინის მოგრობა ღარისებრი ფირფიტები და ფარად

მინერალთა ოვლები, სილო მეროეს—სახოვანი მოკვანდილობის ოვლები. ხანამომოდ აღწერით ჰირველ ორ მუსლს.

ჰირველი მუსლი (სიგრძე—1,9 სმ, სიგანე—2,0 სმ, სისქე—0,3 სმ) წარმოადგენს ძლიერ თხელ კოლოფს, რომლის ერთ მოკლე გვერდზე მირილილდა 3 დიდი ექსწია, სამკაურის უკანასკნელი მუსლის 2 ექსწის მისაღებად, და ამრიგად მიკროლ 5 ექსწი სამსკვალის გაურით სამკაურის მაჯაზე შესახვევად. მეორე მოკლე გვერდზე მირილილდა 5 წვრილი ექსწი, რომლებსაც ეს მუსლი მოძრავად უკავშირდება შესობელ მუსლს. მუსლის ზედაპირი სიგრძივ დაუფილია 3 ნაწილად, რომელთაგან თითოეული მოცმულია სწორკუთხოვანად ამოჭრილი ბუდეებით ჩასხული ოვლებით. განაზარა ბუდეები ერთიმეორის ტოლი და გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე მუათანა. მათში ჩასმულია აღმანდინის თხელი, ღარისებრ გამოათლილი ფირფიტები, რომელთაც ბუდეებს ზემოდან საკმაოდ ამოსხეული ზედაპირები მოქანს. ამ ფირფიტათა ბოლოებს ამაგრებს ოქროს სეკმენტური ცისხრები, რომლებიც სიმაღლით არ სცილდება კოლოფის ზედაპირს. მუათანა ვაწრო ბუდე ოქროს მცირე, ნასკარტისებრი მოკვანდილობის ტისრებით გარდვიარდა დაუფილია სამ თანასწორ ნაწილად. ჰირველ განუფილებანი ჩასმულია მალაქიტის წვრილი, ნახევარტოლინდრულად ამობურცული ფირფიტა, მეორემი—ასეთივე მოკვანდილობის დეკარდის ფირფიტა, სოლო შესამეში—კვადრე მალაქიტისა. ახე რომ გარკვეული სიმეტრია იქმნება; თავსა და ბოლოში მწყანე ოვლები ზის, მუათანი—ლურჯი. მუსობელ მუსლთან შესახვევებლად 1-ელ მუსლს გვერდზე მირილილული აქვს 5 წვრილი მძივისებრი ექსწი. ამ-



სურ. 71

დენივე და ასეთივე ექსწები აურავს მეორე მუსლსაც, ამრიგად ერთიმეორესზე მიჯარული ორი კოლოფის 10 ექსწიში გაურდილია ოქროსივე წვრილი სამსკვალნი, რომელსაც მსოლოდ მრგვლი, ოდნავ გამსხვილებული ბოლოები უქანს.

მეორე მუსლი სიგრძე-მისიგანით ჰირველის ტოლი, ოდონდ უფრო თხელია (2 მმ). იგი წარმოადგენს სწორკუთხოვან ბუდეს, რომლის ოთხივე გვერდი ერთნაირადაა გარეთენ დაქანებული, ისე რომ საერთოდ ბუდე ჰირვამის დიდი ფუქს მოვგატონებს. მუსლი სიგრძივ გაყოფილია 2 თანაბარ ნაწილად, 2 მმ სიგანე ტისრით, რომელიც მუათანი სკარმნობლად ამოღარულია. ტისხრსა და ბუდის ნაპირებს შორის დარჩენილია სარკმელისებრი სივრცე, სიგრძით 15 მმ და სიგანით 7 მმ. თითოეულ სარკმელში მოათავსებულია ოქროს თხელი (18 მმ), სახოვანი თვალბუდეების სისტემა, რომელიც სიმეტრიულია მეორე სარკმელში მოათავსებული ასეთივე სისტემისა. საკმარისი ერთაურთის აღწერა. სარკმელში ჩასმულია 1 ბუდე, რომლებიც მკიდროდა ექსწის ერთიმეორეს, მაგრამ მანინ მკაფიოდ გამოითოფა ოქროს თხელი დაბალი კვადრებით. მარცხნიდან ჰირველი ბუდე მოკვანდილობით მოვგატონებს სამეურა ბალახს, რომელსაც წყვილი ფითილი მომრგვალებული აქვს, სოლო მე-

სამა—წაწვეტილებული. ამ ბუდეში მკვიდროდა ჩასმული მალაქიტის ბრტყელი ფირფიტა. მას მოსდევს წვეილი, ზუსტად სიმეტრიული ბუდე, რომლებიც მოკვანდლობით მოკვანდონებს ლობიოს ორ ლეხანს, ერთიმეორისაგან ზურგმუქვებით მდებარეს. მათში სათითაო ლევაგარდის ფირფიტა ზის. მეოთხე ბუდე აგრეთვე ფოთლის მოკვანდობისა, ოღონდ მასში ისე მკაფიოდ არ გამოირჩევა სამი უერი, როგორც ჰირველ ბუდეში. გარდა ამისა, მას ორივე ბოლო წვეტიანი აქვს. ამ ბუდეშიც მალაქიტის ფირფიტა ზის.

თვალბუდეთა შოელი ეს სისტემა ფაქიზად, ზედაპირიდან თვალისთვის შეუმჩვენებლად, 7 ადგილას მირჩილულია მისი შემცველი დიდი ბუდის ნაპირებზე. იმავე დროს ბუდეები მათი კვადრების შესების ადგილებში ერთიმეორესთანაც არის მირჩილული.

ცალკეულ მუსლებში მალაქიტისა და ლევაგარდის მორიგეობა რამდენადაც სეგავარია, ვიდრე ზემოაღნიშნულ მუსლებში.

სამაჯურის შესახებე მთავარი სამსკვავი წარმოადგენს სეგმენტური განიკვავის ოქროს მესულს, შუაზე გაკვეცილს და ოქროს მცირე ბურთულით ბოლოებმეგრულს.

სამაჯურის ქვედაპირი ასეთ სურათს გვაძლევს: კენტი მუსლების ძირი სადა და გლუვია, ხოლო ლუწი მუსლები—სა—ჭკირული (ტაბ. L, 13 ა, აქ მარჯვნიდან მარცხნივ).

სამაჯურის სიგრძე 20,7 სმ უდრის, სიგანე—0,2 სმ; დიდი ონი ეუნწების სიგრძე—0,2—0,3 სმ, მათი დიამეტრი—0,1 სმ; აღმანდინის ფირფიტების სიგრძე—1,3 სმ, მათი სიგანე—0,4 სმ; ამონქეილი ნაწილის სიმაღლე—0,4 სმ; ნისკარტისებრტისირიანი ბუდეების სიგრძე—1,3 სმ, მათი სიგანე—0,25 სმ. სამაჯური 31,15 გრამს იწონის.

ეს სამაჯური მეორესთან შედარებით უკეთესადაა დაცული, მაგრამ მაინც ნაკლებია: ოთხი სკორული მუსლის ბუდეებიდან ამოვარდნილია 8 ლეხნისებრი ლურჯი თვალი; ერთ სამეურა ბუდეს აკლია ორი თვალი, ხოლო სამი ასეთი ბუდე მთლიანად დაკარგულია.

230. ისეთივე სამაჯური (საე. წიგნ. № 658; ტაბ. L, 12). აღმოჩნდა ჰირველის შორისასლო. საკმაოდ დაზიანებულია. ზომა—აგებულითა ზედმიწევნით მოკვანდონებს ჰირველ სამაჯურს. შეინიშნება მცირე განსხვავება: სამაჯურის ჩამკეტი სამსკვავი აქ გაურილია ჭკირულ მუსლში, ხოლო ჰირველ შემთხვევაში—აღმანდინიან მუსლში იყო; ნისკარტისებრ ტისრებს შორის ჩასმული თვლების განლაგება—მორიგეობა არ ემთხვევა ჰირველი სამაჯურისას.

სამარსის სახურავისგან მოკლევადილ ქვეს დაუზიანებით სამაჯური. იგი სამ ადგილას მღიერ გადუნულია. მისი მე-1 და მე-6 მუსლები რამდენსაზე ადგილას გაზარულია. რამდენიმე თვალი ბუდინადაა დაკარგული, ხოლო რამდენიმე ბუდე დაცარიელებულია.

ეს სამაჯური ზომითაც უტოლდება ჰირველს. მისი წონა 33,75 გრ. უდრის.

ორივე სამაჯურში აღმანდინის ფირფიტების ჩასამული ბუდეები სიგრძე, სწორკუთხოვანადაა ამოჭრილი კოლოფის ზედაპირზე. ეს ბუდეები რამდენადაც უფრო მოკლე უოფილა,

ვიდრე ფირფიტები. შემდეგ მათი ვიწრო ბოლოები ზემოთ ამოწვევათ, ნახევარწრიული შევული ტისრების სასით. ბუდის ძირში რაღაც კუპრისფერი ჰასტა ჩაუსხამი, ზედ დაუფინათ ოქროს ფირფიტა (აღბათ, კოლოფიდანვე ამოჭრილი) და შემდეგ იგი ჩაუსვამთ აღმანდინის ფირფიტები. ამ უკანასკნელთა დასამარგებლად და დასაფარავად ტისრის ზედა ნაპირები შინთიკენ გამოუხსნილია. ეს გადამხსნილი ნაწილები იმავე დროს სალტეებიოთ ეფარება ფირფიტის ბოლოებს და ამშვენებს მათ. ძირითადად ასეთივე, მაგრამ კიდევ უფრო რთული ტექნიკით დამზადებული ჩანს შუა ვიწრო ბუდეები, რომელთაც, გარდა თავსა და ბოლოში გადმონსნილი ტისრებისა, შუამაც აქვთ ამოჭრილი და ნისკარტისებრად წაწვეტილებული ორი ტისრია.

როგორც ვსედავით, ეს სამაჯურები ფრიად თავისებური და რთული აღნაგობისაა. მათი დიდად მსგავსი სამკაული არსად გვევლება. მხოლოდ აღნაგობის საერთო სქემით ჰგავს მათ 43-ე სამარსში აღმოჩენილი სამაჯურები, რომელთაც ქვემოთ გავხილავთ. ბორში აღმოჩენილი, ოქროს ბრტყელ-დასასრული, მოთვალული სამაჯურები სულ სამსამი მუსლისაგან შედგება და საერთოდაც საკმაოდ შორსა დგას ამ სამაჯურთაგან [164, ტაბ. I, 8, 10].

231. ოქროს მილაკი (საე. წიგნ. № 660; ტაბ. C, 11). 659-ე ბუდის გასწვრივ იდო, სამარსის სამსრეთ კედელს ასლო. წარმოადგენს ღრუ ცილინდრს, შეკრულს ოქროს ოსელი (0,5 მმ) ფურცლისაგან. კარგად ეტეობა ფურცლის ნაპირთა მირჩილის შედეგად დარჩენილი ნაწიბური. ორივე ბოლოზე გარემორჩილული აქვს შუაში ჩაღარული სალტეები, რომელთა სიგანე 0,2 სმ უდრის.

მილაკის სიგრძე 3,2 სმ უდრის, დიამეტრი—2-ოდე სმ, წონა 5,28 გრ.

მილაკი მალან დაჭლებული იყო სახურავის ჩამონატეხი ქვისაგან და შემდეგ გასწორებულ იქნა.

ეს მილაკი მოკვანდონებს მე-6 და მე-9 სამარსებში აღმოჩენილ სავეგაროზე კოლოფებს, ოღონდ მას ბოლოები ღია უჩანს და არც ჩამოსავილი ეუნწები მოეპოვება. ჰირობით შეგვიძლია დავუგვათ, რომ იგი ზემოაღწერილი (№ 228) მეწველი იქნებოდა ჩამოკიდებული, მით უმეტეს, რომ ამ სამარსში სხვას ვერაფერს ვსედავთ ისეთს, რაც მეწველით ჩამოკიდებოდა.

232. რკინის ორი მშვიდდსაკინძის ნატეხები (საე. წიგნ. № 661; სურ. 72, მარჯვნივ). აღმოჩნდა სამსრეთით მდებარე ჩონჩხის მარჯვენა მხრის ძვალთან. ორივე ეანტიგან მღიერ დასრულია. შემორჩენილია მხოლოდ „ქუსლები“. ზედ მიკანგული აქვთ ქსოვილის მცირე ნაწვევები. ერთი მათგანის სიგრძე 4,0 სმ უდრის, სიგანე—2,5 სმ; მეორისა—3,9 სმ და 2,3 სმ.

ორივე ე. წ. „არბალეტურ ფიბულათა“ ტიპს ეკუთვნის.

233. რკინის მშვიდდსაკინძი და ასეთივე საკინძი ნატეხები (საე. წიგნ. № 662; სურ. 72, მარცხნივ). სულ ცოტა, ორის ნატეხები მაინცაა. მათ შორის ურვეია ერთი პატარა მთელი საკინძი, რომლის სიგრძე 3,5 სმ უდრის, ხოლო სიმაღლე—1,3 სმ. ერთ დფხარულ მშვიდდს სამთავროს IV—V სს. სამარსებში მოეპოვება ანალოგი.

აღსანიშნავია, რომ მიკროფლავინები სრულიად არ შეგვხვდნენ არც ერისთავთა სამარხებში და არც IV საუკუნის, ზემოთ განსილულ, სამარხებში, ასე რომ ისინი აქ გარკვეულ სიახლეს მოასწავებენ.

231. ოქროს წყეთლი საეურე (სავ. წიგნ. № 661). აღმოჩნდა ჩრდილოეთით მდებარე ჩონხის თავისქალას სამხრეთით და ჩრდილოეთით.

ერთი მთავანი (ტაბ. C, 4) შედგება პირგანსნილი რგოლისა, ქვემოდან მირჩილული მრგვალი უნწისა და ამ უკანასკნელზე უნწიანივე თავით ჩამოკიდებული ღერაკისაგან. ზემოაღწერილი (№ 227) საეურეებისაგან იმით განსხვავდება, რომ იქ ღერაკი უშუალოდ მირჩილული იყო რგოლზე. სხვაფრთვ ესეც იმავე სქემითაა აგებული. ღერაკზე დარჩენილი ცარიელი ადგილები გვაფიქრებინებს, რომ ზედ ასმული იქნებოდა მარგალიტის მძივებიც, მაგრამ შერჩენილი მხოლოდ ოქროს 2 მცირე მრგვალ-ბრტყელი მძივი, სოლო მათ შორის მოცინფრო ჰასტის „როდინისებრი“ მცირე მძივი. საეურის სიმაღლე 3,2 სმ უდრის; რგოლის დიამეტრი — 1,3 სმ, სიმაღლე — 0,18 სმ; უნწის დიამეტრი — 0,4 სმ; ღერაკის სიმაღლე — 2,0 სმ, სიმაღლე — 0,15 სმ; ოქროს მძივთა დიამეტრი — 0,4 სმ; ჰასტის მძივის უდიდესი დიამეტრი — 0,3 სმ. საეურე 2,08 გრ. იწონის.

მეორე ცალი (ტაბ. C, 5) არსებითად ისეთივეა, ოღონდ რგოლი თითქმის პირველადი აქვს. ღერაკზე ასმულ მძივთაგან მხოლოდ ორი შერჩენია: ქვემოთ ჰასტისა, როდინისებრი და ზემოთ — ოქროს შედობილ-თულოვანი ვარდული. განსხვავებას ზომამაც ესედავით: სიმაღლე 3,0 სმ უდრის, რგოლის დიამეტრი — 1,25 სმ; რგოლის სიმაღლე — 0,15 სმ; ღერაკის სიმაღლე — 1,7 სმ, სიმაღლე — 0,1 სმ; ჰასტის მძივის დიამეტრი — 0,4 სმ, ვარდულისა — ოღონდ მეტს. საეურე 1,63 გრ. იწონის.

ერთი საეურის ოქროს ბრტყელი მძივების მავიერობას მეორეში ოქროსივე ვარდული ეწევა.

235. ოქროს ბეჭედი (სავ. წიგნ. № 665; ტაბ. C, 6, 17). ჩრდილოეთით მდებარე ჩონხის ბარბაქის ძეგლთა შორის იყო, მენჯათან.

მოსრდილია, მსივური. რკალი ოვალური აქვს, აქეთიქით დაკუთხული; თვალბუდე — მუქი მუქი, აკრთავს ოვალური. თვალბუდის ძირი მხრებამდე უწყვეტლივ გრძელდება, ოღონდ თანდათან ვიწროვდება. მხრებს ქვემოთ რკალს ირგვლივ შემოუკვება ორი საკმაოდ მკვეთრი წიბო, რომელთა შორის მანძილი, ისევე როგორც თვალის სივანესე, მხრებისაკენ თანდათან მატულობს. თვალბუდის მოპირდაპირე ნაწილში რკალს გარედან მირჩილული აქვს ოქროს მოსრდილი, რამდენადმე დაბრტყელებული ბურთულა. თვალბუდის კედლები მიგნითვან დაქანებულია. მათ ზედაპირი სადა აქვთ, მაგრამ მხრებიდან ბუდის ზედა ნაპირამდე მანძილ შეუკვება ოთხ-ოთხი საკმაოდ მკვეთრი წიბო, რომლებიც წარმოადგენს რკალის წიბოთა შერბილებულს და თან განფენილ გარემოებას, ისე რომ გარკვეული მსატერული

მთლიანობა იქნება. თვალბუდეში ჩანს მუქი ალმანდინის, ჩვეულებრივზე უფრო მაღალი თვალი, რომელზედაც ჰორულივით გამოკვეთილია ჰირდაპირ მოჭირალი ალმანდინის სახე. გამოსატყლება იმდენად სქემატურია, რომ ნიღაბს უფრო მოგვაგონებს, მით უმეტეს, რომ თვალები თითქოს დასუკული აქვს. ცხვირის ზედა ნაწილი მაღალია, ქვედა კი მუხრტყელებული; ზედა ტუჩი საკმაოდ სქელია, ქვედა — ჩაწყული; ღოლებიც მსუქანი ჩანს. საერთოდ სახე მოკრძო-ოვალური. ურები არა აქვს გამოსატყლელი.

ამ გამოსატყლებით ბეჭედი საკმაოდ ემსავლება მე-7 სამარხში აღმოჩენილ ბეჭედს (ჩვ. აღწ. № 153), რომლის სახეობის თვალი აკრთავს დაბლსარისოვანი ნაშუაგარი ჩანს (ურ. 5:1).

ბეჭდის სიმაღლე (თვალისადა) 3,2 სმ უდრის; რკალის დიამეტრი — 2,1—2,6 სმ, სისქე — 0,3—0,4 სმ, სივანე — 0,3—0,6 სმ; თვალბუდის სიმაღლე (უთვლოდ) — 0,6 სმ, სიგრძე — 1,5 სმ, სივანე — 1,2 სმ. ბეჭედი 11,05 გრ. იწონის.

236. ოქროს ბეჭედი (სავ. წიგნ. № 666; ტაბ. XIII, 7; C, 8, 16). ჩრდილოეთით მდებარე ჩონხის აღმოსავლეთით მდებარე არეში. საშუალო ზომისაა, სისული. ფრთვ თავისებურია და მოხდენილი. რკალი საერთოდ ოღონდ ოვალური მოკვანილობისა აქვს, სოლო მისი ზედა ბოლოებში — საშუალოზომანად გაფართოებული და დანარჩენი ნაწილისადაც საკმაოდ დიდი კუთხით მოხრილი. განიკვეთს რკალს უკვლავ ბრტყელი აქვს. მისი ქვედა ნაწილი შედგება ვიწრო ბრტყელი ფირფიტისა და მასზე გარედან დარჩილული, ერთიმეორესთან მიღრად მთავარი მრგვალ-ოვალური, მეტ-ნაკლებად ტოლი 10 ბუდისაგან. ამ ბუდეთა შუკრის აქეთი-იქით დაუკვება წვრილი გ-



სურ. 72

ვარისის მკვიდრო შუკრისებრი, რომლებიც ბუდეებს გარშემო ტრადისებრ იკლავან. ისევე როგორც ავით რკალის ნაპირთა გარშემოსხვლობა. გავარისის შუკრისებრი გრძელდება რკალის ზედა, საშუალოზომანად ბოლოებზედაც, სადაც მათ შორის მოთავსებულია თითო მოსრდილი ბუდე, მოკვანილობით ლევის ფოთლის მსგავსი, წვეტიანი რკალის მხრებისაკენ მიქცეული. ამ ბუდეებში სის საშუალოზომანი ალმანდინის თვლები. რკალს ირგვლივ შემოკლებული ათივე ბუდე ცარიელია, მაგრამ აქეთი-იქით ჩარჩენილი ფსენილის მსგავსი უნდა ვიფიქროთ, რომ თავის დროზე მასში ჰასტის თვლები მსხდარა.

მთავარ თვალბუდეს მოკრძო-ოვალური მოკვანილობა აქვს. იგი გრძელი ღერით გარდევარდმო დარჩილული რკალზე და არა განსწვრივ. გარდევარდმო დარჩილული ბუდეები შედარებით იშვიათად გვხვდება მცხეთის მკვანის სამარხებიდან მოპოვებულ ბეჭედებში (ასეთივეა, მაგალითად, 13-ე სამარხში აღმოჩენილი, ერთ-ერთი ბეჭედი: იხ. ჩვ. აღწ. № 250). თვალბუდის კოლოფი საკმაოდ მაღალია, ორპირიანი ჩანს და დარჩილული უნდა იყოს რკალის ზემო ნაწილის შუა, უფართოეს არეზე. ირგვლივ მას კვლავ მკვიდროდ მიჯარილი გავარისი შემოუკვება. გავარისის ასეთივე რკალი

არტეია გარემო კოლოფის ზედა ნაპირს. კოლოფს კედლები შეუვლი აქვს და არა შიგნითვე დაქანებული, როგორც ამ სამარსთა ბუჭების უმრავლესობას. ეს კედლები სიმაღლეზე დაფოთლიან ოთხი საკმაოდ სქელი ტისრით, რომელთა შორის თავის დროს ჩანს მელი ეოფლა მოღურჯო მინისაგან ჩამოსხმული წერილი გრესილი. ეს უკანასკნელი მთლიანად შემორჩენილია მხოლოდ ორ დანაუფში, სოლო ნაწილობრივ—მასაშემი. კოლოფის ზედაპირზე, მცირედ შემადლებულ, მოგრმო-ოვალურ ბუღში ზის ალმანდინის ამოხურული გლვეი თვლი.

როგორც ვხედავთ, ეს ბუჭები წარმოადგენს განსაკუთრებით რთული და ფაქიზი ოქრომკვლეური ხელოვნების ნაწარმოებს. არმაზისცივის ბუჭებთა შორის იგი ერთი უმძვენიერესთაგანია. მისი შემკულობის ორი ერთნაირი დეტალი—ლეღვის ფოთლის მსგავსი, საბურცოფანი თვლები—ძლიერ მოგვაგონებს ამავე სამარსის ბრტყელ სამაჯურთა დეტალებს, მესტრამეტე სამარსის ბრტყელ საუურეთა (ჩე. აღწ. № 216) რგოლებზე ღარილულ დეტალებს და აგრეთვე ერისთავთა განსასვენებლის მე-6 სამარსის საუურეთა (ჩე. აღწ. № 97) ფირუსის თვლებს.

ბუჭის სიმაღლე 2,4 სმ უდრის; რკალის დიამეტრი—1,8—2,1 სმ, რკალის ქვედა ნაწილის სიგანე—0,15—0,50 სმ (სხვაობა გარემოსასულობის ტალღებრიობის შედეგად), სისქე—0,2 სმ, რკალის ზედა ბოლოების უდიდესი სიგანე—0,9 სმ, სისქე—0,3 სმ; მთავარი თვალბუღის კოლოფის სიგრძე—1,6 სმ, სიგანე—1,2 სმ, უდიდესი სიმაღლე (თვლიდან)—0,7 სმ; თვლის სიმაღლე—0,3 სმ. ბუჭი 6,65 გრამს იწონის.

237. რკინის ლურსმნები და მათი ნატეხები (საე. წიგნ. № 663). მიმოხეული იყო სამარსის იატაკზე, უმთავრესად—ჩონჩხებს ირგვლივ. მიოვლად შემორჩენილია მხოლოდ სამი ცალი. აღწერეთ ერთ-ერთ მათგანს. იგი დაფარულია და მეორადი წარმონაქმის სორკლები და პრილა ქვეტი გადაურკავს. მისი ღერო წარმოადგენს ვიწროსა და მაღალს, თანდათანობით წაწვეტებულ ოთსწახნაგოვან პირამიდას, რომლის სიმაღლე 5,5 სმ უდრის, სოლო უდიდესი სიმახსო (თავის ძირში)—0,8 სმ. განიკვეთი კვარატული აქვს. ლურსმნის თავი წარმოადგენს ბრტყელ, რამდენადმე შემომრგვალებულ ოთხკუთხოვან კოხს, რომლის სიმაღლე 0,5 სმ უდრის, სოლო სიგანე—1—1,2 სმ. ლურსმნის წვერი 4 სმ სიმაღლეზე დაფარულია გარემოცანებული სის ნაშთების ძლიერ თხელი ფენით.

მეორე ლურსმანი სრულიად ისეთივე ზომისა და მოკვანლობისაა, ოღონდ წვერი აქვს გაღუნული. სის ნაშთები (გაცილებით უფრო დიდი ფენა—ზოგან 1,8 სმ სიგანე და 0,8 სმ სისქე) ამ ლურსმნის ღეროს ზედა ნაწილში პერჩენია, 2 სმ სიმაღლეზე. სეს კარგად ეტეობა ბოჭკოები.

მესამე ლურსმანს, ძლიერ მოღუნულს, კიდევ უფრო მეტი სე აქვს მერჩენილი. მისი თავი მთლიანად ჩამალული სემი. სის ნაპირის სიგანე 6,0 სმ აღწევს, სისქე—1,7 სმ. მას თითქმის სრულიად არ გადასდებია კანცის ფერი და, მიუხედავად გამოფიტვისა, მისი ბოჭკოები ისე ცოცხლად

გამოიურება, რომ თვალდათვალად შეიძლება მუხის მერჩენის გამოცნობა. იმ ფიცრის სისქე, რომელშიც ეს ლურსმანი უოფილა ჩარჭობილი, 2,3 სანტიმეტრზე ნაკლები არ იქნებოდა. ამ სამ მთელ ლურსმანს თან ასლავს სხვადასხვა ზომის 8 ნატეხი—იმეგარივე და, ჩანს, იმოდენავე ლურსმნებისა.

238. სის ნაშთები (საე. წიგნ. № 668). რკინის ლურსმანთა ვანგით გაქვნილი 4 ნატეხია. სამარსიდან ამოღებული მწიდან გამოიკრა.

239. რკინის ლურსმნები (საე. წიგნ. № 667), 4 ცალი, მოკავებულნი და ჩაქანგული. აღმოჩნდა სამარსის ასდამდე, სასურავის ჩრდილო კალთის აღმოსავლეთ განაპირს, მიწაში.

ასეთია მე-40 სამარსის ინვენტარი. ლურსმნებს თუ არ ჩათვლით, იგი წარმოდგენილია სამკაულითა და ერთი საუგაროსის მსგავსი მილაკით, სულ 13 ოქროს ნივთით და რკინის რამდენიმე მკვილდსაკინით.

ორკალთიანი სასურავი და თითქოს ინვენტარის შემადგენლობაც ქალის სამარსს გვაგულისხმებინებს. ამას ხელს არც ის გარემოება შეუძლიდა, რომ აქ აღმოჩენილია ორი დიდი ბუჭები, რომელთაგან ერთის თვალზე მამაკაცია გამოსატული. ერისთავთა განსასვენებლის ქალთა სამარსებში გვაქვს 2 ასეთივე შემთხვევა: ჩაფსურციანი მამაკაცის ჰორტრეტი მეორე სამარსის ბუჭის გემძაზე და წარწერა „ხევახი“ შეეჭეხე სამარსის ბუჭის ქვაზე.

მაგრამ ის გარემოება, რომ ზოგი აქაური ბუჭის თვალზე გამოხატულ მამაკაცსაც აქვს საურე (ჩაფსურციანი კაცი მე-8 სამარსის ერთ-ერთი ბუჭის თვალზე და წვერულვაშიანი კაცი მე-40 სამარსის ერთ-ერთი ბუჭის თვალზე), სოლო, მაგ., ბერსუმა ერისთავის სამარსის ინვენტარში ოქროს საურეებიც გამოურევა, საფუძველს გვაძლევს შესაძლებლად მივიჩნიოთ, რომ მე-40 სამარსში დაკრძალულთაგან ერთ-ერთი მამაკაცი უოფილა. მცხეთის უფრო ადრინდელ სამაროვნებში (სამთავრო, დ. მცხეთა, არმაზისცივის ერისთავთა სამაროვანი) შემჩნეული წესი—ქალის სამარსისათვის ორკალთიანი სასურავის გაკეთება—დროთა განმავლობაში შეიძლება და შესუსტებულიყო, მით უმეტეს, რომ თანდათან, სწორედ IV ს. შემდეგ გრცელდებოდა კოლექტორი, საოჯახო სამარსები. შეგვიძლია ეფიქტოთ, რომ ასეთ შემთხვევებში სამარსს ორკალთიანი სასურავს უკუებდნენ, თუ პირველად ქალი დაიკრძალვოდა.

ორ მ ო ც და მ ე რ თ ე ს ა მ ა რ ს ი

გაიხსნა 1914 წლის 9 ივნისს. ჩადგმული იყო მე-40 სამარსის სამხრეთით, მისგან 2 მ მანძილზე, იმავე ორმობუქობის არეში, მიწის ზედაპირიდან 1,3 მ სიღრმეზე. ისინი არ იყო ერთიმეორის ზუსტად პარალელური: 41-ე სამარსი ჩრდილო-დასავლეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთისაკენ იყო დახრებული. მმარცხეულს იგი საკმაოდ აუცვრიათ, მაგრამ მაინც გამოიჩინებოდა, რომ თავის დროზე სამარსს ორფერად სასურავი უნდა ჰქონოდა: დასავლეთის კედელი სუთუთხოვანი მოკვანილობისა იყო, როგორც

საერთოდ ორფერდასახურავიან სამარსთა განივი კედლებია ხოლმე. ასეთივე უოფილა აღმოსავლეთის კედელი, მაგრამ მპარცეკვლებს მისთვის ზედა ნაწილი მოუტეხიათ. დასავლეთ მხარეზე შემორჩენილი იყო სახურავის როგორც სამხრეთი, ისე ჩრდილო ფერდის ფილაქვათა ნაწილები. სახურავის დანარჩენი ნაწილი, დამტვრეული და დაქუცმაცებული, შიგნით სამარსშივე ეყარა. სამარსის დასავლეთი ნაწილი მებოლილი იყო, ხოლო იქვე, შირს, ნაგრისა და ნასშირის საკმაოდ სქელი ფენა აღმოჩნდა. საფიქრებელია, რომ აქ ცეცხლი მპარცეკვლებს დაუნთიათ.

სამარსი მიწით იყო სავსე (ტაბ. CI, 1). მიწის ზედა და შუა ფენებში აღმოჩნდა რამდენიმე თანამედროვე ნივთი (მაგ., თისის ფაბრიკული ჩიბუხი და სხვ.).

არმაზისევის შესართავთან გათხრილი რამდენიმე ათეული ქვისსამარხი მკვეთრად გამოირჩევა ერისთავთა სამარხებისაგან და შემოგანხილული IV ს. მდიდრული სამარხებისაგან და გვიანდელ მასობრივ სამარხებს ეკუთვნის (იხ. მესუთე თავი). მაგრამ 1943—46 წლებში აქა-იქ თავი იჩინა ისეთმა სამარხებმა, რომელნიც მხოლოდ ავტუბუსებით და ინვენტარის სიმჭირით სწუდება ერისთავთა სამარხებს, თორემ ინვენტარის საერთო იერით იმავედროული ჩანს.

ეს სამარხები გვსვდება გათხრილი ფართობის სამსრეთ-დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში—იქ, სადაც იმ დროისათვის არავითარი ნაგებობა არაა სავარაუდებელი. ამ ჯგუფს შეადგენს 2 კრამიტსამარხი (№№ 2 და 3) და 2 ქვისსამარხი (№№ 87 და 88). ანალოგიური და იმავედროული კრამიტსამარხები გათხრილია მცხეთის სადგურთანაც (ტაბ. CVII, 2, 3).

მოკროს ექსკავაციის მოკვანილობა ჰქონდა და არა სწორკუთხედიანი (ტაბ. CVII, 5). სასურავი უწესრიგოდ ნამტკერულ-ნაწოლილი იყო და, ჩანს, ორფერდა ეყოილა, ხის ნივთებზე დაურგნობილი. მის აგებულებაში ბრტყელი ფილაქებიც მონაწილეობდა.

კრამიტსამარხის სიგრძე 2,5 მ უდრიდა, სიგანე—1,0 მ, სიმაღლე—0,6 მ.


მიცვალებული ესვენა უშუალოდ მოტყანილ მიწაზე. თავი დასავლეთისაკენ ჰქონდა. მარჯვენა მკერდზე იწვა, ფეხებმოკეცილი. ასეთი ზომა შედარებით იშვიათია კრამიტსამარხებისათვის და სამთავროში უფრო I საუკუნეში გვსვდება [39]. ხელები წინ ჰქონდა გამკვერილი. ქვადავებს 'ხედვით მოვარდისფერად გამოიწვარი თიხის ორი სეკადა: ა) მოზრდილი, სადა და ბ) მოცრო, კოპებანი, სამტკუაზირიანი, წსლკურიანი (საუ. წიგნ. №№ 5:12 და 5:13).

ნიდავეს გარდვიგარდმო ედო რკინის ჰატარა და ნისპირი, ეუსწიანი (№ 537). ნიკაპთან ევარა მიინსებრი ჰასტის 34 მძივი, ბურთულთან-მიღაიციები და ექსწახსხაგედი (№ 535). მენკას უკან ეგლო ბრინჯაოს ჰატარა აბზინდა (№ 531), ხოლო ბუქს ქვემ—რკინის 3 ბეჭდის ნატეხები (ან 536). ერთ ამოგანს თვალი აღარ შეჩინა, მეორეს უხის სარდინის ჰაწია ბრტყელ-ოვალური თვალი, რომელზედაც ამოაწრულია მარტივი, სქემატური გამოსახულება—ცხრაფეხა სოკო; მენამეს აქვს ასეთივე, უფრო მოზრდილი თვალი, რომელზედაც ასევე ამოაწრულია ჰურის ორი თავთუიანი დეროს გამოსახულება (ინვენტარი იხ. ტაბ. CVIII, ზედა ნახევარი).

ინვენტარის შემადგენლობითაც და თითოეული ნივთის ტიპოლოგიითაც ეს სამარხი შეადიწვევით მოგვაგონებს სამთავროში საკმაოდ მრავლად გათხრილი კრამიტსამარხების არამდიდრულ ჯგუფს [39]. ამ მხრივ განსაკუთრებით მტკველია: წვრილი კოპების კონცენტრული სარტყლებით შემკული და სამტკუაზირიანი ხედავს; რკინის დანისპირი; მინა-ჰასტის მძივეები; აბზინდა; სარდინის ტეშმანი რკინის ბეჭდები. ამიტომ ამ სამარხის ხნოვანება შეეკამდნა განესაზღვროთ I—III საუკუნეებით, ხოლო თუ მიცვალებულის რამდენადმე არქაულ ჰოზის გაუითვალისწინებთ, ეგებ, უფრო ამ ჰერიოდის პირველი ნახევარი ვიკულისსმით. კერძოდ, აბზინდა, რომელიც მდინან ჰკავს აგრეთვე ასპარუტ ერისთავის სამარხში აღმოჩენილი დიადემის ოქროს ორ აბზინდას (ჩვ. აღწ. № 4 დ, ე) და ვერცხლის აბ-

მეორე კრამიტსამარხი¹

აღმოჩნდა 1943 წელს, ასპარუტის სამარხის სამსრეთ-სამსრეთ-დასავლეთით, მისგან 23 მ მანძილზე, მიწის ზედაპირიდან 1,3 მ სიღრმეზე. იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო დამსრობილი. მისი დასავლეთი ბოლო მოქცეული იყო გვიანდელი, ნატეხი ქვითა და თიხით ნაშენი ნაგებობის მერიდიანულად დამსრობილი კედლის ქვეშ (მისგან 0,3 მ სიღრმეზე), ხოლო აღმოსავლეთ ბოლოსთან ასლოს იყო კუთხე აგრეთვე გვიანდელი ნაგებობისა, რომელიც დიდრონი, თლილი (ჩანს, მეორედ გამოყენებული) ქვებისაგან შედგებოდა. კრამიტსამარხი, რა თქმა უნდა, ორივე ნაგებობაზე უფრო ძველი ჩანს. იგი აგებული იყო, ჩვეულებისამებრ, შეუვლად დადგმული ბრტყელი, გვერდობაგეცილი კრამიტებისა და მათ ნაწიბურებზე გარედან მოდგმული ღარიბები კრამიტებისაგან. სამთავროს კრამიტსამარხსაგან განსხვავებით, ამ სამარხს



სურ. 90

¹ კრამიტსამარხები ცალკე ინოშრება. პირველი ნომერი მიეკუთვნა 1940 წელს გათხრილ კრამიტის მეორე ნაგებობას, რომელიც აღმოჩნდა ასპარუტის სამარხის დასავლეთით, 1,0 მ მანძილზე, მისი სახურავის დონეზე. მისი ზედაპირიდან 0,3 მ სიღრმეზე, იგი მოწოვობილი იყო ქვითკირის ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში (ტაბ. XXXV, 2; სურ. 90—92) და დამსრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ზომით (0,9 × 0,45 × 0,55 მ) ბავშვის სამარხს მოგვაგონებდა, მაგრამ აღმოსავლეთი კედელი და სახურავი აღარა ჰქონდა. მიწით იყო საუკე და არც ძალსა და არც არავითარ ნივთს არ შეიცავდა.

ზინდებს (სვ. აღწ. № 20), ეს პატარა ნივთი ანგარიშგასაწევე ურთიერთობას ამაყრებს განხილულ კრამიტსამარხსა და ერისთავთა სამარხებს შორის და, თავის მხრივ, გვიდასტურებს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს კრამიტსამარხის სწოვანების შესახებ.

მესამე კრამიტსამარხი


აღმოჩნდა 1916 წელს, ასპარევის სამარხის ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 54 მ მანძილზე, 87-ე ქვისსამარხთან ერთად (იხ. ქვემოთ), მიწის ზედაპირიდან 0,7 მ სიღრმეზე. დაშორებული იყო სამსრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთ-დასავლეთისაკენ. სასურავის ახდამდე მიწის სიღრმე 1,53 მ უდრიდა, უღიღესი განი—0,98 მ, ხოლო სიმაღლე (რაც გარედან ჩანდა)—0,55 მ. შიდა სიღრმე 1,4 მ უდრიდა, განი—0,78 მ, სიმაღლე—0,42 მ. თავზე ესურა სამი ფილაქვა, სხვადასხვა ზომისა და საკმაოდ უსწორმასწოროდ მოჭრილი. რამდენიმე ასეთი, ქვისსასურავიანი კრამიტსამარხი გათხრილია სამთავროშიც [39]. შუაბანა ფილაქვა ჩატეხილი და მიცე ნაწოლილი იყო. სამარხი თითქმის სავსე იყო მიწით (ტაბ. CVI, 3). სასურავის ახდის შემდეგ გამოირკვა,

რომ აღმოსავლეთ განივ კვადრულ ფილაქვა წარმოადგენდა. ამ კვადრულ მიწში სამი რივის ქვა ჰქონდა მიდებული, გასამარგულად. დანარჩენი კვადრები მხოლოდ ბრტყელი, გვერდებშეკეცილი კრამიტებით იყო აგებული და იქ ღარისებრი სულ არ გამოეყენებინათ. ამ მხრივ ეს სამარხი გამოჩნდა წარმოადგენდა. სამსრეთის გრძივი კვადრი შედგებოდა 3, ვიწრო ბოლოთი მიწში ჩასობილი კრამიტისგან; დასავლეთის, განივი კვადრი—ორი, ერთი მეორის ნაწილობრივ მფარავი კრამიტისგან, ხოლო ჩრდილოეთის, გრძივი კვადრი—კვადრე სამისგან (ოღონდ აქ, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, კრამიტებს შორის ბრტყელი ფილაქვის ნატეხიც იყო ჩატეხილი). ქვის სასურავის სიმიშის გამო უოველი კრამიტის ზემო ნაწილი ნაგებობობლად და საკმაოდ უსწორმასწოროდ გადაზნექილიყო კარეთიკენ.

კრამიტთა აუციელი ნაპირები დასავლეთ კვადრულ მიწით ჰქონდა მიქცეული, ხოლო გრძივი კვადრებს — გარეთ. სამსრეთი კვადრის შუა კრამიტს უკან მიზანყნილი ჰქონდა ბრტყელი ფილაქვა, რომელიც მეორე მხრივ ქვევრის ნატეხარს ებჯინებოდა. როგორც ვსედავთ, ამ კრამიტსამარხს თავისებურად, უწესრიგოდ აღნაგობა ჰქონდა; იგი საკმაოდ დაუდგურად ეოფილა ამეწებული (ტაბ. CVI, 4; CVII, 1).


სამარხში დაკრძალული მიცვალებული დაესვენებინათ მოტკეპნილ მიწას, თავით დასავლეთისაკენ, მუსლებმოსრი-

ლი. სხვაფრივ ვერც ჩაეტეოდა ამ შედარებით მოკლე და ვიწრო სამარხში სრულწლოვანი ადამიანის გვაში (მისი ბარბაქუსი მელის სიგრძე 43 სმ უდრიდა). მალეების მდებარეობის მიხედვით საფიქრებელია, რომ ზედატანი თითქმის სულ გულაღმა დებულა, ხოლო ქვედატანი—მარცხენა გვერდზე. მარჯვენა მკლავი ნიდაეში მლიერ მოხრილი და ნებთი მსარ-ნიკაბთან მიტანილი ეგირა, მარცხენა კი ნიდაეში ტანს გასწვრივ გაჭიმული, ხოლო შემდეგ — მოხრილი და თემოზე გადადებული. თავი პირველად აღბათ პირაღმა ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ქალა მარცხნივ გადაქანებულია და ქვედა ებას დასცილებია. მუსლები ერთი მეორეზე ედო, ოღონდ ისინი სხვადასხვა კუთხით მოდუნული და ამიტომ რამდენადმე დაცილებული იყო. ზოგ მალსა და სხვა წვრილ მკლავს ადგილი ეცვალა, მაგრამ საერთოდ კი ჩონჩხი აურეველიც იყო და რიგინად შენასულიც (ტაბ. CVI, 4; CVII, 1).



სურ. 91

ინვენტარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა. თავს უკან, სამარხის სამსრეთ-დასავლეთ კუჭულში გადაწვნილი იდგა ღია-მოყვარდისფრო თიხის პატარა ხელადა (სვ. წიგნ. № 1231; ტაბ. CIX, 15), რომელსაც მრგვალი ტანი, უერთან მებრტყელებული პირი და კვლს ირგვლივ შემოყოლებული წიბო აქვს. ჩრდილო-დასავლეთ კუჭულში წაქცეული ეგდო (თავის დროზე კი აღბათ თავს მარცხნივ, ე. ი. ჩრდილოეთით ედგა მიცვალებულს) ღია-მოყვითალო (მცხეთის ძველი კერამიკისათვის უჩვეულო ფერის) თიხის მოზრდილი ხელადა (№ 1230; ტაბ. CIX, 7), რომელსაც აქვს პირს ზემოთ შემადლებული, მოსდენილი უერი, სამტუნა პირი, მაღალი ქუსლი და მუცელზე კი — შეეული ღარები, „კანელურები“. ევლის მირს ირგვლივ შემოუყვება წვრილი ირიბი ჭდეების ორი წრე. უერზე დამერწილია დაკლავნილი გველის გამო-სახულება. მიცვალებულს მარჯვენა იემოზე, გარდვიგარდმო, პირით ჩრდილოეთისაკენ ედო



სურ. 92

რკინის მოზრდილი ცული, რომელსაც ბრტყელი, თანდათან გაგანვირებული პირი და ოვალური, დაბრტყელებული ეუა აქვს (სვ. წიგნ. № 1232; ტაბ. CVIII, ქვემოთ, მარჯვნივ). სამსრეთი კვადრის მიწში, ნიდაეთან ეგდო ბრინჯაოს პატარა აბსინდა, რომელსაც თითქმის წიწვიანი რგოლი და წვეტიანი ინსარტი აქვს (სვ. წიგნ. № 1233; ტაბ. CVIII, ქვემოთ). თავს აქეთ-იქით აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი საეურე (სვ. წიგნ. № 1234; ტაბ. CVIII). თითოეული მათგანი წარმოადგენს პირგასნილ ოვალურ

რგოლს, რომელსაც ქვემოთ ოთხწახსაკოვანი ჰირომიდის მოკუ-
ნილობა აქვს. ევლ-შეკრდის არეში მოიკრიბა 90-იანე მძავე:
10 მინისებრი ჰასტისა, წერილი და მრგვალი (სავ.
წიგნ. № 1236; ტაბ. CVIII, ქვ. მუა), ხოლო 60 შიფლი და 26
ნატესი გიპრისა—მოსრდილი, წესიერად დაჭრილი, დაბა-
ლი ტოლი ცილინდრები (სავ. წიგნ. № 1237; ტაბ. CVIII, ქვ.
მარცხ.). დასასრულ, ნიკაპს ქვეშ აღმოჩნდა გერცსლის ფუ-
ლი—აგუსტეს დენარი (სავ. წიგნ. № 1235; ტაბ. CVIII).
მედილება იგი თავის დროზე კბილებში ჰქონდა მიცვალე-
ბულს გარჩილი, ისევე როგორც სხირად ჰქონათ სამთავ-
როს ქვეყრსამარსებში და კამბიტსამარსებში და აგრეთვე
საქართველოს სხვა ადგილებში თუ საქართველოს გარეშე
გაოსრილი სამარსებები დაკარგულთ.

ამ ინვენტარიდან, უპირველეს ეოვლისა, მონეტა იქ-
ცვეს ეურადღებანს. იგი ერთადერთია სამარსთა ამ ჯგუფის
ინვენტარში და ამდენად მის შემცველ სამარსს თითქმის
საერთოდ დამთარილებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მეორე
მხრივ, ეს, როგორც ზემოთაც გვითქვამს, სწორედ ისეთი
მონეტაა, რომლის გავრცელება, მცხეთის ექსპედიციის მას-
ლების მიხედვით, მოიცავს ხანას I საუკუნიდან ვიდრე IV
საუკუნემდე. ასე მაგალითად, არმაზისსეკვასევი ერისთავთა
სამარსებში ისინი II და III საუკუნეთა აურეუსებთან ერთად
გვხვდება. როგორც ვიცით, განათქმულია მოსაზრება, რომ
საქართველოში ნაპოვნი ამ დენარების დიდი ნაწილი ჩვენ-
ში უნდა იყოს მოჭრილი, ადგილობრივი მოთხოვნილების
დასაკმაყოფილებლად [302]. ასე რომ აგუსტეს დენარები
ეოვლთაგის ზუსტად ვერ დათარიღებს მათ შემცველ მე-
ღებს.

კრამიტსამარსში აღმოჩენილი თისის 2 ჭურჭლის სა-
ხით ხელთა გვაქვს მონეტით ზოგადად მაინც დათარიღე-
ბული პირველი ნიშნები გვიანანტიკური წითელი კერა-
მიკისა არმაზისსეკვთან. ისინი არსებითი ნიშნებით ემსგავსე-
ბა სამთავროს I—III სს. სამარსებში მრავლად აღმოჩენილ
თისის ჭურჭელს და ამითაც მკიდრად აკავშირებს სამთავროს
სამაროვნის ადნითადე ფენას არმაზისსეკვის სამაროვნის სა-
თანადო ფენასთან.

სამარსში ესოდენ მცირერიცხოვანი და მეტწილად წით-
ლად გამომწვარი ჭურჭლის ჩატანება, რაც მკვეთრად განა-
სსჯავებს ამდროინდელ ინვენტარს ძველი, ბრინჯაო-რკინის
ხანის ორმოსამარსთა ინვენტარისაგან (რომელშიც მრავალ-
რიცხოვანი, მავ-ლეგა კერამიკა), მცხეთაში ძველი წელთ-
ადრისების სულ მიწურულში, II—I საუკუნეებში იწყება
(პირველად სამთავროს ქვეყრსამარსებში გვხვდება) და ახ. წ.
IV საუკუნემდე გრძელდება (მხოლოდ მდიდრულ სამარსებში
არ გვხვდება იგი, სადაც ლითონის ჭურჭელია). მას შემ-
დეგ ჭურჭლეულები მინის მცირე სანელანსებლებში სხირ-
დება, ხოლო კერამიკა თითქმის სრულიად ისრება.

მესამე კრამიტსამარსში აღმოჩენილი ორი ჭურჭელი
ერთიმეორისაგან საგრძობლად განსხვავდება: № 1231 წარ-
მოადგენს სრულიად ჩვეულებრივი, სამთავროშიც გავრცელე-
ბული ტიპის, დაბალსა და მუცელგანიერ სელადას [39; 5],
ხოლო № 1230 სწორედ სრულიად უჩვეულოა, მცხეთაში
მისი მსგავსი თისის ჭურჭელი ვერ არსად შეგვეპყდრია

და პირველი დანახვისთანავე იგი მოგვაგონებს უფრო ლი-
თონის — გერცსლისა თუ ბრინჯაოს — წერწეკა საღვინე
სურებს („ენობობს“), რომელნიც ჩვენთვის ცნობილია:
ერისთავთა №№ 1, 6 და 7 სამარსებში (ის. ზემოთ), სამ-
თავროს სამხრეთი უბნის მდიდრულ, №№ 212 და 214
სამარსებში [39] და აგრეთვე ნიშნისის სამარსში [13, გვ.
63]. განსაკუთრებით ჰგავს იგი ერისთავთა სამარსებში აღმო-
ჩენილთ (ჩვ. აღწ. №№ 17, 18, 122, 123, 172, 173; ტაბ.
XLII, LXXI, LXXXIV და სურ. 12, 39, 56). მსგავსება
უმატურესად ტანის მსილიებერ მოყვანილობაში, ქუსლ-
ში, ტირანს ჰირომ და პირზე უფრო მაღლა შეპართულ
ეურში გამოხატება. ჩვენს სელად განსხვავდება აღნიშნულ-
ლი სურებისაგან იმით, რომ შექცელზე მას საკმაოდ დრმა,
ძველი „ქანელურები“ დაუკება, ხოლო ეურზე, პირს ახ-
ლო, დაქურწილი აქვს კლახინილი გველის გამოხსნულება,
რომლის დანიშნულებაც უნდა უყოფლიყო ჭურჭელში ჩას-
ხმული სიასის „ადგავა ავი სულისგან“¹.

დასაშვებად მიგვაჩნია აზრი, რომ ამ ხელადის საერსო
ფორმაც, შეტისმეტად მაღალი ქუსლიცა და ასეთივე, მოხ-
დნილად შეპართული ეურიც ნაკარხხვეია ლითონის პრო-
ტოტიპებით — სურებით, რომელნიც, როგორც ზემოთაც
დავინახეთ, გავრცელებული ეყოფილა იმ დროის მცხეთასა
და მის მიდამოებში და რომელსა მიზანმიხედვით უნდა იყოს
გაკეთებული ეს ჭურჭელი². თანაც იგი აურეუსებთან ეუვლად
გამოიყურება, ვინაიდან ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ
კრამიკაში მსგავსი ფორმები არსად გვევლდება.

ბრინჯაოს წვეილი საეურეც, მოყვანილობით თუ დამ-
ზადების ტექნიკით, ზუსტი ახლია ბერსებუ ერისთავის სა-
მარსში და ბაუკეთს № 9 სამარსში ნაპოვნი ოქროს საეუ-
რებისა (ჩვ. აღწ. №№ 58, 176; ტაბ. LII, 1; LXXXVII, 2),
მხოლოდ ზომამა მცირეოდენი განსხვავება.


როგორც ვიცით, ამგვარი, ოქროს საეურეები აღმოჩე-
ნილია სამთავროშიც: 1936 წელს სამხრეთ უბანზე გაოსრილ
29-ე აგურკრამიტსამარსში (სავ. წიგნ. № 210) და 53-ე
აგურსამარსში (სავ. წიგნ. № 152); 1939 წელს იქვე გა-
ოსრილ „A“ ქვისსამარსში (სავ. წიგნ. № 769). ეველა ეს
სამარსი უფრო ახ. წ. II—III საუკუნეთა მიჯანს განეკუთ-
ნება [301]. ერთი წვეილი ასეთივე საეურე, ოდონდ ვერ-
ცსლისა, თრიალეთშიცაა აღმოჩენილი [92, სურ. 27, 7].
იქ მას „რომაული დროით“ დათარიღებენ.

¹ გველის, როგორც მფარველი ცხოველის, კელტის გაღმონამოები
თითქმის ბოლო ხანამდე შემონახა სანეთში—„მეზორის“ კელტის სახით.
არქეოლოგიურ მასალებში საერთოდ და საქართველოში ძალიან
შროია გველის გამოხატულება ჭურჭლებზე. მაგ.: თრიალეთის დიდი მობა-
ტული დერეი [92, ტაბ. LXXVI]; ბაქურციხის თიხის ხელადა [199];
ქვასათაღში აღმოჩენილი ერთი ჭურჭელი, გვიანი ბრინჯაოს ხანისა [247];
ნაყარგორის ჭურჭელი. იმავე დროისა [336, გვ. 258]; ბუშაბუნის ჭურჭე-
ლი, გვიანი ბრინჯაოს ხანისა [92, სურ. 82; ტაბ. LI, 2]; სამაროვნის „ო-
რსართლიანი“ ჭურჭელი, ადრინდელი რკინის ხანისა (ჩრდ. უბნ. № 2370,
1939 წ.) და სხვ.

² ასეთი მიზანების საინტერესო ანალოგის წარმოადგენს რომელ
სიძველეთა შორის აღნიშნული ერთი შემთხვევა: მაგონცას მუზეუმში დაპული
თიხის ხელადა, რომელიც რომელიც ლითონის სურის იმეტაციად ითვლება
[403, გვ. 83—84, სურ. 2].

ეტუბა, ას. წ. I—III საუკუნეები ამგვარი საურეები გავრცელებული ვიქნებოდა საქართველოში და საკუთრივ მცხეთაში—როგორც უმაღლეს, ისე საშუალო და დაბალ ფენებში: ვისაც ოქროს შემენის სახსარი არა ჰქონდა, დასაჯერებია ვერცხლის ან ბრინჯაოსაგან გაკეთებულს, მაგრამ სწორედ იმგვარსავე.

სამარხში ცულის ჩატანებაც სრულიად განსაკუთრებული შემთხვევაა. ქვევრსამარხების დროიდან, ე. ი. მე. წ. II—I საუკუნეებიდან დაწყებული, მცხეთის არამდირულ სამარხებში იარაღისა თუ სელსაწუხის ჩატანების წესი აშკარად გადავარჯნილი ჩანს¹ (გამონაკლისს შეადგენს ერისთავთა სამარხები, სადაც იარაღი ინსიგნიებს წარმოადგენს) და ერთადერთი, რაც ამ კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს (აღნიშნულსა და ყველა მომდევნო საუკუნის სამარხებში), არის რკინის მომცრო ჯაჭვები. რაც უკვესაღი დიდროსს, ნამდვილ იარაღსა თუ სელსაწუხებს და მით უმეტეს ცულს, მათ სვენ აქ



სურ. 93

სრულიად აღარ ვსვლებით. ეს კრამიტსამარხი ქალის სამარხის მთაბეჭდილებას სტოვებს და მიცვალებულის თემოზე დაღებული ცული, მით უმეტეს, წმინდა რიტუალურ ნივთად უნდა მივიჩნიოთ. ბრინჯაოს აბზინდა შეიძლება მიგვიითებდეს, რომ ძლიერ ვიწრო (1,8 სმ სიგანე) სარტყელი ჰქონია მიცვალებულს. ეს აბზინდა ფესვმდლისა არ უნდა იყოს, რადგან, ჯერ ერთი, ცალია და, მეორეც, წელის არემია ნაპოვნია, ნიდავთან.

მიივები არ შეიცავს რაიმე არაჩვეულებრივს, ე. ი. ისეთს, რაც საშუაროს იმავდროულ სამარხებში ხშირი არ იყოს. საინტერესოა, რომ აქ მრავალადა გიშრის მხივები, რომელთაც სრულიად ვერ ვხედავთ ერისთავთა სამარხებში. ეს ერთი იმ ფაქტობაგანი უნდა იყოს, რომლებიც მველ საქართველოში გიშრის ფართო გავრცელებულობას მოასწავებენ.

¹ აუდ. ს. ჯანაშია აღნიშნულ ვარემობას იმას უკავშირებს, რომ შემოპი მოწინამოქმენი თანდათან შევიღობიან მოქალაქეებად იქნენ [13, გვ. 63].

ის გარემობაც, რომ გრძივი კედლებიც თორთრი ფილაქვისაგან შედგებოდა და სახურავიც. სამარხის შიდა სიგრძე-სიგანე-სიღრმე 0,7 x 0,35 x 0,4 მ უდრიდა, კედელ-სახურავის ფილაქვათა საშუალო სისქე—0,05—0,06 მ. სამარხში იყო დაასლოებით 5 წლის ბავშვის ჩონჩხი, თავით დასავლეთისაკენ, გულადამ, გამოტვით მდებარე. ბავშვის ყელ-კისრის არეში აღმოჩნდა ღია ყვითელი ჰასტის მომცრო (ორი თუ სამი სხვადასხვა ზომის), მომრგვალო მხივები, 40-ოდე ცალი, ზოგი ნატეხი (სავ. წიგნ. № 1241). მკერდს ჩრდილოეთით, სამარხის ჩრდილო კედლის შემებ, მის შირში, პირით აღმოსავლეთისაკენ წაწოლილი იყო ხელადა ღია-მოკარდისფროდ გამოშვარი თიხისა, უერთან ჰირშებრტყელებული, ყელს ირგვლივ წიბოიანი (სავ. წიგნ. № 1240). ამგვარი ყელ-პირი საკმაოდ

¹ 85-ე. აგრეთვე ბავშვის ქვისსამარხი ინვენტარს არ შეიცავდა და მხოლოდ მდებარეობის მიხედვით, პირობით, შეიძლება ამავე ჯგუფს მიეკუთვნოს (მას სულ 2—3 მტრი აპორებს ქვემოთ განიხილულ სამარხებს).

გავრცელებულია, მაგრამ არ არის გაბატონებული არამხის-
ხევის ძველი კულტურული ფენის კერამიკაში (იხ. ქვემოთ,
თავი მეშვიდე).

ო ს მ ო ც და მ ე რ ვ ე ქ ე ის ნ ა მ ა რ ს ი

აღმოჩნდა 1946 წელს ასპარეგის სამარხის ჩრდილო-
დასავლეთით, მისგან 56 მ მანძილზე (ტაბ. CVI, 1). ჩად-
გმული იყო მე-3 კრამიტსამარხის პარალელურად, აღმოსავ-
ლეთიდან დასავლეთისაკენ, მის ჩრდილოეთით, 2,2 მ მან-
ძილზე. გაგრძელდა სამარხის უდიდესი სიგრძე უდრიდა 1,7
მეტრს, უდიდესი განივი—0,95 მ, სოლო უდიდესი სიმაღლე—
0,68 მ. სასურავად თავის დროზე, ჩვეულებისამებრ, 3 ფი-
ლაქვა ეწებებოდა, მაგრამ გათხრისას სასურავი უკვე უსწორ-
მასწორად დანაწევრებული და საკმაოდ აძლილი აღმოჩნდა.
ორივე გრძედი კედელი შედგენილი იყო ორ-ორი, დას-
ვლეთით ტოლი ფილაქვისაგან, რაც აქ იმეათ მოვლენას
წარმოადგენს და მანამდე მსოფლიო ერთიანად სამარხებში
იყო შენაშენული (1-ლი და მე-2 ქვისამარხები). დასავლეთ
განივ კედელს სუთკუსედის მოყვანილობა ჰქონდა, ოღონდ
იგი წვერით სამხრეთისაკენ და არა ზემოთკენ იდგა, რაც
საერთოდ ორფერდასასურავიან სამარხებს სჭირდებათ და
აქეთ სოლზე, სოლო აქ კი უადგილოდ უნდა ჩაითვალოს,
მაგრამ შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. სამარხის შემად-
გენელი კველა ფილა გამოკრილია ნაცისიფერი, ფიქვებ-
რივი ქვიშაქვისაგან. კედლებს ნარიბანდები არ ჰქონდა.
თითქმის უოველ კუსეში იყო ფარდიატები, რომელნიც
არც წვრილი ქვებით შევსით და არც კირით ამოვლესათ,
როგორც სხვა, გვიანდელ სამარხებშია სოლზე. ასე რომ
სამარხი დაუდევრად ყოფილა ნაკები.

მაღალი თავისებური გამოადგა სამარხის მინაგანი აგე-
ბულებაც. მის აღმოსავლეთ ბოლოში, განივი კედლიდან
0,35 მ მანძილზე, ზუსტად მის პარალელურად და შეუვლად
ჩადგმული (და არა შემთხვევითი ჩაჯარნილი) იყო ფილაქვა,
რომელსაც სამარხის თითქმის მთელი მინაგნე ეკავა. სამხ-
რეთ კედელსა და მას შორის 0,03 მ მანძილი იყო დარჩე-
ნილი, სოლო ჩრდილო კედელსა და მას შორის ორი მოზრ-
დილი ქვა იყო ჩაჭვდილი, ალბათ გასამარებლად (ტაბ.
CVI, 2). ამრიგად, სამარხს შიგნით შექმნილი იყო მცირე
საკანი, რომლის სიგრძე ჩრდ.-სამხრეთის მიმართულებით
უდრიდა 0,84 მ, სიგანე—0,35 მ.

სამარხში ორი ჩონჩხი აღმოჩნდა. ჩრდილოეთით და
უფრო დაბალ დონეზე მდებარე ჩონჩხი სრული იყო. იგი
მარცხენა გვერდზე ესვენა, ფესვებმოკვეცილი; მარცხენა ხელი
ტანს გასწვრივ ჰქონდა გაჭიმული, სოლო მარჯვენა—ნი-
დაკეში თითქმის სწორი კუთხით მოღუნული და ტანზე გა-
დადებული, ისე რომ ნები დასავლეთით მუცლის არეზე
ედო. თავი ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იდო, სახით ჩრდი-
ლოეთისაკენ. სამხრეთით მდებარე ჩონჩხი ნაკლებიც იყო
(თავი არსად ჩანდა) და მღიერ არეულ-დარეულიც (ძვლე-
ბი სხვადასხვა ფენაში და უადგილო ადგილას გვხვდებოდა).

ამ ანომალიის ასწავ ასე შეიძლება: წესიერად მდებარე
ჩონჩხი ეკუთვნის უფრო გვიანი დროის მიცვალებულს,

რომლის დამარხვის დროს რატომღაც გადაუტინრავთ სა-
მარხის შიდა სივრცე და, ჩვეულებისამებრ, მიუხედავად
და აურევიათ ადრე დამარხული ჩონჩხი, ისე რომ ამ უკა-
ნასწავლისა მსოფლიო ცალი ტერფის ძვლები და ფლანგები
დარჩენილა წუობისადა, ტიხარს აღმოსავლეთით. იმის გამო,
რომ გადატინრავს სამარხის სიგრძე შეუმცირებია, ახლად
დამარხულიც ტვაში ფესვებში მოუკვდა.

ინვენტარი აღმოაჩნდა წესიერად მდებარესა და,
მამასადაშე, უფრო ახალ ჩონჩხს. მარცხენა ბარძაყის ძვალს
ჩრდილოეთით, მასა და ჩრდილო კედელს შორის, ჰირით
სამხრეთ-დასავლეთისაკენ ეგვო ღია-ავერისფრად გამოშვარი
თისის ორიურა ხედადა, რომელსაც ტანი მსსლინებრი
აქვს; კელი საკმაოდ დაბალი და ირგვლივწობიანი, სოლო
ეურებსზე—საითოდ დარული მრგვალ-ბრტყელი „მქვე-
ბი“ აქვს (საე. წიგნ. № 1295; ტაბ. CIX, 13). მარცხენა,
გამართული ხელის ნიჯაქზე შეიფებული, მასა და ჩრდილო
კედელს შორის, ჰირით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ეგვო იმა-
ვე ფენის თისის პატარა, ცაღეურა ხედადა, რომელ-
საც აგრეთვე ირგვლივწობიანი კელი აქვს (საე. წიგნ.
№ 1296; ტაბ. CIX, 11).

ამვე სამარხის ინვენტარს უნდა მიეკუთვნოს, მის
ახლადვე, მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე ნაპოვნი
(სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუსესზე მიდგმული) ო-
რიურა ხედადა (საე. წიგნ. № 1291; ტაბ. CIX, 12),
არეთვე ღია-ავერისფრად გამოშვარი თისისა, მუცელ-
განხერი, განხერად პირგამოკეცილი, კელაბალი და მცირე
ფოსოების 3 პარალელური მჭერივით მქვეული (მუცელს
ირგვლივ, ეურებს შორის).

როგორც არ უნდა წარმოვიდგინათ ამ სამარხში აღმო-
ჩენილი ორი ნესტის ქრონოლოგიური ურთიერთობა და
მისი აღნაგობის თავისებურების მიზეზი, ის მაინც აშკარაა,
რომ ინვენტარი I—III საუკუნეთა სამარხებისათვის დამას-
სიათებელი ტიპისაა. ამიტომ ვგებ საიქვე ჭურჭელი ქვედა
მიცვალებულს ეკუთვნოდეს და, მამასადაშე, ზედა მიცვალებუ-
ლისათვის ორი მათგანი ჩაუტანებიათ სწორედ მკვლ სამარხ-
ში მათი აღმოჩენის შემდეგ.

როგორც ვხედავთ, საკმაო საფუძველი გვაქვს საიმი-
სოდ, რომ აღწერილი 4 სამარხი ერთმეთორეს დაუკავში-
როთ და ერთობლივ განვიხილოთ. ის გარემოება, რომ ზო-
გი კრამიტითა ნაგები და ზოგი ფილაქვით, ვერ გათი-
მავს ამ სამარხებს, კინიდან ინვენტარი მათ დიდად ახლავ-
ებს ერთიმეთორისთან და, ამასთანავე, სამარხთა ეს ტიპები
2—3 საუკუნის მანძილზე თანაარსებობენ სამთავროში.

ვერ ვიტყვით, რომ ეს ჯგუფი ჩვენ მიერ გათხრილი
4 სამარხით ამოიწერებოდა. ამ, დასავლეთი განაპირა ზო-
ლის თხრა 1946 წელს ვერ კიდეც ვერ დასრულდა. რომ
შეიძლებოდა კიდევ ყოფილიყო ამ ჯგუფის კუთვნილი სა-
მარხები, ამას გვაფიქრებინებენ 1946 წელს მტკვრის ფლატე-
ზე, № 3 კრამიტსამარხს ჩრდილოეთით, გაასწვრივ, მის-
გან 15-ოდე მეტრ მანძილზე შემჩნეული, ჩამოღობ-ჩამტყრე-
ული კრამიტების გროვა, რომელშიც გვერდებმეკვლიც
გამოერჩეოდა და ღარისებურიც. შეიძლება დავუშვათ, რომ

იმ ადგილასაც მდგარა თავის დროზე—როდესაც ფლავტე გაცილებით უფრო შორს იწეებოდა—კრამიტსამარხი, რომელიც შემდეგ, მიწის ჩაშვავების გამო, დანგრეულა და ჩამოიღია.

როგორც ამ სამარხთა მდებარეობისა და ინვენტარის განსილვა გვჩვენებს, მათში დაკრძალულნი არა მხოლოდ თანამედროვენი უოფილან არამაზისხევის შესართავთან მოსასულე ერისთავებისა, არამედ აგრეთვე მათთან რამდენიმე დაკავშირებული, ღარიბი და ალბათ დაქვემდებარებული ადამიანებიც.

თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, საესებით გასაკები გახდება ნიუთიერ ბეგლებში მკაფიოდ გამოხატული პარალელურიზმიც: უფრო იაფფასიანი მასალისაგან, მაგრამ ერისთავთა სამკაულ-ჭურჭლის მიბაძვით გაკეთებული სამკაულ-

ჭურჭელი, აგგუსტეს დენარი და სხვ. ამთგან ზოგი რამ შეიძლება ერისთავთა თუ მათ მეუღლე-ასულთა მიერ ნაბოძებიც კი იუოს და შემდეგ სამარხშიაც თანჩაყოლილი.

დასასრულ, კიდევ ერთი შენიშვნა: რაც არ უნდა ღარიბული იუოს ჩვენ მიერ განხილული სამარხები, არც ერთ მათგანს არ ახასიათებს თუნდაც სუფ მცირე რამ ნანგრევის, ან ერთხელ უკვე გამოყენებული ქვის ხელახლა გამოყენება. ეს ასეც უნდა იუოს, ვინაიდან ისინი დასლოებით თანამედროვენი არიან აქაური უმველესი ნაკებობებისა.

რაც შეეხება კრამიტს, მისი წუაროს საკითხი აქაც ჯერ ისევე გასარკვევია, როგორც სამთაგროში. საფიქრებელია, რომ იგი საერთოდ, ასე ვთქვათ, „სამშენებლო ფონდიდან“ მოდიოდა სამარხების ასაკებად და საგანგებოდ სასაფლაო-სათვის არ უნდა ეწარმოებინათ.



გვანდელი სამაროვანი

ამ სამაროვანს ეკუთვნის 1937 — 1938 წლებში გათხრილი ვეველა ქვისსამარხი, 1940 წელს გათხრილი მე-4 ქვისსამარხი და, ნაწილობრივ, აგრეთვე მე-8 ქვისსამარხი (იგულისხმება ამ უკანასკნელის მეორადი გამოყენება), 1941 — 1944 წლებში გათხრილი ქვისსამარხები (ზემოთ განხილული №№ 11—15, 19, 40 — 43, 48, 49-ის გარდა) და 1945 — 1946 წლებში გათხრილი ქვისსამარხები (ზემოთ განხილული №№ 86, 87 და 88-ის გარდა).

ეს სამარხები, რამდენიმე არსებითი მომენტის გამო, ვერ მოექცევა მეგლითა იმავე კომპლექსში, რომელშიც ვაერთიანეთ ზღურბლიან ნაგებობას, აბანოს, ერისთავთა სასაფლაოსა და მასთან დაკავშირებულ ქეთიკირის ნაგებობას, ასეთსავე ქეთიკირის ერთსენაიან ნაგებობას გათხრილი უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში და IV საუკუნის კუთვნილ მდიდრულ სამარხებს.

ქვემოთ, ინვენტარის განსილვისას დაერწმუნდებით, რომ აქ საქმე გვაქვს საშუალო და დაბალი სოციალური ფენის მასობრივ სასაფლაოსთან, რომელშიც ზოგადად გამოვრევა შედარებით შეძლებულთა სამარხებიც (მაგ., 1938 წ. გათხრილი სამ. №№ 4 და 12; 1941 წ. და შემდეგ გათხრილი სამ. №№ 16, 23, 24, 26, 79, 82, 84). ამასთანავე, ეს სამარხები ზოგადად მკიდროდა თავმოურილი, სძირადა მგელ ნანგრევთა შორის განლაგებული და ბევრ შემთხვევაში მათ სამენ მასალასა და ავების წესში მოჭირნეობა აშკარად იჩენს თავს (მგელი მასალის მეორადი გამოყენება, ხელის აღება დიდრონ მილიან ფილაქვებსე).

ამ ჯგუფის სამარხთა შორის, როგორც აღნიშნული გვაქვს, საკმაოდ ხშირია კოლექტიური, საოჯახო სამარხები. ასეთია, მაგალითად, ზემოთ მითითებული მე-16 ქვისსამარხი, რომელშიაც, მიუხედავად იმისა, რომ მგელი აშკარად არეული იყო (მდრ. ტაბ. XCIV, 4), სამი მიცვალებულის ჩონჩხი მაინც კარგად გამოირჩეოდა (სურ. 94).

ეტუობა, ეს მასობრივი სასაფლაო მგელი დიდკაცური რეზიდენციის ნანგრევებსე აღმოცენებულა, გაცილებით უფრო გვიან, საფიქრებელია, IV საუკუნის მდიდრულ სამარხთა ჯგუფს შემდგომ, რომელიც, როგორც დავინახეთ, მტრ-

ნაკლებად უკავშირდება ერისთავთა კომპლექსს, ხოლო გაცილებით ნაკლებ — ამკამად განსახილველ სამარხებს.

ამ უკანასკნელთა შორის ვხედავთ VIII—IX საუკუნეთა სამარხებსაც. ეს გარემოება ჯერ კიდევ ე. თაუაიძევილმა აღნიშნა — 1902 წელს მის მიერ ნაუსადენის მშენებლობის ადგილას გათხრილი, ამ სამარხთა ინვენტარის ძლიერ მსგავსი ინვენტარის შემცველი სამარხების შესახებ [1], ხოლო 1938 წელს არმაზისხევის სამარხების მიმართაც აღინიშნა [4].

ქვემოთ ზოგადად აღვწერთ და დავახასიათებთ ამ მასობრივ სამაროვანს (ამ ჯგუფის სამარხთა სურათები საკმაოდ მრავალადა წარმოდგენილი ტაბულებზე: XCV, 1, 3; CXII—CXIV და სხვ.).

როგორც ვიცით, ექსპედიციის მიერ არმაზისხევისან გათხრილი 144 სამარხიდან 131 ქვისსამარხია. ამთგან ერისთავთა სასაფლაოზე 9 მოდის, იმავედროული ღარიბული სამარხი 3 არის, IV საუკუნის მდიდრული სამარხი — 13. დანარჩენი 106 მიეკუთვნება მასობრივ სამაროვანს. აქედან პირითად უბანზე 1937 წელს აღმოჩნდა 11, 1938 წელს — 23, 1940 წელს — 1, 1941 წელს — 16, 1942 წელს — 1, 1943 წელს — 5, 1944 წელს — 21 და 1945 წელს — 15. რკინიგზის ლიანდაგს გადაღმა, „ტუის უბანზე“ 1938 წელს გაითხრა 6 ქვისსამარხი (სურ. 98), ხოლო 1946 წელს — კიდევ 6 (სურ. 99).

ერთი შესედეით ეს ქვისსამარხები თითქოს საკმაოდ მიმოფანტულია, მაგრამ დაკვირვებისას ადვილად შეიძლება, რომ ისინი უმთავრესად თავმოურილია „ზღურბლიანი ნაკეობისა“ და აბანოს ნანგრევთა შორის (42 სამარხი) და ჰირველის აღმოსავლეთი სენაკის ნანგრევში (10 სამარხი); მცირე ჯგუფი გესვდება ამ უბანს ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით; ოთხი სამარხი ჩადგმულია გვიანდელ ორსენაკიან ნაგებობაში; ათი სამარხი ამ ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთითა და მჭირივებული. განცალკევებით დგას „ტუის უბნის“ 12 მკიდროდ შეკრუული ქვისსამარხი, რომლებიც მდებარეობენ სვეს გლმა, მის მარცხენა ნაპირას (ძირითადი უბანი კი მარჯვენაზე). განსაკუთრებით მკიდროდა თავმოურილი ეს სამარხები ზღურბლიან ნაგებობას და აბანოს შორის (იხ. საერთო გეგმა).

ამ სამარხთა ასეთი განლაგების გამო, მათ შორის გამოირჩეულს, მრავალრიცხოვანი ინვენტარისა და ოქროს თითო-ოროლა (ზოგჯერ თითქმის უფრო ძველებური იერის) ნივთის შემცველ სამარხებს ჩვენ ამ ჯგუფს არ გამოვრები და უფრო ადრინდელ სამარხთა ჯგუფში არ გადაგვაქვს, მით უმეტეს, რომ ერთი მათგანი (№ 82) ზღურბლიანი ნაგებობის ნანგრევებია ჩადგმული, სოლო მეორე — „ტუის უბანზეა“ გათხრილი (იმ უბნის № 11).

გვიანდელი სამარხი არც ერთ შემთხვევაში არაა ადრინდელთან ისე ახლოს ჩადგმული, რომ ჩადგმისას დაუზიანებინოთ ეს უბანსაწვლადი. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა მერმინდელ ნაგებობათა კედლებს გადავლიათ ამ სამარხთა სასურავებზედაც, ძველ ნაგებობათა ნანგრევებზე თუ მათ შორის მერმინდელ სამარხთა მოწყობისა და თან საამისოდ ძველი ნანგრევები მასალის გამოყენების ფაქტები სათითაოდ გვაქვს აღნუსხული ქვემოთ, ნაგებობათა აღწერისას (ის. თავი მეექვსე).


გვიანდელ სამარხთა აგებისას თითქმის სრულიად არ გამოუყენებიათ არც ერისთავთა სასაფლაოს ფართობი და არც მისი მახლობელი ადგილები და, პირიქით, უსვად გამოუყენებიათ იმდროინდელ ნაგებობათა ნანგრევები. ამ გვიანდელი, არამდინდელი სამარხების აგებულების, საშენი მასალისა და, უოველივე ამის მიხედვით, მათი კლასიფიკაციის საკითხები უკვე გარკვეული გვაქვს ზემოთ (მესამე თავში). აქ გავისხებთ, რომ ამ ჯგუფში წარმოდგენილია ყველაზე უფრო დაუდევრად, ხშირად სულ გაუთვლიელი ფილებისაგან ნაგები სამარხები და მხოლოდ აქა სამარხები, რომელთა გრძივი კედლები ნატეხი ქვითა და თიხითა ამოკვანილი (ტაბ. XCIII, 6; XCV, 3; CXII, 2, 6).

ორიოდ სიტყვა დამარხვის წესის შესახებ. ეველა ეს სამარხი აღმოსავლეთიდან დასავლეთით (აქა-იქ მცირე გადახრით) არის დამსრობილი. მიცვალებულებიც მათში, სვეულებრივ, თავით დასავლეთისაკენ დაუსვენებიათ. აგრეთვე წესად შეიძლება ჩათვალოს ამ უკანასკნელთა გულაღმა, ხელაწამებებითა და გამოტეხი წოლა, მაგრამ, არცთუ თანაობად, ჩონჩხების სიმრავლისა და სამარხში შექმნილი ეფირობის გამო, ბევრი მათგანის პირვანდელი განლაგება დარღვეულია და ამიტომ მსჯელობაც მწელდება. ამრიგად, დამარხვის წესი ამ სამარხში თითქმის არ განსხვავდება ერისთავთა და IV საუკუნის მდი-

რულ სამარხებში დამოწმებული წესისაგან, რადონდ აქ უკვე სრულიად აღარ გვხვდება ძველი წესის გადმონაშთი—მიცვალებულის გვერდზე და მოკუნტებით დაწვენა.

ეს ქვისსამარხები უმეტესწილად კოლექტიურ, საოჯახო სამარხებს წარმოადგენს. ასეთი რამ ერისთავთა სამარხებში სრულიად არ შეგვხვდება და მხოლოდ IV საუკუნიდან იწყებს გავრცელებას არმაზისწყის სამარხანზე.

სამარხში ჩონჩხების რაოდენობა ზოგჯერ 9-მდე აღის და უფრო ხშირად კი 2—3 გვხვდება. საოჯახო სამარხთა სისძიერი უნდა მიუწეროს, ერთი მხრით, ნათესავთა ერთად დაკრძალვისადმი მიდრეკილებას და, მეორე მხრით, სელმოკლეთობასაც—მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი მკაფიოდ გამოსჭვივის აგრეთვე ინვენტარის რაგვარობაში. აქ კიდევ უფრო თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ „მიუსვებიან“ სოლმე უკან კედელთან ან კუთხეში ადრე დამარხულთა ძეგლები, რათა ახალი ცხედრისათვის ადგილი დაეცალათ. თავისთავად იგულისხმება, რომ როდესაც ერთს და იმავე სამარხში არა ერთოჯახის მარხვანზე მიცვალებულებს, საამისოდ სასურავის ასდა და დასურვა უხდებოდათ სოლმე. რაც შეეხება ინვენტარს, უპირველეს ეოვლისა, უნდა ითქვას, რომ სამარხთა თითქმის 1/3 მეტ-ნაკლებად გამარცხვად დაგვხვდა და, ცხადია, ნაკლებ ინვენტარს შეიცავდა. აგრეთვე დაასლოებით 1/3 შეადგენდა (35) ისეთი სამარხები, რომლებშიც იმთავითვე არაუთარი ნივთი არ ეოფილა ჩატანებული. ასე რომ აქც სამარხოვნის მხოლოდ გარკვეულ ნაწილშია წარმოდგენილი მერმინდელი, მუაფეოდალური სანის ქრისტიანული სამარხებისათვის თითქმის დამახასიათებელი ნიშანი—სრული უინვენტარობა, რის შვეკრმეტყველ მაგალითს გვიჩვენებს სამთავროს უახლესი ქვისსამარხების ერთი ნაწილი [ის. 40] და რუსთავში 1944, 1946 და 1949 წელს გა-



სურ. 94

თხრილი ქვისსამარხების მნიშვნელოვანი ნაწილი [303; 304]. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ სამარხებში (ტუის უბნის სამარხთა ჩათვლით) ინვენტარი არც მცირე რიცხოვანია და არცთუ მთლად ერთგვაროვანი, მიუსვდავად იმისა, რომ თითქმის მხოლოდ სამკაულის ლითონის ნაწილებითა და მინის ჭურჭლითაა წარმოდგენილი (შუთი ტიპიური კომპლექსი ის. ტაბ. CXVI—CXVII). თითო-ოროლა რკინის დანისპირიცაა. ჰატიოსან თვლებსა და მვირფას ლითონს აქა-იქ თუ გვხვდებით; ვერცხლიც

კი იშვიათია, ხოლო ოქრო სულ თითებზე ჩამოთვლებდა (რა თქმა უნდა, გაბარცულ სამარხებში მეტი იქნებოდა).

სამკაულთა შორის გაბატონებულია: ღეროვანი და მშვილდერი საკინებები, ბუგდები, სუურეები, სამაჯურები, ახსინდები და მძივები.

სხვადასხვაგვარი მოყვანილობის საკინებები გვიანდელი სამარხების 37 სამარხში აღმოჩნდა. ისინი გაკეთებულია სპილენძის, ბრინჯაოს და რკინისაგან. სულ 162 საკინებია: 99 სპილენძისა თუ ბრინჯაოსა¹ და 63 რკინისა. ღეროს მოყვანილობით უფრო დახსლოებით მსგავსია; თავი კი ზოგს იმავე ლითონისაგან აქვს გამოყვანილი (ბრინჯაოს საკინებებს — თანამოსმული), ხოლო ზოგს — სხვა რამ ნივთიერებისაგან გაკეთებული და ღეროზე მეტ-ნაკლებად მჭიდროდ წამოცმული. საკინებთა სიგრძე 5,5-დან 17,0 სმ-მდე ადის, ხოლო სამკაულად 10—13 სმ უდრის.

ბრინჯაოსთავიან ბრინჯაოს საკინებთა რიცხვი 47 უდრის. ამთიგან ზოგი თავბურთულაა, ზოგს ბრტყელი სამკეთოვანი თავი აქვს, ზოგს მრგვალ-ბრტყელი, ოთხწახნაგოვანი, დაფანჯრული ჰრიზმის სასისა, კონუსური, ჰირამიდულ-გუმბათისებრი, კუბური, ორსვეული და ა. შ. ამ ჯგუფიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: ორ-ეურთხაიანი, ბრტყელი, თევზისფერად დაკეცილი საკინები (სა. წიგნ. № 980, 71-ე ქვისსამარხი); საკინებები, რომელთა ერთი ბოლო ნამდვილ შუბისძირს მოგვგვარებს, ხოლო მეორე—პაწია კოვსს (სა. წიგნ. № 1567—1570—1571, ტუის უბნის მე-12 ქვისსამარხი; ტაბ. CXVII, 32, 33), რის გამოც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ნივთი ეურსარიჩის ფუნქციასაც ასრულებდა; საკინებები, რომელთა თავი თითქოს ორფერდასხურავიანი შენობის მოდელს გამოსატავს (მაგ., სა. წიგნ. № 1567, იგივე სამარხი); საკინები, რომლის თავიც მტრედს გამოხატავს (სა. წიგნ. № 305, მე-16 ქვისსამარხი) და სხვ.


ბრინჯაოს დანარჩენ 52 საკინმს თავი

გაკეთებული აქვს სხვადასხვა მასალისაგან: სარდიონისა (5), აქატისა (1), ქალცედონისა (1), ლაქვარდისა (2), სხვადასხვაფერი ჰასტისა (10 — მათ შორის 1 ოქროსბუდიანი და 1 ოქროსვარდულიანი), მარგალიტისა (4), მარჯანისა (24), წითელი გრანატისა (3 — ერთი ოქროსვარდულიანი და ორიც ოქროსბუდიანი) და სხვ.

ამ საკინებთა თავებს მოყვანილობაც ნაირ-ნაირი აქვთ: წახსნაგოვანი, ცილინოვანი, ბურთულა, ყვავილისებრი და ა. შ. მარჯანისა და ლაქვარდისაგან გაკეთებული თავები, ისევე როგორც სამთავრობი, თითქმის ყოველთვის გამოხატავს ბროზულის ოდნავ გამოხლდილ ყვავილს (ერთ შემთხვევაში — ქვისსამარხი № 17, სა. წიგნ. № 376 — საკინმს ორი ასეთი „ყვავილი“ აქვს თავად, აქეთ-იქით). გამონაკლისს

¹ აქაც და სხვაგანაც „ბრინჯაოს“ პირობით ვაშობთ, რადგან შესაძლოა, სულაც სპილენძთან გვეზოდეს საქმე.

შეადგენს ერთი ცილინდრული ლაქვარდი და ბურთულა მარჯანი. მარჯანს იშვიათად აქვს მერყინილი სიწითლე; იგი ან ღია-ვარდისფერად, ან სულაც თეთრად გახსნებულ მიწაში დებისაგან, ისე რომ ზოგჯერ ამ მასალას მსოლოდ სტრუქტურის იმავედით თუ გამოვიცნობთ. ერთი ასეთი საკინების თავი იმავედითვე გახსნებულ და ბრინჯაოს მომსხრომავთულის გარემოშიც კი გაუმარჯანიათ. მაგარი და გამპირავლე თუ გაუმპირავლე ქვის (სარდიონის, გრანატის, ქალცედონის, აქატის) თავები მეტწილად მოწახსნაგებულა. საქმაოდ ხშირად საკინების თავებს (უფრო — მარჯანისს) ზემოდან და ქვემოდან, ან მსოლოდ ერთი მხრიდან, ამკობს ბრინჯაოს ბურთულაგან ვარდულევი ანუ გვირგვინები, რაც სამთავროს საკინებისთვისაც ძლიერ დამასანათებელია. ოქროს ასეთი ვარდულები 5 საკინმსა აქვს და ისინი სამ შემთხვევაში დაკავშირებულია გრანატის (ე. ი. აქ უმეირავსისი მინერალის) თავებთან. მათ შემცველ სამარხებში ოქრო-ვერცხლის ოთხთ-ორთლა



სურ. 95

სხვა სამკაულიც გვსვდება და ინვენტარის საერთოდ უფრო მრავალფეროვანია. ცალკე აღსანიშნავია ერთი წურიდი საკინები (სა. წიგნ. № 312, 86-ე ქვისსამარხი), რომელსაც თავში ოთხი ჰორიზონტული, სიმეტრიულად დაწყობილი, ორად ღუნეული მტო აქვს გამოყვებული, ხოლო ამ უკანასკნელთა წვერებზე და აგრეთვე ზემოდან ბრინჯაოს ვარდულები და ზედ შომცრო მარგალიტებია წამოცმული. არის სხვა ვარიანტებიც: მაგ., ბრინჯაოს „უჯარი“, რომლის სამ ქალაგს თითო სარდიონი და მარგალიტი, ან მარგალიტი და ბრინჯაოს ვარდული ამჟღავნებს (სა. წიგნ. № 413, 439; ქვისსამარხები № 21, 23).

დაახლოებით ასეთსავე სურათს ვხვდებით რკინის საკინებში, თუმცა იმ განსხვავებით, რომ იქ საკინების თავთა შესახებ მსჯელობა მსოლოდ მაშინ შეგვიძლია, როცა ისინი სხვა მასალისაგანაც გაკეთებული, თორემ რკინისავე თავი ძალიან იშვიათად ჩანს გარ-

კვევით და მსოლოდ ორ ასეთ საკინმზე ითქმის, რომ ისინი თამბრეული უფოდა. ჰასტისთავიანი რკინის საკინები 5 ცალი გვაქვს, მარჯანისთავიანი („ბროზულის ყვავილი“, მეტწილად ბრინჯაოს ვარდულებით დამუკუნებული) — 10 ც., გრანატისთავიანი — 2 ც. (ერთს ბრინჯაოს ვარდული აქვს), ლაქვარდისთავიანი — 2 ც. (ერთი „ბროზულის ყვავილი“, მეორე — ბურთულა, ბრინჯაოს ვარდულიანი), მალაქიტისთავიანი — 2 ც. (ბურთულა), მინისთავიანი — 2 ც., სარდინისთავიანი — 6 ც. (ორი წახსნაგოვანი და ოთხიც შინდის მარცვლისებრი, სიმაღლეზე დაღარული), ვერცხლისვარდულიანი — 1 ც.


მაშასადამე, აქაც, ისევე როგორც სამთავროს იმავედროულსა და იმავე ტიპის ქვისსამარხებში, საკინებთა თავებისათვის (თუ კი ისინი ბრინჯაოსივე არაა) უმთავრესად იყენებდნენ: მარჯანს, სარდიონს, ჰასტისა და მარგალიტს. უფ-

რო იშვიათია გრანატი; თითო-ორიოლა შემოსხვევაში კვავქს ლაკვარდი, მალაქიტი, აქტი, ქალცედონი და შინა. დიდ როლს თამაშობს ბრინჯაოს ბურთულოვანი გარდულები.

ეს მინერალური თუ არამინერალური მასალა ფრიად გავრცელებულია საერთოდ მცხეთის გვიანდელ სამარხთა ინვენტარში და შეიძლება ითქვას, რომ იგი მოსახლეობის საშუალო და დაბალი ფენებისათვისაც მისაწვდომი ეოფილა. ოღონდ რომ იგი არცთუ უოველთვის ადვილად საშობარი იქნებოდა, ამახს კვანძებს სუნდაც ზემოთ სახეცა-მული ფაქტი: შეკეთებული მარჯანის თავი.

სამთავროს საკინძებთან ტიპოლოგიური იგივეობა იმის მომხარვეებელია, რომ ეველა ეს საკინძი ერთსა და იმავე სახელწოდებით, ალბათ, სადმე ცესეთაშიც, უნდა იყოს ნაკეთები—დიდი ღროის მანძილზე.

დასასრულ, ჩვენ ხელთ მყოფი მასალის დაკვირვებით განხილვა კიდევ ერთხელ უკვლევს, რომ „საკინძი“ ამ სახეებისათვის საკმაოდ პრობითი, ზოგადი სახელწოდება და სმირად მხოლოდ იმგვანად თუ იქნება გამოთვლებული, რამდენადაც თავსაბურავის დასახევე საკინძს ვიგულისხმებთ. ისინი მეტწილად თავის არეში, უფრო ზუსტად, მისი ოფენ-ღაც თმინი ნაწილის ირგვლივად ნაბოინი და ეს, რა თქმა უნდა, თმამი, თავბაღში თუ სხვა თავსაბურავში, მაგ., ქართულ „თავსურასა“, „თავსაკრავსა“ თუ „ჩისტო-კოპში“, ჩასარკობს საკინძებს უფრო გვაფიქრებინებს¹. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 1946 წელს ტეის უბანში გათხრილ მე-12 ქვისსამარხს, რომელშიც აღმოჩნდა 9 საკინძი. ამოტან 8 შუაში მდებარე ქალის თავს ირგვლივ იყო მიმოხრებული, უმთავრესად თავს უკან, წვერებით თავისაკენ ან ლოუებისკენ, ხოლო მეცხრე—სრდილოეთით მდებარე თავისქალას ედრ მარცხნივ. მათ შორის ორს (№№ 1560, 1561) ოქროსჩარჩოვანი გრანატის თვლები ჰქონდა თავებად, ორი (№№ 1570, 1571) ილარის ანუ ურსაჩიქნისა და „შუბისპირის“ კომბინაციას წარმოადგენდა, ერთს (№ 1567) ბრინჯაოს „სახლისმგვარი“ თავი ჰქონდა, ორს (№№ 1568, 1569)—ბრინჯაოს ბურთულოვან გვირგვინებს შორის მოქცეული მარჯანის თავები, ერთს (№ 1554)—ბრინჯაოშიც კუბური, ოთხივე მხრივ ჩახრეტილი თავი, ხოლო ერთსაც (№ 1556)—დაბალკონუსური თავი. ეველა ამ საკინძის, თავთან ასლოს აღმოჩენის გარდა, ის დაკვირვებაცა სახეცა-სასმელი, რომ აღნიშნულ სამარხში შემთხვევით შემორჩენილი, ქალის თმის ერთ-ერთ ბლუჯას მისი ადუბისას აპკარად ეტეობოდა საკმაოდ დიდი, ნაპირგაშფენებული ნახვრეტი. უკვლეულია, რომ ეს ნახვრეტი ერთ-ერთი საკინძის ნაკვალეუვა, ასე რომ აქც და ბეერ სხვა შემთხვევაშიც უფრო შესაფერისი იქნებოდა ტერმინი „ქინძისთავი“.



სურ. 96

აღრიცხულ მშვიდ და საკინძთა რაოდენობა 76 უდრის. ამოტან 16 ბრინჯაოსია, 37 რკინისა, 20 ბრინჯაო-რკინისა და 3 ვერცხლისა. უფრო სწორად, გვაქვს ვერცხლის ერთი მშვილდსაკინძი (არმაზისხევისათვის პირველი) და ორივე ასეთი საკინძის ვერცხლის სახსარი, რომელთა შორის ერთი მარგალიტებითა და მშვენიერული. ბრინჯაო-რკინის მშვილდური საკინძები საერთოდ თითქმის არა ნაკლებად ვაერცვლებული მცხეთის სამარხებში, ვიდრე წმინდა რკინისა. ერთი გამონაკლისის გარდა, რკინისა უოველთვის ენა, ხოლო ბრინჯაოსი—მშვილდი. ეს განსაკვირვება: სიმაგრე და წვეტის მკურელობა მოეთხოვება სწორედ ენას, რომელიც, იმავე დროს, არა ჩანს ხოლმე (როდესაც მშვილდსაკინძი დაბნეული ტანისამოსზე); მშვილდს კი, პირიქით, ასეთი სიმაგრე არ სჭირია, მაგრამ, სამკვიფროდ, იგი გამოსაჩენია და, მაშასადამე, უფრო ღამაზი ლითონისა უნდა იყოს. ორ-სამ შემთხვევაში ბრინჯაო მხოლოდ სახსრის განსაკუთრებულად გამოყენებული.

მშვილდსაკინძთა შორის ათიოდე აპკარად პატარა და ზოგჯერ მაწიაც კი არის (სიგრძე 3,1—4,1 სმ, სიმაღლე 1,0—1,8 სმ). უფრო მოზრდილთა სიგრძე საშუალოდ 4,5—5,5 სმ, ხოლო სიმაღლე 1,7—2,5 სმ უდრის. მშვილდსაკინძთა შესახებ სმირად შეიძლება ითქვას, რომ ისინი კონტა და მოსდენილია, განსაკუთრებით ვერცხლისა. გავრცელებულია ე. წ. „არბალეტური ფიბულა“—ტიპი, რომელიც ას. წ. IV

საუკუნეზე უფრო აღრინდელ ხანას ვერ მიეკუთვნება. ძლიერაა გავრცელებული ე. წ. ლატნის ტიპის ზამბარაქიანი ფიბულები, რამდენადაც სახეცვლილი. აღსანიშნავია, რომ ისინი თითქმის შეუმკობელია.

ეველა მშვილდური საკინძი, რა თქმა უნდა, სამწიფი-ლედი. უურადღედას იქცევეს, გარდა მშვილდის ზომა-მოუკან-ნილობისა, სხვადასხვაობა აკრთევე სახსრისა და ენის წვერის მოსათავსებელი ბუდის აკელებუბაში. სახსრის განივი ღერძის ორივე ბოლო ბრინჯაოს, ვერცხლის, ან მარგალიტის ბურთულებითაა გამაგრებულ და მშვენიერული. ენის წვერის მოსათავსებლად მშვილდს სმირად ჰკინტი-ბუერად აწეული და ბურთულივე დაკვირგვინებული ბუდე აქვს.

საერთოდ აქური მშვილდური საკინძებიც დიდ ტიპოლოგიურ ერთგვარობას და სამთავროულთან ძლიერ მსგავსებას იჩენს. განსაკუთრებით უნდა გავცავს სახი ერთ გარკო-მებას: ზემოთ განხილული ორივე ვაკუფი საშუალისა—საკინძ-ქინძისთავებდა და მშვილდსაკინძებიც—სრულად არ ცკხვდება ერთსთავთა სამარხების ინვენტარში; მშვილდსაკინძები (და ისიც სულ სხვა ტიპისა) არმაზისხევის სამაროვანზე პირველად ჩნდება IV საუკუნის სამარხებში, ხოლო საკინძები—უფრო გვიან. ზოგადად ამგვარივე სურათი ჩანს სამთავროს სამაროვანზედაც.

¹ ასეთი მოსაზრება გამოთქმული აქვს განსვ. პროფ. ე. თაყაი-შვილს [1, გვ. 85].

ლითონის სამკაულის შემდეგ საუურადღებო ჯგუფს შეადგენს საითე ბეჭდები. აღრიცხული 65 ბეჭდიდან 33 ბრინჯაოსია, 14 რკინისა, 7 ვერცხლისა (ერთი საეკგოა), 3 ოქროსი და ერთი ექატისა, მთლიანად გამოთლილი. 21 ბეჭედი იმთავითვე უსოფლო უოფლია. მათგან მხოლოდ სამსა აქვს დაბრტყელებული ფრაკია, მაგრამ ზედ არავითარი გამოსახულება არაა. დანარჩენთაგან სავაოდ ბეჭერს თვალის დაკარგვია, ხოლო ზოგს—თვალისა და თვალბუდეც. შემორჩენილ თვალთა შორის 8 ჰასტისა, 4 მინისა, 2 ლავვარდისა, 3 სარდიონისა, 1 წითელი გრანატისა და სხვ.

ამ ბეჭდების სხვადასხვაგვარ თვლებზე ამოკვეთილი გემები ე გამოხატავს: ავაზის, რაშის, ირემს, მწოლარე ირემს, კურდღელს, ვახსეს, ფსკუნჯას, ზებუს (?), დასეს, ბოლოებ-განმტოვებულ ჯვარისებრ ნიშანს და ა. შ.

ბეჭდები მოყვანილობით მრგვალი ან ოვალურია; მათი თვალბუდეები—მრგვალი, ოვალური ან რიბმული. ასეთივეა ფარაკებიც. ბეჭდების დიამეტრი 1,7—2,7 სმ უდრის. მიუხედავად სხვადასხვაობისა, მოყვანილობით ეკვლა ეს ბეჭედი განსხვავდება როგორც ერთსავეთა სამარსების, ისე IV საუკუნის იმ ბეჭდებისაგან, რომელთაც შემადლებული, კოლოფისებრი თვალბუდე ახასიათებს (იხ. ზემოთ). მათ შორის გაერცვლებული თანაბრად წერილი, მრგვალგანრივევითიანი რკალი და მასში კასწორე ჩაჩრილული (და არა ზემოდან მღიერ შემადლებით დაჩრილული) თვალბუდე. გამოირჩევა ბეჭდების ერთი ტიპი, რომელსაც ახასიათებს თვალბუდის გვერდითი დაჩრილული მსხვილი ბურთული (რასაც ვხედავთ IV საუკუნის სამარსთა ბეჭდებშიც). უურადღებს იქცევს აგრეთვე ის გარემოება, რომ თვლები, როგორც ვხანეთ, მეტწილად ჰასტისაა და იშვიათად ისეთი საშუალო ღირსების ქვეც კი, როგორცაა სარდიონი. რაც შეეხება გემებს, ისინი, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მდარე ნამუშევარია, ვიდრე არამაზისხევის უფრო ძველ სამარსთა ბეჭდის თვლების გემები, მაგრამ მაინც ძალიან მდარედ ვერ ჩაითვლება, ხოლო ზოგ შემთხვევაში რიცაინეც კი გამოერევა. ასეთებია, მაგალითად: კურდღელი (სვ. წიგნ. № 416, 21-ე ქვის სამარსი); ფსკუნჯაი (სვ. წიგნ. № 1048, 82-ე ქვის სამარსი), დათვი (სვ. წიგნ. № 1090, 79-ე ქვის სამარსი). აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე მოღწეული თითქმის ყველა გემა გარეულ ცხოველს გამოხატავს და ამ მხრივაც განსხვავდება ამ სამარსთა ბეჭდები უფრო ძველ სამარსთა ბეჭდებისაგან, რომელთა გემა-კამების სიუკეტების სირთულე, მრავალფეროვნება და მეტი მინარჩინაობა ჩვენთვის უკვე კარგადაა ცნობილი.

საუურეები შედარებით ნაკლებია: აღრიცხულთა სულ 39, მათ შორის 13 წვეილი. 1 წვეილი ოქროსია (ტაბ. CXVII, 27 და 28); 7 წვეილი და 8 ცალი—ვერცხლისა; 5 წვეილი და 5 ცალი—ბრინჯაოსი. საუურეთა ცალ-ცალობა, გარდა ზოგი სამარსის გაბარცულობისა, იმითაც უნდა

აიხსნებოდეს, რომ ისინი მეტწილად წერილი. საითი მათვლისაგანა გაეკეთებული და ამიტომ ყველა სამკაულზე უფრო ადვილად იფშენება დაჯანგის შემდეგ (განსაკუთრებით—ვერცხლისა). აღრიცხულთა შორისაც ბევრია ნაკლები და დაშლილი. ვერცხლისა და ბრინჯაოს საუურები მრგვალი ან ოვალური, ხოლო იშვიათად წახეგრამთვარი-სებრი მოყვანილობისა. მეტწილად ისინი წერილმათვლოვნია, ქვემო ბოლოში გამსხვილებული. ზოგს ქვემოდან იმავე ნივთიერების თითო ბურთულა, ან 3—4 ბურთულისგან შემდგარი კუნწულა აქვს მიჩრილული და ამით თითქოს მოგვაგონებს IV ს-ნის სამარსებში გავრცელებულ ოქროს საუურებს. ერთ შემთხვევაში საუურის რგოლს მწვანე მინის მძივი აქვს გამოვლი. სხვა შემთხვევაში ვერცხლის საუურის საკიდს ოქროს წერილი სალტე აქვს შემოკრული.

საუურეთა სიმსხო 0,1-დან 0,25 სმ-მდე აღის, მათი რგოლის დიამეტრი—1,0—2,0 სმ (აქ არ იგულისხმება ოქროს საუურები).

განსაკუთრებული უურადღების ღირსია წვეილი ოქროს საუურე და საერთოდ მისი შემცველი სამარსის ინვენტარი, რომელიც ყველა ნიშნით კუთვნის აქამად განსასილველ ჯგუფს გვიანდელი ქვის სამარსებისა¹, მაგრამ ამაყრად კი გამოირევა მისგან ინვენტარის სიმდიდრე - მრავალფეროვნებით. შეიძლება ითქვას, რომ იგი ღარიბულთა შორის უდიდესია. ამ საუურებსაც და მათ შემცველ სამარსსაც დაწერილებით ქვემოთ განვიხილავთ და აქ სიტყვას აღარ გავაგრცვლებთ.

ერთ სამარსში აღმოჩენილია ოქროს ცალი საუურე, რგოლოვან-ღეროვანი, რომელსაც ღეროზე მძივები აქვია. იგი IV ს-ნის საუურეთა ტიპისაა.

სამაჯურები გაცილებით უფრო მცირერიცხოვანია, ვიდრე სამკაულის შემოგანსილული ჯგუფები. სულ 19 ცალია აღრიცხული: 11 ბრინჯაოსი და 8 რკინისა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სამაჯურები მეტწილად (1911 წ. მე-16 და 1946 წ. ტუის უბნის მე-12 სამარსებს გარდა) ისეთ სამარსებში გვევლება, რომლებშიც არაა მაინცდამაინც მრავალრიცხოვანი თუ მრავალფეროვანი ინვენტარი. ერთ შემთხვევაში რკინისა და ბრინჯაოს თითო სამაჯური იყო ერთად (81-ე ქვის სამარსი), მეორეში—ორი რკინისა ერთად (51-ე ქვის სამარსი), სხვაგან კი მხოლოდ თითო სამაჯური აღმოჩნდა. რკინის სამაჯურთა უმეტესობა დაქანულ ნამტერევაბადა ქვეული და მათი მოყვანილობის შესახებ მსჯელობა მწელია. მხოლოდ სამი ცალი იყო მთელი: ერთი ზატარა, სავაოდ მსხვილი (ერთ ადგილას მეტად გამსხვილებული), ოვალური მოყვანილობისა; მეორე—მოსრდილი, ბოლოებშიაკუჭებული, ოვალური; მესამე—აგრეთვე ოვალური, ბოლოებშიაკუჭებული (ტაბ. CXVI, 26; CXVII, 34).


ბრინჯაოს სამაჯურები, როგორც საერთოდ ბრინჯაოს

¹ კროლ. იმ ჯგუფს, რომელიც ჩაღმულია ზღერლიანი ნაკვობის მეორე სწავის ნაგრევთა შორის (იხ. საერთო გემა).

ნიუთები, უკეთესადაა შენახული. არის მრგვალიც, მაგრამ უფრო ხშირად კი ოვალური მოყვანილობისაა. განივკვეთი მხოლოდ ორ-სამ სამაჯურს აქვს ბრტყელი ან ნაწილობრივ დაბრტყელებული, მეტწილად კი მრგვალია. ზოგიერთ სამაჯურს მათულოვანი შეგვიძლია გუწოდოთ. ზოგი პირ-მეუკერულია და ღია ბოლოები დამრგვალებული, ზემოთ აღუსრული ან რაღაც პირდაღებულ ცსოველთა თავების გამომსატველი აქვს (მაგ., სავ. წიგნ. № 410, 23-ე ქვისსამარხი). პირმეკერულთაგან უკრადლებას იქცევს ორი ცალი (№ 193, 21-ე ქვისსამარხი და № 1564, ტუის უბნის მე-12 ქვისსამარხი), რომელთაც ბოლოები გადახვეული აქვთ, ვაზის კავანის მსგავსად (მეორეს—ორ ადგილას). ამ მხრივ ისინი ბლიერ მოგვაგონებს ერისთავთა მე-9 სამარხის ოქროს წყვილ სამაჯურს (ჩვ. აღწ. № 175). ამრიგად, კიდევ ორი შემთხვევა გვაქვს, როდესაც გვიანდელ სამარხებში აღმოჩენილი ნიუთები არსებით მსგავსებას იჩენს ერისთავთა ნიუთთან, ოღონდ მკირფისის მაგიერ იაფი მასალისგანაა

მეტწილად ბრინჯაოსი (23 ც.), აგრეთვე რკინისა (2 ც.), ბრინჯაო-რკინისა (2 ც.) და ვერცხლისა (1 ც.). ისინი ძირითადად სარტყელთან უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ არის ისეთები, რომელნიც, მოყვანილობისა და სამარხში აღმოჩენის ადგილის მიხედვით, ფესვსაქმელთან დაკავშირებული უნდა მივიჩნიოთ და რომელთაც ჩვენ „ასახაძლე აბზინდებს“ ვუწოდებთ¹. 28 ცალიდან ასეთებად ეთვლით შეიძლება. მოყვანილობით ისინი საკმაოდ ნაირ-ნაირი და მეტწილად სასოფანია. მათ შორის უმცირესის სიგრძე-სიგანე 1,5—2,0 სმ უდრის, უდიდესისა—2,0—2,4 სმ. მეორე ჯგუფის აბზინდების სიგრძე-სიგანე 3,1—4,0 სმ-მდე აღის.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ბრინჯაოს ერთ ძალიან დიდ აბზინდაზე, რომელიც სამი ჩონჩხის და მრავალი ნიუთის შემცველ ქვისსამარხში აღმოჩნდა (1941 წ., № 16), ძალიან თავისებური, მსესთაში მანამდე უმკაფიოთ სარტყელთან ერთად (სავ. წიგნ. № 296). ეველაზე მეტი ნიუთი და კერძოდ ეს სარტყელიც ჩრდილოეთით მდებარე ჩონჩხს



სურ. 98

გაკეთებული. გავისხენოთ, რომ მე-9 სამარხის სამაჯურები თავისთავადაც დიდად გამოირჩეოდა ერისთავთა მრავალრიცხოვანი სამაჯურებისაგან, მაგრამ სამაჯურთა ეს ტიპი საკმაოდ გავრცელებულია სამთავროში. გვიანანტიკურ სამარხებს რაც შეეხება, ერთი წყვილი ასეთი სამაჯური გვაქვს ბაგინეთშიც და მისი მსგავსი ოქროს სამაჯური და ვერცხლის საყელური გვხვდება კლდეშოშიც [361; 13, გვ. 101]. სამაჯურთა დიამეტრი 3,8—4,5 სმ-დან (საბამეო სამაჯურისა) 6,0—7,0 სმ აღწევს.

მემდეგი ჯგუფია აბზინდები და ბალთები¹,

¹ როდესაც „ბალთებს“ ვამბობთ, ვგულისხმობთ ბრინჯაოსა თუ რკინისაგან გაკეთებულ იმ დეტალებს, რომელნიც დამატებითი სამაჯურს, ხოლო ორივე შემთხვევაში თანამხედველ სამაჯურებელ სამსკვლავსაც წარმოადგენენ და არა საკუთრივ შესაკრავ ნაწილებს, ე. ი. ენით ანუ ნისკარტო

ასლდა თან. იგი წვივის მკვდებს ჩრდილოეთით იდო, უწყსრივად დასვეული (სურ. 94). სარტყელი წარმოადგენს ბრინჯაოს თანაბარი, წყვილ-წყვილი რკოლებისაგან შემდგარ ჯაჭვს, რომლის სიგრძე 0,82 მ უდრის, სოლო თითოეული რკოლის დიამეტრი—1,2—2,3 სმ. დიდს გარდა, მას პატარა აბზინდაც აქვს (დიამეტრი—2,7 სმ). ჯაჭვს, ეტეობა, არა აკვლია რა; იგი მაგარია და მთელი. დიდი აბზინდის სიგრძე 12 სმ, სოლო სიგანე 7 სმ უდრის. იგი მასივურია და ძალზე მძიმე. შედარებით რელიეფური, თითქოს დაუთსული კოპებითა აქვს დაფარული. იმავე მიცვლებული ისინგენტარიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს პატარა უნო აბზინ-

და (სავ. წიგნ. № 298); ბრინჯაოს პატარა საყიდი (№ 297); ბრინჯაოს ბუქვდი, რომელსაც გემშიანი ჰასტის თვალი აქვს (№ 299); რკინის სამაჯური (№ 300); ბრინჯაოს 5 ხაინში (№ 302—305 და № 307; 3 სათმეული ქინძისთავია, 2 მენჯს ქვემოთ იდო; ორს ბრინჯაოს ოთსკუთსა-დაფანჯარული თავი აქვს, ერთს ბრინჯაოს პირამიდული „გუმბათი“ ადგია თავად, ერთს—ბრინჯაოს ბურთული, ერთს კი—ბრინჯაოს მტრედის ქანდაკება); ბრინჯაო-რკინის

აღმურვის, წრიულსა თუ სხვა მოყვანილობის რკოლებს, რომელსაც აბზინდას ვუწოდებთ (შდრ. ერისთავთა სამარხების—მაგ., ასპარუგის—ინგენტარის აღწერილობა).

² სულხან-საბა ორბელიანი: „გამლი-ფურტო-საქმელი“ [305, გვ. 461]. შდრ. ივ. ჯავახიშვილის გამოათქვამი: „მამინდელი მკვიდრი უბაშური არყოფილა“ [10, გვ. 10].

2 მპვილდასკინი (№№ 306 და 313); ბრინჯაოს მპვილდასკინი (№ 312); ვერცხლის ბუკედი, რომელსაც გემშიანი ჰასტის თვალი აქვს (№ 317); ვერცხლის ბურთულიანი ბუკედი, რომელსაც აგრეთვე გემშიანი ჰასტის თვალი აქვს (№ 309); რკინის ბუკედი, რომელსაც რკინისავე თვალებზე აქვს (№ 310). სულ 16 ნივთია. საფიქრებელია, რომ ეს თავისებური სარტყელ-აბზინდის მქონე მცვალებელი ქალი უოფილა და მოსასლუგობის არცთუ ღარიბ ფენას ეკუთვნებოდა.

მომავლო წლებში უკვე გამოუნდა პირადელები ვაჰგერ სარტყელსაც და დიდ აბზინდასაც. 1945 წელს მცხეთის ექსპედიციის მიერ ნავთსადენში საცვლად გაასრილ, № 1 ქვისამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მძიმე, მსივერი, ორნაწილელი და ენაგრძელი აბზინდა, რომლის სავაითო სიგრძე 9 სმ უდრის, სოლო ენის სიგრძე — 4,5 სმ (სავ. წიგნ. № 1142). მასთან დაკავშირებული იყო რკინის რგოლებისგან შემდგარი ვაჭკის ორი ნაწიკეტი, რომელთაც ზედ ქაოვილის ნაშთები აქვთ მიხანგული (№ 1141). 1946 წელს ტუის უბანშიც, მე-8 ქვისამარხში აღმოჩნდა რკინის ასეთივე ვაჭკის მცირე ნაწიკეტი (სავ. წიგნ. № 1475), მაგრამ აბზინდა არსად ჩანს ამ სამარხის ინვენტარში. საფიქრებელია, რომ ვაჭკის დანარჩენი ნაწილები ენცნ შეუკვამია.

ორ სამარხში (1946 წ. ტუის უბნის №№ 9 და 10) აღმოჩნდა ბრინჯაოს ჰაწია ეკვანები, სულ სამი ცალი (სავ. წიგნ. №№ 1499, 1501 და 1519). ეს კარგად ცნობილი კომპონენტია სპილენძის გვიანდელი ქვისამარხების ინვენტარისა. შეინძნეულია, რომ ამ ორივე სამარხში ეკვანები მძივებთან იყო დაკავშირებული. ერთი მათგანი (№ 1499) ასლაც საამურად წყარუნებს; მას ბრინჯაოსივე საწარუნო აქვს მიკნით.

ლითონის სამაწულებთან დაკავშირებით აღვნიშნავთ აგრეთვე თითო-ორთა ისეთ დეტალს, როგორიცაა: ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 4 სამსხვავალი (მათ შორის ლურსმნის ფართო თავისებრი). როგორც ჩანს, ისინი აბზინდა-ბალთებთან ერთად სარტყელზე თუ სამლის თასმაც დასამაგრებულ მოწუობილობას წარმოადგენდა.

ორი ძეგლის აგან გაკეთებული ნივთიცა ამ სამარხებში აღრიცხული. 1938 წ. № 1 ქვისამარხში აღმოჩნდა სარტყლის ბალთის 9 ნატეხი, რომელთაგან ორი წყვილ-წყვილად დახვერტილია (სავ. წიგნ. № 121); 1946 წ. ტუის უბნის მე-7 ქვისამარხში კი თანამდროვე კარის გასაღების მოყვანილობის მცირე რამ ნივთი (სავ. წიგნ. № 1462), თითქოს ბრინჯაოს სასამლე აბზინდასთან (№ 1461) დაკავშირებული. ამასთან უნდა გავისენოთ, რომ სამთავროს ქვისამარხებში არცთუ იშვიათად გვხვდება ძეგლის ამგვარი დეტალები.

მძივები საქმოდ გავრცელებულია ამ სამარხთა ინვენტარში. ნივთების შემეველი 70 ქვისამარხიდან ისინი 24-ში აღმოჩნდა: ზოგში სულ თითო-ორთა, ზოგში — ათეულითი (25, 37, 55, 66, 71 და ა. შ.); ერთში (ტუის

უბნის ქვისამარხი № 10) — 113 ცალი, სოლო ერთი — 264 ც. (1938 წ. № 4 ქვისამარხი, ოქროს ორი სამაწულის შემეველი). დიდ შემეტეობას — როგორც საერთოდ მცხეთის ამდროინდელ სამარხებში — მუდგენს სხვადასხვაფერი (ოეთი-ფერი, მავი, მონაცრისფრო, მოყვითალო, მწვანე, ცისფერი, მოყვითალო და სხვ.) ჰასტისა და სხვადასხვაფერი (მწვანე, მოლურჯო, ღავეარისფერი და სხვ.) მინის მძივები. ურადლებას იქვეც მცირერიცხოვანი კრელი, მოხაიკური და თვალედი ჰასტის მძივები (მაგ., სავ. წიგნ. № 986, 71-ე ქვისამარხიდან და № 1511, ტუის უბნის მე-9 ქვისამარხიდან). არის აგრეთვე ფაიფურისებრი და მინისებრი ჰასტაც-გაცელებით ნაკლებია ქვა-მინერალებისგან ნაკეობი მძივები: წითელი გრანატისა (ერთ სამარხში — 5 ნ ც., მეორეში — 6 ც.), სარდიონისა (ოსსში თითო ცალი, ერთში 2 ცალი და ა. შ.), იასპისა (1 ცალი), მისინბროლისა (2 ც.). არის თითო-ორთა გიმრის, ქარვის, მარგალიტისა და სადაფის მძივიც. 4 სამარხში იყო აგრეთვე „ღვინკილები“ (ზღვინ ჰატრა ნიკარები, ე. წ. cawric) — ერთში 8, სხვაგან — 1—2 ცალი.


მძივსაკიდეები ძალიან ცოტაა.

მოყვანილობის მხრივ, როგორც იმდროინდელ მძივებს საერთოდ სწვევით, დიდი მრავალფეროვნებაა, ოდონდის კი შეიქმნება, რომ ჰასტის მძივები უფრო მრგვალ-ბორტეული ან ბურთულა („ვაძლისებრი“, „მანდარინისებრი“ და სხვ.), მინისა — უფრო ცილინდრული და ზოგჯერ წახნაგოვანი, სოლო სხვადასხვა მინერალებისა — ბურთულა, ვაძლისებრი ან წახნაგოვანი. სიდიდეც სხვადასხვაა: დიამეტრი 0,2—0,3 სმ-დან 0,3—1,0 სმ-მდე ადის.

თანმხლები ინვენტარის (საშეველი ქინძისთავეები, სავურეები და სხვ.) მსივლეთი შეიძლება ითქვას, რომ მძივები თითქმის ყოველთვის ადგაკაცათ სამარხებში გვხვდება — კოველ შემსხვევამი, ბლომად მანც.

ნაწილობრივ მძივებსა და მძივსაკიდებს, სოლო ნაწილობრივ და უფრო კი გამოსახულებიან ბუკაუსს უკავშირდება ის 3 საბუქავი, რომლებიც განსახილველი სამარხების ინვენტარში გამოირევა. ერთი მათგანი 1911 წელს აღმოჩნდა, 23-ე ქვისამარხში (სავ. წიგნ. № 412). იგი სარდიონისგანა გამოთლილია. ნასუვარწირული მოყვანილობისა, დაკუთხულ-სახოვანი ზედაწილი აქვს. მისი ერთი მხარე ულიფსურად ჩამოთლილია და ამ გლუვ ჩამონათლზე ამოჭრილია გეშა — ფრთისანი ცხენის გამოსატყლევა. საბუქავის დიამეტრი 1,1—1,7 სმ უდრის, სოლო სიმახრო — 0,7 სმ. ფორმით ამ საბუქავის რამდენადმე ანალოგიურია სამთავროს ჩრდილო უბანზე 1939 წ. ერთ იმავედროინდელ, № 171 ქვისამარხში აღმოჩენილი, მთისბროლისგან გავ

1 ამ ნიკარების საავაროვ დანიშნულმა საყოველთაოდ ცნობილია. ისინი ჩვენთავე იმპარებოდა ბოლო დრომდე „უიო თვალის“ საწინააღმდეგოდ (მაგ., აკვანზე ჩამოსაკიდებლად, ძროხის უღზე შესაბუქლად და სხვ.). გუროში და რაკში მათ „ილუსურსაც“ უწოდებენ.



სურ. 99

მოთლოდი, გემიანი საბეჭდო (საე. წიგნ. № 1174). აღნიშნა, რომ არმაზისხევის 23-ე სამარსი აგრეთვე ერთი ექვლაზე უფრო მდიდრულია ამ საერთოდ დარიბულ სამარსთან მორის. იქ ერთ ჩონჩხს 19 სხვადასხვა სამკაული ახლდა, მეტწილად ბრინჯაოსი (მათ შორის რამდენიმე თვლიანი ბეჭედი, სამაჯური, სათმეული და სხვაგვარი საკინებები, მძივები და სხვ.). მეორის საბეჭდოა რამდენიმე საუკეთესო, რადგან გამოსახულება გარკვევით არ უნანს (საე. წიგნ. № 819, 70-ე ქვისსამარსი, აგრეთვე მრავალინეტარინანი). იგი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულია და დიდ მძივს (დიამეტრი 1,2 სმ) მოგვარონებს, ოღონდ ცალი მხარე აქვს დაბრტყელებული. შესამც ბრინჯაოსი უნდა იყოს, თუმცა მის ლითონის ვერცხლის ფერი უფრო აქვს (საე. წიგნ. № 1076). იგი ჩამოსხმულია; საერთოდ ნახევარბურთული მოქანდილობისა (სიმაღლე 1,5 სმ); გარდებარდო დაუკლებული აქვს ფართო (0,9 სმ), მრგვალი, გამჭოლი ნახურეტი და ალბათ ზონარგაურილი უტარებია პატრონის სიცოცხლეში. ძირი ბრტყელი აქვს, ოვალური (დიამეტრი 1,55—2,0 სმ). ზედ ამოკვეთილია (და არა თანამოსხმული) გეშმა: სვადი ლომი, ფესმოკვით მწოლარე, პირდაპირ მოშორილი; მის სურგს ზემოთ—კირჩხიბი; თავს ზემოთ, კიდეს—დამწკრივებული შასო (ფაღაური?). აღწერილ გამოსახულებაში სოდაიქოს ნიშნები უნდა ვიგულისხმოთ¹. ამ საბეჭდოის შემცველ სამარსშიც (№ 23) მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინვენტარი იყო: ბრინჯაოს სამაჯურები, სარდიონ-მინა-პასტისა და სვადიფის მძივები, ღვინვილები, ვერცხლისა და ბრინჯაოს საურეები, ვერცხლის უსულო ბეჭედი (ფარაქე გეშმა: ჯიხვი), ბრინჯაო-რკინისა და რკინის მშვილდური საკინებები, ბრინჯაოს პასტისთავიანი საკინები და რკინის დანისპირი. სამარსში ორი სრულყოფიანის ჩონჩხი ესვენა და ერთიც ბავშვისა.

ამგვარი საბეჭდოები საერთოდ იშვიათ ნივთებად უნდა ჩაითვალოს და ისინი შეიძლება მოსწავებდეს პატრონთა გარკვეულ შემდეგებულობას. ამ მოსაზრებას, როგორც ვნახეთ, თანხმდები ინვენტარის სიმრავლე და ნაირ-ნაირობა უწყობს ხელს.

ბრინჯაოს ერთეული სამკაულებიდან უნდა აღვნიშნოთ თხელი, მრგვალი სასოფანი ფირფიტა, ეგებ, მედლიონის გადასარკავი (1946 წ. ტუის უბნის მე-8 ქვისსამარსი, საე. წიგნ. № 1465; დიამეტრი—2,5 სმ, სისქე—1,5 მმ) და მედალიონი, დაფსარული, ირგვლივგაბარინანი, ჩამოსაკიდად გასურეტილი (იქვე, მე-10 ქვისსამარსი, საე. წიგნ. № 1500; დიამეტრი—2,3 სმ).



სურ. 100

საე. წიგნ. № 1174). აღნიშნა, რომ არმაზისხევის 23-ე სამარსი აგრეთვე ერთი ექვლაზე უფრო მდიდრულია ამ საერთოდ დარიბულ სამარსთან მორის. იქ ერთ ჩონჩხს 19 სხვადასხვა სამკაული ახლდა, მეტწილად ბრინჯაოსი (მათ შორის რამდენიმე თვლიანი ბეჭედი, სამაჯური, სათმეული და სხვაგვარი საკინებები, მძივები და სხვ.). მეორის საბეჭდოა რამდენიმე საუკეთესო, რადგან გამოსახულება გარკვევით არ უნანს (საე. წიგნ. № 819, 70-ე ქვისსამარსი, აგრეთვე მრავალინეტარინანი). იგი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულია და დიდ მძივს (დიამეტრი 1,2 სმ) მოგვარონებს, ოღონდ ცალი მხარე აქვს დაბრტყელებული. შესამც ბრინჯაოსი უნდა იყოს, თუმცა მის ლითონის ვერცხლის ფერი უფრო აქვს (საე. წიგნ. № 1076). იგი ჩამოსხმულია; საერთოდ ნახევარბურთული მოქანდილობისა (სიმაღლე 1,5 სმ); გარდებარდო დაუკლებული აქვს ფართო (0,9 სმ), მრგვალი, გამჭოლი ნახურეტი და ალბათ ზონარგაურილი უტარებია პატრონის სიცოცხლეში. ძირი ბრტყელი აქვს, ოვალური (დიამეტრი 1,55—2,0 სმ). ზედ ამოკვეთილია (და არა თანამოსხმული) გეშმა: სვადი ლომი, ფესმოკვით მწოლარე, პირდაპირ მოშორილი; მის სურგს ზემოთ—კირჩხიბი; თავს ზემოთ, კიდეს—დამწკრივებული შასო (ფაღაური?). აღწერილ გამოსახულებაში სოდაიქოს ნიშნები უნდა ვიგულისხმოთ¹. ამ საბეჭდოის შემცველ სამარსშიც (№ 23) მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინვენტარი იყო: ბრინჯაოს სამაჯურები, სარდიონ-მინა-პასტისა და სვადიფის მძივები, ღვინვილები, ვერცხლისა და ბრინჯაოს საურეები, ვერცხლის უსულო ბეჭედი (ფარაქე გეშმა: ჯიხვი), ბრინჯაო-რკინისა და რკინის მშვილდური საკინებები, ბრინჯაოს პასტისთავიანი საკინები და რკინის დანისპირი. სამარსში ორი სრულყოფიანის ჩონჩხი ესვენა და ერთიც ბავშვისა.

ოქროსი თუ ოქროსნაწილებიანი სამკაული სულ 10 ცალი აღმოჩნდა, 5 სამარსში. 1938 წ. გათხრილ მე-1 ქვისსამარსში იყო ოქროს ფირფიტოვანი ბეჭედი, ზალმეტებითა და განივი ჭლებით შემკული (საე. წიგნ. № 257) და წვეილი წვრილმავთულთვანი საეურე, რომელთაც ქვემოდას სწილვისის უწესული აქვთ მიჩნდილული და თავის დროზე ალბათ მძივები ეკიდათ (საე. წიგნ. № 260). მათ გარდა სამარსში აღმოჩნდა: ვერცხლის თვალედი ბეჭედი, ბრინჯაოსა და რკინის საკინები და 261 მძივი (13 სარდიონისა, წანგავიანი და დანარჩენი—შავი და მონახისფრო პასტისა).

იმავე წლის მე-12 ქვისსამარსში აღმოჩნდა ოქროს ერთი სამკაული (საე. წიგნ. № 436)—ბრტყელი, ფირფიტოვანი კოლოფი, გვირილას ევაილისებრ გამოყვანილი, რომელსაც შუაში წითელი გრანატის თვლი უნის (ტაბ. CXV, 14). სამკაულის დიამეტრი 2,7 სმ უდრის, სისქე—0,2 სმ. უკან მხარეზე აბია ოქროს ორი ეუნწი, რომელთაც ცოტათონი მწვანე პანგი შეირინათ: ეტეობა, თავის დროზე სწილვისის რაღაც ნაწილიც ჰქონია. სარტყელზე, ტანისაშისზე თუ თავსაბურავზე დასაკრებელი სამკაულის შობაბეჭდილებას სტეობას (სამარსი გაბარცულ-არეული იყო და ნივთების პირვანდელი მღებარობა—მწელი აღსადგენი). იგი ტიპოლოგიურად რამდენიმე მოგვარონებს ერისთავთა მე-7 სამარსში მრავლად აღმოჩნილ ვარდულებს, ოღონდ ისინი უფრო პატარებია და თან ცალფა, არა კოლოფისებრი. ამავე სამარსში შემორჩენილი იყო: მძივები (61 ცალი პასტისა და ერთიც გიპრისა), ბრინჯაოს ორი მშვილდსაკინი, რკინის 2 მშვილდსაკინი, ვერცხლის საურის ნატეხი, ბრინჯაოს მარუეიანი საურე, ბრინჯაოს თვალმომგვრალი ბეჭედი, ბრინჯაოს 2 ბრწყინვალის ევაილისებრი თავის მქონე საკინი, ფაქიზი მინის მცირე ჭურჭლის ნატეხი და VIII სუ-

ენის არაბული ფელსი [4, გვ. 381]. ამრიგად, უკველი უნდა იყოს ორი რამ: ა) სამარსი ამკარად გვიანდელია და ვერცხლი მის ირგვლივ დაუკრებელი და სოკადად მსგავსი ინვენტარის შემცველი სამარსების სწოვანების შესახებ გარკვეულ მითითებას გვაძლევს; ბ) იგი ამ დროის სამარსთა შორის გამოირჩევა, შედარებითი სიმდიდრით.

1941 წელს გვიანდელი ორსენაკიანი ნაგებობის ნანგრევებში, როგორც ვცით, ოთხი ქვისსამარსი აღმოჩნდა და ოთხივე უფროდ ინვენტარს შეიცავდა. მსოლოდ ერთ მათგანში, დიდი სენაკის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ჩადგმულ 26-ე ქვისსამარსში (ტაბ. XCIII, 3—4) ერთ-ერთ ჩონჩხს აღმოჩნდა ოქროს ცალი საურე, უწესო-ოვალური მოქვანილობისა, პირაპირზე გადატანილი (საე. წიგნ. № 404). ზედ ჩამოკიდებულია ვერ ოქროს წვრილი ბურთულებსაგან.


¹ სულხან-საბა: . . . გვიჩვენებენ იფნისა 22. ლომი იფლისა 23 . . . » [305, გვ. 130].

შედგენილი ეუნწულა და შემდეგ — ოქროს წვრილ ღეროზე — შოგაფისფრო ჰასტისა თუ ქვის მხივი (IV ს-ნის საურეო ტიპი). საურის რგოლის დიამეტრი 1,5 სმ უდრის, უდიდესი სიმაღლე — 2,2 სმ. იმავე მიცვალებულის დანარჩენი ინვენტარი წარმოდგენილი იყო: ბრინჯაოს პირმეგურეული, თავმუხვი-წრობეული სამაჯური, რკინის მოკრძო და შევიღდაბათ-ლი საკინძით, რკინის ბეჭდით და ბრინჯაოს ჰაწია ბეჭდით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 82-ე ქვის სამარსი, რომელიც აღმოჩნდა 1945 წელს, ზღურბლიანი ნაგებობის აღმოსავლეთ სენაკში. მიც იყო ორი ჩონჩხი, აუშლელად მდებარე. ერთ მათგანს ჰქონდა: წითელთფერიანი ოქროს საურეები (სა.ჯ. № 1045); ოქროსივე მთავალური მკერდსამკაული (№ 1046); ოქროსივე ბეჭედი (№ 1047), რომლის ფაიფურისებრი ჰასტის თვალზე ეუნწიანი ხარი (სებუ?) არის გამოხატული; აქატისაგან (ან, ეგებ, შეღებილი სარდღრისაგან) გამოთლილი ბეჭედი (№ 1019, ტაბ. CXV, 15); ვერცხლის ბეჭედი (№ 1048; ტაბ. CXV, 10), რომლის სარდღონის თვალზე ფსკუნჯია გამოხატული; წითელი გრანატის თვალი (№ 1050, ტაბ. CXV, 6); სარდღონის სიკრძივ დაღარული თავი საკინძისა (№ 1051; ტაბ. CXV, 5) და ბრინჯაოს 4 ბეჭედი (№№ 1052—1055; ტაბ. CXV, 8, 9, 11, 12), რომელთაგან ორს-ღა შერჩენოდა თვლები (მინისა და გრანატისა). მეორე ჩონჩხს ასლდა: ბრინჯაოს ჰაწია კოსტა შევიღდასაკინძი (№ 1056; ტაბ. CXV, 7); ბრინჯაოს საკინძები (№№ 1057, 1058); ბრინჯაოს საკინძთა ნატეხები, მათ შორის ორი ჰასტისთავიანი (№№ 1059—1061); ბრინჯაოს რკინისენიანი სხამლე აბზინდა (№ 1062); რკინის ორი მარჯანისთავიანი საკინძი (№№ 1063 — 1064) და ცისფერი ფაიფურისებრი ჰასტის ოციოდე მომცრო, დაბალცილინდრული და მრგვალ-ბრტყელი მხივი (№ 1066).

ოქროს საურეები ბრტყელია, ორნაწილადი, რთული აღნაგობისა (ტაბ. CXV, 1, 2). ზედა ნაწილი შედგება ორი ერთნაირი, ნუსმისებრი მოყვანილობის ბუდისაგან, რომლებშიც წითელი თვლები სხედან და რომლებიც დაკრულია ერთ ფირფიტაზე, ერთნაირი ჰარაღელერად, წვერებით ზემოთგან. ერთ-ერთ საურეს ერთი ამ თვალთაგანი თითქმის მორგვალა აქვს და მიც უზის სწორკუთხოვანი მოყვანილობის თვალი. მირის ფირფიტას ზემოდან და ქვემოდან წყვილ-წყვილი ეუნწილი აქვს მირიანილული. თვალბუფეთა ბოლოები მორკალული უღელაკობითაა შეერთებული. ქვედა ნაწილი წარმოადგენს ნუსმისებრი მოყვანილობის ბუდეს, რომელშიც წითელი თვალი ზის და რომელსაც ირგვლივ მომსსო გაფარსი არტყია; ზემოდან ეუნწი აქვს მირიანილული, სოლო ქვემოდან — რგოლაკი. მსგავსი საურეები გვიანდელ სამარსებში არც არმაზისხევთან გვევლილება, არც სამთავროში (თუმცა, სხვას რომ თავი დაუვანებოთ,

მარტო არმაზისხევთან მრავლად დაგროვილ საურეებში ათოდე სხვადასხვა ტიპი გამოვრჩევა). სიბრტყელითა და სირაულით ისინი მოგვაცოხნებს მე-19 სამარსის საურეებს (ჩ.ჯ. აღწ. № 216; ტაბ. XCVI, 1), სოლო დეტალების მოყვანილობით კი უფრო ერისთავთა მე-6 და მე-7 სამარსებში აღმოჩენილ რთულ საურეებს (ჩ.ჯ. აღწ. №№ 97—99, 159; ტაბ. LXXI, 24, 25; LXXX, 3). საურის შემავარსებელი ნაწილები იქაც და აქაც დაკავშირებულია ერთიმეორეზე მთავარი ეუნწებისა და მათში გაკრილი სამსკვალის შემკობით. ამ საურეოა შორის არის არსებითი განსხვავებაც: № 1015 საურეების ქვედა ნაწილი გაფარსითაა დამკვეთებული და ამის ისინი გაცილებით უფრო ენათსავება აბზინდასა სამკაულებს (იმავე მე-7 სამარსის წყვილ ენათსავებას, ასმარეების სარტყლისა და დიადემის ბალოებს და სსვ.), ვიდრე ჩ.ჯ. აღწ. №№ 97—99 და 159—160 საურეები, რომელნიც, ისევე როგორც მე-6 და მე-7 სამარსთა დიადემები, სრულიად მოკლებულია გაფარსს.



სურ. 101

ერთი საურის ზედა ბუდეში, სოლო მეორის ქვედა ბუდეში წითელი გრანატის მკვირ იმავე ფერის მინა ჩასმული. მინაში ლებისაგან მინას, ჩვეულებისამებრ, ფერი გაერთიანა და ირისხციაც შეზარავია. გარდა ამისა, იმ საურეს, რომელსაც ქვედა თვალი აქვს მინისა, ქვედა ეუნწზე სწილინდრული რგოლით ჰკიდია სარდღონის ჰაწია ბურთულა მხივი. მეორეს ასეთი რამ აღარ შერჩენია. ეს დაკვირვება მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუ გავისწერებთ, რომ გრანატის წითელი მინის მცველა ერისთავთა ინვენტარშიც კი შეიმჩნევა.

ოქროს რთული და ბრტყელი, მოთავალული საურეები არმაზისხევის მრავალრიცხოვან სამკაულთა შორის გაბატონებულ ტიპად ვერ ჩაითვლება. ასეთები, გარდა ამჟამად აღწერილისა, გვსვლება მხოლოდ ზემოთ მითითებულ სამ შემთხვევაში: № 6 და № 7 სარკოფაგებში და მე-19 სამარსში. ამ ოთხს შორის ამკარად უახლესია 82-ე სამარსი. მე-19 სამარსის საურეები, როგორც დიადე განსხვავებული, შეიძლება ათიქმის არც ჩავაგდოთ სათვალავში და მამინ კვიშირი დამკარგება ერისთავთა სარკოფაგებსა და, მათი რეზიდენციის განდგურებიდან კარგა ხნის გასვლის შემდეგ, ნანგრევებში ჩადგმულ 82-ე სამარსს შორის. აღწერილი სქემის მისედებით საურის გავითების ტრადიცია საღაღე შემონახული და შემდეგ კვლავ გაცოცხლებული ჩანს 82-ე სამარსის დროინდელ ოქრომკვლავურ სელოვნებაში (თუ კი თვით ნივთები არაა როგორღაც შევლითგან შემონახული). დროის ამ შუალედში კი, როგორც ვიცით, საურეები მრავლად გვსვდება და ნარ-ნარიც, სოლო მათ შორის ამკარად გაბატონებულად გამოიყურება ის ტიპი, რომელსაც ახასიათებს რგოლზე ქვემოდან მირიანილული მარგალიტითა თუ სხვა მხივებით დამკვეთებული ღერაკი. იგი ძალიან გავრცე-

ლებულია ახ. წ. III ს. მეორე ნახევრიდან IV ს. მეორე ნახევრამდე (ერისთავთა მე-2 სამარხი, სამარხები №№ 12, 13, 19, 36, 38, 40, 43 და სხვ.), მაგრამ, როგორც ჩანს, საურეთა ბეგი ტიპიც არ უოფილა მთლად დავიწყებული. ის ნიუთი, რომელიც პირითი მქერდსამკაულადაა მიწვეული (№ 1046; ტაბ. CXV, 3), ტიპოლოგიურად მკიდრად ეკავშირდება ზემოთ განხილულ საურეთებს და ისინი თამამად შეიძლება ერთისა და იმავე ოქროშველლის ხელობად ჩათვალოს. ამას მათი სურათების შედარება და გარეგანებებს. ამ სამკაულს ზოგადად კუთვნიან მძვინვარეული ხუთკუთხედიანი მოკვანლობა აქვს. მისი სიმაღლე 2,5 სმ უდრის, სიგანე — 2,2 სმ, სიქვე — 0,1 სმ. მისი პირითი ნაწილებია სხივები, რომლებიც, საურეთის ბუდეთა მსგავსად, ოქროს საერთო ფირფიტაზეა დაკრული. შედის ჩუქურღის პირის მოკვანლობა აქვს, ქვედა ორს კი ქართულ ქარგვლობაში ცნობილი მოტივის „მანისა“. ზედაშიც და მის აქეთ-იქით განლაგებულ ჰატარა მრგვალ ბუდეებშიც გრანატის თვლები ზის, სოლო ქვედა ორში და მათ აქეთ-იქით მდებარე ჰატარა მრგვალ ბუდეებში — მოციხფრო ჰანტისა. უოველივე ამას ირგვლივ მოშსო გავარსი არტია. ზემოდან სამკაულს ჩამოსაყიდი რგოლი აქვს დარჩილული. ქვედა ბოლოს ნახურტში გაურილია ბრინჯაოს წერილი რგოლი, რომლის ღერაკზე სარდიონის ბურთულა მძივი ჰაილია. როგორც ვხედავთ, ეს ორი მომენტის აბლირებს საურეთებთან მსგავსებას. საურეთი კი ამ სამკაულს არ მოეპოვება შესატყვისი არც არმაზისხევისა და არც სამთავროს ინვენტარში.

ამ სამარხის ბეჭდები — ოქროსიც, ვერცხლისაცა და ბრინჯაოსიც — ყველა ერთი ტიპისაა: რკალი მსხვილი და მრგვალი ან ოვალური აქვთ, თვალბუდე — ცალკე გაკეთებული და შემდეგ რკალის თავისუფლად ბოლოებზე დარჩილული. ეს ის ტიპია ბეჭდისა, რომელიც მცხეთის სამარხებში სწორედ ახ. წ. IV საუკუნის შემდეგ ვრცელდება და, კერძოდ, არმაზისხევი ენაცვლება მანამდე გავრცელებულ ორ სხვა პირითად ტიპს (ამის შესახებ იხ. ზემოთ, მეოთხე თავის II ჰაზარგაფში). გამოსავლის წარმოადგენს ჰატარა რკალწერილი ბეჭედი (უფრო სწორად, მისი ნატეხი, № 1055), რომელსაც ჰაწია რომელი თვალბუდე აქვს და შიგ მინის თვალი უზის (ტაბ. CXV, 8). აღსანიშნავია, რომ ოქროს ბეჭედი ამ დროის სამარხებისათვის არმაზისხევთან ჯერჯერობით სულ მეორე გვხვდება (ერთი იხ. გვ. 142, 1938 წ. № 4 ქვისსამარხი, სავ. წიგნ. № 257).

აქტივსაგან მთლიანად გამოთილდ ბეჭდს საკმაოდ მოეპოვება ანალოგიები სამთავროს გვიანდელ ქვისსამარხებში, სარდიონის, ბროლისა თუ სხვა ქვისაგან გამოთილილი და ერთგან დაბრტყელებული ბეჭდების სახით (შდრ., მაგ., 1938 წელს ჩრდილო უბანზე აღმოჩენილი №№ 459, 660; 1939 წელს იქვე აღმოჩენილი №№ 112, 581; 1946 წელს აღმოჩენილი № 5401; 1947 წელს აღმოჩენილი №№ 5901, 5937, 6138 და სხვ.). ორი სარდიონის ბეჭედი აღნიშნული აქვს ე. თაკაიძეილს ნაუთსადენში [1, გვ. 87, № 106, გვ. 88, № 153]. თვით არმაზისხევთან კი ეს პირველ ცალად უნდა ჩათვალოს. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო

სახეშიცაა რამდენიმე ქვის ბეჭედი აღმოჩენილი, რუსთაველი: სამარხებში, რომელთაც მ. ივამჩენკო საშუალო საუკუნეებით ათარილებს [303], და აგრეთვე ნაქალაქარის ადრინდელ ფეოდალურ ფეხაში [324].

ჩვენ მიერ ამჟამად განხილული 82-ე ქვისსამარხის ინვენტარში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს ჰაწია, მჭიდრული საკინძი („არბალეტური ფიბულა“), რომლის სწოვანება ახ. წ. IV საუკუნეზე უფრო ღრმად არ გადავა. მისი სიგრძე 3,1 სმ უდრის, უდიდესი განი — 0,5 სმ, სოლო სიმაღლე — 1,0 სმ. დამახასიათებელია მისი მაღალი და ჰენტიტომრგვალებული ენის ბუდე. ამგვარივე აბელებულია არმაზისხევის გვიანდელ ქვისსამარხებში ცნობილ მჭიდრულ საკინძთა დიდი ნაწილი. სამთავროში ეს ტიპი ათარილება არა უადრეს ახ. წ. VI საუკუნისა [369].

მკიდრად აკავშირებს ამ სამარხის ინვენტარს არმაზისხევის სხვა გვიანდელი სამარხების ინვენტართან აგრეთვე ისეთი დამახასიათებელი და საუოველოად გავრცელებული ნივთები, როგორცაა: წასნაგვანი სარდიონით, ბროწეულის ეკავილისებრი მარჯნით, ჰანტით, მარგალიტებითა თუ ბრინჯაოს წერილი ბურთულებისაგან შემდგარი გვირგვინებითა თვადამკვნიებული საკინძები, რკინისა და ბრინჯაოსი (№№ 1051, 1061, 1063, 1064, 1067, 1072); მთლიანად ბრინჯაოს ოთხკუთხედიანი დაფარულთავიანი საკინძი (№ 1068) და ბრინჯაოს რკინისენიანი ახალსლე აზინდა (№ 1062).

ამრიგად, ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნის მისედვით, ამ სამარხის ინვენტარის სწოვანება IV საუკუნეზე უფრო ადრინდელი არ უნდა იყოს, სოლო ქვის ბეჭედი და აგრეთვე თითქოს მშვილდასკინძი უფრო გვიან თანასაკვარცულისმებნებს. მიუხედავად ოქროს რამდენიმე თითქოს მჭედებური ივრის სამკაულის აღმოჩენისა, აქ დაკრძალულ მცვალებულებს ვერ მივაკუთვნებთ IV საუკუნით დათარილებულ, ოქროს სამკაულებთან მიცვალებულთა წრეს.

დასასრულ, ოქროსნაწილებიანი სამკაული მოგვცა ტეის უბანზე — სახელდობრ, 1946 წელს გათხრილმა მე-12 ქვისსამარხმა, რომელიც იმ უბანში საერთოდ ეველახე მეტეს და საურადღებო ნივთებს შეიცავდა და ამით უასლოვდებოდა პირითადი უბნის ზემოთ განხილულ სამარხებს. ეს არის 2, საკმაოდ რთული აბელებების სათმეული ქინძისთავი (სავ. წიგნ. № № 1560 და 1561; ტაბ. CXVII, 26, 29), რომლებიც შედგება ბრინჯაოს წერილი ღეროსა (სიგრძით 7,9 და 6,2 სმ) და მის ზედა უენწზე ბრინჯაოს სასრითი დამაგრებული თავისაგან (ოქროსფირფიტოვანი, ოვალურ ბუდეში ჩანმული, ოქროს წერილი გავარსის 3 კონცენტრული წრით გარემორტყეული გრანატის ამბურცული სადა თვალი; ბუდის დიამეტრი — 1,5 — 1,8 სმ, ბუდე-თვლის სიმაღლე — 0,7 სმ). გარედან თვალბუდეს სპილენძის 4 ჰაწია უენწი აქვს დარჩილული. საფიქრებელია, რომ თავის დროზე საკინძის ღერო მთლად ან თითქმის მთლად იქნებოდა ქალის სქელ თმაში თუ თავსაბურავში ჩაფლული და მხოლოდ ოქროს მოთვალული თავები გამოჩნდებოდა.

სამარხში 3 ჩონჩხი იყო. ყველაზე მეტი ნივთი, აღწერილ საკინძთა ჩათვლით, აღმოაჩნდა მუხში მდებარე ჩონჩხს.

ესა: ბრინჯაოს კიდვე 6 ნაირ-ნაირი, 'ზოგი ფრიად თავიყე-
ბური ქინძისთავი, რომლებიც ზემოთ, საკინძთა საერთო მი-
მოსილვისას გვაქვს აღწერილ-დასწავთებული (№№ 1555
და 1567—1571; ტაბ. CXVII, 22—25, 32, 33); ვერცხლის
წვეილი საუკურო, უწესო ოჯღური, ქვემოლან მიწისიღული
თითო ბურთულით (№ 1559; ტაბ. CXVII, 27, 28); ვერ-
ცხლის ბეჭედი (№ 1562; ტაბ. CXVII, 35), რომლის ღე-
ვარდის თვალზე კურდღელია გამოსატული; ბრინჯაოს თვალ-
ამოვარდნილი ბეჭედი (№ 1557; ტაბ. CXVII, 39); რკინა-
ბრინჯაოს ნაწია, კოსტა, „ქვინტიანი“ მშვილდსაკინძი (№ 1563;
ტაბ. CXVII, 36); ბრინჯაოს ბოლოვებდასუკული საშა-
პური (№ 1564; ტაბ. CXVII, 31); რკინის მშვილდსაკინძის
მშვილდი (№ 1566; ტაბ. CXVII, 38); მალაქიტისთავიან
და სხვა რკინის საკინძთა ნატეხები (№ 1555; ტაბ. CXVII).
ამავე ჩონჩხს ირგვლივ შემორჩენილი იყო ისეთი ნაშ-
თები, რაც მალთან იშვიათად თუ გვადარწებთ ხელამე
სრწუნას მველ საშარსებში: ქალის თმის რამდენიმე ბლუკა
(მათ შესახებ აგრეთვე ზემოთ, საკინძების ერთობლივ განსილ-
ვისას გვექონდა საუბარი); მასათით დახერტილი ტყავის—
ჩანს, ფესხვამლის—ნაფლეთები (№ 1548); სქელი და მუტ-
ნაკლებად უსუმი ქსოვილის ნაფლეთები (№№ 1517 და 1552);
მოყავისფრო, თხელი და ფაქისი ქსოვილის (აბრეშუმის?)
ნაფლეთები (№ 1551). უსუმი ქსოვილის რამდენიმე ნაფლეთ-
ი აღმოაჩნდა დანარჩენ ორ ჩონჩხსაც (№№ 1549, 1550,
1553). ბრინჯაოს ერთი საკინძი, რკინა-ბრინჯაოს მშვილდ-
საკინძი და რკინის ბეჭედი ასლდა ჩრდილოეთით მდებარე
ჩონჩხს (№№ 1554—1555; ტაბ. CXVII, 31, 37, 40).
მესამე ჩონჩხთან თითქოს არც ერთი ნივთი არ ეთიფლა
დაკავშირებული.

სამაუკულის განსილვის დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ
ოქროს სამაუკულიც და საბეჭდადებიც მხოლოდ იმ საშარ-
სებში გვხვდება, რომლებიც მრავალფეროვნება და მრავალ-
რიცხოვან ინვენტარს შეიცავს და რომლებშიც სხვებზე მე-
ტია, კერძოდ, ვერცხლის სამაუკული.

მინის ჭურჭელი, თითქმის ეველა, ნამტვრევებითაა
წარმოდგენილი. ისინი სულ 11 საშარსშია აღმოჩენილი,
ხოლო ვინაიდან ორ მათგანში ორ-ორი თავ-ეული ჩანდა,
შეიძლება ითქვას, რომ სულ 13 ჭურჭელი გვექონია. შედა-
რებით მთელად შემონახულია მორის დასწავთებული შემდეგ-
ნაირი ჭურჭლები: 1) მთითერთ მინის ვიწრო, ევლამდელი
და მუცელდებრტეული საწვლასცხებელი (აღმანის ნიდა-
ევის ძელის მოყვანილობის), რომლის სიმაღლე უდრის 15
სმ, ჰორის დიამეტრი—2,5 სმ, გარემოწერილობა—4 სმ
(1937 წ. სავ. წიგნ. № 388; ტაბ. CXV, 13); 2) ღია
მწვანე მინის მომცრო საწვლასცხებელი (სიმაღლე—5 სმ,
უდიდესი დიამეტრი—3,5 სმ), დოქისებრი მოყვანილი,
ოღონდ უუერო; მუცელს ირგვლივ ღურჯი მინის არათა-
ნაბრად მსხვილი მათისაგან შედგენილი, უწვევტი, მაგრამ
უწესო-სიგზავური ორნამენტი აკრავს; ფსკერი საკმაოდ
შედრევილი აქვს (სავ. წიგნ. № 799, 57-ე ქვისსამარხი);
3) მწვანე სქელი მინის საწვლასცხებელი (სავ. წიგნ. № 255,
№ 11 ქვისსამარხი), რომელსაც ტანი სრულიად მრგვალი

და მირკამოეოეული აქვს, ეული — მოკლე და განაური,
ტუჩები—სქელი და ფართოდ გადაშლილი (სიმაღლე—7,5
სმ, უდაღის დიამეტრი—6,0 სმ); 4) მინის მცირე სასმა-
ლის ქუხელი, კონუსური მოყვანილობისა, ევლცესილი სწო-
რედ იქ, სადაც წერილი იქნის ეწვებოდა (35-ე ქვისსამარხი,
სავ. წიგნ. № 514).

დასაინწინა შესახებ შევეცილია მხოლოდ ის ვაჭეათ,
რომ უმეტრობა სწორედ საწვლასცხებლებია, ისედაც და
ზოგჯერ ფაქისი მისისაც კი, ფერად უფრო სმარად მთათე-
რო-გამჭირვალე. არის მოყვანილო და მწვანე ნატეხებიც.
ეველა მქონაწვლავად აღაფრულია ღამაში, მქრქალი ირი-
საკინის ქერქათ.

საერთოდ მინის ჭურჭლები და, კერძოდ, მინის ძირი-
თადი ნაწილი—სახელსაცხებლები საწვლასცხებლები რაზა
მესეთის საშარსეული ინვენტარისათვის, მაგრამ რომ ამ
მსრივ განსაკუთრებით საუკრადლებო კოლექციას სწორედ
სამაუკრის საშარსებში იძლევა, ეს ჯერ კალკ XIX საუ-
კუნდისაა ცნობილი [301; 369]. მინის საწვლასცხებლები
მრავლად აღმოჩნდა რუსეთის აგრეულ შუა საუკუნეთა საშარ-
სებშიც [321]. ამამისიხევის ერისთავთა ექესი საშარსადან
მინის ჭურჭელი ოსმის ეყო, სხვადასხვა რაოდენობით, ნაირ-
ნაირი მოყვანილობისა და სიდიდისა: ანზარევისა და მე-2
სამარსებში—ორ-ორი, მე-3-ში—ათიქის ორი, მე-6-ში —
ოთსხე მეტი, ხოლო მე-5-ში—მეცამე. ათიქისი არა ნაკ-
ლებ უსვადაა წარმოდგენილი მინის ჭურჭელი სამაუკრის
იმავდროულ სამარსებში. კიდევ უფრო მატულობს მინის
ჭურჭელი (თუმაკი უფრო ჰატარ-ბატარა და ათიქის ნაკ-
ლები ხარისხისა) სამაუკრის IV და მომდევნო საუკუნეთა
ქვისსამარსებში. სამაუკროდ, იქ სრულიად აღარ გვხვდება
ღითონის ჭურჭელი და კანტიკუნტად-ღა გვევლენა ათის
ჭურჭელი, რომელიც, როგორც ვიცით, I—III საუკუნეთა
სამარსებში იქ ეოველათვის არის წარმოდგენილი.

აქე რომ ათიქის შევეცილია მცესეთაში წულთაღრიცხ-
ეთა მიანიდან კიდრე ადრეეოდალური სახის ბოლომდე
ვიგულისხმთ მიცვალეულათვის მინის ჭურჭლის ჩატა-
ნების უწვევტი ტრადიცია და, მასხადაშე, სათანადო ჭურჭ-
ლის მასობრივად არსებობაც. IV და მომდევნო საუკუნეებში
სამარსეული მინის ჭურჭელი საგრძობლად იცვლება და მა-
ღიან თავიებურ იერს იღებს.

ასეთსავე სურათს ეხვადეთ არამისიხევის არქეოლოგიურ
კომპლექსში წარმოდგენილ მინის ჭურჭლებში, ოღონდ აქ
ერისთავთა თანამედროვე, მცირერიცხოვან დარბულ სამარ-
სებში იგი სრულიად არ მოიპოვება.

თიხის ჭურჭელი ამ ვეუფის სამარსებში ერთად-
ერთი ცალი აღმოჩნდა (ხელადა, 66-ე სამარსში, სავ. წიგნ.
№ 606). თანმშლები ინვენტარი აშკარად გვიანდელი ტიპისაა
(რკინის მშვილდსაკინძი, ღურჯისანი საკინძები, ურცხლის
ბეჭედი და აგრეავე რკინის დანისპირი), ხოლო ასეთ
ინვენტართან ათისის ჭურჭელი მცესეთაში საერთოდ უწვე-
ულია.

რკინის დურქსენები (მთელ-მთელი და ნატეხები)
აღრიცხულია ამ ვეუფის 3 სამარსში (№№ 15, 17 და 72),

სოლო ერთი (1938 წ. № 4, ოქროსსამკაულიანი)—საუკუ-
კოა. როგორც ვსებავთ, ისინი ვერ ჩაითვლება ამ ჯგუფის
დამახასიათებლად.

აქ აღმოჩენილი ღურსმანი ეგულა თავბრტეულია. ღე-
როები მრგვალი ან ოთხკუთხედიანი იქნებიან აქვთ. ძალიან
სმირად მათ შერჩენიათ სის ნამთები.

ღურსმანების სიგრძე 5 სმ-დან 10 სმ-მდეა, სოლო თა-
ვის დიამეტრი—1,0—1,8 სმ. სიგრძის მიხედვით შეგვიძ-
ლია დავასკვნათ, რომ ის ფიცრები, რომელთაგანაც თავის
დროსე შეუკრავთ აქაც სავარაუდებელი კუბო, სქელი უო-
ფილა.


რაც შეეხება მონეტებს, სამარხთა ამ ჯგუფში სულ
ორი ცალია აღმოჩენილი და ორივე არაბული ფელსია,
VIII საუკუნისა.

ერთი მათგანი 1938 წ. მე-12 ქვისსამარხში აღმოჩნ-
და (საუ. წიგნ. № 425), მეორე კი 1945 წელს, მიწით საე-
სე 82-ე ქვისსამარხის თავზე. ამ უკანასკნელის დამატარიღე-
ბელი მნიშვნელობა ნაკლებ მტკიცეა, ვინაიდან იგი მი-
წის ზედა ფენაში იყო. მე-12 სამარხში აღმოჩენილი ფელ-
სი კი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ არმაზისსევის
გვიანდელი სამარხის ხნოვანება IX საუკუნემდე მაინც
მოღის.

ასეთია, ზოგადად, არმაზისსევის გვიანდელი სამარხ-
ის ინვენტარი და ის მოსაზრებანი, რომელთაც მისი ერ-
თობლივ, თუ ცალკეული ელემენტების განსილვა აღძრავს.

დასასრულ, უნდა დავმინოთ, რომ ტუის უბნის ქვის-
სამარხები, მიუხედავად ერთგვარი ტერიტორიული სიმო-
რისა, ორგანულად უკავშირდება, დაკრძალვის წესისა თუ
ინვენტარის მიხედვით, პირითადი უბნის გვიანდელ სამარ-
ხებს. ამ გარემოებას იმიტომაც ენიჭება მნიშვნელობა, რომ
ტუის უბნის 12 სამარხში (განსაკუთრებით კი 1946 წ. გა-
თხრილ სამარხებში) მაინც ბევრი რაზა თავისებური და
საუურადღებო (მაგ., თუნდაც ტუაისა და ქსოვილთა ნამთები,
ბრინჯაოს ზოგიერთი სათმეული ქინძისთავი და სსცა), რაც
არსებითად ავსებს ჩვენს წარმოდგენას ადრეფეოდალური
ხანის მცხეთის სამარხთა ინვენტარის შესახებ.

ქვისსამარხთა ამ ორ ჯგუფს შორის მანძილი (თუ
გათხრილითაგან განაპირა სამარხებს ვიანგარიშებთ) სულ
ორასიოდე მეტრს უდრის, მაგრამ მათ არმაზისსევი ჰყოფს.
იმ დროისათვის ის მოსახლეობა, რომელიც, ჩანს, თითქმის
ყოველთვის საოჯახო სამარხებში კრძალავდა თავის მიცვა-
ლებულებს, უნდა ვიგულისხმოთ მაღლობზე, ამჟამად ახალ-
გაზრდა ტუით დაფარულ ადგილას, სადაც ქვითკირის შე-
ნობათა ნანგრევები იქნა მიკვლეული ჯერ 1937 და შემდეგ
1946 წლებში.



ნაგებობანი და მათთან დაკავშირებული ნაშთები

სამარხებთან ერთად არმაზისხევის ველზე უოველ-წლიურად ვლინდებოდა სხვადასხვა დროის ნაგებობათა ნაშთებიც. მათ შორის უველაზე უკეთ შენახული და სახეზე-მორჩენილი გამოდგა ძველი აბანო, რომლის გათხრითაც დაიწყო ნაუოფიერი მუშაობა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. წინამდებარე თავში, აბანოს დაწვრილებით განხილვასთან ერთად, მოგვინდება შევესოთ ექსპედიციის მიერ გათხრილ დანარჩენ ნაგებობებსაც, რომელთაგან ზოგი აბანოს თანამედროვეა, ხოლო ზოგი—უფრო ახალი.

წვორედ ამ ქრონოლოგიური თანმიმდევრობისამებრ ვაჯგუფებთ განსახილველ ნაგებობებს: ადრინდელ ნაგებობათა სახელით გამოყოფით აბანოსა და მისი დროის, სამშენებლო ტექნიკის მხრივ მის მსგავს შენობათა ნანგრევებს, ხოლო უველა დანარჩენ ვაერთიანებთ გვიანდელ ნაგებობათა ჯგუფში. პირველი ჯგუფი უკავშირდება ამ ადგილას ოდესღაც არსებულ ერისთავთა სამოფელს, რეზიდენციას, მეორე კი უერთიანებს იმ ძეგლებს, რომლებიც წარმოადგენს ამ რეზიდენციის განადგურების შემდეგ აგებულ შენობათა ნაშთებს.

პირველ ჯგუფზე უფრო ადრინდელი ნაგებობანი არ შემონახულა.

პირველი ჯგუფის შენობები ახალი წელთაღრიცხვის II და მომდევნო საუკუნეებს ეკუთვნის. მათგან უმეტესწილად სამარკვლები და, უკეთეს შემთხვევაში, კედლის მცირე ნანგრევები-და დარჩენილა. შედარებით უკეთესად შემორჩენილი ძეგლებიც (მაგ., აბანო) ისეთ მდგომარეობაშია, რომ მაინც ვერ სერსდება კონსტრუქციის მთლიანად და დანამდვილებით წარმოდგენა.

გათხრის შედეგები ნათელყოფს, რომ არმაზისხევის შესართავს აღმოსავლეთით მდებარე ველი საცხოვრებლადაც არა ერთგზის უოფილა გამოუენებული და სასაფლაოდაც.

ადრინდელ შენობებს უკირაჟს გათხრილი ველის უფართოესი ნაწილის აღმოსავლეთი მხარე, ხოლო იმავედროული სამარხები თავმოყრილია უმთავრესად ამ შენობებს სამხრეთ-დასავლეთით, დასავლეთითა და სამხრეთით. მომდევნო საუკუნეებში ნაგებობათა დიდი ნაწილი უფრო სამხრეთით

და დასავლეთით იკავებს ადგილს, ხოლო სასაფლაო ერისთავების ნაგებობათა უბანში იმართება, თუმცა სამარხები ჯგუფ-ჯგუფად გვსვდება ველის სხვა ნაწილებშიც. ცხადად ჩანს, რომ გვიან სანაში მიცვალებულნი უმარხავთ უპირატესად ძველ ნაგებობათა ნანგრევებში და ესოებში. განსაკუთრებით ითქმის ეს „ზღურბლიანი ნაგებობის“ შესახებ (იხ. საერთო გეგმა).

არმაზისხევის შესართავთან დღემდე გათხრილი, საჰამოდ მრავალრიცხოვანი ნაგებობანი ერთიმეორისაგან განსვადება ისეთი ნიშნებით, რომლებიც მათს სხვადასხვადროულობასაც მოასწავებს და მათი დანიშნულების სხვადასხვაგვარობასაც. არსებით განსხვავებას ვხვდავთ, უპირველეს უოგლისა, შენების ტექნიკის მხრივ. როგორც ირკვევა, ეს სხვაობა შეესატყვისება ნაგებობათა ახალბრივ სხვაობას.

განვიხილოთ ნაგებობათა ეს ორი პირითადი ჯგუფი.

I. ადრინდელი ნაგებობანი

ამ ჯგუფში გაერთიანებულია: 1) აბანო; 2) „ზღურბლიანი ნაგებობა“; 3) ერისთავთა პირველ და მეორე სამარხთან დაკავშირებული ნაგებობა; 4) „ერთსენაკიანი ნაგებობა“; 5) არქიტექტურული დეკორის ნაშთები და 6) მარანი და საკულტო ნაშარხები. ორი უახანესელი აჰყარად უკავშირდება განხილულ ნაგებობებს და ამიტომ ვთავსებთ მათ ამ თავში.

I. აბანოს ნაშთები

ნაგებობა, რომელიც აჰყამად ჩვენი შესწავლის საგანს შეადგენს, აღმოჩინა და გათხარა არმაზის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1937—1938 წლებში. ის მდებარეობს შესწავლილი უბნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მტკერის მეორე ტერასის კიდეზე (იხ. საერთო გეგმა) I.


I აბანოს ნანგრევებს ხის პეილონი გაუყუდა და ამ სახითა იგი აჰყამად დაცული.

ორივე კამანის განმავლობაში პირითადი ნაგებობის — აბანოს — პარალელურად ითხრებოდა, ერთი მხრივ, სხვა რიგის, ნაკლებ კაპიტალურ ნაგებობათა ნაშთები და, მეორე მხრივ, ადრეულ შუა საუკუნეთა საშაროვანი [3; 4].

როგორც უკვე ითქვა, აბანო აგებულია მდ. მტკვრის მეორე ტერასაზე. მაგრამ ისე, რომ შენობის ჩრდილო კედელი ტერასის შესატყვის კბოდეც გასდევს (ტაბ. CXX, 4). შენობა დამსრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთი-აღმოსავლეთისაკენ მცირეოდენი გადახრით. ამგვარი დამსრობა შედეგი უნდა იყოს არა ტერასის ბუნებრივი კონტურებისადმი შეიკუბისა, არამედ იარკვეული ჰრაქტიკული მოსაზრებისა, რომელიც, ჩანს, უკარნახებდა მუდ მშენებლებს იმაგვარად დაეგებათ ნაგებობა, რომ მისი კუთხეები ქვეყნის მხარეების მიხედვით უოფილიყო დამსრობილი, რაც უსრუნველყოფდა მზის სხივებით შენობის კველა

ეს ნანგრევებიც დროთა განმავლობაში მთლიანად მიწით დაფარულიყო და ამ მიწას მცხეთის კოლმეურნე გლეხობა ბოლო ხანებამდე ხნავდა. კერძოდ, 1937 წელს სწორედ აბანოს ნაკვეთზე სიმინდი ეთესა (ტაბ. XXXIV, 1).

კველაზე მეტად შემონახული კედლები მიწის თასამედროვე ზედაპირიდან 0,5—1,2 მეტრის სიღრმეზე ჩნდებოდა. შენობა საერთოდ მტკიცე, კომპაქტური დეტალებისაგან შემდგარ მთლიან მებგლს წარმოადგენს. ნაგებობათა საძირკველი ამოყვანილია უმთავრესად რიყის ქვით, ხოლო კედლები—ადგილობრივი კვლის, უმთავრესად ქვიშაქვის ნატეხებით, რომელთა შორის ერთ-ერთი უმცირესის ზომა 0,26×0,11×0,07 მ, ხოლო უდიდესისა—0,51×0,33×0,12 მ უდრის. ქვები შედუღაბებულია მაღალხარისისოვანი კირით. კედლებისათვის დამახასიათებელია ზედიწვენით წესიერი წყობა. საერთოდ აქ კარგად ჩანს ქვების ნორმალური წყობის, შე-



სურ. 102. აბანოს ზედა სართულის გეგმა

კედლის გათბობას შიგნით დღის განმავლობაში [115; 116, გვ. 476]. შენობის საერთო სიგრძე 22,0 მეტრს აღწევს, ხოლო უდიდესი სიგანე—5,50 მეტრს (გაოთხლისწინებულია დასავლეთის მხარეზე მოკვანიებით მიმენებული გასასდელი ოთახის ზომაც). როგორც ამ ციფრთა შეფარდება მოწმობს, შენობის საერთო სიგრძე უსუსტად 2,5-ჯერ მეტია სიგანეზე, რაც ამგვარ ნაგებობათათვის უსუველო მოვლენას წარმოადგენს: მსგავს ნაგებობათა გეგმის მიხედვით, სიგანე მხოლოდ 1/3-ით უნდა უოფილიყო ნაკლები სიგრძეზე [115, გვ. 107]. შენობის საერთო ფართობი 148,24 კვ. მეტრია, ხოლო განუოფილებათა შიდა ფართობი—67,40 კვ. მ. გარეთა (საძირკველიანი) კედლების სისქე 1,3-დან 1,5 მეტრამდე ადის, მიკნითა, გაუოფი კედლების სისქე კი 0,90—0,95 მეტრს უდრის.

როგორც ორი არქეოლოგიური კამანის შედეგად გამოირკვა, შენობა ორსართულიანი უოფილა, მაგრამ ჩვენამდე მოუღწევია ნაგებობის სიმაღლის ნსკეარზე ცოტა ნაკლებს—მეტწილად ქვედა სართულს (ტაბ. CXX, 1—3).

ნობის საფუძელის, საძირკველისა და აგრეთვე ცალკეული არქიტექტურული ელემენტების ურთიერთდაკავშირების საკმაოდ განვითარებული ხერხები. შენობის საფუძელის ამოყვანისას წარმატებით არის გამოყენებული ჭეორდულაბი.

ნაგებობა შედგება სუთი პირითადი განუოფილებისაგან, რომლებიც ერთიმორეზეა მიჯრილი. ესაა:

- ა) გასასდელი ოთახი,
- ბ) საცეცსლე განუოფილება,
- გ) ცხელი აბანო,
- დ) თბილი აბანო,
- ე) ცივი აბანო.

ა) გასასდელი ოთახი (სურ. 102, 1) დასავლეთ განაპირასა და, როგორც ეტყობა, ცალკე უნდა იყოს მიმენებული, აბანოს პირითად განუოფილებათა აშენების შემდგომ.

გასასდელი ოთახი უფრო ფართოა, ვიდრე საკუთრივ აბანოს პირითადი განუოფილებანი. მისი სიგრძე-სიგანე


(კვლევის სისქის ჩათვლით) $8,6 \times 5,6$ მეტრს უდრის, ხოლო შიდა ფართობი— $26,12$ კვ. მეტრს.

შენობის ამ განყოფილებისაგან შემორჩენილია მხოლოდ საძირკველი და კედელთა ნაშთები. აღარაა, კერძოდ, იატაკი, რომელიც სისა უნდა უოფილიყო.

გასახდელის სამხრეთი კედელი უშუალოდ განაგრძობს აბანოს საცეცხლე განყოფილების სამხრეთ კედელს, ხოლო ჩრდილო კედელი $3,0$ მეტრის მისაბრუნით ედგმის მას. ეს მისაბრუნის აბანოს ჩრდილო კედელზე ორგანულად გადაბმული არ არის. ეველზე უკეთ შემონახული კედლის სიმაღლე $2,5$ მეტრია, ხოლო სისქე— $1,3$ მეტრი. დასვლოებით $2,0$ მეტრის ქვემოთ იწყება საძირკველი. კედლები ძველნილი უოფილა კირით. სამხრეთ კედელში (ე. ი. „ზღურბლიანი ნაგებობის“ მხრივ) დატოვებულია $1,2$ მ სიგანე საკარე, რომელიც თავის დროზე ალბათ წარმოადგენდა ჰირ-

განყოფილების თავზე გადავლით, ცხელ აბანოში (იხ. ქვემოთ). ამავე კედელში, ოლინდ გიგე საცეცხლე განყოფილების დონეზე, უოფილა სხვა საკარე ხერეული, რომლის შემკებით, საფიქრებელია, საბობი განყოფილების იატაკზე დაგროვებულ წყარს და სხვა ზეღმეტ რასზე, გასახდელის ქვედა სართულსა და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დატანებულ გასახდელზე გაულით, ტერისის ფლატეზე გადაურიდნენ. შემკობ კი ეს საზიარო გასახდელი, ჩვენთვის უცნობი მიწისის გამო, დაუქრუებითა, რაც კარგად ჩანს საცეცხლე განყოფილებაში (ტაბ. CXXVII, 4).

ბ) საცეცხლე განყოფილება (სურ. 102, 2; სურ. 105—106; ტაბ. CXXI, 1—2) მოცულობით კვლავზე მცირეა. იგი მდებარეობს გასახდელი განყოფილების აღმოსავლეთით. მისი ფართობი უდრის $3,6 \times 1,9 = 6,84$ კვ. მეტრს. კედლის სისქე $0,95$ მეტრია. იგი შემონახულია $2,7$ მ



სურ. 103. აბანოს ქვედა სართულის გეგმა

ველ შესასვლელს „ზღურბლიანი ნაგებობიდან“ აბანოში. მისი სიმაღლე აქამად $0,55$ მ უდრის.

მოგვიანებით, გასახდელი განყოფილების დასავლეთი კედელი ერთ ადგილას აუნგრევიათ და მის კარდიგარდმო ქეთიერის სამარხი ამოუქნებიათ, ისე რომ სამარხისა და კედლის ზედაპირი ერთ დონეზე უოფილა. სამარხი დამსრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მას აღმოსავლეთი კედელი არა ჰქონდა, დასავლეთი კედელი კი რკალურად ჰქონდა ნაშენი. სამარხის ზომა $1,80 \times 0,83 \times 0,60$ მ უდრდა, იატაკის ფართობი კი— $1,12 \times 0,83$ მეტრს. სამარხში აღმოჩნდა სრულწლოვანი ადამიანის რამდენიმე ლულოვანი ძვალი (ერთ ადგილას თავმოყრილი) და მინის სახელსაცხებლე ჭურჭელი. თავისქალა გადაყარდინებულ წინამსრის ძვლებზე იყო. შესაძლებელია, ეს გარემოება მეთრედ დამარხვის მაჩვენებელი იყოს.

გასახდელის აღმოსავლეთ კედელში ადრევე უოფილა დატოვებული $0,9$ მ სიგანე გასახდელი, რომლითაც მობანავენი ამ განყოფილებიდან შევიდოდნენ, საცეცხლე

სიმაღლეზე. მის ქვემოთ მიწაში ღრმად ჩადის საძირკველი.

საცეცხლე განყოფილებას ჰქონია საკუთარი კარი სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, სადაც $1,05$ მ სიგანე გასახდელის კვალი-ლა დარჩენილა. აქვე იყო ქვის ვიწრო საფესურები, რომელია შემუღებით ალბათ ცვეცსლფარეში ჩადიოდა საცეცხლურში.

ამ განყოფილების აღმოსავლეთ კედელში, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, გამართულია საცეცხლური ანუ ღუმელი, რომლის სიგრძე $1,54$ მ, სიგანე $0,7$ მ, ხოლო სიმაღლე $1,65$ მ უდრის. ღუმელის თავი წარმოადგენს ბრტყელი, კვერღებაკეცილი კრამიტებით ამოყვანილს, კირით მტკიცედ შედუღებებულ ნახევარწრიულ კამარას (სურ. 105—106; ტაბ. CXXI, 2). კამარის შემაღლება $0,5$ მ უდრის, ქუსლის სიგანე— $1,0$ მ, ხოლო სისქე— $0,7$ მ. სიღრმეში კამარა დეიწრობებულა— ისეთივე კრამიტის ნატეგებით გამოყვანილი, უფრო მცირე კამარის ჩაშენების შედეგად (სურ. 105—106; ტაბ. CXXII, 2, მარცხნივ). ამ უანასხენ-

¹ იგი აქსონომეტრიზე (სურ. 113) აღდგენილია.

ლის სიმაღლე 0,25 მ უდრის, ქულის სიგანე კი—0,3 მ. იგი მთლად შეღებულია კირით. ეს ჰატარა კამარა გადის აბანოს ცხელ განუოფილებებში, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი ემსახურებოდა ქვედა სართულში დაგროვილი ცხელი ჰაერის მეორე სართულში აუქანს. საბირთვის მისევედით იგი ალბათ იღებოდა და ისურებოდა, ლითონის ფარის სა-
შეულებით.


ღუმელის პირთან, კირქვის ფილებისაგან მოწყობილ სადგარზე გარდვიგარდო ღუმეს ქვიშაქვის დიდი, მაღალი, უნაგირისებრი, გაუთლილი ლოჯი, რომელზედაც ალბათ მუგუსლების გარეთა ბოლოებს შემოსებდნენ სოლმე (სურ. 105, წინა პლანზე). ამ ქვის ზედაპირს მოგარდისფრო ელფერი გადაპირავს, რაც ცეცხლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგია. რომ აქ მართლაც იატაკქვეშა გათბობის სისტემისათვის დამახასიათებელი საცეცხლური ეოფილა მოწყობილი, ამახ ისიც ამტკიცებს, რომ მის წინ, საგანგებოდ დატყვნილი იატაკის მთელ ფართობზე იუთ 0,6 მ სისქე ნაცრის ფენა, რომელშიც ალაგ-ალაგ სის ნახშირისა და, უფრო იშვიათად, აგრეთვე მინაურ ცხოველთა ძვლების ნატეხები გამოერეოდა ხლამე.

0,2 მ სისქე დატყვნილ ფენას, რომელიც კირისა და დანაილი აგურისა და კრამიტის თანაზომიერ ნარევეს შეადგენს.

იატაკის მთელ ფართობზე დგას მრგვალი აგურებით ამოყვანილი, 1,10 მ სიმაღლე სვეტები, რომელთა შორის მანძილი 0,30—0,35 მ უდრის (ტაბ. CXXIII, 1, უკანა პლანზე; CXXIV, 1—6; CXXV, 1—4; სურ. 103—104; სურ. 105, უკანა პლანზე, სიღრმეში; სურ. 108). ამასთანავე, კედლებს გასწვრივ აღმართულია კვადრატული და მოკრძო-
ოთსკუთხოვანი აგურებით აგებული სვეტები¹. თითოეული სვეტი შედგება სქელი კირით შემტკიცებული, 20—21 აგურისაგან, რომელთაც საფუძვლად ასევე მრგვალი, ოღონდ რამდენადმე უფრო დიდი აგური უდევთ.

მოკრძო-ოთსკუთხოვან აგურთა ზომაა 0,30×0,20×0,03 მ;

კვადრატულ აგურთა—0,25×0,25×0,03 მ;
ჰატარა მრგვალ აგურთა—0,20×0,04 მ;
დიდრონ მრგვალ აგურთა—0,23×0,04 მ.
თვით სვეტები ეოფელმსრე შემოღესილია კირით, რომელშიც ურეკა კარგად გამოშწარი და მსსელიად დანაი-



სურ. 104. გრძივი კურილი (ა—ა)

საცეცხლე განუოფილებებზე მიჯარილი შემდეგი ორი განუოფილება ორსართულიანია: ქვედა სართულს შეადგენს კალორიფერი, სოლო ზედას—ცხელი და თბილი აბანოები (ნახაზეზე ისინი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი; სურ. 102 და სურ. 103).

გ) ცხელი აბანო (სურ. 102, 3; ტაბ. CXXIV, 1—3, სურ. 103). ნაგებობის ეს ნაწილი კველაზე უკეთესად არის დაცული. მისი ფართობი 12,09 კვ. მეტრს უდრის, კარგად შენახული კედლის სიმაღლე—2,3 მ. ჩრდილო და სამსრეთ (ე. ი. მირიხად) კედლთა სისქე აქაც 1,3 მეტრია, განივი კედლებისა კი 0,95 მ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ განუოფილებებში შემონახულია შენობის ზედა სართულის ფრიად არსებითი ნაწილი, რომელიც ბევრ საინტერესო დეტალს შეიცავს ზედა სართულის საერთო გეგმის აღდგენის თვალსაზრისით.

ქვედა სართულს ტიპური კალორიფერის სახე აქვს. მისი იატაკი თარაზულია¹ და წარმოადგენს დასლოებით

ლი კერამიკული ნაწარმის ნაფსენი. უნდა აღინიშნოს, რომ კირისა და დანაილი აგურ-კრამიტის ერთიმეორეში შერევა და შემოსაღეს მასალად ქვედა სამშენებლო სელოენების მაღალი დონის ერთ-ერთი მომანაწაუბელია [115, გვ. 107; 370]. მსგავსი ნარევის არა ერთი და ორი ნიმუში გამო-
უვლენიათ არქეოლოგებს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ანტიკური ჰეროდის ნაგებობებში და განსაკუთრებით კი აბანოს, ღვინის დასაყენებელსა და თევზის დასამარილებელ აუზებსა და ცისტერნებში. ქიმიურმა ანალიზმა გამო-
არკვია, რომ ეს ეოფილა არა მარტო ცეცხლგამძლე, არამედ აგრეთვე საუკეთესო წყალგამღელ ნაღესობა [371, გვ. 23; 372, გვ. 353; 403, გვ. 95; 404, გვ. 194—195]. ამიტომაც, რომ მას ასე უსხად ვსვდებით ჩვეს კალორიფერში და ასევე უსხად შევსვდებით ცივი აბანოს აუზში (იხ. ქვემოთ).
სამსრეთი კედლის გასწვრივ მდგარი სუთი სვეტი ოთსკუთხი აგურებისაგან შედგება. ისინი კედლის საფესურად გამოწეულ საფუძველზეა ამოყვანილი და ამის გამო მათი სიმაღლე 0,6 მეტრს არ აღემატება.

¹ ე ტ რ უ ე უ ს ის აღწერილობის თანხმად კი, კალორიფერის იატაკი დაქანებული უნდა იყოს ღუმელის პირისკენ, რათა გახსრებულ ჰაერს შე-
სუარზებული განერტობის საშეალება ჰქონდეს [115, წიგნი V, თავი X, 2, გვ. 107].


¹ აბანოს გაუქმებისა და დანერვის შემდგომ ეს კვადრატული აგურებიც გამოუყენებიათ, სხვა მასალასთან ერთად, ამა თუ იმ დანიშნულების მკირე „ნაგებობათა“ ასაშენებლად (მაგ., ტაბ. CXXII, 5).

გათხრის მომენტისათვის ამ განყოფილებაში მთლიანად 33 სვეტი იყო შემორჩენილი. ამას გარდა, იატაკზე აღმოჩნდა დანგრეულ სვეტთა ნაშთებიც. ვარაუდით, თავდაპირველად 12 სვეტი უნდა ეოფილიყო. თუ ამას ნასვეარჩიულ ნიშში ამოკანნილ სვეტებსაც დავუმატებთ, მაშინ მათი საერთო რიცხვი ამ განყოფილებაში 45-ს მიაღწევს. ამ განყოფილების სახით საქმე გვაქვს ცხელი აბანოს იმ ნაწილთან, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში კალორიფერი ანუ ჰიპოკაუსტი ეწოდება. სვეტები ზემოდან ჰერმეტიკულად გადასურული ეოფილა სვანკვებით, ჩინებულად გამოშვარი კვადრატული კვრამიკული ფილებით, რომელთა ნაშთები აღმოჩნდა განყოფილების ჩრდილო კედელში დატანებული მომრგვალებული ნიშის სვეტების თავზე და აგრეთვე სამხრეთ ნაწილში, ღუმელს გასწვრივ, მის აუზოსავალით, „კამერების“ თუ „ცისტერნების“ ქვეშ (ტაბ. CXXIV, 4—5; სურ. 104). სვეტების თავს ზემოდან ირიბად დასაზული ზოლი). კვრამიკულ ფილათა ზომები ოდნე ცვალებადობს — $0,55 \times 0,60 \times 0,03$ მ და $0,60 \times 0,63 \times 0,04$ მ შორის. სვეტები იმგვარად იყო განლაგებული, რომ თითო ფილა ოთხ სვეტს ესურა, ისე რომ ფილის ეოველი კუთხე ოთხი უასლონი სვეტის თავის სათანადო მეთხედს ვერდობოდა. რაც შეეხება კედლების გასწვრივ ამართულ, ოთხკუთხა აკურებით ამოკანნილ სვეტებს, აქ ფილა უკვე მათი თავის ნასვეარჩე იყო დურდნობილი. კვრამიკულ ფილებს შორის დარჩენილი ხარვეზება ამოლესილი იყო ზემოდანიშნული ცეცხლგამძლე ხსნარით, სოლო ამგვარად გადასურული მთელი ფართობი ზემოდან კიდევ სქლად გადალესილი იყო კირით, რომელმაც აგრეთვე ვრია დაფხვნილი აკურ-კრამიტი, ოღონდ ნაკლები. ეს იყო შენობის ზედა სართულის იატაკი.

იატაკის ჭრილში შეინიშნება ამ ნახაის 3—4 და ზოგან შეიღამდე ფენა, რომელთა სისქე 10—15 სმ შორის მერყეობს. ეს გარემოება გვანინიშებს, რომ იატაკს აკებდნენ ხსნარის მრავალგზის, თანამიმდევრობით მისმა-მოლესებით. ჰიპოკაუსტის სვეტების გადამშურავი ფილების ქვედაპირზე, რომელიც კალორიფერისაკენ არის მიქცეული, შეინიშნება ობის მაკვარი ნაფიფე, რომლის წარმოქმნა სიმსურვალის გამდამებული შემოქმედების შედეგი უნდა იყოს. ცნობილია, რომ ეოველი კვრამიკული ნაწარმი, ზედმეტი სიცხის გავლენით, ზედაპირზე ასეთ მოთეთრო-მონაცრისფრო ჰაეს გადაიკრავს სოლმე. ასეთივე, ზემოდან კირდაფხვნილი ფილებით იყო გადასურული ამ განყოფილების ჩრდილო კედლის ნასვეარჩიულ ნიშში ამოკანნილი ჰიპოკაუსტის ხუთი სვეტი. ამგვარი საკულდაკულო გადასურვის შედეგად, აღწერილი განყოფილების ქვედა სართული მიკნიდან წარმოადგენდა

ზედმიწებით მიკნილად შეკრულ სივრცეს. ამ უკანასკნელში ჰაერის ნორმალური მიმოინებისათვის ჰიპოკაუსტს ჩრდილო-დასავლეთისა, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთი კუთხეები ალამაჩერად დატანებული ჰქონდა კვრამიკული მილები (ტაბ. CXXIV, 1, 4; სურ. 102). სვეტებილიცო მილები სატანებული იყო აგრეთვე თბილი აბანოს კედლებში, რის შესახებ ქვემოთ გვეყენება საუბარი.

ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ჩატანებულ მილთა წყება (სამ-სამი ან ოთხ-ოთხი, ერთიმეორეზე წაბმული ოალი) ოდნე გადასრილია ჩრდილოეთისაკენ. პირველი, საწვისი მილის ბოლო კარგად ჩანს ამავე კუთხეში ამოკანნილ სვეტს ასლოს. ასევე გადასრილია, ოღონდ სამხრეთისაკენ, სამ-



სურ. 105

რეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთი კუთხეებში ჩატანებული მილები.

კედლებში დატანებული მილები ვიწრო თავებით ქვემოთკანა მიმართული. ეს გარემოება და აგრეთვე ამ მილების დასრილობა უზრუნველყოფდა შენობაში ჰაერის ზომიერ განიავებას.

სვეტებილიცო მილების საშუალო სიგრძე 0,11 მ უდრის; უდრის დიამეტრი—0,18 მ, უმცირესი დიამეტრი—0,12 მ, კედლის სისქე—1,2 სმ. მნიშობილი სვეტებილიცო მოწობილობათა შორის დაასლოებით 3 მ უდრის.

ამ განყოფილებაში, ღუმელს გასწვრივ, მის აღმოსავლეთით, ზედა სართულისაკენ შემონახულია ორი მცირე წორკუთხედიანი სათავსო—„კამერა“ თუ, უფრო, „ცისტერნა“ (სურ. 102; 108, მარჯვნივ; ტაბ. CXXI, 1—2, ზემოთ მარცხენა კუთხეში; CXXIV, 3, მარცხნივ; CXXVI, 1). ისინი ერთიმეორისგან გამოყოფილია კარგად გათლილი კვადრატული ფილაქით ($0,95 \times 0,95$ მ), რომელიც ორივე მხრივ წყალგამძლე ხსნარით არის მულესილი. ჩრდილოეთიდან ამ ცისტერნებს კედელი არ უჩანთ. კედლის მატივ-

რობას ვერ გასწევდა ოსტატურად გათლილი დიდი ფილა-ქვა (2,10×0,55×0,22 მ), რომელიც ცისტერნებს იმ მხრიდან გვერის იატაკის დონეზე (ტაბ. CXXIV, 3; CXXVI, 1; სურ. 102). უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სათავსოებს იუენენდნენ, როგორც ჰატარა ცისტერნებს ცხელი და თბილი წყლისათვის. სახელდობრ, დასავლეთის ცისტერნა ცხელი წყლისათვის უნდა უფილიყო განკუთვნილი, როგორც საცეცხლესთან უფრო ახლოს მეოფი. სოლო თუ ეს ასე იყო, მათ ჩრდილოეთიდანაც უნდა ჰქონოდათ კედელი ამოშენებული. ამ მოსაზრებას მით მეტი საფუძველი უჩანს, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედ ამ სათავსოებს მოადგება საშრეთიდან წყლის მოშენიანი მილები, რომელთა საშუალებით წყალი აბანოს ზედა სართულში ავიდოდა. აღმოსავლეთის ცისტერნის ფართობი უდრის 1,07 × 1,07 მ. იგი შემონახულია 0,95 მ სიმაღლეზე. დასავლეთის ცისტერნის ზომა 1,07 × 1,40 × 0,95 მეტრია.

როგორც ზემოთ გვეჩვენა ნათქვამი, სწორედ ამ, დასავლეთის ცისტერნის იატაკთან გამოდის ღუმელის დიდ კამარაში ჩართული პაწია კამარის სერველი, რომლის დანიშნულებაც ალბათ პიზაკუსტიდან უნდა სართულში დროდადრო ცხელი ჰაერის მიწოდება იყო.

ცისტერნები შიგნიდან კარგად არის შელესილი ჰიდრაულიკური ხსნარით, რომელსაც თხრის პირველ დღეებში ვერ კიდევ გადაჰყარავდა მოკავისფრო ელფერი, მაგრამ მზეზე მალე გახუნდა. ცისტერნათა კედლები აგურითა და ნატეხი კრამიტითაა ამოყვანილი. ნაგებობის ძირითადი კედლებისაგან მათი კედლები გამოსოლოვებულია ბრტყელი, გვერდუბრტყელი კრამიტებით, რომლებიც ისე დაწყობილი, რომ აკვიცილი გვერდებით აბანოს კაბიტალურ კედლებს ეყრდნობა. აკვიცილ გვერდებს შუაში აქვთ სეკმენტისებრი ამონაკრები, რომლებიც ერთიმეორეს ედება. ასე განლაგებული კრამიტები გვაძლევს ცხელი ჰაერის ორგვარ სადინარს, ურთიერთ გადაშვეთ არსებს: პირველი შეეულია და ამ კრამიტების აბანოს კედელზე მიყრდნობით წარმოქმნილი, სოლო მეორე პორიზონტულია და სეკმენტურ ამონაკრება ერთიმეორეზე მიწყობით წარმოქმნილი (ტაბ. CXXII, 2, უკანა კედელზე; ტაბ. CXXVI, 2; სურ. 102; 104; 109—იზოლაციის რეკონსტრუქციის ცდა). აქა-იქ შეიმჩნეოდა, რომ ბრტყელ კრამიტებს კაბიტალურ


კედელზე ამავრებდნენ T-ს მაგვარი რკინის ღურსმნებით, ისე რომ თითო ღურსმანი წყვილ კრამიტს აკავებდა.

აღსანიშნავია, რომ სითბოს იზოლაციისათვის გამოყენებული კრამიტები საერთო ზომითა და პროპორციებით განსხვავდება სახურავ მასალად გამოყენებული ბრტყელი კრამიტებისაგან (ამათ შესახებ იხ. ქვემოთ). საიზოლაციო კრამიტი უფრო მოკლეა. მისი სიგრძე საშუალოდ 10 სმ აღწევს, სიგანე—30—31 სმ; გადმოკეცილი კილის სიმაღლე—3—4 სმ, სისქე—1,5—2,0 სმ. სიგანე თავსა და ბოლოში თითქმის ყოველთვის ერთსაირია, მაშინ როდესაც სახურავი კრამიტის თავისა და ბოლოს სიგანეთა სხვაობა თითქმის ყოველთვის 5,0—6,0 სმ აღწევს. გარდა ამისა, საიზოლაციო კრამიტს გადმოკეცილ კიდევზე არა აქვს საფეხურისებრ გამოწვეული შვერილი, როგორც ეს სახურავ კრამიტსა აქვს (შეზოებული კრამიტის ბოლოს შესამავრებლად).


ეს გარემოება და აგრეთვე ამ ტიპის კრამიტის გადმოკეცილ კიდეთა სეკმენტისებრ ამოკვიცილობა საკმარის საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ მათი დამზადება საგანგებოდ ამ მიზნისათვის.

არმაზისხევის აბანოს მშენებლობაში გამოყენებულ ამ ტექნიკურ-კონსტრუქციულ სერსს საფუძველად ის პრაქტიკული მოსაზრება უნდა ჰქონოდა, რომ აბანოს შიდა ნაგებობათა და მის ძირითად კაბიტალურ კედლებს შორის წარმოქმნილიყო სადინარი, რომელშიც ყოველი მიმართულებით იმპარავებდა ცხელი ჰაერი. ეს უკანასკნელი გაათბობდა შენობის კედლებს, იატაკს (და შეიძლება ჰერსაც), რაც სასიამოვნოდ და ჯანმრთელობისათვის გაცილებით უფრო სასარგებლოდ ითვლებოდა [116, გვ. 477; 373; 374], ვიდრე ცხელი წყლით გათბარი აბანო, რომლის კედლები მეტ სინეტეს იძენენ.

ამ განუოფილების ჩრდილო, ნახევარწრიულად ამოჭრილ კედელში ჩამენებული იყო ნახევარწრიული ნიში (სურ. 102—103; ტაბ. CXXIV, 1, 4). მისი იატაკი შედგებოდა ჰიდრაულიკური ხსნარის ფენებისა და დიდი კვრამიკული ფილიქისაგან, რომლებიც მრგვალ აგურთა სვეტებს ეყრდნობოდა. რკალური კედელი ამოყვანილია ერთ დონეზე დაშვრივებული და მჭიდროდ მიჯრული, გვერდუბრტყელი ბრტყელი კრამიტებით, რომელთაც აკვიცილ ნაწირებზე სეკმენტისებრი ამონაკრები აქვთ.



სურ. 106. განივი კრილი ხ — ბ)



სურ. 107. განივი კრილი ც — ც)

ამგვარად, აქაც საქმე გვაქვს ისეთ, ცხელი ჰერის სადინარ არსებთან, როგორც ცინტერნების აღწერისას აღვნიშნეთ.

ნასვეარწრიელი ნიშის რკალის სიგრძე 1,96 მეტრია, სიმაღლე—1,17; ქორღის სიგრძე—1,80 მ, სიმაღლე—1 მ. შენობის ეს ნაწილი წარმოადგენს აბანოს ცხელ განყოფილებას, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში რომაული სახელი, კა დ ვ ა რ ი უ მ ი ეწოდება.

აღსანიშნავია, რომ ამ განყოფილების თხრა-წმენდისას ჰიპოკაუსტის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, იატაკზე, ოთხ სვეტს შუა აღმონდა ორი ბაუშის თავისქალათა ნატეხები. მაგრამ მათვე ცხადი შეიქნა, რომ ეს შერშინდელი მოვლენა იყო: მას შემდეგ, რაც ნაგებობა (აბანო) თავის პირდაპირ დანიშნულებას აღარ ასრულებდა, ეს ადგილი აბანოს ნანგრევებითურთ (რომლებიც ნაწილობრივ მიწით იყო დაფარული) ასალ-ასალ თაობებს სსაფლად გადაუქცევიათ, სოლო დროთა განმავლობაში ჩანგრეულ იატაკს თან ჩაუტანია ზედაპირზე დასაფლავებულთა ჩონჩხებიც, ჩაქეუული სასურავის, იატაკის ნაწილებსა და კერამიკის სხვადასხვა ნაშთებთან ერთად არეული [3, გვ. 386].

დ) თ ბ ი ლ ი ა ბ ა ნ ო (სურ. 102, 4; ტაბ. CXXV, 1—4; სურ. 103; სურ. 104, დაბალსვეტებიანი სათავსო). ცხელი აბანოდან თბილში გაუყვართ მთ გამყოფ კედელში დატანებულს 1,2 მ სიგანე გასასვლელს, რომელიც ზედა სართულის იატაკის დონეზეა და, მამასა-დამე, ზედა სართულის განყოფილებებს დააკავშირებდა ერთიმეორესთან. მისი კედლები შემონახულია 1,15 მ სიმაღლეზე. გასასვლელი შუა კედელში კი არ არის გაჭრილი, არამედ რამდენადმე დარღვეოთი.


ამ განყოფილების ზედა სართულისაგან კედლთან ნაშთების მეტი არა შემორჩენილა-რა. კედლთან შიდაპირზე აქი-იქ შესამჩნევია კირის ღვსილის ცალკეული ნაშთები. ცხელი აბანოს ქვეშ მოწყობილი ჰიპოკაუსტის განყოფილებიდან თბილი აბანოს ქვეშ მდებარე სივრცეში გასასვლელ გზას ცხელი ჰაერი საში ოთხკუთხედი სვრელის საშუალებით ჰორიზონტალურად (სურ. 108; ტაბ. CXXIII, 1). სამივე ქვედა სართულშია მოწყობილი. ამთგან ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებთან დატანებული სვრელები ვიწროა (0,25 მ) და მაღალი (1,1 მ), სოლო მესამე, მთ შორის მოთავსებული კი ფართო და დაბალია (0,8×0,8 მ). ეს უკანასკნელი ზედა სართულის შესაბამის განყოფილებათა

გასასვლელს ქვეშა უშუალოდ მოწყობილი. ამ განყოფილები ფართობი უდრის 3,6×3,1—11,16 კვ. მეტრს. კველასუ გუფო შემორჩენილი კედლის სიმაღლე 2,4 მეტრია.

იატაკი აქაც იმავე წესითაა გაბართული, როგორც ჰიპოკაუსტის ჰორიზონტალურ განყოფილებაში.

ამ განყოფილებაში კალორიფერის სვეტები ძლიერ დაზიანებულია: ისინი სანასვეროდ-დაა დაცული ადგილსუ-საგულელები ორმოცდასული სვეტიდან, მეტ-ნაკლებად კარგად შესასულა მსოლოდ ოცდაათი. ამთ შორის 14 ოთხკუთხედიანი, სოლო დანარჩენი კი მრგვალი აგურებითაა ნაშენი. სვეტებს აქ საფუძვლად თითო კვადრატული აგური უდევს, განსხვავებით ცხელი აბანოს მრგვალი სვეტებისაგან, რომელიც მრგვალივე, ოლონდ უფრო დიდი დიამეტრის ქონე, თითო აგური უდევთ შირში.

სხრისას ამ განყოფილებაში აღმონდა აგურის, კრა-



სურ. 108

მიტისა და კერამიკული ფილების უაშრავი ნატეხი. ეს იმის მომასწავლებელი უნდა იყოს, რომ სვეტები აქაც იმავე წესით ეოფილა გადასურული, რა წესითაც ცხელი აბანოს ქვედა სართულში.

განყოფილების ჩრდილო კედელში მოწყობილია 1,5 მ სიგანე და 1 მ სიღრმე ნასვეარწრიული ნიში, სადაც ისეთივე მინამენი უნდა ეოფილიყო ამოყვანილი, როგორც ცხელი აბანოს ჩრდილო კედელში ვნასეთ. ამას მოწმობს ნიშის რკალს გასწვრივ ოთხკუთხედი აგურებისაგან ნაშენი სვეტების ნაშთი (სურ. 102, 4; 103; 104; ტაბ. CXXV, 1; CXXVII, 1).

სამხრეთ კედელი დატანებული უნდა ეოფილიყო სწორკუთხედიანი ნიში, 1,4 მ სიგანე და 0,8 მ სიღრმე. ამ ნიშის კვალ-და იყო დარჩენილი.

როგორც ზემოთ გვეონდა ნათქვამი, ცხელი ჰაერი აქ ცხელი აბანოს ქვედა სართულიდან შემოდიოდა გამყოფ კე-

დელში სამხილო დატანებული სამი სვერლის მეშვეობით. მაგრამ იმისათვის, რომ ჰაერის მიმოღვნა ნორმალური უოფლით, მშენებლებს ამ განყოფილების ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებშიც დაუტანებიათ, ისევე აღმაცურად, თისის მიღები, რომელთა ბოლოები ასლვად კარგად ჩანს განყოფილების სათანადო კუთხეებში (სურ. 102, 4, მარჯვენა; ტაბ. CXXVII, 5).

ამ განყოფილებაში, ცივ აბანოსაგან გამკვანი გასასვლელის ასლოს, თითქმის სელუსებლად იყო მერყენილი მრგვალი აგურებით ამოკვანილი ორი სვეტი, რომელთა წინ (დასავლეთით) გარკვეულ მანძილზე იყო იმავე წესით ამოკვანილი ორი სხვა სვეტის ნაშთი. სვეტები, ჩვეულებრივ, კირით იყო შემოლესილი. სვეტებს შორის ჩაკერული იყო ერთიმეორეზე თუ-ბოლო შექცევით შთაფებული ორი დარისებრი კრამიტი, ისე რომ გარედან კირთა შეუღესელი მილის შიდა ბეჭდილებას სტოვებდა (სურ. 103; 110; ტაბ. CXXV, 2; CXXVII, 6). დეტლის ცვლად შემონახული მისა და აგრეთვე შესადარებელი მისათვის უქონლობის გამო, ამ მინამხნის დანიშნულება ვერაერთობით გაურკვევლი რსება—თუ არ დაუშვებთ, რომ იგი ამწავი ძილებთან დაკავშირებულ საკვამურს წარმოადგენდა.

ნაგებობის ამ ნაწილს სხეციალურ ლიტერატურაში ტეპი-დარიუში ეწოდება.

ე) ცივი აბანო (სურ. 102, 5; 103, მარჯვენა; 104, მარჯვენა; 111, უკანა ზღანზე; ტაბ. CXXVI, 3—6). თილსა და ცივ აბანოს ერთიმეორისგან ჰყოფს კედელი, რომლის ჩრდილო ნაწილი დატანებულია 1,2 მ სიგანე გასასვლელი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ცხელი აბანოდან თბილი და ამ უკანასკნელიდან ცივი გასასვლელი სხვადასხვა ვერტიკალურ სიბრტყეში შეეს.

ამ განყოფილების ყარათობი 11,31 კვ. მ უდრის (3,9×2,9 მ). კედელზე კარგად დაცული კედლის სიმაღლე 2,1 მ აღწევს. მას ქვედა სართული, ის თქმა უნდა, არა აქვს. შეიძლება ამის გამოცა, რომ მისი იატაკი 0,20—0,25 მეტრით უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე ზემოაღწერილ განყოფილებათა ქვედა სართულის იატაკის დონე. საერთოდ კი აუზის 3/1 ნაწილი ნაგებობის ქვედა სართულზე მოდის.

ცივი აბანო ორი ნაწილისაგან შედგება. ერთ მათგანში აუზია მოწყობილი.

აუზის ფართობი თითქმის 5 კვ. მ (2,9×1,68 მ=4,872 მ) უდრის. აუზში ჩასასვლელად მის ჩრდილო, დაბალ კედელში მოწყობილია ორმსრივი საშაფხურანი კიბე (ტაბ.


CXXVI, 3). თითოეული საფეხურის სიმაღლე 30—31 სმ უდრის, სიგანე—30 სმ. აუზის მთელი სიღრმე—იატაკი (ზღვე), კედლები და საფეხურები—კარგადაა შეღესილი ჩვენთვის ცნობილი ჰიდრაულიკური სხნარით. მშენებრად გამოყვანილი და სუფთად დანაული კრამიკული ნაწარმის სიკარბის გამო ამ უღესილი სხნაბირს ასლაცა აქვს შემორჩენილი ღია გარდასფერი.

აღმოსავლეთსა და დასავლეთ კედლებში, აუზის იატაკიდან 1,35 მეტრზე, ერთიმეორის პირდაპირ დატანებულია ნახევარმრგვალი ნიშები, თითოეული 1,0 მ სიგანე და 0,6 მ სიღრმე (სურ. 102, 5; სურ. 107; ტაბ. CXXVI, 6). სამხრეთ კედელში კი არის სწორკუთხეობანი ნიში, რომლის შემორჩენილი სიმაღლე 0,9 მ, სიგანე—1,3 მ, ხოლო სიღრმე—0,55 მ უდრის (სურ. 102, 5; ტაბ. CXXVI, 5).

იატაკი აუზს არა აქვს თარახული. ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში, ნახანი წყლის გასაუგანად, დატანებულია თისის მიღები (სურ. 102—103; 104, ჰორიზონტული; ტაბ. CXXIX, 3—4), რომლებიც არცთუ მცირე დაქანებით გადის აღმოსავლეთის გარეთა, 1,25 მ სიქის კედელში, რათა კედლის ბირში მოწყობილი დარისა და არხის („კოლექტორის“) მეშვეობით გადამუშავს მტკერი-საკენ (სურ. 103; ტაბ. CXXIX, 5). აუზში წყლის სწრაფ დამრეცა სელს უწევს თვით აუზის იატაკი დაქანება აღმოსავლეთის კედლისა და მასში ჩართული მიღებისაკენ. უნდა აღინიშნოს, რომ აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დატანებულ მთელგაკვანილობას ბოლომდე უმოქმედნია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის მთელგაკვანილობას, ამჟამად ჩვენთვის უცნობი მიზნის გამო, ადრევე შეუწყვეტა მოქმედება, რასაც ამტკიცებს მისი ბალასტით ამოვსება, კირით შემტკიცებული ბრტყელი კრამიტის ნატესებით დაურეება. მილის დიამეტრი 0,12 მ უდრის.

ამ განყოფილებაში აუზის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილის დანიშნულების დანამდვილებით გაგება, რაიმე დამასსიათებელი დეტალების უქონლობის გამო, შეუძლებელი სდება. იგი აუზისაგან მისი გამოყოფი კედლის დონემდე ამოვსებული იყო წერილი ღორღით, რომელშიც მიგადამიგ რიყის მსხვილად დამტერული კვებიც ერია, იქნებ მიწისქვეშა სინესტის საწინააღმდეგოდ.

ამავე განყოფილების სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში (აღმოსავლეთის კედელში), ზედა სართულის იატაკის დონეზე ჩართულია უსუფთაო წყლის გამკვანი მილი (დიამეტრი 0, 12 მ), რომლის საშუალებითაც კოლექტორს შეერთოდა არა მარტო ამ განყოფილებაში, არამედ ალბათ აგრეთვე სხვა განყოფილებებში მონსმარი წყალი (სურ. 102, 5, პირველი ზემოდან, პუნქტირით დატანილი; სურ. 104, დამრეცად დაშვებული მთელგაკვანილობა; ტაბ. CXXIX, 2, 6; ტაბ. CXXVII, 3).



სურ. 109 სითოს იზოლაციის სქემა


მესამეებელია, ამ განუოფილებადი სამსაო მოწუბო-
ლობაჲ კი იოა.

განუოფილების ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხისთან თა-
ვის დროზე უოფილა გასასვლელი, რომლისაგან ასლა
კვადი-ლა დარჩენილა. აბანოს ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე
დამენებულა ზედა ტერასის კიდეზე, რომლის ზედაპირის
სმირი ჩარეცხვა-ჩამავებებისა გამო შენობის ჩრდილო კვა-
ლი საგრძობლად გადაწეულა ფერდობისაკენ და მასზე
დურდობილი ნაწილი შენობისა ავიღლად გადნგრეულა
(სურ. 102, 5, ნაგებობის დაუსახავად დატოვებული კუთხე).

ვიდრე აბანოს განუოფილებათა აღწერილობას დავაძ-
საურებდეთ, ორიოდ სიტყვა ცივაუზიანი განუოფილების
მინაშენის შესახებაც უნდა ითქვას. იგი მოუღებთ ზედა სართუ-
ლის დონეზე, აღმოსავლეთის მხრიდან. მისგან შემორჩენი-
ლია მხოლოდ სამსრეთი კედელი (3,68 მ
სიგრძე) და აღმოსავლეთი კედლის
მცირე ნაშთი (იხ. საერთო გეგმა). ამ
მინაშენის შერმინდვლობას იხებ ისიც
მოწუბდეს, რომ მისი სამსრეთი კე-
დელი არ წარმოადგენს აბანოს სამს-
რეთი კედლის ორგანულ გაგრძელებას.
კედლის შემორჩენილი სიმაღლე 1,0 მ
არ აღემატება. ამასთანავე, აღმოსავ-
ლეთი კედელი სამსრეთი კედლის დო-
ნეზე 0,75 მეტრით დაბალია. შეინიშ-
ნება, რომ ამ სათავსოს კედლები, აბა-
ნოს კედლებთან შედარებით, დაუდევ-
რად უოფილა ნაშენი. კედელი უერდო-
ბოდა სამ მიწაში გაჭრილსა და რივისა
და ნატესი ქვებით ამოუყვანილ სამირკ-
ველს. მინაშენის სამსრეთ და დასავ-
ლეთ (ანუ აუზიანი განუოფილების აღ-
მოსავლეთ) კედელთა შიდაპირზე აქა-იქ
შემორჩენილი იყო მოკარდისფრო სხნა-
რის ლესილის ფრაგმენტები, რომე-
ლიც კედლის ზედა კიდიდან 0,70 მ
სიღრმეზე წყდებოდა. ამ ოთახს კირის
სხნარით მოტკეპნილი, 0,08 — 0,10 მ

კორც სხვა შენობებისა, რომელია შესასრეთ ქვემოთ გვეჩნება
სუპარია).

აბანოს გარედან, სამსრეთი კედლის გასწვრივ, ცხელ
და თბილ საბაზანო განუოფილებებთან, დასვლოებით იატ-
კის დონეზე მიწა 1,5 მ სიგანეზე და 3-ოჯე მეტრის სიგრ-
ძეზე მოყვნილი იყო კერამიკული ფილებით. შესაძლებე-
ლია, ეს კერამიკული ფილებით მოყვნილი არე აბანოს დე-
რეზის ან შიდა უსოს ნაწილი უოფილიყო. არ არის გამო-
რიცხული, რომ აბანოსა და ქვემოთ განხილულ „ზღურბ-
ლიან ნაგებობას“ ჰქონდათ საერთო, კერამიკული ფილ-
ბით დაგებული შიდა უსო. ამასთანავე დასაძებია, რომ მო-
ბანაკეზი გასასვლელ ოთახში აბანოს სამსრეთი კედლის გასწვ-
რივ მიმენებულ დახურულ დერეფანზე გავლით ბრუნდ-
ბოდნენ.



სურ. 110

შენობის აღმოსავლეთი კედლის სამირკველს გასწვრივ,
სამსრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართება ნატესი ქვებისა
და ღარისებრი კრამიტებისაგან ამოყვანილი და კირით.
შემტყიცებული კოლექტორი—ნასპარი წყლის შემკრები არხი,
რომელიც რამდენიმე კედლის საფუძვრისებრ გამოწეულ შვე-
რილს ქვეშა მოტყეული (სურ. 103, წყილი წერტილოვანი
სახი; ტაბ. CXXIX, 5).

არხის კალაპოტს შეადგენს ერთიპორეზე მიდგეული
ღარისებრი კრამიტების ჩაკირული ღარი, რომელიც მთელ
სიგრძეზე კირით შემტყიცებული ფილაქვებით არის გადასუ-
რული 1. არხის სიგრძე 5,50 მეტრია, სიგანე—0,23 მ, სოლო
სიმაღლე—0,30 მ. არხი იწყება ცივაუზიანი განუოფილე-
ბის სამსრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან, სადაც ეპოდის აუზი-


1 არხის რაკვარობის გამოსარკვევად ზოგ ადგილას ამ სახურავ ფი-
ლაქვათა აყრა მოვიხილა.

სათავსოს შიგნით თხრა-წმენისას შენიშნულ იქნა
მაკი ლაქა, რომელიც შეიცავდა გამჭკარტული კერამიკუ-
ლი ნაწარმის (კრამიტის, მილის, აგურის, ჭურჭლეულის)
მცირე ნატესებს და გადაშვარი თიხის უფორმო გორხებს,
თვით ჭვარტლსაც, მიწაში არეულს. წვის ასეთი ნაშთე-
ბის აღმოჩენა საქმარისი შეიქნა იმისათვის, რომ წარმოგვედ-
გინა აღწერილი ნაგებობის ხანძარში დაღუპვა (იხვეე რო-

დან წყალგამყვანი მარჯვენა მილი, რომელიც მიემართება კედლის საფუძველს განწერივ, იერთებს აუზიდან გამოშავალ შორეულ (მარცხენა) მილს და აგრეთვე მილს, რომელიც ღორღით ავსებულ სათავსოს ზედაპირიდან მკვეთრი დაქნებით გამოდის არსთან, შემდეგ გადის ნაგებობის ჩრდილო კედელს ქვეშ და ჰორიზონტალურად ფლავტუსე არის დასაწყისშივე აქვს სასავალადალო, რომლის შემდეგობით შეიძლება მილის ჰუკუკით ამოყვების თავიდან აშორება. სათვალთვალო მოწყობილობა წარმოადგენს არსის ჰორიზონტალურად დაქნული მილის დიდ კრამიტისებურ ღარს, რომელიც შემოღან ფილაქტიო უოილია გადასურული.

ასეთივე ვერტიკალური ღარების საფარით არის დანული დივუზიანი განყოფილებიდან მომდინარე სხვა მილგაცხანილობათა ბოლოებიც.

ასეთ განყოფილებას რომაელები ფრიგიდარიუმს უწოდებდნენ.



სურ. 111

რამდენადაც მარტივად გადაწყდა აბანოდან წყალგამყვანი მილები მიმართულების საკითხი, იმდენად მწელი გამოდგა წყალმომყვანი მილგაცხანილობის დანადგირებით გაკვლევა მერობამდე და კიდევ უფრო მწელი—მიკ მენობამი წელის გამაწვინებელი სისტემის გაკვლევა. ამის მიზნით, აგრეთვე, ჩვენი ნაგებობის პლიერ დანგრეულობა და, მეორეც, მიწისა და ნიადაგის განუწყვეტელი თხრა-გადაბრუნება, რაც აბანოს არსებობის მომდევნო სარკუნებში იმ ტერიტორიაზე საპარსებისა და სხვა რიგის ნაგებობათა მშენებლობასთან უფილა დაკავშირებული, ხოლო სულ ბოლო დროს—ხენა-სენკასთან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაწილობრივ 1938 და ნაწილობრივ 1940—41 და მომდევნო წლებში წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედეგად ჩვენმა ექსპედიციამ შესძლო გავკვლია ყვარამიკული მილები ნიადაგის შემდგარი წყალსადენის ორი ტრასა: სამსრეთისა და სამსრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთისა. პირველი არმაზისხევიდან მიემართება მენობისაკენ და თითქმის მართობუ-

ლად მოედგის მის სამსრეთ კედელს (სურ. 102; CXXVIII, 3), ხოლო ამ კედელთან, საცცხლისა და ჰიპოკაუსტიანი განყოფილების კუთხის გამოყოფი კედლის განწერივ, დევს ქვიშაქვის კარგად გათლილი სწორკუთხედიანი ბლოკი (0,52x0,32x0,30 მ), რომელშიც 0,13 მ დიამეტრის ქონე სფერულია ამოჭრილი. ეს უკანასკნელი თითქმის სწორი კუთხისა უერთდება იმავე ქვამი ამოკვეთილ, 0,10 მ დიამეტრის ქონე ჰორიზონტულ სფერულს (სურ. 112).

ამკარა, რომ ქვა აქ წელის ნაკადის 90°-ით ზედაბრუნებული მუსლის დანიშნულებით არის გამოყენებული და მის სფერულში მართლაც უფილა ჩაკირული სათაზნოდ რადიეტრის ქონე მილი (ტაბ. CXXVIII, 3; სურ. 112). ცხადია, რომ ეს მილგაცხანილობა წყალს აწოდებდა ცხელ აბანოში გამართულ ერთ-ერთ, საცცხლესთან უფრო ახლოს მდებარე ცისტერნას. წელის თარახულიდან მკველ დინებაზე გადაყვანა, უგველია, დიდ წნევას მიითვდა და ამის გამო დასაშვებია, რომ ამ ტრასის სათავეს არმაზისხევი რუსხეული საკამოდ მაღალ დონეზე ექნებოდა გაკეთებული.

ახლა თითქოს უგველია, რომ აბანო მარადებოდა არა მტკერის მღვრიე, არამედ არმაზისხევის სუფთა წელით, რომლის მომყვანი მილგაცხანილობის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს აბანოდან სამსრეთით, დაახლოებით ათიოდ მეტრის მანძილზე 1941 წელს აღმოჩენილი წყალსადენის ფრაგმენტი (ტაბ. CXXVIII, 2, 5).

არმაზისხევის აბანოს მშენებლებს რომ მარჯვედ და კარგად გადაწყვეტილი მილში მომდინარე წელის ნაკადის 90°-ით ზედაბრუნების მწელი ამოცანა, ამის დამატკიცებელია: ა) შემოაღწერილი სამუსლე ქვის სრულიად მსგავსად დამუშავებული ქვის აღმოჩენა 1938 წ. № 10 ქვისსამარხის დამლისას (რომლის ასამენებლადაც გამოუყენებიათ იგი აბანოს გაუქმების შემდგომ) (ტაბ. CXXXIV, 4 მარცხნივ); ბ) აღმოჩენა ცხელი აბანოს აღმოსავლეთი «ცისტერნის» კედელზე სამსრეთიდან მიდგმული მილგაცხანილობის ფრაგმენტისა, რომელმაც სწორი კუთხით მოხრილი ერთიანი მილის ნაწილი და მასთან შეერთებული ორი ჩვეულებრივი მილი შემოკვიანას (სურ. 102, 3; ტაბ. CXXVIII, 4). ოღონდ გაუგებრობას იწვევს მილების მენობიდან გარეთ და არა პირველ მიმართულებას.

უფრო მწელი გასარკვევია საკითხი, თუ საიდან და

¹ როგორც ბოლოდროინდელი პუბლიკაციები გვიჩვენებს, სწორედ ამგვარი, სფერულიანი ბლოკებისაგან შედგებოდა ანკარის უძველესი, ძლიერწვნიანი წყალსადენი, რომელიც წყალს აწოდებდა იქ გათხრილ, ერთბაშუი ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ აბანოს, სახელდებით, მანტირი კაფის აბანო რომ ეწოდება [424, გვ. 352]. არმაზისხევის აბანოს ორგანულიანი საშუალო ბლოკის უზუსტ ანალიზი იხ. [იქვე, ტაბ. XXII, სურ. 18].

რაკვარი წყალი მოედინებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთიდან მომართულ მილგაყვანილობაში, რომლის ნაშთი (ოთხი მილისაგან შემდგარი) აბანოს სამხრეთი კედლის გასწვრივ აღმოჩნდა (სურ. 102). სამწესაროდ, მილგაყვანილობის აბანოს რომელიმე განუყოფელბანთან შეერთების ადგილი ადრევე დარღვეული უოფიდა და გარკვევით კვლავ ვიტყვით, თუ სად ან როგორ ზღებოდა მათი შეერთება.

რაც შეეხება ციკუსიანი განუყოფელბანის აღმოსავლეთი მინაშენის სამხრეთი კედლის გასწვრივ შემორჩენილ ნაწილს მილგაყვანილობისა (სულ 7 მილია, საერთო სიგრძით 2,75 მ), რომელიც დასავლეთისაკენ გარკვეული დაქანებით მოემართება და საოვალთფალო კამერის შემკვებით ფლატესაკენ მიმავალ კოლექტორს უერთდება (სურ. 103, მარჯვნივ: ტაბ. CXXIII, 2), მას, ჩვენი აზრით, აბანოს მილგაყვანილობის საერთო ქსელთან არაერთი კამერი არ უნდა ჰქონდეს და ადვილი შესაძლებელია, საცსოვრებელი კომპლექსის (ალბათ, სავარაუდო სასასლის) მილგაყვანილობის ნაშთს წარმოადგენდეს.

თუ დღეს ჩვენთვის საკმაოდ ცხადია აღწერილი ნაგებობის დაგეგმარების საერთო პრინციპი (სურ. 102—104; 113), ამ ნაგებობის ნაშთების დიდი ნაგულლობის და ზოგჯერ ცუდად დაცულობის გამო უკვე აღარ შეგვიძლია სრული წარმოდგენა შევიქმნათ მის ისეთ არსებით ნაწილებზე, როგორიცაა: სასურავი, წყლის გამანაწილებელი მილების ქსელი ზედა სართულში, განათების სისტემა და სხვ.

თხრისას აბანოს მთელ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ჩნდებოდა კრამიტის ნატეხები, რაც სრულიად უეჭველყოფის, რომ აბანოს გადასასურავად გამოყენებული უოფიდა ორგვარი კრამიტი: ა) ბრტყელი, ფართო და გვერდებაკვეთილი, რომლებიც უშუალოდ სასურავის ჩონჩხზე, ერთიმეორის გვერდით მიჯრდილი ლაგდებოდა; ბ) ღარისებრი, რომლებიც პირველთა ნაწიბურებს დუფარებოდა ზემოდან, მწკრივებად (მთელი, არმაზისხევის სამარხთან აღებული, კრამიტის ნიმუშები იხ. ტაბ. CXXXIV, 2). ყველა კრამიტი გამოიწვარია კარგად გარჩეულ-მოხეული ითხისაგან, რომელიც აქა-იქ თუ გამოერევა მღიერ წვრილი სილის მარცვლები. თისა იმდენად კარგაა გამოიწვარი, რომ კრამიტი დარტყმისას ლითონისებრ წყრიალებს.

¹ სწორედ ისე, როგორც ამას ვხედავთ საღ. მცხეთის მახლობლად 1951 წ. გათხრილი მღიერული აუღაპის სახურავზე (იხ. ჩარეული სურათი).


ფერი კველას ეროზირი, მიწიაალო აქის. ბევრ მათგანზე შეიძლება წითელი საღაპაუი, რომელიც ოან გამძლეობას ბატება და ოან სიღაპაუი ანაქება სასურავს.

ბრტყელი კრამიტი ზოგადაა ტრავების მოყვანილობისა. მისი ნაშუალო სისქე 2,5 სმ უდრის. გრძივი გვერდები მართობულადა აქვს აყვდილი, 35 მმ (მიგნია)—50 მმ (გარეო) სიმაღლეზე. ერთ-ერთი ბრტყელი კრამიტის სიგრძე 16,5 სმ უდრის; ფართო ბოლოს სიგანე—33,0 სმ, ვიწრო ბოლოსი—31,0 სმ; სისქე—2,0 სმ; აყვდილი გვერდების ნაშუალო სისქე—2,0 სმ. ვიწრო ბოლოზე აყვდილი კვერდები ნაზირიდან 6 სმ მამძილზე და 1 სმ სიღრმეზე ჩაჭეულია და ამრიგად გამოყვანილია ქიმი, რომლითაც ვერდნობოდა კრამიტი ქვეა მწკრივის ბრტყელსავე კრამიტს. ზოგჯერ კრამიტის მაციერი ნაქავეის მაციერი კრამი რამდენადმე გარეთ გამოხსევილია.

ღარისებრი კრამიტი დაახლოებით მოგვაგონებს დრუ ნახეარცილინდრს, რომელიც ერთ მსარეზე ვიწროკუბა. სანიმუშოა აღებული ცალის სიგრძე 12 სმ უდრის, ფართო ბოლოს სიგანე—21 სმ, ვიწრო ბოლოსი—16 სმ; სისქე—1,5 სმ. ამ ღარის ვიწრო ბოლოს გარედან, მუხე აღმაყვარა და მერწილი აქვს „ცვრი“, რომლის დანიშნულებაა ზემოდან მომდევნო ღარისებრივე კრამიტის შემადგენა. როგორც ცნობილია, ღარისებრი კრამიტი წარმოადგენს საფარს ანუ „კალიპტერს“, რომელიც ზემოდან ესურება კრამიტის ორ მესობელ რიგს, მუხეზე, აყვდილი გვერდების შესების სახს დასწვრივ, ზურცითა და „ცვრიით“ ზემოთ (ტაბ. CXXXIV, 2).

კრამიტის ამგვარივე და ასევე მრავალრიცხოვანი ნატერეები ამოდოდა 1911 და მომდევნო წლებში „ზღურბლანი ნაგებობის“ ნანგრევთა წმენდისასაც. ასეთივე კრამიტით იყო აგებული ორიოვე სამარხიც და ზოგი ქვისამარხის იატაკიც. ამრიგად, დაზოგად ბევრი კრამიტი, რომლებზედაც სხვადასხვა ნიშანი ამოაწურული — აერ კიდევე ნელ თისაზე, კრამიტის გამოწამდე. ამ ნიშნებს ხელოვნისა თუ სახელოსნოს „დაბუბა“ მიიხევენ [259, გვ. 522]. როგორც ჩანს, მათში სხვადასხვა ხელოსნები უფრო უნდა დაეინახათ, ვიდრე ამდენი სახელოსნო.

აქვე შევნიშნავთ, რომ მცხეთის ექსპედიციამ მრავლად დააგროვა და შეისწავლა კრამიტის ნიმუშები, არმაზისხევის გარდა, სამთავროშიც (სამარხებიდან) და ბაგინეთშიც (ნაგებობათა ნანგრევებიდან). კრამიტის ქროფენ გავრცელება (არა მარტო მენობებში) და, მამასადამე, დიდი მოთხოვნილება, მისი მოჭრა-გამოწვისათვის საჯირო ნედლეულით მცხეთის მიღამობის სიმიდრე და ამასთანავე ხელოსანთა დამუშავის



სურ. 112. ქვის მუხელ წყლის თარაზულიდან შეუღლ დენაზე გადასაყვანად

დიდი ნაირ-ნაირობა გვაფიქრებინებს, რომ ძველ მცხეთაში რამდენსავე ადგილას უწევდათ კრამიტი¹. ერთი მათგანის ნაშთებს თითქმის კიდევაც მიაკვლია ექსპედიციამ 1946 წელს, ბაგინეთის კლდეკარის ძირას [335].

არმაზისსვეში აღმოჩენილი კრამიტები მძიმეა (საშუალოდ 7 კგ), რაც მათ სომას და განსაკუთრებით კი სისქეს უნდა მიეწეროს.


რაც შეეხება თვით სასურავის ფორმას, იგი აბანოს ორკალთიანი უნდა ჰქონოდა. სხვაგვარი ნაკლებ საგარეულოა, ვინაიდან კრამიტი და მისი შესაძგრებელი ნივთიერებები სასურავის ისეთი ელემენტებია, რომლებიც უცხოა ბრტყელი, ბანური სასურავისათვის. ნაკლებ მოსასურსებელია კრამიტის გამოყენება, ალბათ, გუმბათოვანი ძეგლების გადასასურავადაც. როგორც ვიცით, საშუალო საუკუნეთა ასიური აბანოებისათვის დამახასიათებელია გუმბათოვანი სასურავები, რომლებიც თავის მხრივ ისრულ ტროპიკებზე დაურდობილი და რომლებსაც სასურავი სმირად ბანური აუთა, აბანოს

რომლებშიც მოწუბილი იყო, გარდა საბანო განუოფილებებისა, ტანსაცარიშობები, სამკითხველოები, ექსლერები და სხვ. მაგრამ ეს აუტორები არმაზისსვეის აბანოს მსგავს ნაკებობათა სასურავის კონსტრუქციის შესასვე ვერავითარ გარკვეულ ცნობას ვერ გვაწვდიან.

ფიქრობთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ჩვეულებრივ, მცირე აბანოთა სასურავის ტიპი შუა საუკუნეებში აბანოთა მუხებლების მიერ დაეწეებულ იქნა და მხოლოდ ამ ბოლო საუკუნეებში აღდგა, გამდიდრებული და ზოგჯერ გართულებული სახით.

ბუნებრივი იქნება, თუ ამ საკითხზე მსჯელობისას მოვიშველიებთ იმ შედეგებს, რომლებიც ამ ბოლო დროს წინა აზიის სსვადასსვა ადგილებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა თსრამ მოგვცა.

უპირველეს ყოვლისა, უურადლებას იქცევს ძველ კარიში (მცირე აზიის სამსრეთ-დასავლეთ ნაწილში) მდებარე აფროდიზიასში აღმოჩენილი აბანოები [343]. ფრიად სანი-



სურ. 113. აბანოს აქსონომეტრია (რეკონსტრუქციის ცდილოთ)

შინაგანი სიბოხს დიდხანს შენარჩუნების მიზნით მოტყეპნილი კირითა და მიწით დაფარული [375; 376, გვ. 352, 355, 423; 376; 405].

ფავენტი ი, ლეონ ბატისტა ალბერტი [380, გვ. 301—303], ჩ. კამერონი, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა უძღვნა რომაულ თერმებს [381], და სხვები [116; 382 და სხვ.] განიხილავენ რომის იმპერიის დროინდელ, გრანდიოზულ, 14—15 ჰექტარი ფართობის მქონე აბანოებს, რომელთა შიდა სივრცე მდიდრულად იყო მორთული და

¹ რომ ამ მცხეთური ტიპის კრამიტის წარმოება გავრცელებული ყოფილა ანტიკური დროის ქართლის ქალაქებში, ამას ამატიყებს 1946 წელს გორის ციხის ღრმა ფენებში აღმოჩენილი ძველი ნაკებობის ნაშთები [307; 308]. ეს ნაკებობა (რამდენადაც იგი გამოვლენებულია, შემოსხვევითი მოვლნის—მეწერის შედეგად) დიდ მსგავსებას იჩენს ბაკინეთის, ძველი არმაზისციხის ნაკებობებთან და, კერძოდ, მრავლად შეიცავს მცხეთაში გავრცელებული ორივე ტიპის კრამიტთა ნატებებს. მსგავსება იმდენად ძლიერია, რომ, ზომა-მეყვანილობის გარდა, ბელონის დამლეუც კი იმეორებს მცხეთურს.

ტერესთა ის გარემოება, რომ, გამთხრელთა აზრით, ამ აბანოთა გალერეებს სასურავები ორფერდა ჰქონიათ. გარდა ამისა, მათი შუა დერეფნის გეგმა, თავისი ნიშების სისტემით, გვაგონებს აზიაში ცნობილი აბანოების—კალდარიუმთა (ცხელი აბანოების) გეგმას.

ნიშანდობლივია, რომ აფროდიზიასის აბანოთა ანალოგებს გამთხრელი აუტორები ებუებენ არა რომაულ, არამედ ფევისისა და მილეეთის აბანოებში, მაშასადამე, ისევე და ისევე მცირე აზიის ტერიტორიაზე, თუმცა მათ ჯერ კიდევ გადაჭრილად არ მიაჩნიათ საკითხი — „რომ ითუ აღმოსავლეთით?“. ჩვენი მხრივ უნდა დავმინოთ, რომ ჰიპოკუსტი, კალდარიუმში და სხვა ნაწილები აფროდიზიასის აბანოებში თითქმის ისევე ჩანს მოწუბილი, როგორც არმაზისსვეის აბანოში.

ასევე არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი საკითხი ჩვენი ნაკებობის განათების შესახებ.

უნდა ითქვას, რომ აბანოს სამსრეთი კედლის გასწვრივ აღმოჩენილმა მინის უამრავმა ნატებებმა იმთავითვე

ადგივინა უჭვი სამსრეთ კედელში თავის დროზე მინის სარკმელთა არსებობის შესახებ. განსაკუთრებით მოსალოდნელი იყო ეს თბილი აბანოს კედელში, სადაც თითქოს კიდევაც ჩანდა სარკმლისათვის საჭირო სერელის ნაშთი. ამ აზრს აძლიერებს ის გარემოება, რომ აფროდიზიასის აბანოთა გამოსრულები ამტკიცებენ იქ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში, მინის სარკმლების არსებობას—მსგავსად მილეუის აბანოებისა¹.

რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვიგულისხმობთ დღის სინათლის მეორე წყაროც: როგორც ცნობილია, ცხელი აბანოების სახურავში, ჰაერის განიავების მიზნით, ძველადაც ატანდნენ მოსრდილ სერელებს, რომლებშიც თან სინათლეც ჩამოდებოდა².

ზემოთ უკვე ითქვა, რომ არმაზისწყვის აბანოს ტერიტორიაზე და ნაწილობრივ თვით აბანოს ნანგრევებზედაც ადრე შუა საუკუნეებში უშენებიათ სხვა, კონსტრუქციულად უფრო სუსტი და დანიშნულებით აშკარად განსხვავებული შენობები, რომელთა დასამორკველებისს ზოგჯერ აუნგრეთით (და ამ საიდრელებს ნაწილობრივ დაუმარხავთ) აბანოს თანადროული კულტურული ფენები. ამ კულტურულ ფენებში დაცული თიხის ჭურჭლეული, რომელიც წარმოდგენილია ჩინებულიად გამოქვაბარი, საკმაოდ თხელკედლიანი, მომაღლო ამფორისებრი, ჰატარა, ზოგჯერ სამტუქსა სეულადებისა და დაბალ, მუცელგანიერ, კოპებიან ჭურჭელთა და მათი ფრამენტების სახით, ამავე ფენებში მოპოვებულ ორგანო კრამიტთან ერთად, საკმაო გარკვეულობით ათარიღებს აბანოს ნაგებობას I—III საუკუნეებით. ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს აქვე მოგვიანებით წარმოქმნილი სასაფლაო, რომელიც, ექსპედიციის მიერ მიაგულად გათხრული და კარგად შესწავლილი სამარხების ინვენტარის მიხედვით, V—VIII საუკუნეებით თარიღდება. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ ერისთავთა საგვარეულო სამაროვანი შეიცავს საკმაოდ მდიდარს, კარგად დათარიღებულ არქეოლოგიურ მასალას, რომლის ასაკიც ახ. წ. IV საუკუნის დასაწყისზე უფრო ადრინდელია, ხოლო „ზღურბლიანი ნაგებობის“, აბანოსა და სამაროვნის ერთიმეორის გვერდით არსებობა საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს, მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ აბანოს ასაკის ზედა საზღვარი ახ. წ. IV საუკუნის დასაწყისზე მოდის. რაც შეეხება ქვედა საზღვარს, თეორიულად იგი ამავე წელთაღრიცხვის I საუკუნეზედაც კი შეიძლება მოდიოდეს.

ამრიგად, არმაზისწყვის აბანოს თარიღი ექცევა ზოგადად ახ. წ. I—IV საუკუნეებს შორის, მაგრამ პრაქტიკულად კი გაცილებით უფრო ვიწრო, სახელდობრ II—III სს. ფარგლებში, როდესაც არმაზისწყვთან ერისთავ-პიტანსებში, ამ აბანოს პატრონები ცხოვრობდნენ.

არმაზისწყვის აბანოს შესწავლისას დამოწმებული ზოგიერთი სამშენებლო-კონსტრუქციული ტრადიცია თვით XVIII

¹ სარკმლის მინის ნატეხებს პოულობდნენ აგრეთვე ჰერსონესი აბანოების ობრისას [396, გვ. 47].

² აბანოს სახურავში საჯანგვო სარკმელთა დატანება რომ ძველი წესი ყოფილა, ამას ამტკიცებს თუნდაც დურა-ჯუბოლისში გათხრული ერთი პართული აბანოს სახურავის გუმბათისებრი კონსტრუქცია და მასში შემორჩენილი სათანადო ხერხი [384].

საუკუნეზედ კი შემონახულა საქართველოსა და ამიერკავკასიის აბანოთა მშენებლობაში. მაკალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ანისის [377], ანტირდის [106], ღმანისის ციხისა და ქვემო უბნის [376], ქვემო ჰალის (კასპის რაიონი), ახალციხის, თელავის, გრემის [375] და სხვ. აბანოები. უკვე ამ აბანოს ადგილებზე-მოწყობილობაში შეტ-ნაკლებად შემონახულია სხვადასხვა განყოფილებათა და მძლავრნილობათა სისტემის ის ეიბები, რომლებიც არმაზისწყვის აბანოსათვის არის ნიშანდობლივი.

ჩვენი აბანოს მსგავს ნაგებობათა აღწერილობა დღევანდელ ტერმინებში პირველად შემოდის ვიტრუვიუს ჰოლიონის (მე. წ. I ს. მიწურული) ნაშრომის წყაროების, რომელსაც უწოდებთ „არქიტექტურის შესახებ“ [115]. მაგრამ მისი ამ სახელგანთქმული ტრაქტატის სათანადო ადგილების განცნობისას გვექმნება მოახდელილება, რომ ავტორი ზოგად მსჯელობას სუერდება და რომელიმე კონკრეტული აბანოს ნაგებობას არსად ითვალისწინებს¹. მეორე მომენტი ისაა, რომ ვიტრუვიუსი ყოველი აუტოდის შესახებ ერთნაირი სიტყვებით ვერ მსჯელობს. ბუკური დეტალი (ზოგჯერ არსებითაც კი), რომელთა შესახებ გვაქვს ახ. წ. II ს. მიწურული, ფავენიტინი, ვიტრუვიუსისათვის უცნობი ჩანს (მაგ., პიპოკუსტის სექციების აგურთა მოყვანილობა, თვით სექციების სიდიდე, ლავროკეპის მოწყობილობა და სხვ.). ამიტომ გვეხდება ახ. წ. ეგვიპტის ვიტრუვიუსის არც ჰქონდა აყალწნი აშკერული აბანოები და იგი მხოლოდ იმ მიწურულთა თსსულებებით თუ ცალკეული შენიშვნებით სარგებლობდა, რომლებიც რომის ლამქარს ახლდნენ თან ადმოსავლეთში და განსაკუთრებით კი მცირე ახიის ქვეყნებში. მით უმეტეს, რომ, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ქვეყნების ელინისტური ხანის სამშენებლო ხელოვნების შემკვიდრებობამ დიდი ღალი დასავა სოხა ვიტრუვიუსის სახურთომოდერო შემოქმედებას [355, გვ. 203—204]. თუ ამას დაუშვებთ, შეიძლება გვეფიქრა, რომ საერთოდ რომელმა სამშენებლო ხელოვნებამ მსგავს აბანოთა აგების იდეა აღმოსავლური ხელოვნებისგან ისესხა [359]. აღმოსავლეთში კი, როგორც ჩანს, არსებობდა ამ მიზამვისა თუ სესების საგანი: ბოლო ხანებში შესამჩნევად იმატა მსგავს აბანოთა აღმოჩენა-გათხრის შემთხვევებმა წინა ახიის ტერიტორიაზე. მოვიგონოთ თუნდაც ზემოთ დამოწმებული აფროდიზიასის აბანოები, იმავე ტიპის აბანოები ძველი ეფესოსა და მილეუის ნანგრევებს შორის და, ბოლოს, დურა-ჯუბოლისში გათხრული აბანოთა მთელი წყება [319; 384; 385]. საუურადდება, რომ მ. როსტოვცევი და სხვები დურაში, რომელთა გარდა, გამოჰყოფენ ჰართულ აბანოებსაც.

ამავე ჰერიოდისა (დაახლ. ახ. წ. I—II სს.) ჯ. პრიარდის მიერ „ჰერიოდესეულ“ იერიქონში [385] და ე. შმიდტისა და სხვათა მიერ აღმოჩენ-პუიქში აღმოჩენილი აბანოებიც [387].

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მიერ მითითებული მაგალითები ცხადყოფს, რომ ძველმა მცირე ახიამა და სირიამ

¹ ისევე როგორც პალადიონი (ახ. წ. IV ს.), რომელიც თითქმის ზემოწვენი იხორებს ვიტრუვიუსის ცნობებს [379, გვ. 213—214].

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ნაგებობათა მშენებლობა კარგად იყის. ალბათ შემდეგ შემოდის ეს ტრადიცია ამიერკავკასიაშიც. მცხეთაში, გარდა არმაზისსივეისა, სასუბითი მსკავის აბანოს ნაშთები აღმოჩენილია ბაგინიუხელად [28]. ასეთი ნაგებობანი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე და ქერის ნასვარაკუმულზედაც იყის ითეს. ასე მაგ., არმაზისსივეის აბანოს მსკავის გულ აბანოთა ნაშთები აღმოჩენილია: ქერში, მითრიადტეს მთარაჯის აღმოსავლეთ ფერდობზე [20], გვ. 13—15; სურ. 7], ქერსონიუსი [20], გვ. 10—11, სურ. 6, გვ. 113—116, სურ. 13; 267, გვ. 36, სურ. 177; 315, გვ. 38—41, ტაბ. II, 1; 393, გვ. 63, ტაბ. II, P; 394, გვ. 30, 43; 395, გვ. 103, სურ. 41, გვ. 104, სურ. 42] და ქერსონის აღმოსავლეთი ფორპოსტის ტერიტორიაზე— სარაქსში, აი-ტოგორზე [397, გვ. 140—156; 398, გვ. 321—335; 399, გვ. 253—291, სურ. 22—24]. ეველა ამავე ავტორები „რომაული ტიპის“ აბანოებად მიიხსენებენ და მათ აქ გაიყენას რომის ოკუპაციის ამა თუ იმ პერიოდს უკავშირებენ [იხ. განსაკ. 391; 397—399]. მაგრამ ეს ავტორები რატომღაც ივიწყებენ იმ დიდ ტრადიციებს, რომლებიც აღმოსავლეთის ქვეყნების აბანოთა მშენებლობაში შემოგვიანას. ჩვენი აზრით, მორტილი მაგალითები სწორედ იმას მოწმობს, რომ ეს ტრადიციები შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე წინა ზღვის სამეაროდან მომდინარეობს, ამირკავკასიის ქვეყნებზე გავლით¹.

ეს კიდევ ცოტაა: „შლამე წყლებს“ აბანოებიც კი, რომლებიც რომის იმპერიის ერთ-ერთ უსალოეს პროვინციაში (ამჟამად საფრანგეთში, იონის დეპარტამენტი) მდებარეობს, რომელისაგან განსხვავებულ კაიდაზე აგებული ჩანს [400; 401]. ამ აბანოების ვრცელი აღწერილობის ავტორის, რენე ლუის ცნობით, იქ სამგზის უწარმოებიათ აბანოთა მშენებლობა: ძირითადი ნაგებობა I საუკუნეში უოფილა აშენებული; II საუკუნის დასაწყისში ეს ნაგებობა რომაულ ეკაიდაზე გადაკეთებიათ; იმავე საუკუნის ბოლოს კი თითქოს ესეც დაუნგრევიათ და აუშენებიათ ახალი აბანო, რომელიც საბოლოოდ გაუნდგურებით გერმანელებს, 276 წლის შემოსევისას. ეს ცნობა ააპარაგებს, რომ თავდანიერულად იქ აგებული უოფილა არა რომაული, არამედ სხვა რიგის საბაზნო ნაგებობა, რომელიც II საუკუნეში გადაკეთებიათ რომაულ ეკაიდაზე. სამწუხაროდ, ავტორი არ გვეუბნება, თუ როგორი უოფილა ის, რომელისაგან განსხვავებული, ადრინდელი სტილი. რაც არ უნდა იყოს, ის კი ფაქტია, რომ თვით რომის იმპერიის ტერიტორიაზე ადრევე უოფილა სხვა რიგის აბანოები, რომელთა წარმოშობა, ჩანს, რომის კულტურული გავლენის გარეშე საძიებელი².

¹ ეველის სამეაროსა და წინა აზიაში აბანოთა მშენებლობის შესახებ იხ. [390, გვ. 313; 391, გვ. 320; 392, გვ. 388—389], სადაც მითითებულია სათანადო სტატუსური ლიტერატურა.

² მით უმეტეს სოფთხილ გემარტებს, როდესაც არმაზისსივეის აბანოს ტიპოლოგიური განსაზღვრა გვეძლია. ყოველ შემთხვევაში, გაუმართლებელია ხელაღებით მისი, სასანურ აბანოდ გამოხატვად, როგორც ამას სრულად დასაბუთებლად სჩადიდა ზ. კ. ფ. ტ. ი. ნ. [407, გვ. 263].

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამანის გამბორღულ ზოგ არქეოლოგს, სანამ ნაგებობისათვის დაბასსათებული რაიმე სტეუფორი

დასასრულ, კიდევ ერთი საკითხი.

თუ 1937—1938 წლებში—როდესაც აბანო, ის იყო, ახლად გაითხარა—დიდ ინტერესს იწვევდა საკითხი, თუ როგორ სოციალურ-კულტურულ გარემოში უნდა წარმოქმნილიყო ეს უტყუარი მოწმე და მჭკვერი ტექნიკელი მეცნიერი, ერთი მხრით, მაღალ დონეზე მდგარი სანტიარულ-პიგიურული კულტურისა და, მეორე მხრით, განვითარებული სამშენებლო ტექნიკისა, 1940 წელს შემდეგ, როდესაც ექსპედიციამ იქვე მასლობლად მრავალ სხვა შესანიშნავ მეცლს შიავნო, სრულიად აღარაა საუკუო, რომ ჩვენ მიერ შემოთ აღწერილი აბანო ერისთავთა საცხოვრებელი კომპლექსის ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია, სხვაზე გამოვლებით უტყუარად შემონახული. ასედა უკვე ცხადია, რომ ის, სხვათადა არმაზისის (ბაგინეთის) სამეფისკარო აბანოსი [28], სასახლის აბანოს წარმოადგენს. ამ მოსასრებას მსარს უკერს აბანოს სიმცირეც, რაც გადკირით გამოირცხავს მის ფართო-საზოგადოებრივ დანიშნულებას.

ერისთავთა და მათი ოჯახის წევრთა სამარსების ინვენტარმა თვალწინ გადაგვიძალა მათი დიდი შემღებულობისა და ფუფუნებისადმი დიდი მიდრევილების მკაფიო სურათი. სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი წრის ადამიანთა სასახლესთან ასეთი აბანოც უოფილიყო.

რაც შეეხება აბანოს დაცევა-გაპარტახებას, საფიქრებელია, რომ ამ ნაგებობას ამ მხრით სავსებით გაუზარებია ბუი ერისთავთა რეზიდენციისა, რომლის განადგურების ვითარებისა და შესაძლო მიზეზების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

2. „ზღურბლიანი ნაგებობა“

1941 და 1945—1946 წლებში აბანოს სამსრეთ-აღმოსავლეთით ითხრობდა ქვითირის კაპიტალური ნაგებობის ნაშთები. ეს მეცნიერი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გამოვლინებული: გათხრილია მისი ორი სწორკუთხოვანი სენაკის¹ ნანგრევები და, ამას გარდა, გამოვლინებულია რამდენიმე სხვა კედლის ნაწილი. გამოჩენილი ნაგებობის კრძივი ღერძი და მსრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, აბანოს ღერძის პარალელურად. ამ ორ სენაკისა, აღმოსავლის თანმიმდევრობის მისედვით, დასავლეთისას ჰირველ სენაკს უწოდებთ, აღმოსავლეთისას კი მეორე სენაკს. ისინი ერთიმეორისაგან გამოყოფილია კაპიტალური კედლით, რომელიც თითქოს არ ჩანს სენაკთა დამაკავშირებელი კარი. მეორე სენაკს ემბის სამი კედელი (ამჟამად ნაწივეტებია). ერთი

ნოშში გამოჩნდებოდა, ხშირად მოსილ შემდგამ არა მარტო შენობის ტიპოლოგიური რაგვარობის გარკვევის, არამედ თვით მისი ფუნქციისა და საერთო არქიტექტურული პროფილის დადგენის მხრივაც კი. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახლოთ შავში (ქველ მაგაკუში, საფრანგეთი) გათხრილი, ახ. წ. III—IV სს. თერმების ამავე: იქ, შ. ბიველც მიერ 1942 წ. გათხრილი ნანგრევები პირველ ხანებში ბაზილიკად, უკეთეს შემთხვევაში, აღმოსავლური ტიპის ბაზილიკად იყო მიჩნეული, მაგრამ პიოკასტის სვეტების აღმოჩენის შემდეგ თითქმის აღარავის დარჩა ევეი, რომ ამ ნანგრევების სახით საუბ უკრდათ იმ. კარაკალას თერმების ტიპის ნაგებობისათ [402, გვ. 200—204].

¹ ტერმინი შენაკისა შესახებ იხ. [218, გვ. 18].

მათგანი ზუსტად განაგრძობს მეორე სენაკის აღმოსავლეთ კედელს და ჩრდილოეთისაკენ მიემართება. მეორე იმავე სენაკის აღმოსავლეთი კედლის შუაზე იწყება და აღმოსავლეთისაკენ მიემართება (ტაბ. CXXXI, 4). ეს კედელი ორი მეტრის მანძილზეა გამოჩენილი; მისი დანარჩენი ნაწილი ავრ კიდევ მიწითაა დაფარული. ამ კედლის სამხრეთით აღმოჩნდა კერამიკული ფილებით (30×30×4 სმ) მოფენილი მცირე ფართობი. იგი აბანოს სამხრეთით აღმოსავლეთ, აგრეთვე კერამიკული ფილებით მოფენილ ფართობს გვაგონებს. მუსაზე კედლის ნაწილები იმავე სენაკის სამხრეთ კედელს ებმის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან და სამხრეთით მიემართება (იხ. საერთო გეგმა). პირველი და მეორე სენაკის საერთო სიგრძე 20,5 მ უდრის, სიგანე—10,0 მ, ე. ი. ორივე სენაკს უკავია თითქმის 205 მ² ფართობი (სურ. 114; 122).

ნაგებობის კველა კედლის სისქე თანაბარი არ არის. ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლების სისქე 1,5 მ უდრის; სამხრეთისა და აღმოსავლეთისა—1,28 მ; სენაკთა გამყოფი კედლისა—1,5 მ. ტაცილებით უფრო თხელია (1,0 მ) მეორე სენაკის აღმოსავლეთ მხარეზე მიბმული კედელი.

ნაგებობის საძირკველიც სხვადასხვა დონეზე იწყება. ასე მაგ., ცოკოლის ხაზიდან სამხრეთი კედლის საძირკველის ფუძემდე 0,4 მეტრია, ჩრდილოეთი კედლის ფუძემდე—0,6 მ, ხოლო დასავლეთისა—0,7 მეტრი.

ნაგებობის საძირკველი დაფუძნებულია ტერასაზე ვრცლად და სქლად დაფენილ სევისეულ ღორღნარსა და დელუვიონზე, რომელსაც თავის მხრივ ტერასული ალუვიონი უცაი ბირს.


კედლები შემორჩენილია ცოკოლის ხაზს ზემოთ, 0,50—0,95 მ სიმაღლეზე; თუმცა ნაგებობის კედლების საერთოდ მოსწორების შთაბეჭდილებაც იქმნება.

ამ ნაგებობის კედლები ამოკანნილია ჩვეულებრივი ნატესი ქვითა და კირით.

პირველი სენაკი თითქმის კვადრატული მოცუნილობისაა: მისი შიდა სიგრძე 7,00 მ უდრის, სიგანე—6,76 მ, ე. ი. ფართობი—47,25 მ². ამ სენაკის ჩრდილო კედლის თითქმის შუა ნაწილში შემორჩენილია კარი. მისი სიგანე 1,53 მ უდრის. კარს ზღურბლი, ორივე ამჟოლი და ზედანაც თლილი ქვისა ჰქონია (ტაბ. CXXXI, 1; CXXXIII, 1; სურ. 115). ზღურბლი და ამჟოლები თაუ-თავის ადგილას აღმოჩნდა, ზედანის ნახევარი კი, ორ ნაწილად გატეხილი, —ზღურბლიდან ახლოს.

ვინაიდან ზღურბლი ეველაზე უფრო თვალში საცემი დეტალია in situ შემორჩენილია შორის, მთელ ნაკებობას პირობით „ზღურბლიანს“ ვუწოდებთ.

ზღურბლი წარმოადგენს რუსი ქვიშაქვის დივსა და მასიურ, მიწვენიერად გამოთლილ ფილაქვას. გამოთლულად დატოვებული აქვს მხოლოდ ქვედაპირი, რომლითაც იგი ქვიშაქვის კედელზეა მჭიდროდ დადებული. ზღურბლის სიგრძე 1,53 მ უდრის, სიგანე—1,2 მ, ხოლო სისქე (მიწვით, სამხრეთ ნაწილზე)—25,5 სმ. გარეთა, ე. ი. ჩრდილო ნაწილს განსწვრივ ზღურბლში ამოკვეთილია სწორი, დაბალი საფეხური, რომლის სიგანე 20 სმ უდრის, ხოლო სიმაღლე—5 სმ. საფეხურის მარჯვენა და მარცხენა კუთხეებში, ბოლოებიდან 4—4 სმ მანძილზე ამოკრილია ორი ტოლი და მრგვალი, ოდნავ ოვალური ფოსო, რო-



სურ. 114

მელთა დიამეტრი 53—55 მმ, ხოლო სიღრმე 23 მმ უდრის. ისინი ერთიმეორისაგან 1,1 მეტრითაა დამორებული. ფოსოები კარის ქუსლთა (ღერძთა ბოლოების) ჩასადგმულადაა დაკეთებული. მაშასადამე, კარი ორფრთიანი უოფილა: თითო ფრთის ღერძი თითო ფოსოში ტრიალებდა. ღერძთა ზედა ბოლოებისათვის კი ზედანში უოფილა ამოკრილი ფოსოები (იხ. ქვემოთ). ფოსოთა შორის მანძილი კვამნოსს კარის სიგანეს (1,1 მ).

კარის ორივე ამჟოლს ზედა ნაწილები უსწორმასწოროდ გადამტყვეუელი ჰქონდა. ამჟოლებიც სრულიად იმგვარივე ქვიშაქვისა და ისევე კარგად გამოთლილი, როგორც ზღურბლი. დასავლეთის ამჟოლს პიდაპირის მთელ სიმაღლეზე ჩამოსდევს ორი წყისიერი, მაღალი და ფართო, სწორკუთხა-განიკვეთიანი ქედი: ერთი მათგანი ჩრდილო ნაწილს 8 სმ-ითაა დამორებული, ხოლო მეორე სამხრეთ ნაწილს—15 სმ-ით. ამჟოლი შემორჩენილია 0,41—0,57 მ სიმაღლე-

ზე. ამჟომის სიგანე 1,02 მეტრია, უდიდესი სისქე (ქედის ჩათვლით)—20,5 სმ; ქედებს შორის მანძილი—63 სმ; ქედების სიმაღლე—8 სმ, სიგანე—15 სმ (სამხრეთისა) და 16 სმ (ჩრდილოეთისა). ასეთივე აღმოსავლეთის ამჟომი, ოღონდ იგი სამუალოდ 0,3 მ სიმაღლეზეა გადატეხილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კარის თავის ანუ ზედა ნიქსა დასვლოებით ნახევარია შემორჩენილი და ისიც ორი ნატეხის სახით, რომლებიც სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდა, მაგრამ ზედმიწევნით მოერგო ერთიმეორეს (ტაბ. CXXXIII, 1; სურ. 117). ორივე გამოუყენებიათ ქვისსამარხთა კედლებად, გვიან, ნაგებობის დაწვრცევის შემდეგ. მათ შორის უფრო დიდი 32-ე სამარხში იყო, რომელიც მიუძღვნება ნაგებობის ჩრდილო კედელზე, ზღურბლის ახლოს; შიგნით კი—81-ე სამარხში, რომელიც აღმოსავლეთის სენაკის დასავლეთ კედელზე იყო მიდგმული (სურ. 96). ამ ორი ნატეხის შეერთების შემდეგ მივიღეთ ზედანის ნაწილი, რომელსაც სიგრძეზე თითქმის ერთი იმოდენავე აკლია (სურ. 117).

მისი უდიდესი სიგრძე 0,89 მ უდრის, სიგანე—1,06 მ, სისქე—0,33 მ. ერთ ნაპირზე გამოყვანილი აქვს მრავალსაფეხურიანი პროფილი, რომლის სიგანე 21,7 სმ უდრის, ხოლო სიღრმე—7,5 სმ. შიპირდაპირე ნაპირი 6,3 სმ სიგანეზე და 2,3 სმ სიღრმეზე წესიერად ამოკვეთილია. ამონაკვეთის შემორჩენილ კუთხეში ამოჭრილია მრგვალი ფოსო, რომლის დიამეტრი 5,5 სმ უდრის, ხოლო სიღრმე—7,5 სმ. იგი წარმოადგენს კარის აღმოსავლეთი ფრთის ღერძის თავის მოსათავსებელ ფოსოს, როგორც ზედანის პროფილიანი შუბლის მდებარეობა გვიჩვენებს. ასე რომ ზედანს დასავლეთი ნახევარი აკლია.


ორივე ნატეხს პროფილიან ვიწრო წახნაგზე ერთნაირი მოვარდისფრო ელფერი გაღაჭრავს, განსაკუთრებით ჩამონატეხებზე (ცეცხლის გამო), ხოლო საერთოდ მთელი ზედპირი დაფარული აქვს თეთრი კირფანი ბრკით.

მიუხედავად იმისა, რომ კარის ზღურბლი, ამჟომები და ზედანზე ქვისაგანა გამოთლილი, კარგად დამუშავებულია და მდიდრულ მთაბჭვდილებას სტოვებს (მათი რეკონსტრუქციის ცდა იხ. სურ. 116). ეს კარი ალბათ ვერ ჩაითვლება პენობის მთავარ, სადარბაზო კარად—უპირველეს ეოვლისა, იმიტომ, რომ იგი საამისოდ მცირეა. კარდა ამისა, იგი გადის ისეთი დამსმარე ნაგებობისაკენ, როგორცაა მისგან სულ ახლო, 13,0 მ მანძილზე მდებარე აბანო, ხოლო ეს უკანასკნელი კადამდგარია ფლატეზე, ასე რომ ამ მხარეზე მაღიან პატარა არე რჩება, რის გამოც აქ არ არის საკულებელი არც მთავარი ფასადი და არც სადარბაზო შესასვლელი. ზღურბლის პირდაპირ, სამხრე-

თი კედლის შუაში დარჩენილია 5,0 მ სიფართო თავისუფალი არე, რომელშიც, შეიძლება, ამ სენაკის შიგნით კარიც ეოფილიყო (სურ. 114).

პირველ სენაკში აღმოჩნდა სვეტისთავი და სვეტისძირი, გამოჭრილი იმგვარივე ნაწრისფერი ქვიშაქვისაგან, როგორც კარის თავი და ზღურბლია, ოღონდ ცეცხლისაგან უფრო შეწითლებული. როგორც ვიცით, ბავინეთის „სვეტებიან დარბაზშიც“ თავ-თავის ადგილას დარჩენილია ქვის ექვსი სვეტისძირი და მათ შორიანხლოს—ექვსი სვეტისთავი [27].

სვეტისთავი (სავ. წიგნ. № 851; ტაბ. CXXXII, 2—5; სურ. 118—120). სიმაღლე 0,4 მ უდრის, უდიდესი სიგანე—0,64 მ, ევლის დიამეტრი—0,29 მ, ევლის სიმაღლე—0,19 მ. ზედა ნაწილის სიმაღლე—0,06 მ, ხოლო სიგანე, დიაგონალით—0,7 მ. აბაკი გამოჭრილია გვერდებზეა-



სურ. 115

ნეკილი რომბისა და „ოთხკუთხედიანი“ კომბინაციის სახით (ტაბ. CXXXII, 5; სურ. 118). ზედპირზე მალე შემაფიოდ ეტეობა ამ ფიგურის მოსახსნავი სელსაწილს ნაკვალავი: შუაში წერტილი და მასზე გავლებული დიამეტრული ხაზი. აბაკის ზედპირი წმინდაა გამოკოდილმოსრებული, ხოლო მის გარშემო—უფრო ტლანქად ევლის ზედპირი თავის დროზე მთლად მოჩუქურთმებული ეოფილა, მაგრამ ჯერ ცეცხლისაგან და შემდეგ ჰაერზე და მიწაში გდებისაგან ისეა დახანებული და მოღესილი, რომ ამჟამად მხოლოდ უღრმესი ჩანაჭრეები-ლა ჩანს, სიმეტრიული განმეორებით განლაგებული. მათში მაინც გამოიხსნობა რთული ევალოვანი ჩუქურთმის, აკანთის „ჩონჩხი“.

სვეტისძირი (სავ. წიგნ. № 852, ტაბ. CXXXII, 1, მარჯვენა; სურ. 121). შემორჩენილი სიმაღლე 0,43 მ უდრის; ოთხკუთხედიანი ნაწილის სიგანე—0,47 მ, სიმაღლე—

0,18 მ; უელის უდიდესი დიამეტრი—0,47 მ, სიმაღლე—0,23 მ. სვეტისშირი, ბაგინეთის სვეტისშირთა მსგავსად, სრულიად მარტივია: ქვედა ნაწილი სწორკუთხედი აქვს, ხოლო ზედა—რამდენადმე ბრტყელი და მრგვალი. იგი მლიერ შემომწვარ-შემომტერეულია და ერთი შეხედვით მწელი გამოსაცნობიცა მისი ჰირვანდელი მოუვანილობა.

სვეტისთავი აღმოჩნდა ჰირველი სენაკის დასავლეთ კედელთან: იატაკის დონეზე გვღო უელით მალა და აბაკით მიწაზე. იქვე ახლოს იყო სვეტისშირიც (ტაბ. CXXX, 1; CXXXII, 1).

მეორე სენაკის კედლები იმდენადაა დანგრეული, რომ კარის არაგითარი ნიშანი არ უჩანს—თუ არ ვიგულისხმებთ კარს სამხრეთი კედლის იმ ნაწილში, სადაც ქვისსამარხია ჩადგმული. ეს სენაკი ჰირველთან შედარებით ოდნავ მეტია: მისი სიგრძე 6,2 მ უდრის, სიგანე — 6,75 მ, ფართობი — 55,3 მ².



კედელთა ნაშთების შედაპირი ორივე სენაკში დაახლოებით ერთ დონეზეა მოსწორებული.

ამ სენაკის კედლების მთლიანობა დიდადაა დარღვეული იმის გამოც, რომ მენობის განადგურების შემდეგ სენაკში მრავლად მოუწვევიათ ქვისსამარხები (ტაბ. CXIII, 1—3, CXXXI, 2; სურ. 122).

ახლანან აღწერილი ზღურბლიანი ნაგებობის შიგნით, ორივე სენაკში და ნაწილობრივ მათ გარეთაც, იატაკის დონეზე მრავლად აღმოჩნდა კრამიტის ნატეხები, ნაცრისა და ნახშირის სქელი ფენა და აქა-იქ აგრეთვე დიდრონ მელთა ნაშუაგვები. მიწას იატაკის დონეზე და მის ქვემოთ, 10—15 სმ სიღრმეზე მოპაო ფერი გადაჰრავდა. ამასთანავე, როგორც ითქვა, სვეტისთავი, სვეტისშირი და ზღურბლის, კარის ზედანისა და კედელთა შიდაპირი მლიერ შესამჩნევად იყო ცეცხლისაგან გარუაულ-შეწითლებული. უოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ნაგებობა ცეცხლს უმსხვერპლია. ნადარი, ნახშირი და დასავლეთი სენაკის მთელ ფართობზე გადაშვარი მიწის ფენა იმას უნდა დასტურებდეს, რომ, გარდა სახურავის ნივთიერებისა, იატაკიც ხის უოფილა.

ნაგებობის გათხრისას კრამიტის მრავლად აღმოჩენა აშკარად გვამცნობს სახურავის ტიპს: ეს ნაგებობა, ისევე როგორც აბანო, დახურული უოფილა გვერდებზე ცილი ბრტყელი და ღარივები კრამიტით, კალთებიანი სახურავით.

3. ჰირველ და მეორე სამარხთან დაკავშირებული ორსენაკიანი ნაგებობა



სურ. 116

ამ ნაგებობის ნაშთები აღმოჩენილია 1940 წელს უბნის შუა ნაწილში, აბანოს სამხრეთ-დასავლეთით, მისგან ორმოციოდე მეტრის მანძილზე, ჰირველი და მეორე სამარხების გარემოებისას (ის. საერთო გეგმა).

ნაგებობისაგან შემორჩენილია კედლის ქვედა ნაწილები. ზემაღწერილი ნაგებობის მსგავსად, ნანგრევი აქაც მეტ-ნაკლებად წესიერადაა ერთ დონეზე, თითქოს მოსწორებულიაო. კედლები ამოუვანილია ნატეხი ქვით და შედგება უბეულია კირით (ტაბ. XXXV, 2; სურ. 90).

ნაგებობა დაშრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. იგი შედგება ორი არატოლი განყოფილებისაგან, რომელთაც მიჯნავს კაპიტალური კედელი, იმავე სისქისა, როგორც გარეთა კედლებია. ჰირველი, აღმოსავლეთით მდებარე განყოფილება ცილებით უფრო დიდია. მართალია, მისი აღმოსავლეთის კედელი მთლად არ შენახულა, მაგრამ ჩრდილო და სამხრეთ კუთხეებში დარჩენილი ნაშთების მიხედვით შეკვიძლია ალვადგინოთ მისი მდებარეობა და, მამასადაშე, აგრეთვე გამოვითვალოთ განყოფილების ფართობი, რაც 6X6, ე. ო. 36 მ² უდრის. ამ განყოფილების დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლები უფრო სქელია (1,3 მ), ვიდრე ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები (1,1 მ). მეორე, დასავლეთის განყოფილება უფრო მოკლეცაა და ეიწროც. იგი სიმეტრიულადაა მიშენებული ჰირველზე, ისე რომ მის აქეთ-იქით თითო მეტრი ცარიელი არე რჩება. ამ განყოფილების აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლების სიგრ-

ბე 6 მ უდრის, ჩრდილო და სამხრეთი კედლებისა—4,8 მ; დასავლეთი კედლის სისქე—1 მ, ჩრდილო და სამხრეთი კედლებისა—1,2 მ. განუფილებების ფართობი 18,24 მ² უდრის. აღმოსავლეთის კედლის ნანგრევებზე გვღო ორი მოზრდილი, საკმაოდ კარგად გამოთლილი ბლოკი, რომელთაც, მეზობელ ბლოკზე მისამარებულად, „მერცხლის ბოლოები“ აქვთ ამოჭრილი (ტაბ. CXXXIV, 4). ამ დეტალებს ნაგებობასთან უშუალო კავშირი არ უნდა ჰქონდეთ.

არაფერი ითქმის ნაგებობის სიმაღლის, ზედა ნაწილის მოუკანოლობისა და სახურავის შესახებ. როგორც ზემოთ ითქვა, ნაგებობა გამოვლენილ იქნა მას შემდეგ, რაც თავი იჩინა ერისთავთა პირველი და მეორე სამარხების სასურავებმა და დაიწყო მათი გარშემოთხრა. ეს სამარხები ნაგებობის აღმოსავლეთი განუფილების დასალოებით მუადგილასა.

იმის გამო, რომ ასე ნაკლებმეტყველი ნაშთები გვაქვს შემორჩენილი, თითქმის შეუძლებელია მსჯელობა ამ ნაგებობის თავდაპირველი სახისა და დანიშნულების შესახებ. გვიმწოდებდა მისი გადაჭრით მიჩნევა წარმართულ საკულტო ნაგებობად (რომელშიც შემდეგ მიცვალებულები დაუკრძალავთ), წარჩინებულ მიცვალებულთათვის აგებულ განსასვენებლად და მასზე აღმოცენებულ სამლოცველოდ, თუ სამარხებს ირგვლივ შემოვლებულ ცალკეანად.

როგორც არ უნდა გადაწყვიტოს ნაგებობის თავდაპირველი დანიშნულების საკითხი, მისი და ერისთავთა სამარხების ზოგადად თანადროულობა საუკვო არ უნდა იყოს, ხოლო სამარხები, როგორც იცით, საკმაოდ სარწმუნოდ არის დათარიღებული. კერძოდ, ამ ნაგებობაში მოქცეული (თუ, პირიქით, მისით გარშემორტყმული) ორი სამარხიდან უახლესი (№ 2) ეკუთვნის ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარს.

შენების ტექნიკისა და ზოგი სხვა ნიშნის მიხედვით, ნაგებობა არ წარმოადგენს განცალკევებულ მეგლს არაზანისუების კომპლექსში. პირიქით, უფლება გვაქვს იგი ხნობებით მკიდრად დაუკავშიროთ ზღვრებიდან ნაგებობას და აბანოს და უფლა ესენი ერთი ხუროთმოძღვრული ანსამბლის კომპონენტებად მივიჩნიოთ.

4. ერთსენაკიანი ნაგებობა

აღმოჩნდა ძირითადი უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მარაგზის ჩრდილოეთით, მისგან 11, ხოლო რკი-

ნიკზის ღიანდაგიდან 26 მეტრის მანძილზე (იხ. საერთო გეგმა). ნაგებობა ქეთიკირისა, ნატეხი ქეთი ამოუკანალი. მისგან შემორჩენილია: აღმოსავლეთის კედლის ქვედა ნაწილი, რომლის სიმაღლე 1,5 მეტრს უდრის, სიგრძე—8 მეტრს; აგრეთვე სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების აღმოსავლეთი ნაწილები. დანარჩენი მონგრეულია; დასავლეთის კედელი სრულიად აღარ არის. სამხრეთის კედლის ნაშთის სიგრძე 8 მეტრს უდრის, ჩრდილოეთისა—5 მეტრს, კედლების სისქე—1,3 მეტრს. მიგნით, სამხრეთის კედლის ახლოს აღმოჩნდა მცირე ნიშისებრი, სწორკუთხედიანი, აგრეთვე ქეთიკირით ამოუკანალი ნაგებობის ნაშთი. ოსრის დროს, როგორც კედლების მიგნით, ისე გარეთ, მიწიდან ამოდიოდა სამენი ქვისა და სასურავი კრამიტის დიდალი ნამტერევი. ამ ნამტერევეთა შორის, აღმოსავლეთი კედლიდან 5,4 მეტრის მანძილზე და მიწის ზედაპირიდან 1,2 მეტრის სიღრმეზე,


მიწის ჰორიზონტიდან აღმოჩნდა ქვის ჯამის ნახევარი, ცეცხლისგან მოაგურისფროდ გარუჯული. ეს უფილა წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვისაგან გამოთლილი ჰურჭული, რომელსაც ჰქონია ოთხი მასიურევი ფეხი, ხოლო ფეხებს შორის—ლაშაზად გამოუკანალი „კამარები“.

ცხადია, რომ ნაგებობა დასავლეთისკენაც გრძელდებოდა, მაგრამ ეს მხარე მას ამჟამად მონგრეული აქვს¹. გურკვევები რჩება შენის სრული გეგმა და დანიშნულება.


როგორც ითქვა, შემოგანხილულ აღრინეულ ნაგებობებს ერთისა და იმავე არქიტექტურული ანსამბლის ნაწილებად მივიჩნევთ. ჩანს, რომ მთელი ეს ანსამბლ შედარებით მცირე ფართობზე უფილა შეკრუფებული, ხოლო დანარჩენი სივრცე ალბათ ეზო-ბაღს წარმოადგენდა. ამ ანსამბლს უკავია ველის დასავლეთი ნაწილი, მთელი ფართობის დაახლოებით 2/3¹. სწორედ ამ ნაწილში გვაქვს ის, რასაც თამაზად შეგვიძლია გუწოდოთ ერთსენაკიანი სასახლის კომპლექსი. ამ უკანასკნელის ნაგებობებს, როგორც დასაწილშივე აღვნიშნეთ, გარდა საერთო ანსამბლური გეგმისა, აერთიანებს ისეთი მომენტები, როგორიცაა: შენის ტექნიკა, სამენი მასალა, სახურავის რაკვარობა და, ზოგჯერ, დეკორატიული გაფორმება.

ბევრი რამ ამ ანსამბლს უთუოდ აკლია—კერძოდ, თვით

¹ სწორედ ამ ადგილას იყო ის დიდი ორბოები, რომელთა შესახებ პირველ თავში გვქონდა საუბარი და რომლებიც პოლიდრონიდული მშენებლობის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს.



სურ. 117



სურ. 118

სასხლის ნაწილი (ზღურბლიანი ნაგებობის ორ სენაკს გარდა) და დაშმარე ნაგებობანი, რომელთაგანაც არსებობდა მხოლოდ აბანო შემოგვრჩენია. ეს განსაკუთრებით, თუ გავიხსენებთ, გარდა ნერევა-განადგურების ბუნებრივი ფაქტორებისა, ჩვენს მიერ უკვე აღრიცხულ ფაქტებს შეტყნებული ნგრევისა და ამავე ადგილას სამოულო საუკუნეებში და შემდეგაც, თითქმის დღევანდლამდე, არა ერთგვინ წარმოებულ სხვადასხვა მშენებლობას. მერმინდელი მშენებლები მგულ ნაგებობებს თუ მათ ნაშთებს დაარღვევდნენ. ერთი მხრივ, ახალ ნაგებობათათვის ადგილის მოსწორებისა და საშირკელის გაჭრის, ხოლო, მეორე მხრივ, შუამშარეული საშენი მასალის მოპოვების მიზნით.

მგულ ნაგებობათა ანსამბლში შემავალი ზღურბლიანი ნაგებობა და აბანო დაშმენებული ყოფილან კარგად ნათალ-ნაუქურთმევი და პროფილიანი ქვებით, რომელთაგანაც ჩვენამდე მხოლოდ მცირე ნაწილს მოუღწევია. ისინი გამოა-ლილია ერთნაირი, წვრილ და თანაბარმარცვლოვანი, ღია ნაცრისფერი ქვიშაქვისაგან, რომლის კარბონატულობას აქედანებს მიწში დებისაგან ზოგ ადგილას გადაჩრეული თეთრი ბრკე. ამ დეტალების უმეტესობას, ცეცხლში ყოფნის გამო, მოვარდისფრო და ზოგჯერ კი აშკარად მოწითალო ფერი გადაჰყარავს. ეს განსაკუთრებით თითქმის ზღურბლისა და აშოლის ქვებზე, რომლებსაც მხოლოდ მიგნით მოქცეული ნაპირები აქვთ აღანბულ-მეწითლებული. ამ ჯგუფის უკვეა ნაგებობას სქელი და საკმაოდ ღრმად, უმრავლესად ჩადგმული საშირკელი აქვს. ასეთ საშირკელზეა ამოყვანილი ცოკოლი და კაპიტალური კედლები. ეს უკანასკნელები მეტწილად აგებულია წესიერად, ბრტყლად მონატესი ქვებით, რომლებიც კირითაა შედრებაებული. ამ ქვათაგან სანიმომოდ შერჩეული უდიდესის ზომაა 78 X 56 X 20 სმ, ხოლო უმცირესის—20 X 13 X 8,0 სმ. სამშენებლო ქვა ადგილობრივი, არმაზისევერია: ფერად რუხი ან მოცისფრო, სტრუქტურულად — მასიური ან ფიქლებრივი, ტუფოვანური ქვიშაქვა.

აბანო, ზღურბლიანი ნაგებობა და ერთსენაკიანი ნაგებობა, როგორც თავ-თავის ადგილას იყო ნათქვამი, კრამიტით ყოფილა გადახურული.

მსგავსი ნიშნებით ხსიათდებიან ბაგინეთში აღმოჩენილი, პირველ საუკუნეთა ნაგებობანიც [342].

უკვეა ამ ნიშნის მისხედავი, ზემოთ განხილული ნაგებობანი არმაზისევერის ერთთავთა რესიდენციის კომპლექსის მიეკუთვნება. ეს გარემოება კი თავის მხრივ განსაზღვრავს ამ შეტყნების ასაკსაც. მთელი ეს კომპლექსი გადაშენებული და განადგურებული ჩანს უკვე IV ს-ნის დასაწყისისთვის.


ზოგიერთი ზემოთ აღწერილი არქიტექტურული დეტალი უფრო ადრინდელ ნაგებობათა ნაშთებს უნდა წარმოადგენდეს. ამ მხრივ განსაკუთრებით დაბახსიათებელია ას-

პირუცის სახარისთან აღმოჩენილი 2 ბლოკი, რომელთაც, მეზობელ ბლოკებისაგან განსაზღვრულად, შერცხლის ბოლოს მსგავსი ფორმები აქვთ ამოკვეთილი. შესაძლებელია, ამ უძველეს ნაგებობებს ეკუთვნოდეს პროფილიანი კარნიზის ნაწილი და ზოგი სხვა დეტალიც.

უურადღებას იქცევენ, კერძოდ, მარმარილოს ქანდაკებათა ნატესები, რომელთაგან ზოგი იმ კონკრეტულად აღმოჩენილი, რომ მხელაგება მათი დაკავშირება ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ ნაგებობებთან. ისინი უფრო ადრინდელი შენობებიდან უნდა მომდინარეობდნენ.

ამრიგად, მოგვეპოება საფუძველი იმისათვის, რომ არმაზისევერის შესართავთან ვივარაუდოთ ჩვენს მიერ შესწავლილ ნაგებობებზე უფრო ძველი, აგრეთვე მდიდრული შენობების არსებობა, ძვ. და ახ. წ. პირველ საუკუნეებში მინც. ამ ვარაუდს, სხვათა შორის, მღრის უკერს ბაგინეთში აღმოჩენილი უძველესი ნაგებობანიც.

IV საუკუნის შემდეგ არმაზისევერის ველი გამოყენებულია სასაფლაოდ თუ სხვადასხვა დანაშნულების შენობათა ასაკებზე—უმიჯურესად სამუალო შენობებისა და ღარიბი მოსახლეობის მიერ.



სურ. 119

ნ ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ უ ლ ი
დ ე კ ო რ ი ს ნ ა შ მ ო ე ბ ი

ეს ნაშთები არ ამოიწურებოდა ზემოაღწერილი დეტალებით, რომლებიც უშუალოდ ზღურბლიანი ნაგებობის ფარგლებში აღმოჩნდა. მისგან შორისაღლოს ნაშთიანი კიდევ რამდენიმე დეტალი, აშკარად ნაგებობათა დეკორისადაც მისაკუთვნებული.

ამათგან განსაკუთრებით საუურადღებოა დიდი ნატესი ტიპური ანტიკური, დაკბილული და საკმაოდ რთულპროფილიანი კარნიზისა (სავ. წიგნ. № 550;

ტაბ. CXXXIII, 2; სურ. 123), რომელიც 1936 წელს აღმოჩნდა, აბანოს სამხრეთ-დასავლეთით, მისგან 13,5 მ მანძილზე, მიწის ზედაპირიდან სულ 5 სმ სიღრმეზე. მისი სიგრძე 1,16 მ უდრის, უდიდესი სიმაღლე—0,38 მ, ხოლო სიგანე—0,3 მ. იგი მკვლადვე სიგრძივ-აღმაცურადაა მოტეხილი. მთელი შემორჩენილი აქვს 17 სმ სიღრმე (კალი კუთხე, რომლისგანაც პირველი „კბილი“ 17 სმ მანძილზე გამოკვეთილი. ეს გეგმიკრიბინებს, რომ აქ კარნიზის ერთ-ერთ განაპირა ნაწილთან გუაქვს საქმე. კბილანებიც და საპროფილო წახნაგებიც მეტწილად მოტეხილ-მოცვეთილი აქვს. იმ ქვიშაქვის კარბონატობას, რომლისგანაც კარნიზია გამოკერილი, ნათლად ამქლავებს ჩაღრმავებულ ადგილებზე თეთრად გადაკრული ბრკე. აღსანიშნავია, რომ ამ ქვას მოწითალო ელფერი სრულიად არ ეტყობა და, მაშასადამე, ცეცხლის სიმსურვალე არ განუცდია.

გვიანდელი ორსენაკიანი ნაგებობის (იხ. ქვემოთ) საშირკელიდან გამოღებულ იქნა ერთი დეტალი, რომელიც კუთხის კარნიზის მთავეკიდლებას სტოვებს (სავ. წიგნ.

№ 555; ტაბ. CXXXIII, 5; სურ. 124). ისიც იმგვარივე ქვიშაქვისგანა გამოთლილი, რაც ზემოთ აღწერილი დეტალები, და ცეცხლისაგან ძლიერ შეწითლებულია. მისი უდიდესი სიგრძე 0,54 მ უდრის, სიგანე—0,48 მ, სოლო სისქე—0,24 მ. ზედა მხარე ნაპირების პარალელურად, ერთისაგან 14, სოლო მეორისაგან 19 სმ დაშორებით, 7 სმ სიღრმეზე ამოჭრილი აქვს. ალბათ მასში კიდევ სხვა დეტალი იდგებოდა შემოდან.

იმავე ნაგებობაში ჩადგმულს, 26-ე სამარხის სასურავად უფარა გრძელი და საკმაოდ ფართო, კარგად თლილი ფილა (ტაბ. XCIII, 3,4; CXXXV, 2; სურ. 129, 130), იმგვარივე ქვიშაქვისა. ამ ფილას ზედა მხარეზე, ნაპირიდან 8 სმ მანძილზე, გამოყვანილი აქვს წესიერი სწორკუთხოვანი განივკვეთის მქონე, მაღალი (7,5 სმ) და ფართო (16 სმ) ქედი, სოლო მეორე ნაპირს გასწვრივ—1 სმ სიფართო და სიღრმე სწორკუთხოვანი ამონაკვეთით. რა თქმა უნდა, ასეთი პროფილის მქონე ფილა არ იქნებოდა გამოთლილი სამარხის სასურავისათვის და იგი ისევე მეორედ გამოყენებულია აქ, როგორც ბუერი სხვა დეტალი მველი ნაგებობისა, ოღონდ ჭირის მისი პირვანდელი დანიშნულებისა და ადგილის გარკვევა. რამდენადმე მისი მსგავსი ფილა გამოყენებულია აბანოშიც (ტაბ. CXXVI, 1,3).

აბანოს სამხრეთით, მის მახლობლად 1938 წელს გათხრილ მე-13 ქვისსამარხს განივ კედლად ედგა ნაცრისფერი ქვიშაქვის მასიური სწორკუთხოვანი ფილა, ზომით 1,05 × 0,87 × 0,17 მ, რომელსაც ერთი მხარე ზუსტად მისწორებული, სოლო ნაპირებს ასწვრივ გამოყვანილი წესიერი, დაბალი და ვიწრო ქედები ჰქონდა (საუ. წიგნ. № 854; ტაბ. CXXXIV, 3). ცხადია, რომ არც ეს ქვა უოფილა იმთავითვე სამარხის კედლად განკუთვნილი.

იგი რომელიღაც სხვა დიდი ნაგებობის ნაშთია.

1944 წელს ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გათხრილი 46-ე სამარხის აღმოსავლეთ განივ კედელს წამოაღვენდა მორუხო ქვიშაქვის, თითქმის კვადრატულად გამოჭრილი, 0,90 × 0,85 × 0,15 მ ზომის, წითაქლი ლოლი (საუ. წიგნ. № 856; ტაბ. CIV, 1, წინა პლანზე;

CXXXIII, 4), რომლის განივკვეთი წარმოადგენს ტრპეციოიდს, მცირედ გვერდებზანუქილს, ისე რომ პირში გადაჭრილი ოთხწახნაგოვანი პირამიდის ფუძეს მოგვაგონებს. ორ მოპირდაპირე მხარეზე ფილაქვას ნარიბანდები აქვს ამოჭრილი (ჩანს, გვევ სამარხის ასაკებზე გამოყენებისას). ეს ქვა სადგარის შიდაპირებზე სტოვებს და მალთან ჰკავს ამ ბოლო ხანებში ქერსონსში გათხრილ ნაგებობათა შორის



ნაპირე ერთ-ერთ დეტალს, რომელსაც გამოსრევიც „იმპოსიტად“ შიინეკს [131, გვ. 251, სურ. 51, მარჯვნივ, ზემოთ].

42-ე სამარხის სამხრეთ გრძივ კედელს წარმოადგენდა რუხი ქვიშაქვის სწორკუთხოვანი, კარგად გათლილი ლოლი (ტაბ. CI, 3, მარცხნივ), რომელშიაც სამაგრებისათვის ამოჭრილია ფოსოები. ლოდის ზომაა 1,90 × 0,75 × 0,23 მ. რასაკვირველია, ესეც დიდი ნაგებობის ნანგრევიაგან წარმოდგება და არაა საგანგებოდ სამარხისთვის გაკეთებული. ამგვარივე ფოსოებიანი, ოღონდ მომცრო სწორკუთხოვანი თლილი ქვა (და არა ფილა) აღმოჩნდა 1940 წელსაც, ასპარევე ერისთავის სამარხის შემომზღუდევი ქვითიერის ნაგებობის ნანგრევზე.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ის მრავალრიცხოვანი (75-ოდე) დიდრონი თლილი სწორკუთხოვანი ქვები, რომლებიც საფუძვლად აქვს დაწობილი, ერთ თუ ორ ფენად, გვიანდელ ორსენავან ნაგებობას (ტაბ. CXXXV, 1,2; სურ. 130—132). რომლის შესასებ ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ წუბიდან ვერჯერობით გამოღებული მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ერთი დეტალი (საუ. წიგნ. № 855). თვალდათვალ კი ეტეობა, რომ თუ უმეტესობა უბრალოდ თლილი, პარალელკუთხოვანი ან კუბური ბლოკებია, ზოგიერთს პროფილიანი ზედაპირები აქვს. არავითარი ეჭვი არაა, რომ მთელი ეს

მასალა ადრე არსებული დიდი, თლილი ქვით ნაგები თუ შემოსილი ნაგებობის ნანგრევის ნარკაზეა დაგროვილი.

სხვადასხვა ადგილას ნაპოვანი რამდენიმე ქვის დეტალი, რომლებიც აგრეთვე მველ ნაგებობას შეიძლება ეკუთვნოდეს და მისი სასურავის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ასეთები აღმოჩნდა ზღურბლიანი ნაგებობის დასა-



სურ. 120

ლეით, ოციოდე მეტრ მანძილზე, 0,3 მ, 0,5 მ და 1,2 მ სიღრმეზე (1937 წ. საე. წიგნ. № 98, 1938 წ. № 29 და 1944 წ. № 755). ეს არის ნანგრისფერი ქვიშაქვისაგან წესიერად გამოყოფილი ღარის ერთიმეორეზე მოსარგებები ნატულები (ტაბ. CXXXIV, 1), რომელთა საერთო სიგრძე 0,86 მ, სიგანე 0,16 მ, სიმაღლე 0,12 მ, ხოლო ამონადარის ზომა 10×4 სმ უდრის. ამონადარს ძირი პირი-ზონტული აქვს, კედლები—შუველი. საე. წიგნ. № 756-ც იმავე ქვისაგან ისევე გამოთლილია, ოღონდ მისი სიგანე 0,12 მ უდრის (ასე რომ იგი ვერ მოერგება ზემოაღწერილს), სიგრძე—0,18 მ, სიმაღლე—10,5 სმ, ხოლო ამონადარის ზომა— $5,4 \times 2,4$ სმ. საე. წიგნ. № 791 ისევე, მაგრამ მღიერ ზედაპირულად არის ამონადრული. მისი სიგრძე 0,46, სიგანე 11,5 სმ, ხოლო სიმაღლე 9,5 სმ უდრის.

თითქოს შეიძლებოდა ამ დეტალების მიჩნევა შენობის კარნის გასწვრივ დაუფლებულ საწვიმარ ღართა ნაშთებდა, თუმცა ერთ მათგანს (№ 755) ცალი ბოლო კედლების სიმაღლეზედვე „აღობილი“ აქვს. სრულიად ასეაივე, ოღონდ ცაცულებით უფრო ღრმა ევ-ზემპლარი ნაპოვნია ღარისებრ კრამიტებს შორისაც (საე. წიგნ. № 1503; ტაბ. CIX, 8), რაც კიდევ უფრო აძლიერებს ქვის ღართა სახურავის შემადგენელ ნაწილებად მიჩნევის აზრს. № 1503 აღმოჩნდა ზღურბლიანი ნაგებობის მეორე სენაკს აღმოსავლეთით, მისგან 1,7 მ მანძილზე, იმ მხარეზე გამოვლენილი კედლის ნაშთის დონეზე. მისი სიგრძე 45,5 სმ უდრის; უდიდესი სიმაღლე—10,2 სმ, უმცირესი სიმაღლე—9,0 სმ, უდიდესი სიგანე—20,5 სმ, უმცირესი სიგანე—16,3 სმ; უდიდესი სისქე—2,5 სმ. მას აღობილი აქვს ფართო ბოლო. სხვათა შორის, ეს იყო ერთადერთი კრამიტი ამ ნაგებობისა და აბანოს ნანგრევთა შორის, რომელიც მთელი აღმოჩნდა, თორემ იმდროინდელ ორივეგვარ კრამიტთა მთელ-მთელი ცალები მხოლოდ ამ უბანზე გათხრილი კრამიტსამარხებიდან გვეჩვენებოდა.

6. მარანი და საკულტო ნამარხები

მევე ნაგებობათა ჯგუფს ვეკავშირებთ ნაშთების კიდევ ორ წიკბას, რომლებიც წარმოდგენილია მიწაში ჩარჩენილი ქვევრებით და სმირად მათთან დაკავშირებული ქილებით—საკულტო ნამარხებით. სულ აღრიცხულია 55 ქვევრი (აღვილიდან დამრული, მიმოფანტული ნაწილების ჩათვლელად) და 9 საკულტო ნამარხი.

ქვევრები განსაკუთრებით მრავლად გვხვდება განათხარი უბნის დასავლეთ ნაწილში. არც ერთი ქვევრი არ აღმოჩენილა ზღურბლიანი ნაგებობის ნანგრევთა შორის და აგრეთვე მის დასწვრივ, სამარხების განაპირაზე. ისინი უმთავრესად განათხარი უბნის ჩრდილო-დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებშია თავმოყრილი.

მთლიანად შენახული ქვევრი ძალიან იშვიათია (ტაბ. XCII, 4; სურ. 12ა), მეტწილად მათ ზედა ნახევარი ან მესამედი მინც გაღამტერული აქვთ (მაგ., სურ. 125), ხოლო ზოგჯერ მათი ძირი-დაა შემორჩენილი. ქვევრების დაზიანება-დაშტერების ერთი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ისინი სმირად მოქვევრად შემდგომ აგებულ მენობათა კედლებს ქვეშ, ან მათ შორის, ე. ი. შენობის იატაკის ფარგლებში (სურ. 135, 136).

მევე ქვევრი შუველადაა მიწაში ჩარგული. თითო-ორილას შერჩენია ქვის სარქველი—ქვიშაქვის ფილა, მრგვალად ან ოთხკუთხედ, საკმაოდ უსწორმასწოროდ გამოჭრილი. უდიდესი ქვევრის (1915 წ. საე. წიგნ. № 968) სიმაღლე 2,0 მეტრს უდრის, მუცლის დიამეტრი—0,55 მეტრს, ჰორის დიამეტრი—0,4 მეტრს, ფსკერის დიამეტრი—0,2 მეტრს, კედლის სისქე—1,5—2,0 სმ.

ქვევრთა მოყვანილობის საერთო დამახასიათებელია შედარებით დიდი მუცელი და ზოგჯერ ნაკლებ მოსდენილი პროპორციები. ბევრ ქვევრს მეცხელზე გარედან შემოუკვება საკმაოდ რელიეფური, ხაღა, ზოგჯერ პლეული წერილი სარტულები: ორი, ოთხი და მეტიც. არის მესხვევა, როდესაც მთელი მუცელი დაფარულია სმირი სარტულებით. სარტულები ყოველთვის ანაა პარალელური (სურ. 125).

ზოგ მონატესში ჩანს, რომ კეცის ზედაპირები წითლადაა გამოშვარი, გული კი მოშავოა.


ეს ქვევრები უმთავრესად საღვინე უნდა იყოს. თითო-ორილად ეგებ სხვა სითხის ან, შესაძლოა, მარცვლეულის შესანახავადაც გამოიყენებოდა, თუცა არც ერთ მათგანში მარცვლეულის ნაშთი დამოწმებული არ არის. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბაციწეთში გათხრილ ერთ-ერთ ასეთსავე ქვევრში შემჩნეულ იქნა რაღაც მუქი ფერის ნაღვექი, რომლის ანალიზსაც გამოარკვია, რომ იგი ღვინის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს [29].

მართალია, თანამედროვე ქართულ ქვევრებთან შედარებით ეს ქვევრები უფრო თხელკედლიანი ჩანს, მაგრამ სიმაგრით კი არ ჩამოუვარდება მათ.

დიდრონი და მომცრო ქვევრების (ქოცობის) გარდა, აღმოჩენილია რამდენიმე დვრციე—მათ შორის ზოგი ორეურა (სურ. 126) და ზოგი უეურო (სურ. 127). ამთ ქვევრების ჯგუფის ჩრდილო-დასავლეთი განაპირა ადგილი კვავათ.

ამრიგად, გარკვეულ ხანაში არმაზისხევის მარჯვენა ნაპირზე, დაახლოებით 45×90 კვ. მეტრ ფართობზე უნდა წარმოვიდგინოთ მარანი თუ მარნები.

ეს ქვევრები ვერ დაუკავშირდება გვიანდელ ნაგებობათა ჯგუფს, რომელთაც ქვემოთ აღვწერთ: ზოგჯერ ისინი ტერიტორიულად ერთიმეორეს თანხვედა და გვიანდელ ნაგებობათა კედლები ზედა ქვევრებზე ან მათ ნაშთებზედაც კი გადადის.




სურ. 121

ასეთი შემთხვევები გვაქვს, მაგალითად: 57-ე და 58-ე ქვისსამარხებს დასავლეთით, მათგან 2 მეტრ მანძილზე; ახმარუგის სამარხის ზღუდის ჩრდილოეთით, 14 მეტრ მანძილზე; მე-4 სამარხის სამხრეთით, 4 მეტრ მანძილზე (ერთი ქვევრის ბირი და მეორე უელგადამტკრეული ქვევრი); აბანოს სამხრეთ-დასავლეთი კუთხიდან 8 მეტრ მანძილზე და სხვ. (იხ. საერთო გეგმა).

ამგვარივე ურთიერთობა ჩანს ქვევრებსა და ზოგიერთ გვიანდელ სამარხს შორის. ასე მაგალითად, მე-14 ქვისსამარხი დადგმულია ქვევრს ზემოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვევრი უფრო ძველია—არა მარტო გვიანდელ ნაგებობებთან, არა-

ამრიგად, ხელთ გვაქვს ქვევრთა თარიღის კიდევ უფრო დამაზუსტებელი მასალა: როგორც ვიცით, ორივე ის სამარხი თარიღდება ას. წ. I—III საუკუნეებით, არა უგვიანეს. მაშასადამე, მათ ქვეშ მოქცეული ქვევრი, რომელიც რამდენადმე უფრო ძველიც უნდა იყოს, ვერ მიეკუთვნება ას. წ. III საუკუნეზე უფრო ახალ დროს.

ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა ქვევრების (უმეტესი ნაწილის მაინც) ქრონოლოგიურად დაკავშირება ქვითკირის ნაგებობებთან, რომელთაც ცვენ ერისთავთა კომპლექსის ერთ-ერთ არსებით კომპონენტად ვთვლით. ამ თვალსაზრისით დიდად საუურადღებოა ის გარემოება, რომ არც ერთი



სურ. 122

მედ აგრეთვე ამ უკანასკნელზე უფრო ძველი სამარხების ჯგუფთან შედარებით. ჩრდილო-დასავლეთ უბანზე გათხრილი 87-ე ქვისსამარხი და მე-3 კრამიტსამარხი ერთიმეორესთან ძლიერ ახლო იყო ჩადგმული და ორივე დაეფუძნებინათ თითქმის სანახევროდ გადამტკრეულ ქვევრზე, რომელიც ცხოველთა ძვლებისა და ვერამიკის ნატეხების შემცველი მიწით იყო სავსე (ტაბ. CVI, 4; სურ. 93). ისიც კი ჩანდა, რომ ქვისსამარხი აგებისას რამდენადმე შეეცდებინათ უკვე უსწორმასწოროდ მოტეხილი ქვევრის მოკვანძობისათვის. აღნიშნული ვითარება ცხადყოფს, რომ ორივე სამარხი უფრო ახალია, ვიდრე ქვევრი. ეს უკანასკნელი კი ერთ-ერთი ტიპური, ირგვლივსართულიანი ნიშნულია სწორედ იმ ქვევრთა ჯგუფისა, რომელსაც ამჟამად ვარჩევთ.

ქვევრი ან ქვევრის ნაშთი აოქცევდა საკარაულო სასახლისა და მის ირგვლივ მდებარე ნაგებობათა ფარგლებში: ისინი ან ამ ნაშთების შორიასლოსა რამდენსამე უბანზე დაჯგუფებული, ან ცალ-ცალკე გაფანტულია (იხ. საერთო გეგმა).


როგორც ითქვა, ეს ქვევრები ერისთავთა სასახლის მეურნეობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, მარნის ნაშთად უნდა ჩაითვალოს. შესაძლოა, თავის დროზე ისინი მოქცეული იყვნენ შჩატე ხის ნაგებობათა შიგნით, რომლებიც უკვლად გამქრალა. ან, ეგვი, ქვევრები ჩაურილი იყო ეზოში, ხეების ჩრდილში, ეოველგვარი ნაგებობის გარეშე. თანამედროვე, შევენახეობით განთქმულ რაიონებში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) ასეთი, „ციცქეშა“ ან თითქმის „ციცქეშა“, მარნების უმრავლესობა მაგალითი ვიცით.

საკულტო ნამარსები წარმოდგენილია წითლად თუ შავად გამომწვარი თისის ქილებით, რომელნიც უოველთვის ძალიან ღრმად—1,8—2,5 მეტრზე—იყენებ ჩაფლული.

9 ასეთი ქილიდან 2 (1911 წელს აღმოჩენილი) დამტერული იყო. ერთი მათგანი (საე. წიგნ. № 273) წითლადაა გამომწვარი და საკმაოდ ულახოთა, მუცელმრგვალი, პირფართო, ცალკური. მისი სიმაღლე 21 სმ უდრის, უდიდესი დიამეტრი—20 სმ. ფსკერზე ჩარჩენილი ჰქონდა ფრინველის მკვლელების შემცველი მიწა. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,9 მ სიღრმეზე, ასპარეგის სამარსს სამსრეთ-აღმოსავლეთით, მისგან 20-ოდე მ მანძილზე. მეორე (საე. წიგნ. № 353) წარმოდგენილია წითელი თისისაგან გამომწვარი, საკმაოდ სქელკედლიანი და უელფართო ქილის ნატესებით, რომელთაც კუბრისებრი ნივთიერების ნაკვლეუები ასლავთ თან და ასეთივე რამ უელ-პირზედაც აქვთ შერჩენილი. ქილის დიამეტრი 16 სმ უდრის. ეს ნატესები აღმოჩნდა ზემოაღწერილის მახლობლად, მიწის ზედაპირიდან 1,8 მ სიღრმეზე. პირს ელო ქვიშაქვის მრგვალი ფილა, ხოლო ზემოდან, როგორც ჩანს, ფეხარ იქვე ნაპოვნი და დიამეტრით ქილის ეკლის ოდენა, ერთ-ერთი იმ მრგვალი ორნამენტან კერამიკულ ფილათაგანი (საე. წიგნ. № 352), რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი (იხ. VII თავი, გვ. 176).

დანარჩენი შვიდი ქილიდან 1943 წელს ორი ერთად არის ნაპოვნი, ორი სათითაოდ და 1945 წელს სამი—კვლავ ერთად. ზემდებარ არ იქნება ამათგან განსაკუთრებით ტიპური და კარგად დაცული ქილების უფრო დაწვრილებით აღწერა.


ერთ-ერთი, ქილა 1943 წ. აღმოჩნდა ასპარეგის სამარსს ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან 9,5 მ მანძილზე. გვიანდელი ნაგებობის მცირე, ფილაქვისნადაცა სენაკს ქვეშ, 2 მეტრზე უფრო ღრმად. იატაკის პირში შეინიშნულ იქნა აუშლელი კულტურული ფენა—იმ თხელი, მოვარდისფრო და მოუვითალო-მომწვანო კერამიკის ნამტერეების შემცველი, რომელთაც სამუალო საუკუნეებს გავუთვნეთ (იხ. VII თავი). ამ ფენის ქვეშ იყო ორი ქვევრის ნაშთი, ხოლო მათზე რამდენამდე უფრო ღრმად, ერთიმეორის მახლობლად — დაპირკავებული ქვევრის მოვეანილობის ორი ორმო. თითოეულის დიამეტრი დაახლოებით 1,5 მ უდრის. ეს ორმოები გატენილი იყო ნაცრით, ნახშირით, ცხოველთა (ცხვრის, ცხენის, ხარის, ირმის და სხვათა) რქაძვლებით და — რაც განსაკუთრებით საუკრძღვებოა — მათ შორის გამოჩენილი, ანტიკური კრამიტის ნატესებით. ერთი ორმოს პირში აღმოჩნდა კონუსისებურად დაუორილი ქვის გროვა, რომლის ფუძის დიამეტრი უდრის 1 მეტრს. გრო-



სურ. 123

ვის ქვებს შორის ისეთივე კულტურული ნაშთები იყო, როგორიც ორმოს ნაშალ მიწაში. მეორე ორმოს პირზე ილო ქვიშაქვის თითქმის კვადრატული (0,30 X 0,25 მ) ფილა. ამ ფილაზე პირქვე დამსობილი იდგა მოწითალო უურო ქილა, რომელსაც ზემოდან, ე. ი. ფსკერზედაც, ისეთივე და იმდენავე ფილა ელო. თავის დროზე ქილას ზიერი მოკრული ჰქონია რაღაც გაკურული აპკით, რომელიც დაბლილი, მაგრამ მინც საკმაოდ შემონახული იყო. ქილის სიმაღლე უდრის 25 სმ, მკვლის დიამეტრი — 26 სმ, პირისა — 12 სმ, ფსკერისა — 20 სმ; საშუალო სისქე — 3 მმ. როგორც ვხედავთ, ქილა ოსეულია. იგი კარგადაა გამომწვარი. ქილის სადგამი ქვედა ფილა ილო მიწის ზედაპირიდან 2,2 მ სიღრმეზე, უძრავ ღორღიან ეპირზე. ქილანი აღმოჩნდა მომცრო ვარიის ოდენა ფრინველის სრული ჩონჩხისა.

იმვე წელს, სრულიად იმკარსავე გარემოცვაში, მიწის ზედაპირიდან 2,0 მ სიღრმეზე აღმოჩნდა წყვილი ქილა (საე. წიგნ. №№ 569—590) და მათი თანხსლები ქვეყრილი. ეს ელო ასპარეგის სამარსს ჩრდილოეთით, მისგან 3 მ მანძილზე, იმ გვიანდელი ნაგებობის ნაშთებს ქვეშ, რომელშიც აღმოჩნდა კერამიკული საბეჭდები (საე. წიგნ. № 555; იხ. VII თავი). ორივე ქილა ერთ ფილაზე იყო პირქვე დამსობილი, ისე ახლოს, რომ მუცლებით ერთიმეორეს ეხებოდა. ზემოდან მათ ავრთვე ერთი, სხიარო ფილა ეფარათ. ერთი ქილა წითლად გამომწვარი, სოლო მეორე მუღუგა იყო. პირი ორივეს აპკით ჰქონდა მოკრული. წითელ ქილამი ფრინველის ნაწილის აღმოჩნდა, ხოლო მეორეში—იმვე ფრინველის ჩონჩხის მეორე ნახევარი და რკინის დანისპირი, მღიერ დაქნეულ-დაქუცმაცებული.




სურ. 124

რამდენამდე თავისებური იყო 1915 წელს გათხრილი, № 75 ქვისსამარსის უბანში (ასპარეგის სამარსს ჩრდილო-დასავლეთით), ერთად ჩადგმული 3 ქილის (საე. წიგნ. №№ 653, 655, 657) გარემოცვა, პირბები და მინაარსი. სამივე ქილა „მაკურული“ იყო ქვევრის ძირთან, მიწის ზედაპირიდან 2,0 მ სიღრმეზე მდებარეობდა და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამსრეთ-დასავლეთის მიმართულებით იყო დამწვრილებული. პირს ქვა არ ედოთ. სამივე ჩვეულებრივად იდგა და არა პირქვე დამსობილი. პირები სამივეს აქვს თითქმის გაკურნული აპკით ჰქონია მოკრული და ზოგს ხედავ შემოპყრული მათვის ნიშნებიც ეტეობოდა. ზემოდან თითონ თითო ოთხკუთხედი ფილაქვა ეფარა. ორი ქილა უურიანი იყო და შავად გამომწვარი, ხოლო მესამე—უურო და მოუვითალო-მოვანცისფრო. ქილებში არავითარი ნაშთი არ ეოფილა. როგორც ვხედავთ, წინა წლებში აღმოჩენილ ქილებს ეს სამი ბევრი რამით

პაკუს, მაგრამ სოციური არსებითი ნიშნით განსხვავდება მათგან.

საქართველოს არქეოლოგიაში ამგვარი ძეგლების აღმოჩენა პირველი იყო¹ და ეს ადგილები და მათში ინტერესს. მათ მალე მოჰყვა მსგავსი აღმოჩენები: სამთავროს სამაროვნის სამსრეთ უბანზე—1916 წელს, ბრინჯაოს ვისვის აღმოჩენის ადგილთან ახლოს [18]; რუსეთში—1919 წელს მტკვრის მარჯვენა ნაპირის სამაროვანზე, სოლო 1950 წელს მარცხენა ნაპირზე, ნაქალაქარის თხრისას [324]; უჯარმაში—1950—1951 წწ. ზედაცისის თხრისას [428] და, თითქმის, ურბნისშიც [334].

ასე საცანგებოდ ღრმად ჩადგმული ქილებისა და მათში ჩამარსული ფრინველთა ძვლების სახით საქმე უნდა გვეჩინდეს გარკვეული მსხვერპლმეურვის ნივთიერ ნაშთებთან. ამ რიტუალს ბევრი რამ უსაზღვრად ეფერება.



სურ. 125

ფიულ ლიტერატურაში ცნობილ ჩვეულებასთან, როდესაც ახალი მშენებლობის წამოწყებისას ან ახალი სასაფლაოს გასასწავლის დედასთან (თავის დროზე წარმართულს, მაგრამ ქრისტიანობაშიც გადმონათობის სახით გადმოსულს) მსხვერპლად სწორავენ ფრინველს — სმირად მაშალს—და დაკლულს მიწაში ფლავენ [124, გვ. 61—62, 294; 125, გვ. 106—125]. ჩვენ შემთხვევაში შეგვიძლია მსხვერპლმეურვისათვის ორივე მიზეზი ვივარაუდოთ: მშენებლობაც და სასაფლაოს გასასწავლ. მით უმეტეს ბუნებრივი უნდა გვეჩვენოს ეს გარემოება, თუ აქვე საკულტო ნაგებობასაც ვიგულისხმებთ (რაც, როგორც ზემოთ, ნაგებობათა ნაშთების განსივლივსაც. იყო აღნიშნული, არაა საკლებით გამოჩინებული).

საქართველოს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული ქათმისა და, კერძოდ, მამლის მსხვერ-

¹ მხოლოდ ამას წინათ გამოქვეყნდა ე. თაყაიშვილის მოგონებანი, რომლებშიც, სხვათა შორის ნათქვამია, რომ 1890 წელს ბაგრატიონი საყდრის თხრისას, სხვა საგნებთან ერთად, აღმოჩენილია „ბატარა თხის კოლოში ქათმის ძვლებით სავსე“ [358, გვ. 43].

ზღად მეურვის ჩვეულების გადმონათობა, რომლებიც XIX—XX საუკუნეებშიც კი ძლიერად უოფილა წარმოდგენილი, ოღონდ ამ რიტუალის მინარჩის სმირად რამდენადმე თავისებურია (მაგ., კვეცილის „ბაუნებს“ უკლავნ მას). გ. ბარდაველიძის აზრით, ქართველ ტომებში ბარბაღლესათვის შესაწირავი ფრინველი დედალი და მამალი ქათმის სახით არის წარმოდგენილი [326, გვ. 39]. იმავე ვეტორის დასკვნით, ბარბარე || ბარბაღლე „ქართველი საღვთის უკვლესი მშის დედაა“ არის [326, გვ. 119]. ამ მხრივ, სვენი აზრით, ძლიერდება მნიშვნელობა იმ ფაქტისა, რომ სვენი ერთ-ერთი სამხვერპლო ქილასთან დაკავშირებულია ბორჯღალიანი კერამიკული ფილა, რომელიც თითქმის მის სარქველადაც კი უოფილა გამოყენებული.

აქვე აღსანიშნავია, რომ ა. კალაღ და მე სამთავროში აღმოჩენილს ასეთ ქილას (სხვადასხვა ცხოველთა ძვლებით, ნახშირითა და ნაცრით სავსე ქვევრში პირქვე ჩაუვლებულს და აგრეთვე აკით პირმოყრულს) აღაპის ნაშთად მიიჩნევს.

საინტერესოა ამ ნაშარსი ქილების სწოვანების საკითხი. ერთ-ერთ მათგანში აღმოჩენილი დანისპირი დაქუცმაცებულა. იგი სომით მოგვაცანებს სამთავროს ქვევრსამარხებში და ახ. წ. I—III სს. კრამიტსამარხებში თუ ქვისსამარხებში და აგრეთვე არამაზისსვეის მეორე კრამიტსამარხში მიცვალებულთათვის ჩატანებულ პატარა დანისპირებს, რომელნიც იარაღად ვერ ჩათვლება და რომელთაც თითქმის აგრეთვე სიმბოლური, რიტუალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ (ეგებ სწორედ ამ დანით იყო ფრინველი დაკლული) რაც შეეხება თვით ქილებს, როგორც კერამიკულ ნაწარმს, მათში ორი ტიპი გამოირჩევა: ერთი მსრივ, წითლად გამომწვარი და შედარებით უფრო ფაქიზი, სოლო, მეორე მსრივ, შავად ან მოშავოდ გამომწვარი, ზოგაერ უფრო ტლანქი. პირველი ტიპი ანალოგიებს პოვლობს ქვევრსამარხებსა და კრამიტსამარხებში აღმოჩენილი თხის ჭურჭლის სახით, რომელიც კარგად თარიღდება მე. წ. მიწურულისა და ახ. წ. I საუკუნის მონეტებით [23; 39]. ასეთსავე თხის ჭურჭელს ვხვდებით მცხეთის რკინიგზის სადგურის მასლობლად 1943 წ. აღმოჩენილ კრამიტსამარხებში და თვით არამაზისსვეის მეორე და მესამე კრამიტსამარხებში და მათ თანამედროვე, № 87 და 88 ქვისსამარხებში, რომელნიც აგრეთვე ახ. წ. პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება. მოკვანილობით კი ეს ქილები მოგვაცანებს სამთავროს, მე. წ. ბოლო ორი-სამი საუკუნის ქვევრსამარხებთან ერთად გავრცელებულ ბავშვის სამარხ ქილებსა და დერგებს [38].

ნაშარსი ქილების დათარიღებისათვის მცირე მნიშვნელობა არ ექნება აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მათ თანამდებულ და უსათოდ თანამედროვე ქვაყორილებში გვხვდება ანტიკური კრამიტის ნატყები.

მედარებიანი ხნოვანების დასადგენად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ჩვეულებრივ ამ ნაპარსთა და ქვაურილითა შემცველი ორმოები გვსვდება ქვევრებთან ერთად, გვიანდელ ნაგებობათა და ამ უკანასკნელებზე უფრო ძველი კულტურული ფენის ქვეშ.

ამ დაკვირვებათა ერთობლიობა უფლებას გვაძლევს ჩვენ მიერ განსილული საკულტო ნაპარსები ხნოვანებით დაუკავშიროთ არმახისსეფთან აღმოჩენილ, ანტიკური ხანის ძეგლებს — ნაგებობათა პირველ ჯგუფს (ის. ზე მოთ), ერისთავთა სამარხებს და, ჩანს, აგრეთვე ქვევრებს.

აქვე შევნიშნავთ, რომ შესაძლებელია, თვით ქვევრების ერთ-ერთი ჯგუფი — განსაკუთრებით ის, რომელიც ერისთავთა სამარხის მასლობლად მდებარეობს — აგრეთვე საკულტო დანიშნულებისა იქოს, მეორეხარისხისა „სა-ზეამე“ (სარიტუალო ღვინის ჩასახსმელი) ქვევრების მსგავსად, და სწორედ ასეთობთან იქოს დაკავშირებული სამსხვერპლო ქილებიც. ამ მოსაზრებას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ 1946 წელს აღმოჩენილ, თავდაპირველ ქვევრში (რომელსედაც მე-3 კრამიტ-სამარხი და 87-ე ქვისსამარხი დაეფუძნებინათ) ნამდვილი ალაჩის ნამთების მსგავსი რამ იყო მრავლად ჩაყრილი: ძეგლები, ჭურჭელთა ნაბეჭდვები და სხვ. ამათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი ფრიად თავისებური, კრამიკული მილინებრი სკანანი, რომელსაც დაწერილობით შემედიდებ თავში აუგწერთ და რომლის კულტურისადმი კეთვნილობას გვაფიქრებინებს ზედიმერწილი რელიეფური გამოსახულება (ტაბ. CIX, 1).

დასასრულ, უნდა დავიმოწმოთ სამთავროს სამარხის მაგალითიც, სადაც შეველად ჩარგული ქვევრების ამგვარი დანიშნულება გამოსრულებს საეჭვოდ არ მიიჩნიათ [18].

II. გვიანდელი ნაგებობანი


ნაგებობათა მეორე ჯგუფის მთავარი და არსებითად დამახასიათებელი ისაა, რომ მასში წარმოდგენილია ისეთი ნაგებობანი, რომელთა კედლების შემადგენელი ნატეხი ქვები ერთმიერესთან შეკავშირებულია თიხით.

ეს ნაგებობანი, რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლებ მტკიცეა, ვიდრე კეთილგონისა, მით უმეტეს, რომ ამგვარ მათგან ხშირად თიხაც გამორეცხილია და დარჩენილია მხოლოდ სუსტი, მშრ-

ლი წიობა, რომელიც გაოსრა-გამომვლების შემდეგ ბალიანად ირღვევა და იძლევა.

ზოგ შემთხვევაში ამ ნაგებობათა საძირკვლად გამოყენებულია პირველი ჯგუფის ნაგებობათა ნანგრევი მასალა — დიდი რიგი თლილი ქვები, მათ შორის პიროფილიანიც. ცხადია, რომ მეორე ჯგუფი გაცილებით უფრო ახალია, ვიდრე პირველი.

მეორე ჯგუფის უკვლავ მნიშვნელოვანსა და უკუთხედ შემონახულ ძეგლს წარმოადგენს ორსენაკიანი ნაგებობა (ტაბ. CXXXV, 1; სურ. 129 — 132), გამოვლენილი 1911 წელს, განათავსებული უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ზღურბლიანი კედლის სამხრეთით, მისგან 27 მეტრ მანძილზე (ის. საერთო გეგმა). ნაგებობა მოგრძოა და დამსრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. მის ძირითად სენაკად უნდა ჩაითვალოს ის, რომელიც ჩრდილოეთითაა და გაცილებით (2,5-ჯერ) უფრო დიდია მეორეზე (სურ. 130, 131). ეს უკანასკნელი სამხრეთ-აღმოსავლეთითაა მიდგმული და მისი საერთო სიგრძის ნახევარიც კი ძლივს უკრავს. კედლები შემორჩენილია ნაშუალოდ 2 მეტრის სიმაღლეზე. დიდი სენაკის ჩრდილო კედლის სიგრძე 12,2 მეტრს უდრის.



სურ. 126

სისქე — 0,65 მეტრს; სამხრეთის კედლის სიგრძე — 12. სოლო სისქე — 0,9 მეტრს; დასავლეთის კედლის სიგრძე — 6,0 მეტრს, სისქე — 0,75 მეტრს; აღმოსავლეთის კედლის სიგრძე — 6,0 მ-ს სისქე — 0,65 მეტრს.

აღმოსავლეთი კედლიდან 1,5 მეტრის მანძილზე სენაკს აქვს გარდვიარდმო კედელი, რომელიც მცირე (1,7 × 1,2 მ) დერეფანსა ქმნის. დერეფნიდან მთავარ სენაკში შესასვლელი კარი კოფილა და დარჩენილია ოთხსაფეხურიანი ქვის კიბეც. უფრო დიდი კარი თუ სარკმელი ჰქონია დარჩენებული სენაკს დასავლეთ კედელში. ამასთანავე, მთავარი სენაკი სამხრეთ კედელში დარჩენებული კართი უკავშირდება მცირე სენაკს. ამ უკანასკნელის ფართობი უდრის 5,1 × 2,2, ე. ი. 11,4 მ². მის სამხრეთ კედელში დარჩენულია 0,7 მეტრის სიმაღლე, 0,5 მეტრის სიგრძე და 0,1 მ სიგანე სწორკუთხოვანი თასა. სენაკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან შემონახულია სენაკის დიდი კარიდან შიგ ჩამოშავული ქვის კიბის ერთი საფეხური. დასავლეთი კედლის გარეთ, კარს გვერდითა შემორჩენილი იყო ქვის რაღაც დეტალი, ორი ტოლი და სიმეტრიული სწორკუთხოვანი ნა-



სურ. 127

კედლის გარეთ, კარს გვერდითა შემორჩენილი იყო ქვის რაღაც დეტალი, ორი ტოლი და სიმეტრიული სწორკუთხოვანი ნა-

სვერისაგან შედგენილი; მას შუაში წყსიერად ამოკვეთილი აქვს კვადრატული სიღრუვე (ტაბ. CXXXV, 3; სურ. 132). ამ დეტალის დანიშნულებისას დანამკვიდრებით ვერაფერს ვიტყვით,



სურ. 128

ოღონდ მთაბეჭდვლება კი ისეთი რჩება, რომ იგი წარმოადგენდა რაღაცის (სვეტის? სტელის?) ფეხის სადგარს¹. როგორც ზემოთ, არქიტექტურული დეტორის ნაშთა განსილვისას აღენიშნეთ, ის უცხო ჩანს ამ შენობისათვის, ისევე როგორც საფუძვლად დაწოილი თლილი და პროფილიანი ქვები, და ამიტომ, გეგმა, ისევე მოტანილი იქონს ძველი, ანტიკური დროის ნაგებობის ნანგრევებიდან.

სამხრეთიდან და დასავლეთიდან ნაგებობაზე მჭიდროდ მიდგმული, უფრო სუსტი წყობით ნაშენი კედლები, რომლებიც ამკარად არღვევს საერთო გეგმას და არ უნდა ეკუთვნოდეს ამ ნაგებობას, ალბათ კიდევ უფრო გვიანდელია.

საუურადღებოა ამ შენობის კედლის აგებულება. როგორც ვიცით, მის საფუძვლად დაწოილია დიდრონი, თლილი, ღია მონაცრისფერი და ზოგჯერ მოწითალო ქვიშაქვის ლოდები, ძველი ნაგებობის ნანგრევებიდან მოტანილი (სურ. 69).

ამ ქვათაგან ზოგს ისეთი ამკარად პროფილიანი ზედაპირი აქვს, რომ საფუძველში მათი მუორადი გამოყენების ფაქტი უდავო ხდება.


მთავარი სენაკის ჩრდილო კედელში, სიგანეზე ორი წებება ამ ქვებისა—გარეთ 12, ხოლო შიგნით 11; დასაუ-

ღეთ კედელშიც ორი წებება: გარეთ 8, შიგნით 7; სამხრეთ-კედელში შიგნით 12, ხოლო გარეთ აქა-იქა მუორე წებების ქვები. აღმოსავლეთ კედელში 7 ქვა მევენ, ხოლო დერეფნის გამოყოფ კედელში—8, ოღონდ ამ უკანასკნელში მათ ზემოდან აღევს მუორე წებება—პალიან გრმელი, პარალელოპიპედური ბლოკები. თითქმის ასეთივეა კიბის საფესურები. ამიგად, სულ 70-ოდე ბლოკია.

მცირე სენაკის საფუძველში სულ 12 ქვა დაითვლება, მეტწილად ასევე გრმელი ბლოკები. ისინი სხვადასხვა ზომისა, მათგან უდიდესის ზომა 1,45×0,47×0,34 მ უდრის, ხოლო უმცირესისა—0,66×0,51×0,34 მ.

ამ ქვების წებებაზე დაშენებულია ნატეხი ქვითა და თიხით ამოყვანილი კედელი, რომლის სისქე საშუალოდ 0,70 მ უდრის. სამხრეთი კედელი შემორჩენილია 0,95—1,85 მ სიმაღლეზე, დასავლეთი—1,75 მ, ჩრდილოეთი—0,75—1,43 მ, აღმოსავლეთი—0,58 მ, ხოლო დერეფნის კედელი—0,85 მ. ძირი ამ კედლებს სხვადასხვა დონეზე აქვთ, რაც კიდევ ერთსელ უსვამს სახს ნაგებობის არაკანტაურობას.

ნაგებობის თითოეულ სენაკში აღმოჩნდა ორ-ორი ქვის-სამარსი (ის. საერთო გეგმა). დიდ სენაკში აღმოჩენილი, 25-ე და 26-ე სამარსთა სასურავები კიბის ქვედა საფესურის—და, მამასაღამე, თავის დროზე ალბათ შენობის იატაკის—დონეზე მდებარეობს. ისინი მჭიდროდ ეკვრის ერთი-მეორეს და სენაკის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშია მოთავ-




სურ. 129

სებული, დერეფნისაგან გამოყოფ კედელს შიგნით (ტაბ. XCIII, 3—4; CXXXV, 2; სურ. 129, 130). ორივე დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ჩრდილოეთით მდებარე, 25-ე სამარსის კედლები შედგენილია ისეთივე თლილი, ძველი მურობისეული ქვებისაგან, როგორც სამარკვლად უღვეს ნაგებობას, ოღონდ ზემოდან თითოეულ კედელს მცირე ნატეხი ქვები აქვს დამატებული და სასურავიც ფრამენტულია. 26-ე სამარსის სასურავი ორი ქვისაგან შედგება. ამათგან ერთი, დასავლეთით მდებარე, წარმოადგენს კარგად თლილ, სწორკუთხოვან მოთეთრო ფილაქვას, რომელსაც ერთ-ერთი ნაპირის მასლობლად სიგრძივ დაუკვება შემადლებული, სწორკუთხაგანივეკვითიანი ქედი. ესეც ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია დანგრეული შენობიდან წამოღებული დეტალის მეო-

¹ მხავსად ქართლში, განსაკუთრებით ქვემო ქართლში, დიდად გავრცელებულ ქვაჯვართა სადგარებისა.

რადი გამოყენებისა. სამარხს კედლებადც კარგად თლილი ქვები, აგრეთვე მეორედ გამოყენებული დეტალები, უღკას. მცირე სენაკში ქვისსამარხები კუთხე-კუთხე იყო მჭიდროდ ჩადგმული: 27-ე—სენაკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ხოლო 28-ე—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში.

ზირობებსა და ერთნაირად მომუშავე მშენებლებს გვატყობის მებინებს. ამ მოსაზრებას აძლიერებს ის გარემოება, რომ 25-ე და 26-ე სამარხთა კედლების ზედა ნაწილი სრულიად ისეთივე ნატეხი ქვითა და თიხითაა აშოქრებული, როგორც ნაკებობის კედლები. ამიტომ საფიქრებელია, რომ ნაკებო-




სურ. 130

ჩანს, რომ, რაკი განუსრასხეთ ორთავე სამარხის ერთ ოთახში მოთავსება, ეს იქნებოდა მათი განლაგების ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტი; სხვაფრივ მათ ეს პატარა ფართობი ვერ დაიტევდა, თუ რომ სავალდებულოდ მიჩნეულს, აღმოსავლეთ - დასავლეთ დამხრობას არ დაარღვევდნენ. ეს გარემოება შეიძლება იმას მოასწავებდეს, რომ ნაკებობა—უოველ შემთხვევაში, ეს სენაკი — თითქმის მზამზარეული გამოყენებით სამარხების ჩასადგმელად და არა საკანცხობად მათთვის აუცილებელი. თვით სამარხები ჩვეულებრივზე უფრო მცირე იყო; მათი საშუალო შინაგანი სიგრძე 1,05×0,70×0,80 მეტრს უდრიდა. სახურავად თითოეულს ედო შექი რუხი ქვიშაქვის ორ-ორი დიდი, მძიმე და გაუღლედი ლოდი. შიგ არავითარი ინტერარი არ აღმოჩენილა.

ნაკებობასა და შიგ ჩადგმულ სამარხებს ერთი რამ აქვთ საერთო: იქაც და აქაც უსჯადაა გამოყენებული ძველ ნაკებობათა ნანგრევი ქვა. საშინი მასალის გამოძებნის ეს სურხი უსათუოდ აასლოებს არმაზისხევის გვიანდელ ძეგლთა ამ ორ ჯგუფს: ერთსა და იმავე ხანს, ერთსა და იმავე ნივთიერ-

ბა და აღწერილი ოთხი სამარხი ეკუთვნის, ოღონდ სამარხები მაინც დაახლოებით ერთ ხანს შემდეგ უნდა იყოს ჩადგმული ნაკებობაში და ეს უკანასკნელი არაა საკანცხობად მათთვის აშენებული—მით უმეტეს, რომ სამარხები აშკარად ღარიბულია.

როგორც უკვე ვიცით, ნაკებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის ქვეშ, მისი ფუძიდან 0,5 მეტრის სიღრმეზე, აღმოჩნდა დიდი ქვისსამარხი № 15. უეჭველია, რომ ნაკებობის მშენებლებს საფუძლის ამოყენისას ეს სამარხი ვერ შეუმჩნევიათ, თუმცა კი ნაშალი და ფსვიერი მიწა მათ შორის. ამრიგად, სასეებით ცხადია, რომ სამარხი საგრძნობლად უფრო ძველია, ვიდრე ნაკებობა. მეორე მხრივ, ნაკებობის საფუძველი (დასავლეთ ნაწილში) თითქმის უშუალოდ ადგეს თავზე საკმაოდ სქელ კულტურულ ფენას. ფენა მრავლად შეიცავს კერამიკის ნაშთებს, რომლებიც საკმაოდ ხშირია თხელკედლიანი წითელი ჭურჭლის ნამტკრევეები. ეს უკანასკნელიც კერამიკის იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც ჩვენ I—III საუკუნეებით ვათარიღებთ (იხ. VII თავი). ამრიგად, მათი შემცველი ფენა ზოგადად ერისთავთა კომპლექსის თანამედროვე უნდა იყოს. ტრილში აშკა-



სურ. 131

რად ჩანდა, რომ მე-15 სამარხის ჩასადგმულად ორმოს ამოღებისას ეს ფენაც ჩაუკვეთიათ. მაშასადამე, სამარხი მასზე უფრო

ნაკებობის სრული კონსტრუქციის აღსადგენად თუ მისი დანიშნულების გასარკვევად.



სურ. 132

სამარხი, როგორც ვნახეთ, უფრო ძველი ჩანს, ვიდრე ნაკებობა. ასეთია ქრონოლოგიური მონაცვლეობა შეგნა ამ კომპლექსში, რომელსაც მოუყრია თავი ერთ მცირე უბანზე, სადაც ამრიგად შექმნილია ჩვენთვის ფრიად საურადღებო კრილი (სურ. 69).

რაც შეეხება მე-15 სამარხის აბსოლუტური თარიღის საკითხს, ამის ერთგვარ გასაღებს იძლევა მასში აღმოჩენილი რკინის ღერსმები, რაც, როგორც ვიცით, არმაზისხევის სამარხებში პირველად IV საუკუნისთვისაა დადასტურებული. იმავე დროს იგი გამოირჩევა ამ ნაკებობის მიხედვით მოქცეული, მე-25 — 28-ე სამარ-

ხებისაგან: ამეხებულა ტუფოვანი კვიპაქის დიდრონი, ტლანქად მოღვევილი ლოდებისაგან და არავითარი ძველი ნანგრევი, მორთულ გემოკვებულ მასალა მის აგებულებაში არ მონაწილეობს. ამ სამარხს ბევრი რამ აქვს საერთო მის ჩრდილოეთით შეკრფულ ქვისსამარხებთან (№№ 12, 13, 19), იმავე დონეზე მკვებარეობს და საერთოდაც მათთან უფრო ბუნებრივად ერთიანდება; ხოლო ამ უკანასკნელებში მოპოვებული სამკაულები, როგორც გარკვეულია, IV საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

სურ. 133



სურ. 133

რაც მე-15 სამარხის ასაკად VI საუკუნე მივიჩნით (იხ. ზემოთ, VI თავში), ბუნებრივი იქნება, რომ ჩვენთვის საინტერესო ნაკებობა მომდევნო ხანას ეკუთვნოდეს.

ეს გვიანდელი ნაკებობა უკეთესად არის შემონახული ზღერბლიანსა, ასპარუგის სამარხთან დაკავშირებულსა და ერთსუნიკან ნაკებობებთან შედარებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც მისი ნაშთები იძლევა საკმარის მასალას

სურ. 132

სურ. 133

ნაკებობის სრული კონსტრუქციის აღსადგენად თუ მისი დანიშნულების გასარკვევად.

გარდა ზემოთ აღწერილი-სა, არმაზისხევის შესართავთან გათხრილ ძირითად უბანზე აღმოჩენილია გვიანდელ ნაკებობათა მრავალი ნაშთი, უმთავრესად კედელთა და სამირკველების ნაწილებების სახით (იხ. საერთო გეგმა). ეს კედლები ამოკანნილია ნატეხი ქვითა და თიხით. მათი სისქე არ აღემატება 0,5 მეტრს. ზოგ შემთხვევაში ამ ნაწილებში შორის მოფლექებული ფართობებიც ჩნდება (სურ. 133). ხშირად კედლის ნაწილები კვეთენ ერთიმეორეს, მეტწილად უსისტემოდ. სახეებით ცსადაც ჩანს შემთხვევითი, როდესაც ეს კედლები გადაღის ძველ ნაკებობათა ნანგრევებზე (მაგ., აბანოსთან), სამარ-

სურ. 133



კულტურულ ფენებში აღმოჩენილი საგნები

არმაზისსვეის შესართავთან გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლთა შესახებ სრულ წარმოდგენას ვერ ვიქონიებთ, თუ მოკლედ მაინც ქარ განვიხილავთ კულტურულ ფენებში აღმოჩენილ საგნებს. სხვადასხვა დროის ნაშთების შემცველი ფენები მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია მთელი გათხრილი ფართობისათვის. ამ ფენებში ექსპედიციამ მრავლად აღმოაჩინა კერამიკა და აქა-იქ აგრეთვე ძველ ნაკვობათა ზოგიერთი არქიტექტურული დეტალი (იხ. VI თავში), მარმარილოს ქანდაკებათა ნატეხები, სელასწო-იარაღები, სხვადასხვაგვარი სამკაული, მონეტები და სხვ.

კერამიკა კულტურულ ფენებში უმთავრესად ნამტკრეთთა სახითაა წარმოდგენილი, ამ მასალის ზუსტ ქრონოლოგიურ დაჯგუფებას ამწველებს ის გარემოება, რომ არმაზისსვეთან, ამ მცირე ფართობის მრავალგზის ინტენსიურად გამოყენების გამო, ადრინდელი კულტურული ფენები აშლილია და ხშირად მათში ჩაჭრილია უფრო ახალი ნაკვობაანი, სამარხები და სხვ. მიუხედავად ამისა, სტრატეგრაფიული დაკვირვება და მასალის შედარება სხვა ადგილებში აღმოჩენილ მსგავს ძეგლებთან საშუალებას გვაძლევს ამ მრავალრიცხოვანი მასალიდან გამოვეყოთ შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი ახ. წ. I—III საუკუნეთა კერამიკისა. მეორე მხრივ, აქ აგრეთვე ადვილად გამოირჩევა XI—XIII საუკუნეთა კერამიკა, კერძოდ—მოჭიქული. შეიძლება საუბარი ამ ორ ჯგუფს შორის მოსათავსებელ, ადრეულ შუა საუკუნეთა კერამიკის შესახებაც.

არმაზისსვეის ახ. წ. I—III სს. კერამიკა ნაყოფიანა წმიდა, გულმოდგინედ გარჩეულ-განლეცილი თიხისაგან. ჭურჭელი თხელია და ღია წითლად გამოშვარი. მოყვანილობით ჰგავს სამთავროს, ზაქვისს, დიდშის, ალაზნის ველისა და სხვ., ზოგადად იმავედროულ, კარგად დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელს [17; 5; 39; 121; 89].

ჭურჭლის მოყვანილობის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ფენებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ნატეხების შეჯერება აქაურ, I—III სს. კრამიტსამარხებში აღმოჩენილ სელადებთან და ქოთნებთან და აგრეთვე საკულტო ნაშთთა შემცველ ჭურჭელთან. ამ მხრივ სამარხეული ჭურჭლებიდან

დამახასიათებელია მე-2 კრამიტსამარხში აღმოჩენილი ორი სელადა (საგ. წიგნ. № 532—საკმაოდ მუქელგანნიერი, კვლადახალი და სადა; № 533—წულუკურიანი, სამტურაპირიანი და მუცელკოპიანი). ტიპურია აგრეთვე მე-3 კრამიტსამარხში აღმოჩენილი ცალკურა სელადა (№ 1231), რომელსაც მრგვალი მუცელი და დაბალი, წიბოიანი კელი აქვს (ტაბ. CIX, 15). თითქმის სავსებით ასეთივეა 57-ე ქვისსამარხში აღმოჩენილი სელადაც (№ 1210; ტაბ. CIX, 14). საკვალტო ნაშარსთა შემცველი ქილები და ქოთნები მოყვანილობით ძლიერ განსხვავდება ამათგან¹, მაგრამ თიხის დაძუძუებისა და გამოწვის მხრივ იმკაცრდება; გამოწვალისს შეადგენს ორიოდე შავი ჭურჭელი.

თითქოს ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ის ორიოდე ჭურჭელი (სელადები და სხვ.), რომლებიც 1911 წელს აღმოჩნდა, ამ დროის ფენისათვის ღრმა დონეზე (სურ. 134).

რამდენადმე უფრო არქეულად გამოიყურება და სამთავროს ქვევრსამარხთა (მე. წ. II—I სს.) კერამიკას უფრო მოკვანუნებს ის სამი ჭურჭელი, რომლებიც აღმოჩნდა ერისთავთა სამარხების გარემოთხრისას, ღრმად მდებარე კულტურულ ფენაში. ერთი მათგანი წითელი თიხის ჰატარა სელადაა (კატალ. № 109), მეორე—შავი თიხის ისეთივე სელადა (კატალ. № 215), სოლო შესაქე—თითქოს შერისის ჩანადგმული, შავი ლამბაქი (კატალ. № 219). როგორც უკვე ითქვა, ამათი მსგავსი ჭურჭელი არმაზისსვეის რაზმმა აღმოაჩინა 1916 წელს, მეგობი, ბარგიუარიას სამარხუნის სცდელი თხრისას—ორმოსამარხებში, რომლებიც წელთაღრიცხვათა მიჯნას უნდა ეკუთვნოდეს [24].

იმდროინდელი სამშებლო კერამიკის (კრამიტის, აგურის) ნიმუშები და სამეურნეო და ნიშნულების დიდრონი კერამიკული ჭურჭელი (ქვევრები, ღერგები) განხილულია ზემოთ, მეექვსე თავში (ნაკვობებთან დაკავშირებით), რის გამოც ჩვენ აქ მათზე აღარ შევჩერდებით.

¹ 1952 წელს, მცხეთის სადგუროდან წინა წელს აღმოჩენილი, ახ. წ. I საუკუნის დიდი აუღამის [338; 344] გარემოთხრისას, კულტურულ ფენაში (გვაბ, ალაპის ნაშთებს შორის, საქონლის ძეღვის გარემოცვაში) აღმოჩნდა ამ ქილა-ქოთნების მსგავსი ჭურჭელიც.

I—III სს. კერამიკას უკავშირდება, აღმოჩენის ვითარების მიხედვით, აგრეთვე ერთი გაურკვეველი დანიშნულების საგანი. იგი ნაპოვნი 1946 წელს, მესამე კრამიტსამარის ქვეშ აღმოჩენილ ქვევრში—ცსოკელთა ძეგლებთან, ნახშირ-ნაფართან და თიხის ჭურჭლის ნამეტრებებთან ერთად. ეს ქვევრი I—III სს. მიეკუთვნება (იხ. ზემოთ) და ასეთი თარიღი უნდა გვაუვრცელოთ მივ აღმოჩენილ ნაშთებზე—კერამიკა, ამ საგანზე.

ეს საგანი (საე. წიგნ. № 1434; ტაბ. CIX, 1) თიხისაგანაა დანაგურისფრად გამოშვარი. მოყვანილობით აქამად მოგვაგონებს ძალაღს (30 სმ), კონუსურად შევიწროებულ მილს, თავის დროზე კი მას ზედა ნაწილი გაფართოებული და გაზასავით გამლიღიც უნდა ჰქონოდა. თავს ქვემოთ, მისგან 4,0 სმ მანძილზე, აქეთ-იქით სიმეტრიულად თითო ეური ბმია. ახლა თავიც გადატრეწულია და უერვლი თითქმის პირშია მოტეხილი. ქვედა ბოლოს (ღიმა.—10 სმ) მასლოლად, 4,2 სმ სიმაღლეზე ირგვლივ შემოუკვება ბრტყელი ქუსლი, რომლის სიგანე 2,4 სმ უდრის, ხოლო სისქე—0,5—1,2 სმ. ქვედა ბოლო შეკვივლია, ისე რომ შუაში დარჩენილია 4,5 სმ დიამეტრის მქონე, უწყისო მოყვანილობის ზერვლი. ეს საგანი მივითი ღრუა და ზედა თავი დასხუბილი აქვს. ერთ-ერთ ეურს ქვემოთ, მისგან 1,4 სმ მანძილზე დაბეჭდილია ირმის ხუთ-ხუთ ტორიანი რქების სტილიზებული გამოასულება. თითქმის უგვევლია, რომ ქუსლს ქვედა ნაწილით ეს საგანი თავის დროზე რაღაც სხვა ღრუ საგანში იდგებოდა მჭიდროდ.

ჩვენ მხოლოდ იმ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია, რომ აღწერილი საგანი აღბათ რაღაც სარიტუალო, სიმბოლიკური ნიშნით შემქმელი ჭურჭელია, რომელიც ალაპის სხვა ნაშთებთან ერთად მოხვედრილა ქვევრში.

ას. წ. I—III სს. კულტურულ ფენებს უკავშირდება კერამიკული საგნების კიდევ ერთი თავისებური ჯგუფი. ესაა მრგვალი და ბრტყელი ფილები, რომელთაც ცალ მხარეზე ღრმად ამოღარული აქვთ ქართული ორნამენტული მოტივების „ბორჯაღის“ მსგავსი სხივები (საე. წიგნ. № 291, 352; ტაბ. CIX, 4—6). ეს ფილებიც საკულტო საგანთა რიცხვს უნდა გვათვინოდნენ და, ეგებ, სწორედ საამისო ქილების სარქველებს წარმოადგენენ, მით უმეტეს, რომ ასეთი ურთიერთობა ერთ შემთხვევაში შენიშნული გვაქვს (იხ. ზემოთ, გვ. 169). ფილთა ღიმა.—15—16 სმ.

ზემოაღწერილი კერამიკისგან საკმაოდ აქამად გამოირჩევა ის ჭურჭელი, რომელიც კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ნატეხებითაა წარმოდგენილი მომდევნო ფენებში. უკანასკნელთა განლაგების სიღრმე ზედაპირიდან 1 მეტრის ფარგლებში მერყეობს. კაბორილი არუხე თითქმის ვერ მოიძებნება ისეთი უბანი, რომელშიც არა გვეპოვდეს ამ კერამიკის ნაშთები. მას ახასიათებს რამდენიმე ნიშანი, რომელთა დამათარიღებელი ღირებულება საკმაოდ შემოწმებულია სანდო და ტიპიურ ჭრილებში. ეს ნიშნებია: სიმრავლე ეწრო, ეელმაღალი და ეელწერილი, ეურგანიური დოქსელაღებისა და ზოგჯერ ჩაფებისა, რომლებიც უპირისპირდება ძველს, დაბალსა და ეელფართო ჭურჭლებს; მომცრო ჯამების, სამარილეებისა და სხვა მსგავსი ჭურჭლების სისხშირე;

სისხშირე ღია ნაცრისფრად, მოშვანო-ნაცრისფრად ან მოიისფრო-მოშვანოდ გამოშვარი ჭურჭლის ნამეტრებებისა (წიხისა)—იმავე მოყვანილობის, ჩვეულებრივი ღია წითელი ან აგურისფერი ჭურჭლის გვერდით.

ეს საშუალო საუკუნეთა ჭურჭელია. სამარსში ამკვარი მხოლოდ ერთგან აღმოჩნდა (ქვისსამარისი № 66; საე. წიგნ. № 805), მაგრამ კულტურულ ფენებში საკმაოდ ხშირია მეტნაკლებად მთელი ცალმეტი.

დამახასიათებელია აგრეთვე ერთი მომენტით: I—III სს. ჭურჭელს არასოდეს არა აქვს ამოკაწრულ-ამოღარული ორნამენტი, ხოლო შუა საუკუნეების ჭურჭლის ერთს (ჩანს, უფრო გვიანდელ) ჯგუფს ძალიან ხშირად ამკობს ასეთი რამ და განსაკუთრებით კი ალმაცერი „საგარცხლისეული“ კლანილი სახეები. ეს განსაკუთრებით საუკუნადღებოა იმის გამო, რომ ჭურჭლის ასე შემკობა ძალიან გავრცელებული ჩანს თბილისისა და რუსთავის, XI—XIII საუკუნეთა ფენებიდან ამონათხარ კერამიკის [323; 324]. აღნიშნულ გერემობებს კარგად შეესატყვისება ისიც, რომ ამკვარი ნატეხებს არამაზისხეგთან ზოგჯერ თან ახლავს ფერადი მოტიქული ჭურჭლის (მეტწილად ჯამების) ნატეხები, რომელთაც ჯერ დმანისის, ხოლო აქამად აგრეთვე თბილისის, რუსთავისა და უკარმის XI—XIII საუკუნეთა მოტიქულ კერამიკაში მრავლად მოეძებნება ჰარაღლები, ისევე როგორც არამაზისხეგთან აქამად აღმოჩენილ ნივარისებრ ჭრატებს.

რაც შეეხება იმ თავისებურ, არაბუნებრივ ფერებს (მოშვანო-ნაცრისფერს, მოიისფრო-მოშვანოსა და ღია ნაცრისფერს), რომლებიც ძალიან გავრცელებულია ამ, შუა საუკუნეთა ფენებიდან მოკრებილ კერამიკულ მასალაში, ჯერ კიდევ ველზე იყო ცხადი, რომ მათი სახით ჩვენ კერამიკული წარმოების წუნთან გვაქვს საქმე. ამ აზრს ისიც აძლიერებდა, რომ მიკვადამიკ ნამდვილად დამახასიათებელი (დაბრტყელი, დაკლანილი, მუქვლელი) ჭურჭელიც გვხვდება. მათ თან ახლავს ხოლმე კერამიკული წილის კოროსები, ხოლო აქამად—თიხის გრძელი და მრგვალი, წვეტიანი სოლის ნატეხები. აბიტო იყო, რომ ჯერ კიდევ 1938 წელს გამოთქვამს მოსაზრება (ა. კალანდამის მიერ) არამაზისხეგთან გვიან ხანაში კერამიკული საწარმოს არსებობის შესახებ [4, გვ. 376].

ზოგიერთ უბნებზე (განსაკუთრებით კი ერისთავთა სამარსების დასავლეთით და ჩრდილოეთით) შემჩნეულ იქნა მკვლი ორმოები, რომელნიც თითქმის კერამიკული ნამეტრეუბით და მათ შორის წუნდებოდა გადახანართა იყო საესე. მსგავსი ვითარება აღნიშნულია თბილისის განათხარშიც [323].

1941 წელს გვიანდელი ორსენაკიანი ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 7,5 მ მანძილზე და ზედაპირიდან 0,7—0,8 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ფილაქვებისაგან შექმული მცირე ნაგებობა, რომელსაც აქამად ეტუბოდა მღიერი ცეცხლის სანგრძლივი შემოქმედების კვალი: ქვები წითლად კარგული და დაშვადრი იყო. მის ირგვლივ განსაკუთრებით მრავლად ეუარა წიდა და ნაცრიან-ნახშირიანი მიწა. მის ახლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ორიოდე მეტრ მანძილზე თავი იჩინა ქვიშაქვის თხელმა ფილებმა,

რომლებიც ქვაფენილის ნაშთის შიბებდებიან: სტოგებდა. ის ქვაფენილი, ჩანს, საკმაოდ ფართო უოფლია. მის ზედაპირზე დატკეპნილი, ძლიერ ნაცრიანი და მრავალრიცხოვანი კერამიკული ნამტკერვე-წუნის შემტველი მიწა იყო, ხოლო ქვემოთ, სიღრმეში, აღარც ნაცარი გვხვდებოდა და აღარც ეს ნამტკერვეები. საზგასანმელია, რომ ზემოაღნიშნული „ნაგებობის“ ძირიც სწორედ ამ ქვაფენილის დონეზე იყო და ეს უკანასკნელი, ნაწილობრივ მაინც, რადიალურად იყო მის მიმართ განლაგებული.

თითქმის საკმაოდ ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს კერამიკული სახელოსნოს ერთ, შემოსვენით შემორჩენილ კუთხესთან. თბილისში გაიხრდილ სახელოსნოშიც იყო აქაი ქვაფენილის ნაშთები, ოღონდ კერამიკული ფილებისა და აგურებისაგან და არა ფილაქვებისაგან შემდგარი [323]. რაც შეეხება ფილაქვებისაგან შემდგარ ნაგებობას, იგი ალბათ წარმოადგენდა ქურის სულ ქვედა ნაწილს — ისევე როგორც თბილისის სახელოსნოში, სადაც ეს ნაწილი ეგულა ქურას აგრეთვე დიდრონი ქვებით ჰქონდა ამოყვანილი. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ არმაზისხევიან 1945 წელს აღმოჩნდა ანდრეიტ-ბახალტური ტიპის ქანის მოზრდილი ნატეხი, სიმსურვალისაგან ზედაპირგამღვარი (საე. წიგნ. № 882).

ამ დაკვირვებებს ემატება 1943 წელს არმაზისხევის მარჯვენა ნაპირას, წყაროს პირდაპირ, ფერდობში გამოჩენილი მცირე ნაშთი ქართული აგურით მრგვალად ამოყვანილი რაღაც ნაგებობისა, რომელშიც — განსაკუთრებით თბილისში 1948—49 წწ. წარმოებულ იქნა თხრის შემდეგ — შეიძლება ვივარაუდოთ თიხის ჭურჭლის საწვავი ქურის კედელი, მით უმეტეს, რომ გაწმენდისას მის ძირას აღმოჩნდა 3 ნატეხი შუა საუკუნეთა იერის თიხის ჭურჭლისა (№№ 566 — 568). ამავე გამოვლილების მიხედვით საესიით განსაკვეთილ ხდება ზემოაღნიშნული სოფლების რაობაც: ისინი ამგვარ კერამიკულ ქურათა უცვლელად ელემენტს წარმოადგენენ, ისევე როგორც ქურაში უურიანი ჭურჭლის ჩამოსკიდი კაკები, რომელთა მსგავსიცაა აქ აღმოჩენილი (საე. წიგნ. № 874).

დასასრულ, საზგასანით უნდა აღინიშნოს, რომ ეოველი წუნდებულ-გადანაწარი ნატეხი, რამდენადაც კი შეიძლება შეტეობა, კუთვნიან იმ გვიანდელ კერამიკას, რომელსაც შუა საუკუნეებისად მივიჩნევთ. მათ შორის გვაქვს გვერდებზეცხელი კრამიტის ორიოდე გამღვარ-მოხსენილი ნიმუში (მაგ., საე. წიგნ. № 895 და № 934). ეს უკანასკნელები თითქმის მოგვაგონებს აქ კარგად ცნობილ, I—III სს.

კრამიტებს, მაგრამ ამ მსგავსებას აქარწულებს ის გარემოება, რომ ისინი სივრცე-სივრცითა და შეცვლილ გვერდითა სიმაღლით აშკარად ჩამოუვარდებიან ანტიკურ კრამიტს და სამაგიეროდ ძლიერ უხსლოვანებიან თბილისის სახელოსნოში და აგრეთვე ქვემო ქართლის ექსპედიციის მიერ ნაღარბახეში, სამღერეთში, კახენში და სხვა, XI—XIII საუკუნეთა მეტლებში მოპოვებულ გვერდებზეცხელი კრამიტის ნიმუშებს [323].

ამრიგად, საესებით დასაშვებია შუა საუკუნეთა კერამიკული სახელოსნოს თუ სახელოსნობის არსებობა იმ ადგილას, სადაც მანამდე ჯერ ერისთავთა რეზიდენცია, ხოლო შემდეგ მასობრივი საპაროვანი უოფილა, და სრულიად ბუნებრივი იქნება, თუ აქ ამ დროს ვიგვილისხმებთ, ასე ვთქვათ, „მითუნეთა უბანს“, რომელმაც, ქურათა გარდა, სხვა მცირე და არაკაპიტალურ ნაგებობათა ნაშთებიც დატვიტოვა. შესაძლოა, ამ სახელოსნოთა მიწობისას და „უბნის“ გაშენებისას იქონს მოსაზობილი მგელი მეტლების გარკვეული ნაწილი.

ღრმა თხრილებში გამოშვებული კრილთა მისევეით, არმაზისხევის ტერასაზე, თანამედროვე დელეკური და ტერასული ნაღვების ქვე დაშარსულია მგელი დელეკური წყება, რომლის შემადგენლობაშიც დიდ როლს თამაშობს „ადგილობრივი ლიოსის“ სასულით ცნობილი, მთითერთო თიხების მგლური ფენები.

დელეკორის ეს ფაციესი ფართოდაა გავრცელებული დელეკნდელი მესეთის რაიონში — სწორედ მთისწინა ვაკობზე, მტკვრისა და არაგვის ორივე ნაპირზე. განსაკუთრებით მგლურად და ტიპიურადაა იგი წარმოადგენილი (კლასიკური ლიოსის მსგავსად, მაღალ მგულ კედლად მიუყვება საქართველოს სამხედრო



სურ. 134

გზას) ბებრისციხის ჩრდილოეთით, მასა და ღართისკარს შორის, სადაც ამჟამად საკმაოდ დიდი აგურსაშენი მუშაობს. 1946 წელს მესეთის ექსპედიციის ბაგინეთის რაზმმა კლდეკარს ქვემოთ, აგრეთვე მთისწინა ვიწრო ვაკობზე გაოსარა ნაშთები კერამიკული წარმოებისა, ოღონდ უფრო მგელი, ვინაიდან იქ ჭურჭელს გარდა, ანტიკური უაიდის კრამიტმაც იშინა თავი. სწორედ ამ ვაკობის გვერდებზეა მისგან 2—3 კილომეტრით დაშორებული არმაზისხევის ტერასაც.

კერამიკული საბეჭდავები. შუა საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ ის საში, თიხისაგან გამოშვარი საგანი, რომლებიც აშკარად საბეჭდავებს თუ მათ ნატეხებს წარმოადგენს. 1) საე. წიგნ. № 565. აღმოჩნდა 1913 წელს, ასპარუგის სამარხის ახლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაწის ზე-

დაბირიდან 0,8 მეტრის სიღრმეზე. მკრთალ-აგურისფრად არის გამოშვარი. მრგვალია; საკმაოდ უწყსო, ნახევარსფერული განივიკვეთი აქვს. დიამეტრი 5,5 სმ უდრის, სოლო უდიდესი სისქე—2,5 სმ. ბრტყელ ზედაპირზე საკმაოდ მკვეთრად გამოიყენილია ტოლმელავეებიანი ვარი, სოლო მის მკლავებს შორის—სამკუთხედები. უოველივე ამას ირგვლივ შემოუკვება ჩაღრუელი, მრგვალი ფოსოების წრე. ამ საბეჭ-დავზე გამოხატულის მსგავსი სახე ვერისა ჩვენში განსაკუთრებით გავრცელებულია ადრინდელ ფეოდალურ ხანაში და სათანადო ლიტერატურაში მას ჰირობით „ბოლნურიც“ ეიწოდება [119; 193; 195].

2) სა. ვი. გ. № 858. აღმოჩნდა 1945 წელს, ასპარუგის სამარსს ჩრდილოეთით, მისგან 15-ოდე მ მანძილზე, მიწის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე. თითქმის წესიერი მრგვალია და ოდნავ ნახევარსფერული განივიკვეთი აქვს. დიამეტრი 6 სმ უდრის, სოლო უდიდესი სისქე—1,1 სმ. მკრთალ-აგურისფრად არის გამოშვარი. ზურგი სდა და უსწორმასწოროა, სოლო ჰირზე ამოჭრილია საკმაოდ რთული მსახე—რვანსივლისანი მსართო რეაფორმაციანი ყვეფილი. ამ სახეს ირგვლივ რკალ-გუთხოვანი ორნამენტული წრე არტეია. საბეჭდავს ცალი მხარე მცირედ ჩამოტეხილი აქვს.

შეზადწერილს ჰგავს ზომა-მოკეანილობით, გამოხატულების საერთო იერით და—რაც მთავარია—ითით, რომ ესეც ალბათ მსოლოდ და მსოლოდ საბეჭდავი თუ იქნება, თორემ მისი სხვა დანიშნულება მნელი წარმოსადგენია.

აგრეთვე ამგვარ საცემებად უნდა მივიჩნიოთ ნავთსადენში ადრევე აღმოჩენილი ორი ნატესი, თითქმის ნახევრები (სა. ვი. გ. №№ 364 და 953). პირველის დიამეტრი 14—15 სმ უდრის და სისქე—2,8 სმ, სოლო მეორისა—13 სმ და 2,8 სმ. ამ უკანასკნელს ირგვლივ საკმაოდ ფართო სდა არმია აქვს, სოლო მივინთ—საკმაოდ ტლანქად ამოღარული რკალ-გუთხოვანი სახეები.

მარმარილოს საგნები. მარმარილოსაგან გავითებული საგნის ნატესი არმაზისხევიან პირველად 1937 წელს იქნა ნაპოვნი, სოლო მეორედ 1940 წელს. ამას შემდეგ ზედიზედ (1941, 1945 და 1946 წწ.) აღმოჩნდა მარმარილოს სამი ქანდაკების თითო ნატესი.

1) 1937 წ. სა. ვი. გ. № 378. ეკუთვნის ცილინდრულ საგანს, ეგებ არქიტექტურული საშკაულის დეტალს. სიგრძე უდრის 8,5 სმ, დიამეტრი—3,0 სმ. გამოკვეთილია ფაქიზად, საკმაოდ წვრილმარცვლოვანი მარმარილოსაგან. აღმოჩნდა აბანოსა და შემდეგ გამოვლინებულ ზღურბლიან ნაგებობას შორის, მიწის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე.

2) 1940 წ. კატ. № 46; სა. ვი. გ. სი.ტ.—არქ. განუბის კოდ. № 254 (ტაბ. CXI). არქიტექტურულ-დეკორატიული დეტალი უნდა იყოს. სამსაფეხურიანი, ვიწრო, მაღალი პირამიდის მოკეანილობისა. გამოჭრილია მონაცრისფრო-თეთრი, ოდნავ სილიან-ხორკლიანი მარმარილოსაგან. თავი გადატეხილი აქვს. უკან ამოღებულ ნასვრეტში ჩარჩენილია ჩამოტეხილი რკინის ღეროს ძირი. სიმაღლე უდრის 19,0 სმ; ძირის სიგრძე-სიგანე—11,9—8,5 სმ. ნაპოვნია ერისთავთა პირველი ორი სამარსის გარშემოტხრისას, ზედა

კულტურულ ფენაში, რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს ამ სამარსებს გარშემო აღმოჩენილ ნაგებობას.

3) 1944 წ. სა. ვი. გ. № 806 (ტაბ. C.X, 3). ეკუთვნის მცირე ქანდაკებას, რომელიც, ჩანს, გამოხატავდა მიმკვეთ ალამანს—სხეულის სისახეს-სიმრგვალის მისედვით, ალბათ ქალს. შემორჩენილია მსოლოდ ბარბაქები, თეძოებს ქვემოთ და შესლვის ზემოთ (შეუღალავა მითქსელი). გამოქანდაკებული უნდა უოფილიყო ფიგურა, რომელსაც ფეხი ფეხზე გადადებული, ან ცალი მუსლი მოსრილი ექნებოდა.

ნატესის საერთო სიგრძე 9,5 სმ უდრის, სიმაღლე—8,0 სმ, სოლო თითოეული ბარბაქის ქვედა მონატესის დიამეტრი—4,0 სმ. როგორც ჩანს, ქანდაკების სრული სიმაღლე დაახლოებით 40 სმ უნდა ვივარაუდოთ.

მარმარილო კარგი ღირსებისაა, თეთრი და წვრილმარცვლოვანი. ქანდაკებას ზედაპირი გლუვი, გაპირალბებული ჰქონია, ოღონდ მიწაში გდებისგან ალაგ-ალად მორუსო სროკლიანი ლაქები განსვენია.

ეს ნატესი აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,2 მ სიღრმეზე, ზღურბლიანი ნაგებობის ზღურბლის დონეზე და მისგან ორიოდ მეტრ მანძილზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით.

4) 1945 წ. სა. ვი. გ. № 1040 (ტაბ. C.X, 1). წარმოადგენს ბაჰემის ან, ეგებ, ქალის მარჯვენა ხელის ნებს. გარდა პრიპორციებისა, ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ხელი ფუნქლეა. მარმარილო მშვენიერია, ფაქიზმარცვლოვანი, გამლანდვარე და ოდნავ მოვარდისფრო. ქანდაკება მლიერ კარგი ნამუშევრის შთაბეჭდილებას სტოვებს. თუ იგი ბაჰემს გამოხატავდა, მაშინ თითქმის ბუნებრივი ზომის ქანდაკებასთან გვექნება საქმე.

სული მოტეხილია მაჯაში. ამასთანავე მას მომტერეული აქვს ეველა თითი. შედარებით გრძლად შემორჩენილია ცერი და სალოკი თითი. ხელის ზურგს მარჯვენა მხარე კირქვის მოშპოე ქერქითა აქვს დაფარული.

ნატესის უდიდესი სიგრძე 5,7 სმ უდრის, განი—6,0 სმ, სოლო უდიდესი სისქე (მაჯაში)—3,0 სმ. სული, თითებთანადა, ალბათ 13—14 სმ სიგრძე იქნებოდა. ამის მისედვით კი მთელი ქანდაკების სიმაღლე დაახლოებით 1,1 მ უნდა ვივარაუდოთ. როგორც ესედავთ, ეს უკვე მოზრდილი ქანდაკება უოფილა. ჩანს, ქანდაკებას სული მცირედ მოღუნული ჰქონია (განსაკუთრებით ნეკში და მის მომდევნო ორ თითში), სოლო სალოკი თითი—თითქმის წინ გაშვერილი.

ეს ნატესი აღმოჩნდა ზღურბლიანი ნაგებობის პირველი სენაკის ღრმად ჩათხრისას, დასავლეთი კედლის სამირკლის მირში, ზღურბლის (და, მამასადამე, იატაკის) ღრინდან 1,0 მ სიღრმეში, ოთახის ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან 1,8 მ მანძილზე—მკვრივი, თითქოს ჩაიკრული ღორღნარის ფენის ზედაპირზე. ამკარაა, რომ იგი უკვე ნატესის სახით მოქცეულია ამ სიღრმეზე.

5) 1946 წ. სა. ვი. გ. № 1427 (ტაბ. C.X, 2). წარმოადგენს ნიდაკუმი მოღუნულ მკლავს, რომელიც მაჯის ზემოთ ირიბად წაუტეხილია, სოლო მხარს ქვემოთ—სწორად, თითქოს განგებ გადაჭრილი (შეველავე). ქვემო მონატესი მუჰაში საკმაოდ ღრმად და წესიერ-მრგვლად ჩახვეტილია—ჩანს,

რადაც (ეგებ, ლითონის) ღერაკის მოსათავსებლად. შობაბუდე-
ლებმა ისეთია, რომ ქანდაკების მკლავი ან იმთავითვე ორ-
ნაწილადი უოფილა (რაც, ქანდაკების სიმცირისა გამო, ნაკ-
ლებს მოსალოდნელია), ან არადა გასტესიათ და შეუკეთო-
ბათ, ღერაკით გადუბამთ. ნატესიც კი ისე მომრგვალე-
ბულ რბილ მკლავს გამოხატავს, რომ, ჩანს, ქანდაკება ქალი-
სა უნდა უოფილაოთ. მარმარილო ისეთივე კარგი სარისისა
და თეთრია, როგორიც ზემოთ განხილული ნატესისა. მიწაში
გდებისაგან მორუსო სორკლიანი ქერქი ამახაც გადაკვირია.

ნატესის საერთო სიგრძე (ქორდისა) 7,0 სმ უდრის;
ნიდავეს ზემოთ—4,5 სმ, ხოლო ქვემოთ—1,7 სმ. ზემო
მონატესის დიამეტრი უდრის 3,1 სმ, ქვემოსი—2,4 სმ; ნახე-
რტის დიამეტრი—0,7 სმ, სიმაღლე—0,8 სმ. საერთოდ ქან-
დაკება ზომით ალბათ უფრო № 606 უახლოვდება.

ზოხის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეეკვილია, რომ
ქანდაკებას მკლავი თითქმის სწორი კუთხით ჰქონია ნიდავე-
ში მოღუნული და, მამასადამე, ეგებ, მყერდთან მიტანილიც.
ეს ნატესი აღმოჩნდა ზღურბლიან ნაკებობასთან, მეორე
სენაკის სამხრეთ კედელს გარეთ, 1,2 მ მანძილზე, სამხრეთ-
აღმოსავლეთი კუთხიდან 0,9 მ მანძილზე და მიწის ზედაპი-
რიდან 0,65 მ სიღრმეზე.

ამრიგად, არმახისეკთან აღმოჩენილია მარმარილოს
5 ნატესი, სუთივე მირითად უბანზე. ორი მათგანი უნდა
იყოს ნაწილი დეკორისა, რომლისაგან მეტი აღარაფერი შე-
მოგვრჩენია. დანარჩენი სამი კი ძალიან კარგი მარმარი-
ლოსაგან გამოკვეთილ და ზედაპირმოპირალბულ ქანდაკე-
ბათა ნატესებია.

მწელი სათქმელია, პორტრეტული იყო ეს ქანდაკებანი
თუ ღვთაებათა ან მითოლოგიურ პიროვნებათა გამოხატუე-
ლი: საამისოდ ისინი ნაკლებ მეტყველნი არიან. ერთად-
ერთი, რაც გადაჭრით ითქმის, ისაა, რომ ისინი პირველ-
ხარისხისთვის ოსტატის ნამუშევარი უოფილან—ისევე რო-
გორც ერისთავთა სამარსებში დაცული ოქრო-ვერცხლის
ნივთების დიდი უმეტესობა და, კერძოდ, ვერცხლის ქანდაკე-
ბანი (მამაკაცის ბიუსტი და უანწიანი ქალის პორტრეტი
VI სამარსის ვერცხლის ჰინაკებში) თუ ჰატიოსან თვალ-
თაკან გამოთლილი გამოსახულებანი (წნული ექვსკაიდის
ამეთვისტოს გერმისთავი VII სამარსში).

ანტიკურ სამუშაოში მრავლად ცნობილ მარმარილოს
ქანდაკებათა ნიმუშებთან შედარების საშუალება ამთავითვე
აღკვეთილი თუ არა, მღიერ შეზღუდულია ზემო აღნიშნუ-
ლი მიხედვის — ნაკულუობის გამო.

ჯერჯერობით ეს ნატესები წარმოდგენს ქვის მრგვა-
ლი, მადალსარი სოკანი ქანდაკების უმეტეს ნიმუ-
შებს საქართველოში (მინიატურულს არ განვარიობთ) და ისინი
ამ მხრივაც საუურადებო მონაპოვარია ექსპედიციისა [25].

ამ ქანდაკებათა ნატესების აპსიდურული ხნოვანების
დასადგენად მასალა არ მოგვეპოვება. რაც შეესება შედარე-
ბით ხნოვანებას, იგი ირკვევა, უპირველეს ეოვლისა, იმის
წყალობით, რომ სელის ნატესი აღმოჩენილია ზღურბლი-
ანი ნაკებობის სამირკველს დაბლა და, ჩანს, იგი ეკუთვნის
ამ, ახ. წ. II—III საუკუნეთა ნაკებობის წინარე ხანას. და-
ნარჩენი ორი ქანდაკების ნატესი აღმოჩენილია იმ ფენაში,

რომელშიც ჩადგმულია ახ. წ. IV და მომდევნო საუკუნეთა
ქვისსამარსები. ისინი აქ ადვილად მოხვედრებულნი იმავე ფე-
ნიდან, რომელშიც იყო სელის ნატესი. ასეთ ვარაუდს თითქოს
მხარს უნდა უჭერდეს მარმარილოს დეკორატიული დეტალის
ნატესის (№ 16) აღმოჩენის ვითარება: როგორც ვიცით, იგი
ნაპოვანა ერისთავთა პირველი ორი სამარსის უბანზე—იქ,
სადაც შემონახულია აგრეთვე აქარად უფრო ადრინდელი
ნაკებობის ორი დეტალი, „მეცრელისბოლოებიანი“ ქვები.

მონეტები. სამარსთა გარეშე სულ 8, სხვადასხვა
დროის მონეტაა აღმოჩენილი:

1) ბიზანტიური ვერცხლის მონეტა (1937 წ.
საე. წიგნ. № 316). აღმოჩნდა აბანოს ნანგრევთა მასლობა-
ლად, მიწის ზედაპირიდან 0,25 მ სიღრმეზე. დიამეტრი
2,1—2,4 სმ უდრის. მუბლზე გამოსახულია ორი გარეკვე-
ვლი ფიგურა, რომელთაც ირგვლივ შემოუკვეთა წარწერა.
ზურგზე გამოსახულია სიყვით, ზედა ჯვარი, სამი პორთიხონ-
ტული ხაზი. ზურვის წარწერა დასიანებულია და იკითხება
მხოლოდ: ... LS A... ROMANIS. მონეტა უნდა ეკუთვნოდეს
ირაკლი კისარის (610—641 წწ.) [მარ. 129, № 1070].

2) კოლხური თეთრი (1938 წ. საე. წიგნ. № 365).
აღმოჩნდა აბანოს ნანგრევთა მასლობლად, ჩრდილოეთით,
მტკვრის ფლატეზე. რამდენადაც უსწორმასწოროა. დიამეტრი
უდრის 7 მმ. მუბლზე გამოსახულია ადამიანის თუ ღვთა-
ობის თავი, ზურგზე—ხარის თავი. როგორც ცნობილია, ასეო
მონეტებს კოლხეთის მმართველი ძე. წ. VI—III საუკუნეებში
კრიდნენ და დასავლეთ საქართველოში ისინი ძალიან
გავრცელებულია.

3) არაბული ფელსი (?) (1941 წ. საე. წიგნ.
№ 274). აღმოჩნდა აბანოურ მიწაში, ასპარუგის სამარსს ადგი-
ლად, მონეტის თხრისას. დიამეტრი 2,5 სმ უდრის, სისქე—2 მმ.
ცალ მხარეზე თითქმის გადაშლილი არაბული წარწერა უნდა.

4) ქართული მონეტა (1941 წ. საე. წიგნ. № 406).
აღმოჩნდა ასპარუგის სამარსს აღმოსავლეთით, შორიასლოს,
0,65 მ სიღრმეზე. სწილენისაა, უსწორმასწორო ოვალური,
საკმაოდ სქელი (3 მმ). დიამეტრი 2,3—2,5 სმ უდრის. ორივე
მხარე მღიერ გადაღესილი აქვს. ერთ მხარეზე თითქმის
ფრთოსანი ურჩხულია გამოსახული, მეორეზე — არაბული
ასოები. დ. კაპანაძის აზრით, შეიძლება ეკუთვნოდეს
ქართლის დროებით მმართველს სიმონს (1712 წ.).

5) ამისოს სპილენძის მონეტა (1945 წ. საე.
წიგნ. № 922). აღმოჩნდა ასპარუგის სამარსს ჩრდილო-
ჩრდილო-დასავლეთით, 30-ოდემ მანძილზე, 1,2 მ სიღრ-
მეზე. საკმაოდ უსწორმასწორო მომრგვალოა, არაიანაბრივე
სქელი (3,5 მმ-მდე). დიამეტრი 2,2—2,4 სმ უდრის. მღიერ
გაცვეთილია. ნაპირები აქა-იქ ჩაჭლეული აქვს. მუბლზე გა-
მოსახულია თავდაღუნული ირემი, ხოლო მის ქვეშ არის
ბერძნული ასომთავრული წარწერა: ΑΜΙΣΩ ... ზურგზე გა-
მოსახულია თითქმის ადამიანის თავი.

ბერძენთა მცირეხალხი ასალუმენის, ამისოს მონეტა
ჩანს (მე. წ. II საუკ.).

6) არაბული ფელსი (1945 წ. საე. წიგნ. № 955).
აღმოჩნდა ზღურბლიანი ნაკებობის აღმოსავლეთ სენაკში.

ჩადგმული, № 82 ქვისსამარხის თავზე, მიწის ზედაპირიდან 0,25 მ სიღრმეზე, დიამეტრი 1,8—2,0 სმ უდრის, სისქე—0,8—1,0 მმ. უსწორმასწორო ოვალური მოყვანილობისა. გაცვეთილია, მაგრამ მინც განისაზღვრება, როგორც VIII საუკუნის არაბული ფელსი. ერთი ასეთივე ფელსი აღმოჩნდა 1938 წელსაც, მე-12 ქვისსამარხში.

7) სასანკარი გერცესლის მონეტა (1945 წ. საგ. წიგნ. № 960). აღმოჩნდა ასპარუგის სამარხის ჩრდილო-დასავლეთით, 30 მ მანძილზე, მიწის ზედაპირიდან 0,25 მ სიღრმეზე, თითქმის უპულოდ კორიანნი ფენის ქვეშ. უსწორმასწორო მრგვალია, არათანაბრად თხელი, დაუგანგავი. სმარხისგან გაცვეთილია, განსაკუთრებით ზურგი. დიამეტრი 3,1 სმ უდრის, უდიდესი სისქე—1,1 მმ. კავადის მონეტა (V ს-ნის მიწურული—VI ს-ნის 1-ლი შესაშვდი), ტიპიური. კარგად არის შენახული.

8) ქართული სპილენძის მონეტა (1946 წ. საგ. წიგნ. № 1351). აღმოჩნდა მინდვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, იქ, სადაც გვიანი ბრინჯაოს ხანის ორმოსამარხები ითარებოდა (ერთი მათგანის, № 8-ს თავზე), მიწის ზედაპირიდან 0,25 მ სიღრმეზე, ფესვებიან შავ მიწაში.

სრულიად უსწორმასწოროა, ისეთი, როგორც სმარია თამარ მეფისა და მისი მემკვიდრეების მიერ მოჭრილ მონეტებს შორის. სიგრძე 2,4 სმ უდრის, სიგანე—1,7 სმ, სისქე—2,0 მმ. გამოსახულება და შედარებითი გადარსილია. შეიძლება გიორგი III ვეუთენოდეს [302; მდრ. 430, № 1462].

აღწერილი 8 მონეტის სტრატეგრაფიული ღირებულება მინცდამინც დიდად ვერ ჩათვლება—თუნდაც იმიტომ, რომ, მაგალითად, სიმონის, XVIII ს-ნის დსაწისის მონეტა 0,65 მ სიღრმეზე მდებარე ფენამ მოგვცა, სოლო V—VI საუკუნეთა (კავადის) მონეტა—0,25 მ სიღრმეზე მდებარე ფენაში.

თავისთავად კი ეველზე უფრო საუერადღებო მონაპოვრად უნდა მივიჩნიოთ კოლხური თეთრი, როგორც ქართლისათვის იმეათი. საუერადღებოა აგრეთვე ამისოს მონეტა (ამისოს მონეტა ბავინეთიდან აღმოჩნდა იმავე წელს). ამ ორი უკანასკნელი მონეტის აღმოჩენა აძლიერებს ჩვენს ვარაუდს არამახსიხევის შესართავთან ახს. წ. II—III საუკუნეთა შეტლებზე უფრო ადრინდელი ფენის არსებობის შესახებ (მდრ. ზემოგანსილული ზოგი არქიტექტურული დეტალი, მარმარილოს ქანაკებათა ნატესები და სსე.).

მინის ჭურჭელი. საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მინის ნაირ-ნაირი ჭურჭლის ნაშტურეებს. გამოერჩევა სქელი, თხელი, სოლო ზოგჯერ ფაქიზი ნატესებიც კი. სულ აღრიცხულია 56 ნომერი. მინა მეტწილად მომწვანოა, იშვიათად კი უფერული და თითო-ოროლა—წითელიც. შედარებით ცოტა გვხვდება ნატესები, რომელნიც კვამლევენ ჭურჭლის მოყვანილობა-დანინულების შესახებ მსჯელობის საშუალებას. ასეთია: ეულ-პირი და მირი, ან ქსელი, რომელთა მიხედვით ზოგჯერ გამოიყნობა მცხეთის ახ. წ. IV და მომდევნო საუკუნეთა სამარხებიც გაერცვლებული სანულსახებულ ჭურჭლის ტიპები. ზოგი ქუსლი ფსმალაღი ხსმისის შთაბეჭდილებას სტოებს. თითო-ოროლა ნატესს

რელიეფური, ზედ აღმერწილი სამკაული აქეს (1938 წ. № 186, 225, 237; 1941 წ. № 392).

სამკაული ოცდაათიოდე ცალი გვაქეს.

1) სარდიონის მძივი (1937 წ. საგ. წიგნ. № 472), ცილინდრული მოყვანილობისა, ზომით 0,7×0,1 სმ.

2) ბრინჯაოს შესახანევის ნატესი (1937 წ. საგ. წიგნ. № 532).

3) რკინის ბეჭედი (1937 წ. საგ. წიგნ. № 533).

4) ბრინჯაოს მავთულის რგოლი (1938 წ. საგ. წიგნ. № 78). ეგებ, სამაჯურიც იყოს. 1,5—1,7 მ სიღრმეზე აღმოჩნდა.

5) რკინის მძვილდსკინძის (?) ნატესი (1938 წ. საგ. წიგნ. № 175). 0,5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა.

6) ბრინჯაოს ზარაკი (1940 წ. კატალ. № 106). სიმაღლე 4,0 სმ უდრის. ოთხწახანოვანი პირამიდის მოყვანილობა და მომრგვალებული წვერი და წიბოები აქეს. ენა რკინისა ჰქონდა და მიც ეანგინანი ნაშთები-ღაა ჩარჩენილი. ზემოდან ბრინჯაოსივე უნწი აბაა. აღმოჩნდა ერისთავთა მე-5, გამარცული სამარხის ასლოს.

7) ბრინჯაოს 3 თხელი უკუნწო დილი (1941 წ. საგ. წიგნ. № 237), ნახევარბურთული. დიამეტრი—1,3—2,6 სმ. ერთ-ერთს გარედან ოქროს სიფრიფნა ფურცელი აკრავს. 0,2 მ სიღრმეზე აღმოჩნდა, ნაშალ მიწაში.

8) გერცესლის ბეჭედი (1941 წ. საგ. წიგნ. № 252). მომცროა (დიამეტრი—1 სმ). თხელი, ვიწრო რკალი და არაპროპორციულად გამსხვილებული თავი აქეს. ლითონი თითქმის დაუგანგავია და შეიძლება ასალიც კი იყოს, მით უმეტეს, რომ ნაშალ მიწაში აღმოჩნდა.

9) სარდიონის მძივი (1941 წ. საგ. წიგნ. № 253). პატრა (დიამეტრი—6 სმ), მრგვალ-პრეტელი, საკმაოდ უსწორმასწოროდ თლილი. აგრეთვე ნაშალ მიწაში აღმოჩნდა. მოყვანილობის მიხედვით, შეიძლება არქაული, მგ. წ. II—I ათასწლეულის სამარხიდან მომდინარეობდეს.

10) თიხის მძივი (1941 წ. საგ. წიგნ. № 361), მოწითალოდ გამომწვარი, მოზრდილი (სიგრძე—3 სმ). 1,7 მ სიღრმეზე აღმოჩნდა.

11) თიხის მძივი (1941 წ. საგ. წიგნ. № 385), დიდი (სიგრძე—3,5 სმ), ტლანქი, კასრისებრი მოყვანილობისა. ზედაპირულ ფენაში აღმოჩნდა.

12) გერცესლის ბეჭედი (1941 წ. საგ. წიგნ. № 390), საშუალო ზომისა (დიამეტრი—2,3 სმ), არათანაბრად მსხვილი, ფუეე. ოვალური თვალბუდე აქეს. შეიძლება I—III საუკუნეთა სამარხიდან მომდინარეობდეს. 1 მ სიღრმიდან საუეროდ მიწას ამოკვავა.

13) თიხის მძივი (1941 წ. საგ. წიგნ. № 454), მოწითალოდ გამომწვარი, დიდი, კასრისებრი. ნაშალ მიწაში აღმოჩნდა.

14) ბეჭდის თვალის (1943 წ. საგ. წიგნ. № 525). მოყვანილობით მოგვავიგონებს ადამიანის თვალის კაკალს. დიამეტრი 1,2—1,4 სმ უდრის. საერთოდ გამჭვირვალე უვითელია, მაგრამ მინკანი ბზარები აქეს და ფერი შემღერვია. აღმოჩნდა ასპარუგის სამარხის მასლობლად, ამონაუარ

მიწაში და შეიძლება რომელიმე იქაური სამკუდიანანც იუოს ამოვარდნილი.

15) ბრინჯაოს ზარაკი (1943 წ. საე. წიგნ. № 575). დიამეტრი 1,7 სმ უდრის. კონუსური მოყვანილობისაა, თხელი, შექველტილი. შიგ რკინის ენის ჩაყანული ნაშთია ჩარჩენილი. 1 მ სიღრმეზე აღმოჩნდა.

16) სარტკელი ბაღთის (?) ნაწილი, კელი-სა (1943 წ. საე. წიგნ. № 583). სიგრძე 5,5 სმ უდრის. აღმოჩნდა რკინის ნამგლისპირთან და ცხოველის რქებთან და ძველებთან ერთად, 1,45 მ სიღრმეზე.

17) ვერცხლის სამაჯური (1944 წ. საე. წიგნ. № 732). დიამეტრი 5—7 მ უდრის. ოვალური მოყვანილობისაა, მრგვალებანიკეთიანი, პირგანსნილი. ბოლოებზე გარდვიგარდმო „ჩულები“ აქვს. გვიანდელი ტიპისა ჩანს. მიწის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე აღმოჩნდა.

18) ბრინჯაოს ბეჭედი (1944 წ. საე. წიგნ. № 754). დიამეტრი 2 სმ უდრის. რვალი წესიერი მრგვალი და ბრტეული აქვს. ფარავსე გაურკვეველი (არაბული?) ასოების მავარი გამოსახულებაა ამოკარული. აღმოჩნდა 0,9 მ სიღრმეზე. ფარავიანი ბეჭედები სამთავროშიცა და არმაზისხევისანც საერთოდ უფრო გვიანდელ სამარხებში გვხვდება სოღმე.

19) ბრინჯაოს სამაჯური (1944 წ. საე. წიგნ. № 781). დიამეტრი 1,5 სმ უდრის. პირგანსნილია, ბოლოებ-დაბრტელებული. ბოლოებზე სქემბტურად ამოკეთილია თითქოს აღამინათა პირისხეობი. აღმოჩენილია 1,3 მ სიღრ-მეზე. ამგვარი სამაჯური, მცხეთის არქეოლოგიურ ძეგლთა მიხედვით მიღებული გამოცდილებისამებრ, მოსალოდნელია ვერ კიდევ ძვ. წ. ბოლო საუკუნეებთან (სამთავროს ქვევრ-სამარხები).

20) ბრინჯაოს ბეჭედი (1944 წ. საე. წიგნ. № 785). დიამეტრი 1,7—2,0 სმ უდრის. რვალი ოვალური აქვს. დიდ, სწორკუთხეზან ფარავზე ამოკარულია არაბული კუფური წარწერა. წარწერის მიხედვით საფიქრებელია, რომ VIII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს. აღმოჩნდა სამაროვნის განაპირას, მარაგაზე, 0,6 მ სიღრმეზე.

21) ბრინჯაოს საურის რკალი (1944 წ. საე. წიგნ. № 797). პატარა (დიამეტრი 1,2 — 1,7 სმ), წვრი-ლი, ოვალური, პირმუეკრული. ქვემო ნახევარი გამსხვი-ლებული აქვს. აღმოჩნდა 0,4 მ სიღრმეზე.

22) ბრინჯაოს აბზინდა (1944 წ. საე. წიგნ. № 798). ნისკარტი არ შერჩენია. მოყვანილობით თანამედ-როვე აბზინდებს მოგვაგონებს, სოლო ლითონით—თით-ბესს. 2,6 სმ სიგრძეა. აღმოჩნდა 0,3 მ სიღრმეზე.

23) ბრინჯაოს საკინძი (1945 წ. საე. წიგნ. № 906). მოგრძოა (12,4 სმ). თავიც ბრინჯაოსი აქვს, პატარა, მრავალწახნაკოვანი და ზემოდან ჩაღრუბული. იერთი თითქოს მცხეთის IV და მომდევნო საუკუნეთა სამარხებიდან მომდინარე საკინძებს მოგვაგონებს. აღმოჩნდა მიწის ზედა-პირიდან 1,35 მ სიღრმეზე.

24) ბრინჯაოს სამაჯური (1945 წ. საე. წიგნ. № 1004). ოვალურია, ბოლოებგადახეული, ნახევრად გრესი-ლი. დიამეტრი 6,5—9,0 სმ უდრის. ამონაყარ მიწაში აღ-მოჩნდა. არმაზისხევისთან ამ ტიპის სამაჯურები ცნობილია

ერისთავთა სამარხებშიც (ოქროსი, ის. ჩვ. აღწ. № 175) და გვიანდელ სამარხებშიც (ბრინჯაოსი, ის. გვ. 140).

25) რკინის სამაჯურის (?) ნატეხი (1946 წ. საე. წიგნ. № 1198). მორკალულია, სიგრძით 2,4 სმ. აღ-მოჩნდა 0,4 მ სიღრმეზე.

26) ბრინჯაოს ექვანი (1946 წ. საე. წიგნ. № 1298). ორი ტოლი ნახევარბურთობისაგან შედგება: უნწი მავთულისა აქვს; სწავარუნო აღარ შერჩენია. უდიდესი დია-მეტრი 4,5 სმ უდრის. აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის ორმო-სამარხთა უბანში, 0,3 მ სიღრმეზე. ასეთი ექვნები გვაქვს არმაზისხევის გვიანდელ სამარხებში (ის. გვ. 141).

27) თიხის მძივები (1946 წ. საე. წიგნ. № 1331, 1332), ოთხ აგურისფრად და წითლად გამოქმნილი. ერთი უსწორმასწორო მრგვალია, მეორე—ფუბატის ნაყოფს მოგვა-გონებს. ამ უკანასკნელს კინოვარის ფერი აქვს. ორივე ამო-ნაყარ მიწასა ამოკოლილი.

28) პატის მძივი (1946 წ. საე. წიგნ. № 1392), თეთრ-კვითელი, დიდი (დიამეტრი—1,6 სმ), ბურთულა. აღ-მოჩნდა 0,25 მ სიღრმეზე.

29) თიხის მძივები (1946 წ. საე. წიგნ. № 1406, 1407). უდიდესი დიამეტრი 2,0 და 2,4 სმ უდრის. ორივე კანრისებრი მოყვანილობისაა. ერთი ღია ნაცრისფრად და გომოწვარი, მეორე—ღია აგურისფრად. ერთი 1,55 მ სიღრ-მეზე აღმოჩენილი, მეორე—ძველ, კულტურული ნაშთებით სასე ორმოში. თიხის მძივები საერთოდ იშვიათია. მათი სამკაულად მიჩნევა საკმაოდ პირობითია.

არაა გამოჩენილი შესაძლებლობა, რომ ზემოაღწე-რილი თიხის მძივები წარმოადგენდნენ ერთ-ერთ სასეობას იმ კერამიკულ სახელოსნოთა ნაწარმისა, რომელთაც კვუ-ლისსმობთ არმაზისხევის ტერასზე, შუა საუკუნეებში (ის. ზემოთ).

30) სამკაულთა ჯგუფთან ასლო დგას—საფიქრებელია, რომ პირსაფარეშო მოწყობილობად გამოყენებული ან გან-კუთვნილი იქნებოდა — ზღვის ორსადგულიან მოლუსკთა ცალ-ცალი ნიკარები, რომელნიც სულ 6 ცალი აღმოჩნდა (1937 წ. № 245, 246; 1938 წ. № 66, 254; 1941 წ. № 351, 386). სამ შემოსევაში (№ 245, 246, 254) ნიკარები მინის ჭურჭელთა ნამტვრევებთანა დაკავშირებული და ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს მოსაზრებას, რომ ისინი პირსაფარეშო მოწყობილობის ნაწილი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ნიკარები საკმაოდ ხშირია ჩვენს განათხარ ძეგლებში—სამარხებში (სამთავრო [23], მცხეთის სადგურთან 1951 წელს აღმოჩენილი აკლამა [34]) თუ ნამოსახლარებში (რუსთავი [324]).

ხელსაწყო-იარაღი და სხვა მოწყობილობა წარმოადგენილია 25-ოდე მონაპოვრით.

1) რკინის ისრისპირი (1937 წ. საე. წიგნ. № 350), წვერმოტეხილი. შუა საუკუნეთა ტიპისა ჩანს. ზომა 5x3 სმ უდრის. აღმოჩნდა 0,3 მ სიღრმეზე.

2) რკინის ლურსმანი (1937 წ. საე. წიგნ. № 563), 10 სმ სიგრძე, ოთხწახნაკოვან-განიკვეთიანი, თავმოღუნული. აღმოჩნდა 2 მ სიღრმეზე.

3) სადგისი (1937 წ. სავ. წიგნ. № 574), ცხოველის ლულოვანი ძეგლისაგან გამოთლილი. წვეტილად დარჩენილი. 1,4 მ სიღრმეზე აღმოჩნდა.

4) რკინის ნამკლისპირი (?) (1938 წ. სავ. წიგნ. № 26), ჰატარი, ენგისაგან სანასეგროდ შექმული. აღმოჩნდა 0,5—0,75 მ სიღრმეზე მდებარე ფენაში.

5) რკინის ჰატარი დანისპირი (1938 წ. სავ. წიგნ. № 27), სატარე-უენიანი, ენგისაგან სანასეგროდ შექმული. აღმოჩნდა იმავე ფენაში.

6) რკინის კოჭურის, საკეტი მოწუბილრა (1938 წ. სავ. წიგნ. № 28), ენგისაგან სანასეგროდ შექმული. აღმოჩნდა იმავე ფენაში.

7) რკინის იარაღის ნატეხი (1938 წ. სავ. წიგნ. № 33), ენგისაგან დასრული. აღმოჩნდა 0,75—1,0 მ სიღრმეზე მდებარე ფენაში.

8) რკინის იარაღთა (?) ნატეხები (1938 წ. სავ. წიგნ. № 50), ძლიერ ჩაყენული. აღმოჩნდა 1,2—1,3 მ სიღრმეზე მდებარე ფენაში.

9) რკინის ცულის (?) პირი (1938 წ. სავ. წიგნ. № 461), ძლიერ დაყენული. აღმოჩნდა 1,4 მ სიღრმეზე.

10) ნამკლის კბილი, სერხისებრი, კაქისა (1938 წ. სავ. წიგნ. № 74). აღმოჩნდა 1,5—1,7 მ სიღრმეზე მდებარე ფენაში. ამგვარი ნამკლისკბილები საკმაოდ ხშირად გვხვდება სამთავროს კულტურულ ფენებშიც და, რაც მთავარია, თრიალეთის ზოგიერთ სამარხშიც. მათ შესახებ მსჯელობს ბ. კუფტინი [92, გვ. 69; 93, გვ. 324]. პირველად მათი აღმოჩენა გააშუქა და მათში გამოიყენა ქართული ნამკლის ერთი თავისებური სახე—„ლული“, აუად. ივ. ჯავახიშვილი [325, გვ. 13; 351].

11) ხელსაფქვაკი (1941 წ. სავ. წიგნ. № 250; ტაბ. CIX, 1b), არქელის ტიპისა. ორი დიდ-ჰატარი ქვა, მძიმე რუსი ტუფისაგან თუ ძლიერ ნასერტოვანი მაგური ქანისაგან ტლანქად გამოთლილი. ბრტყელი ზედაპირებით ერთიმეორეს კარგად ედება, სოლო ზურგი ორივეს უსწორმასწოროდ ამოხსნილი აქვს. სიგრძე 22 და 26 სმ უდრის, განი—14 და 16 სმ, სიმაღლე—5,5 და 6,0 სმ. აღმოჩნდა 1 მ სიღრმეზე, ერისთავთა სამარხების მასლობლად.

12) ქვასანაყი (1941 წ. სავ. წიგნ. № 272; ტაბ. CIX, 19). ტლანქად და უსწორმასწოროდ გამოთლილი მასიური, მკვრივი ქვიშაქვისაგან. ფოსო არაპროპორციულად მცირე აქვს. ერთგან ჰვარტლის ღაქა ეტეობა. აღმოჩნდა მიწის სულ ზედა ფენაში.

13) ქვასანაყი (1941 წ. სავ. წიგნ. № 383; ტაბ. CIX, 17). დიდი და ტლანქია, ქვიშაქვისაგან გამოკვეთილი. ძირი მობრტყელებული აქვს, საერთო მოყვანილობა—ოვალური. შუაზე ჩამოტეხილს, ნასეკარს ჰკავს. სიმაღლე 14,5 სმ უდრის, დიამეტრი—16—25 სმ, ფოსოს დიამეტრი—14 სმ.

ორივე ქვასანაყი აშკარად პრიმიტიული, უმნო ნასეკარს წარმოადგენს, მაგრამ რომ ეს უოველთვის არ ნიშნავს მათ დიდ სიძველეს, ამას თბილისის ექსპედიციის გამოცდილებაც გვეუბნება: იქ, XII—XIII საუკუნეთა კრამიკულ სა-

ხელოსნობი, აღმოჩენილია თითქმის ასევე ტლანქად გამოხორცილი, საჭიკერე მასალის სანაყი [323].

14) რკინის სამკერი (1943 წ. სავ. წიგნ. № 412). „T“-სებრი მოყვანილობისა; ღეროს განიკვეთი ოთხკუთხეობანი აქვს და იგი თანდათან ვიწროვდება. სიგრძე 9,5 სმ უდრის. ამგვარი სამკერები აღმოჩენილია აბანოს თხრისას, სადაც ისინი სათერმოიზოლაციო კრამიტების მისამკერებლად იყო გამოყენებული (იხ. მეექვსე თავი, გვ. 152).

15) რკინის ნამკლისპირი (1943 წ. სავ. წიგნ. № 551), დაყენულ-დამტვრეული. აღმოჩნდა 1,45 მ სიღრმეზე, ნატესი ქვების გროვებზე—ცხოველთა ძეგლებთან, ძეგლის ბაღის ნატესთან და სხვ. ერთად.

16) ირმის რკინის პირი (1943 წ. სავ. წიგნ. № 598). ტოტები წაჭედილი აქვს, მაგრამ არა ისე დაბლა, როგორც სამთავროს ბრინჯაოს სანის ორმოსამარხებში გავრცელებულ „კვერისთაყებს“. აღმოჩნდა 1 მ სიღრმეზე, ქვევრის ძირას, ნაცრის გროვამდე.

17) რკინის სადგისი (1944 წ. სავ. წიგნ. № 672). აქა-იქ, რატომღაც, სპილენძისთვის ჩვეული მოცისფრო პატინა აკრავს. ორწვეტიანია. განიკვეთი ოთხწახანაგვანი აქვს. ტარი არ მერჩნია. 20 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა.

18) რკინის ისრისპირი (1944 წ. სავ. წიგნ. № 724). მოგრძო-ვიწროა, ორფრთიანი. ღეროვანი უენწი თითქმის ძირში აქვს მოტეხილი. სიგრძე 7,2 სმ უდრის, უდიდესი სიგანე—1,8 სმ. შუა საუკუნეთა ტიპისა ჩანს. აღმოჩნდა 0,3 მ სიღრმეზე.

19) ხელსაფქვაკის ქვები (1944 წ. სავ. წიგნ. №№ 751, 752), ოვალური მოყვანილობისა, არქელის. ერთი, უფრო დიდი (41 სმ სიგრძე), ჩახსნილია; მეორე, ჰატარი (28 სმ)—ბრტყელი. საურადალებოა, რომ აღმოჩნდა ერთ-ერთი საკულტო ნამარხის (ფრინველის ძეგლთა შემცველი, № 749 ქილის) მასლობლად, სხვა მსგავსი ნამოთების გროვამდე.

20) ხელწისკლის ნატეხი (1946 წ. სავ. წიგნ. № 1573; ტაბ. CIX, 16). წარმოადგენს ზედა, სატრიალებელი ქვის ნასეკარს. გამოთლილია ძლიერ დასერტეილი ბაზალტური ქანისაგან. მერჩნია ტარის ჩასარტობი ნასერტი. დიამეტრი უდრის 49 სმ, უდიდესი სისქე—3,5 სმ, შუა ნასერტის დიამეტრი—3 სმ, სატარი ნასერტის—2,0 სმ.

აღმოჩნდა ზედაპირულ ფენაში. გვიანდელი უნდა იყოს.

21) თიხის „ლახტისთავი“ (1945 წ. სავ. წიგნ. № 995). აკურისფრად და გამოქვარი. ლახტისთავს მხოლოდ მოგვაგონებს, შუაში (საკმაოდ ექსცენტრულად) დაუოლებელი ნასერტით, თორემ თისისაგან ასეთი იარაღის გაკეთება ძნელი წარმოსადგენია. აღმოჩნდა 0,4 მ სიღრმეზე, გვიანდელი კრამიკული ნამოთებით სავსე ფენაში.

22) რკინის დანისპირი (1946 წ. სავ. წიგნ. № 1251), მორკალული. ძლიერ დაყენულია. სიგრძე 8,9 სმ უდრის. აღმოჩნდა 0,85 მ სიღრმეზე.

23) რკინის ისრისპირი (1946 წ. სავ. წიგნ. № 1572), შუა საუკუნეთა ტიპისა. რომბულია, წერილუენიანი. სიგრძე 7,5 სმ უდრის, უდიდესი სიგანე—1,9 სმ. ნაპოვნი არამზისთვის მარჯვენა ნაპირას, კლდოვან მდლობზე, რკინიგზის თავზე.


21) იარაღთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ აგრეთვე ის მრავალრიცხოვანი (15 ც.) ქვის ბირთვები, რომელნიც, ბოლოს და ბოლოს—რაც არ უნდა ნაკლებ გასაკები იყოს მათი ამ ადგილას ყოფნა—უგელაზე უფრო მაინც სატეორცენოდ „ტერეზებად“ თუ ჩაითვლება. მათ მეტ-ნაკლებად წესიერი სფერული ფორმა აქვთ, მაგრამ, 1943 წ. № 520 გარდა, ჯერც ერთზე ჯერ ვიტყვი, რომ იგი გამოხორცილი ან გამოთლილი იყოს. ისინი სტოკებზე შთაბეჭდილებას ქვიშაქვის ბუნებრივი კონკრეტებისა, რომელნიც ადამიანს სიმრგვალუ-სიმკვრივის გამო მოუგროვებია და გამოუყენებია. ერთი რკინოვანი, ჰატარა (დიამეტრი 1,5 სმ) კონკრეტიაც არის. ამ ბირთვების დიამეტრი 4-დან 13 სმ-მდეა. ერთი მათგანი ორმაგბურთულია, უელთან. ბირთვები აღმოჩენილია სხვადასხვა სიღრმეზე, 0,4 მეტრიდან 1,7 მეტრამდე. მსგავსი ბირთვები არქეოლოგიური იხრისას აღმოჩენილია აგრეთვე ბაგინეთში, ვანში (1916—1947 წწ. [367]), რუსთაში (1949—1950 წწ. [324]).

ს ს ვ ა დ ა ს ს ვ ა . 1) ცალკე უნდა შევჩერდეთ ერთ ნივთზე, რომელიც არც სამკაულთა ჯგუფს მიეკუთვნება, არც იარაღ-ხელსაწყოებისას და თავისთავად კი საინტერესოა, როგორც არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის იშვიათი. ეს არის ქვის კამათოეი (1945 წ. № 878), აღმოჩენილი ასპარეგის სამარხს ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 30-ოდ მეტრ მანძილზე, მიწის ზედაპირიდან 1,2 მ სიღრმეზე. იგი გამოთლილია მალზე წკრილმარცვლოვანი, მოყავისფრო-ყანისფერი ქანისაგან (ოქროანი თისა-ფიქლისაგან?). თანამედროვე კამათოებისაგან განსხვავდება, ჯერ ერთი, იმით, რომ კუბს არ წარმოადგენს (2,4×2,2×2,1 სმ), ე. ი. ნაკლებ მარჯვე საკორეხელი იქნებოდა, და, მეორეც, იმით, რომ მისი „სამიანი“ მჭკრივად კი არაა განლაგებული, არამედ სამკუთხოვანად. ეს კამათელი შუა საუკუნეთა კერამიკის ნამტკრევათა გა-

რემოცვამა ნაპოვნი. ამოღწევე, ოღონდ თისისაგან გამოწერი კამათელი აღმოჩენილია ბაგინეთშიც, აგრეთვე გვიანდელ ფენაში.

2) დასასრულ, აღვნიშნათ სამ ნაშის თისისაგან გამოქერილი და გამოწერი, პრიმიტიული ქანდაკებებისა, რომლებიც ადამიანს ან ცხოველებს გამოხატავდა. ესაა: 1944 წ. სავ. წიგნ. № 778, ღია აგურისფრად გამოქერი, მალზე უწესო და გაურკვეველი ფორმის „ქანდაკება“. რომელშიც ცხოველი ძლივს გამოაცნობა (აღმოჩნდა 1,5 მ სიღრმეზე); 1944 წ. სავ. წიგნ. № 781—იმავე ფერად გამოქერი, თითქოს გამოხატავს ადამიანის შეიქვემდებებულ ფეხებს, მუხლებს ქვემოთ (აღმოჩნდა 0,7 მ სიღრმეზე); 1946 წ. სავ. წიგნ. № 1408—ჰაწია, კოსტა რკა ხარისა თუ პროხისა, ალბათ სრული ქანდაკების ნატეხი (აღმოჩნდა მველი ნაშთებით საუხე ორშობი, ნახშირთან, თისის შმიოთან და სხვა კერამიკულ ნამტკრევეთთან ერთად). ამ „ქანდაკებათა“ დროისა და დანიშნულების შესახებ დანამკვილეებით ვერაფერს ვიტყვით. ალბათ არქეულ საკულტო საგნებთან გვაქვს საქმი.

დასასრულ, შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ყოველი კამანის დროს, განსაკუთრებით კი 1937—1938 და 1946 წწ., ძირითად უბანზე თხრისას ბლომად გვხვდებოდა ობსიდიანის (მალთან იშვიათად აგრეთვე კაყის) ანატეხე-ანატეხეები და ზოგჯერ გამოუჩენილი იარაღებიც კი (საფეხები, დანები, ისრისპირები და სხვ. [3, გვ. გვ. 368—370]), მაგრამ ვინაიდან ისინი ქრონოლოგიურად კიდევ უფრო ადრეულ ხანას ეკუთვნის, ვიდრე აქაურივე ბრინჯაოს ხანის ორმოსამარხები და, ამ უკანასკნელებთან ერთად, საგრძობლად წუდებთან არმასისსევის ძირითად (II—III სს.) პეგლებს, მიზანმწინილად იქნა ცნობილი მათი სხვა დროს, დამოუკიდებლად განსილვა.



არმაზისსევის არქეოლოგიურ მეგლთა კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობისათვის

ვიდრე არმაზისსევის არქეოლოგიური მონაპოვრის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის საკითხზე გადავიდოდეთ, მოკლედ მოვეუაროთ თავი ზოგიერთი ძირითადი მეგლის შესახებ წინა თავებში გადმოცემულ ჩვენს ცალკეულ დაკვირვებამოსაზრებებს. ეს უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ამ მეგლთა ტიპოლოგიისა თუ მსატერული ღირსების შესახებ და მკაფიოდ წარმოაჩინს მათ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიისათვის.

მეოთხე თავში განხილული მდიდრული სამარსების ერთი წუება — II—III საუკუნეების ერისთავთა 9 სამარხი (№№ 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 9 და 18)—საკმაოდ მჭიდროდაა თავმოყრილი ძირითადი უბნის შუაგულში, 23×10 მ ფართობზე. დანარჩენი განლაგებულია იმავე უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (60×15 მ).

ამ უკანასკნელთა და ერისთავთა სამარხებს შორის საშუალოდ 10 მ სიგანე ცარიელი არე უნდა გიგულისხმობთ, თუმცა დაახლოებით ამ შუა ზოლში სვდება 36-ე და 47-ე სამარხები, რომლებიც, ამრიგად, თითქოს აკავშირებს ერთიმეორესთან II—III საუკუნეების (ერისთავთა) და IV საუკუნის მდიდრულ სამარხებს.

მეოთხე საუკუნის მდიდრულ სამარხთა ჯგუფი (№№ 11, 12, 13, 15, 19, 36, 38, 40, 41, 42, 43, 47, 48, 49) ორ ბუდედ არის განლაგებული ზემოაღნიშნულ ზოლში. ამ ბუდეებს შორისაც ათიოდე მეტრი ცარიელი ფართობი უოფილა თავის დროზე.

ორივე ჯგუფში შეიმჩნევა სამარხთა განლაგება მერიდიანულ მწკრივებად. შესაძლოა, თითოეული, ერთიმეორესთან მალთან დაახლოებული მწკრივი აქ დამარხულთა ნათესაურ სიახლოვესაც მოასწავებდეს. ამ მომენტს იმიტომაც აქვს მნიშვნელობა, რომ, როგორც ამ სამარხთა გულდასმით შესწავლა გვაფიქრებინებს, ჩვენ წინაშე არის წარჩინებული ადამიანების არსებითად ერთი და იგივე ნეკროპოლი, რომელიც სამიოდე საუკუნის მანძილზე არსებობს და თავისი

ინვენტარით ასახავს ამ პირთა თანდათანობით ქონებრივ დაქვეითებას III საუკუნის შემდეგ.

მდიდრულ სამარხთა ზემოაღნიშნულ ჯგუფებს საერთოდ განათხარი უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი უკავია. ამით ჩრდილოეთით იმავდროული ნაგებობებია განლაგებული და მომდევნო საუკუნეების, საშუალო შემდგომისა და ღარიბ ადამიანთა სამარხებია მალთან მჭიდროდ თავმოყრილი. ასე რომ გვიანდელი სამარხები მდიდრულთაგან შესამჩნევად დაშორებულია. ამ მხრივ გამოხატვის შეადგენს №№ 50—60 სამარხები, რომლებიც ერისთავების სამარხთა სამხრეთითაა ჩამწყობებული, თხუთმეტიოდე მეტრ მანძილზე.

ამრიგად ირკვევა, რომ II—III სს. მდიდრულ ნაგებობებს ველის ჩრდილო მესამედი ნაწილი სჭერიათ, ხოლო იმავდროული და IV ს. მდიდრული სამარხები შუაში და სამხრეთ ნაწილში უოფილა განლაგებული (იხ. საერთო ბეჭედი).

II—IV სს. მდიდრული სამარხიანი წარმოდგენილია ექსპედიციის მიერ გათხრილი 23 ქვისსამარხით. ამთგან, როგორც ითქვას, ცხრა სამარხი ერისთავებს (II—III სს.) მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენი თოთხმეტი — IV საუკუნის მდიდრული სამარხებია.

პირველ ჯგუფში ორი მთლიანადგვეთილი სამარხის-სარკოფაგია (ერთი ბანურსასურავიანი, მეორე—ორფერდასასურავიანი) და შვიდი შედგენილი, ფილაქვით ნაგები ქვისსამარხი, რომელთაგან სამს (№ 2, 5, 18) ორფერდასასურავი აქვს, ხოლო ოთხს —ბანური.

მეორე ჯგუფში შემავალი თოთხმეტივე სამარხი ფილაქვით ნაგებია. მათგან სამს (№№ 40, 41, 43) ორფერდასასურავი აქვს, თერთმეტს კი—ბანური.

ორივე ჯგუფის სამარხები აღნაგობის მხრივ საერთოდ ჰგავს ერთიმეორეს: იქაც და აქც ძირითადად ფილაქვით ნაგები და ბანურსასურავიანი სამარხებია; ორივე ჯგუფში გვხვდება ორფერდასასურავიანი სამარხები. ეს უკანასკნელნი

პირველ ჯგუფში ქალთა განსვენებულს წარმოადგენენ, მეორეში კი მათი ამ მხრივ განსაზღვრა მწვლედა, სამარხთა კოლექტიურობისა (№№ 40, 43) და ერთ შემთხვევაში (№ 41) გამარცხლობის გამო.

მთლიანადკეთილი სამარხები—სარკოფაგები მხოლოდ პირველ ჯგუფშია და ამ ჯგუფის სამარხები ამითაც არსებითად განსვავდება IV საუკუნის მდიდრულ სამარხთაგან. კანონსომიერია, რომ სწორედ ეს ორი სარკოფაგი, ბაკინიონის სარკოფაგთან ერთად, ინვენტარიტაც უმდიდრესი, თუ გამორჩეულია მესეთამი დღემდე გათხრილ სამარხთა შორის. ამ ორი ჯგუფის სამარხთა აღნაგობრივი მსგავსების მიუხედავად, უფროდ თვალსაჩინოა ზოგიერთი სხვაობა ორი ჯგუფის ერთისა და იმავე ტიპის სამარხთა შორისაც კი. ეს სხვაობა, პირველ უფლისა, სამენი მასალის ხარისხში იჩინეს თავს. ერისთავთა სამარხები (ერთი გამოკვლისის—მესამე სამარხის გარდა) ატეხულია მკერვი, კარგი სათლელი და გამძლე ქვით, რომელიც სმირად მორეული ქვის-სამტესლოებიდან უნდა იყოს მოტანილი. მეორე ჯგუფის სამარხები კი ატეხულია მეტწილად უფრო მდარესარისხოვანი ქვით, რომელიც უმთავრესად არმაზისსევისავე კლდეებშია მოჭრილი.

ასეთსავე სურათს ვხედავთ სამარხთა შემადგენელი ფილებების დამუშავების მხრივაც.

პირველ ჯგუფში შემავალი, საგანგებოდ დამუშავებული სარკოფაგების შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, შედგენილ სამარხთა ფილაქებებზე წესიერად მოჭრილი, კარგად გათლილ-გამოკლილი და ერთიმეორეზე მორგებულია. სამარხის მკედროდ შეკერვის მიზნით კედლის ფილებს ნაპირებზე ამოჭრილი აქვთ ნარიბანდები. როგორც კედლის, ისე სასურავთა ფილები შეიღებ არის გაბამული რკინის სამაგრებში, რომლებსაც ბოლოები საგანგებოდ ფოსფატში ტუეით ჩადუღებული აქვთ. ერისთავთა პირველი და მეორე სამარხი მოქცეულია საგანგებოდ დანიშნულების ქვითკირის ნაგებობაში. მეორე ჯგუფში ასეთი შემთხვევა არსად გვაქვს და ამ უბნის ერთსენაკიანი ნაგებობა მხოლოდ პირობით უკავშირდება სამარხთან.

მეორე ჯგუფის სამარხების შემადგენელი ფილაქები უფრო იშვიათად და თანაც ნაკლები სიხუსტით არის გათლილი. მათ ნარიბანდებიც ნაკლები გულმოდგინებითა აქვთ ამოჭრილი. ამ ჯგუფის სამარხთა ნაწილები სმირად კირით არის ამოლესილი (№№ 12, 15, 19, 40, 43, 46, 49), რაც ერისთავთა სამარხებისთვის ასე დამახასიათებელი არ არის—შემიღებია იმიტომაც, რომ ერისთავთა სამარხებს რკინის სამაგრები აქვთ და მათი შემადგენელი ფილებიც გაცილებით უკეთ არის გათლილი და ერთიმეორეზე მორგებული. ცხადია, სამაგრთა არსებობა გამორიცხავს ამ სამარხების განმეორებით გამოყენებასაც.

მეორე ჯგუფის სამარხთა ასაკებზე ზოგჯერ ძველ ნაგებობათა დეტალებია გამოყენებული (მაგ., №№ 42 და 48 სამარხები), ერისთავთა სამარხებში კი, ბუნებრივია, მსგავს სურათს ვერ ვხედავთ.

იატაკი ორივე ჯგუფის სამარხებში გვხვდება, მაგრამ პირველ ჯგუფში იგი უკლებლივ ეგულასა აქვს (ქვისა—

№№ 1, 2, 5, 9 და 18 სამარხებს; კერამიკული ფილებისა— №№ 3 და 8 სამარხებს); მეორე ჯგუფში კი თითო-ორიოლა შემთხვევაში გვხვდება (ქვისა—მე-40 სამარხში, ტყვრეზბაკილი კრამიტისა, ე. ი. არა საგანგებოდ, არამედ საერთოდ მშენებლობისათვის დამსახვებული მასალისა—№№ 41 და 43 სამარხებში).

სამარხთა ეს ორი ჯგუფი საგრძობლად უპირისპირდება ერთიმეორეს დაკრძალვის წესის მხრივაც.

სამარხთა და მიცვალებულთა დამსრობა ორივე ჯგუფში ერთგვარია: მეტწილად დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ან მეტ-ნაკლები გადასრილი, თავით დასავლეთისაკენ (გამოსავლის ვეჯდათ მხოლოდ ერისთავთა მესეთუ სამარხის სახით, რომელიც დასმრობილია სამსრეთიდან ჩრდილოეთისაკენ). ერისთავთა სამარხებში მიცვალებულთა მდებარეობის შესტი განსაზღვრა, ძველების ცუდად დაცულობის გამო, ვერ ხერხდება, მაგრამ მაინც ჩანს, რომ ისინი პირადად გამოტილი წოლიდან. ამასთანავე მათ შორის ათითქოს ტყვრეზ-ზე დაწვენილი და ფესებმოკეცილინიც არიან, რაც კველახე უფრო მკაფიოდ ჩანს მეორე და მესამე სამარხებში. ეს დაკრძალვის ძველი წესის მორეულ გადმონათვად უნდა ჩაითვალოს. სრულიად განსაკუთრებული შემთხვევაა მესამე სამარხში, სადაც მიცვალებულის ჩონჩხის მთავარი ძელები დალატებულია ვერცხლის ჭურჭელზე და თავისქალა არც კი ჩანს. როგორც ითქვა, აქ მეორედ დაკრძალვისთან გვაქვს საქმე.

მეორე ჯგუფის სამარხებში ძელები გაცილებით უკეთესად არის შენახული და აქარად ჩანს, რომ აქ მიცვალებულებს ასვენებდნენ გულადა გამოტილს—ისე, რომ მათ ხელები ტანგანსწრივ გაჭიმული ან შეკრულხე თუ მიცვლზე დაკრებილი ჰქონიათ. პირველ ჯგუფში ამგვარი მდებარეობა მხოლოდ მეორე სამარხშია აღნიშნული, მაგრამ, როგორც ვფიქრობთ, ეს სამარხი მეორედ უნდა იყოს გამოყენებული, ე. ი. იქ აღმოჩენილი ჩონჩხები უნდა ეკუთვნოდეს მიცვალებულებს, რომელნიც ერისთავებზე ბეკრად უფრო გვიანდელ სანაში დაუკრძალავთ.

არსებითი განსხვავება თავს იჩინებს იმაში, რომ ერისთავთა სამარხები ეგულა ინდივიდუალურია (თუ თანდაძარხულ ბავშვებს არ ჩავაგდებთ სათვალავში), მეორე ჯგუფში კი გვაქვს ამკარად გამოხატული კოლექტიური—საოჯახო სამარხები (მე-40 სამარხში ორი ჩონჩხია; 41-ში ერთზე მეტი; 43-ში—ოთხი; 49-ში სამი და ა. შ.). ამ მომენტს უნდა უკავშირდებოდეს სამარხთა აღნაგობის შემდეგი თავისებურება: ორფერად სახურავის ერთ-ერთი კალთა (ჩვეულებრივ სამსრეთისა), ალბათ ახდა-დახურვის განსაზღვრელებლად, შედარებით მსებუქია და შედგება ორ-ორი ფილაქისაგან; შემწეულია, რომ სახურავის ეს ნაწილი მართლაც აუხდათ და კვლავ დახურავთ სოლმე (№№ 41, 43). ბანური სახურავის ასდა მით უფრო ავლილი იქნებოდა.

კირისუფალთა მიერ ასეთი საპირობების გასვლისწინებას უნდა მოწმობდეს მე-12 და მე-19 სამარხების მაგალითიც. იქ თითო მიცვალებული იყო ჩასვენებული: მეთორმეტეში ჩრდილო, სოლო მეცხრამეტეში—სამსრეთ მხარეზე, ისე რომ ერთიანად და მეორეანად საკმაოდ დიდი ფარ-

თობი იყო დატოვებული მომდევნო მიცვალებულის ჩასასვენებად. თავისუფალი ადგილი სამარხში დატოვებული უნდა ეოფილიყო გარდაცვალებულის ოჯახის წევრისათვის—მაგალითად, მეუღლისათვის, რასაც სამთავროში აღმოჩენილი, მსატაროუსუცესი აქოლისის ეპიტაფია გვაფიქრებინებს.

დაკრძალვის წესის ასეთი ცვლილება უნდა მიეწეროს, ერთი მხრივ, ქონებრივ დაქვეითების და, მეორე მხრივ, ეგებ აგრეთვე ცვლილებას რწმენის სფეროშიც.

ერისთავთა სამარხებს შორის გვაქვს სამი შემოსხვევა მიცვალებულის ვერცხლისფერეზიან სარცელზე დსვენებისა (პლან 1, 2 და 6 სამარხები), რაც, რა თქმა უნდა, მდიდრული დაკრძალვის დანახისათვის მომენტია. მეორე ჯგუფის სამარხებში კი ასეთი რამ არსად ჩანს, მაგრამ, სამაგიეროდ, მრავლად აღმოჩენილი ნაშთების მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მიცვალებული რკინის ღურსმნებით შეკრული ხის კუბოებით ჩაუკრებიათ სამარხებში (პლან 12, 13, 15, 36, 40, 43 სამარხები). თათქოს რკინის ღურსმნები და ხის ნაშთია აღმოჩენილი ერისთავთა სამარხების მეცხრე სამარხშიც. თუ ეს ასეა, მაშინ პირველად აქ გვხვავთ მიცვალებულის ხის კუბოში ჩასვენებას, რაც მოგვიანებით წესად ქცეულა.

სამარხთა ორი ჯგუფის ასეთი შეპირისპირება ნათელყოფს, რომ ერისთავთა სამარხები გაცილებით უფრო მდიდრულია, ვიდრე სამარხთა მეორე ჯგუფი, თუმცა მათ შორის აღნაგობის ძირითადი ნიშნების მხრივ მსგავსება დიდია.

ასეთ შეპირისპირებას სავსებით კანონზომიერად ადასტურებს ამ ორი ჯგუფის სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარის შედარებაც.

უპირველეს უოვლითა, ეურადლებას იქცევს ინვენტარის რაოდენობა. ასპარეგ ერისთავის სამარხში 44 სახელწოდების საგანია აღმოჩენილი, მეორე სამარხში—25, ბერსუმა ერისთავის სამარხში—36, მეექვსეში—75, მეშვიდეში—35, მეცხრეში—13, გაბარცულ მეთვრამეტე სამარხში—15.

ერისთავთა სამარხების ინვენტარს შეადგენს: ოქროს ბეჭდები (22 ცალი, 5 სამარხში), საუერეები (9 წვეილი და 2 ცალკეული რგოლი, 5 სამარხში), სამაჟურები (5 წვეილი და 1 ცალი, 5 სამარხში), სამელაურები (1 წვეილი), საწვივე რგოლები (1 წვეილი), უელსაიდეები (2 ცალი, 2 სამარხში), ტულსაკოდი, საერისთავო დიადემა, ქალის დიადემები (2 სამარხში), საერისთავო სარტყელი (1 აბზინდა და 9 ბალთა), წამოსასხამის შესახვევი აბზინდები (1 წვეილი), უელსაბამის ოქროს მძივები (5 ცალი, ერთ სამარხში); ჰასტის, მინისა და ქვის მძივები და მძივსაიდეები (სხვადასხვა რაოდენობით, ოთხ სამარხში); ოქროს საუვაროსე კოლოფები (5 ცალი, სამ სამარხში); ოქროს ტანის გამოსახულება; ოქროს მოთვალული მედალიონი; მიცვალებულის საძუბლე გვირგვინები, ოქროსი (ორ სამარხში); ოქროსტარხანი სატყვარი; ოქროგადაკრულ-ქარქაძიანი სატყვარი; ოქროს საკინძველები (7 ც., ერთ სამარხში); ქსოვილზე დასაყრებელი, ოქროს მოწკარუნე საყიდები (ორ სამარხში, 71 ც., და 13 ც.); სხვადასხვაგვარი საყიდები და ტანისამოსზე დასაყრებელი კილიტები (ოთხ სამარხში, მათ შორის მეექვსე და მეშვიდე სამარხებში—ათასობით კილიტა); ტანისამოსის თუ თავსა-

ბურავის შესამკობი ვარდულები (ერთ სამარხში, 111 ც.)= ოქროს სარტყლის ბოლოები (2 ც., ერთ სამარხში); ოქროს ბურთულა მძივები (2 ც., ერთ სამარხში); ოქრომკვდი (ოთხ სამარხში); ვერცხლის სურები (7 ცალი, ოთხ სამარხში); ვერცხლის ლანკარი; ვერცხლის ჰინაკები (12 ცალი, 5 სამარხში; მათ შორის ერთში ბარდულივით ჩაყრული, ერთში ჰორელივით და ერთშიც—სეულბატურული ბიუსტი; ოთხზე. სხვადასხვა გამოსახულება ამოკრული და გამოყვანილი, დანარჩენები სადა; ორს ორ-ორი უერი აბია); ვერცხლის „ზარფმა“, სეულბატურული და ამოღარული გამოსახულებებით შემკული; ვერცხლის და ბრინჯაოს სარკები (2 ცალი, 2 სამარხში); ვერცხლის ლაკაბი; ვერცხლის ლეგმა (3 ც., 2 სამარხში); აბზინდები (5 ც., 2 სამარხში); ვერცხლის კოლოფი; რკინა-ვერცხლის სასანთლე; სარცელის ხის ვერცხლით შემოსილი ფეხები (4 ოთხეული, სამ სამარხში); ბრინჯაოს დეხები (1 წვე.); მინის ჭურჭელი, მეტწილად სახელსაცხებლები (17 მთელი და ათიოდე ჭურჭლის ნატეხები, 5 სამარხში); თიხის ჭურჭელი, მოჭიქული; ოქროს მონეტები (31 ც., 6 სამარხში); ვერცხლის მონეტები (28 ც., 4 სამარხში) და სხვ.

მეორე ჯგუფის უმდიდრეს და ისიც კოლექტიურ სამარხები (პლან 40, 43) სულ 15—16 სახელწოდების საგანი აღმოჩნდა, დანარჩენებში კი თითო-ორიოდა და უფრო იშვიათად—7—9 საგანი.

საერთოდ კი მეორე ჯგუფის მდიდრულ სამარხთა ინვენტარს შეადგენს: ოქროს ბეჭდები (27 ცალი, 8 სამარხში); ოქროს საუერეები (14 წვეილი, 4 ცალკეული რგოლი და 2 ოქრო-ქვის საყიდი, 8 სამარხში); ოქროს მძივები უელსაბამი (2 ც., ორ სამარხში); ოქროს უელსაბამი მეწკვი; ოქროს სამაჟურები (3 წვეილი, სამ სამარხში)—მათ შორის 2 ბრტყელი, დანახსრული და 1 მძივები; საუვაროსე მძივაი; მარჯნის მძივა (2 ცალი); ოქროს მონეტა; ვერცხლის აბზინდა; მინის სახელსაცხებლები; რკინის მძივდსაკინძები (4 ცალი და სხვათა ნატეხები, ერთ სამარხში).

ნიმანდობლივია ისიც, რომ ერისთავთა სამარხებში მრავლად გვაქვს მონეტები. ასე, მაგ., პირველ სამარხში 6 ოქროს მონეტა და 1 ვერცხლისა; მეორეში ოქროს 4 მონეტა; მესამეში ოქროს 7 და ვერცხლის 4 მონეტა; მეექვსეში—ოქროს 5 და ვერცხლის 16 მონეტა; მეშვიდეში—ოქროს 7 მონეტა; მეცხრეში—1 ოქროსი და 4 ვერცხლისა; მეთვრამეტეში—2 ვერცხლისა დარჩენილა.

მეორე ჯგუფის სამარხებში კი ჩვეულებრივ მონეტებში გვხვდება. ერთადერთი გამონაკლისია 43-ე სამარხი, სადაც აღმოჩენილია კონსტანტინის ოქროს მონეტა, რომელიც სამარხთა ამ ჯგუფის დათარიღების საფუძველს წარმოადგენს.

დიდი განსხვავება ინვენტარის მრავალფეროვნებაშიც ერისთავთა ინვენტარში წარმოდგენილია შემდეგი ჯგუფები: ერისთავთა ინსიგნიები (სახეობა სატყვრები, საბეჭდავი, სარტყელი, დიადემა); მონეტები; ვერცხლის ჭურჭელი (საღვინე სურები, ნაირ-ნაირი სასმისები, დეკორატიული ლანკარი, ჰინაკები და მათთან დაკავშირებული სეულბატურული გამოსახულებანი და სხვ.); მინის ჭურჭელი, მეტწილად:

სანელსაცხებლები; მრავალგვარი სამკაული (ქალის დიადემები, სამაჯურები, ეელსაკიდები, სამკაურები, საწვივე რგოლები, აბზინდები, საურეები, ბეჭდები, მძივები, საკიდები, კილიტები, საინიველები და სხვ.); მიცვალებულის სამუბლე გვირგვინები; თილისმა-ავგარონები; ცხენის აჯსმულობის ნაწილები (ლაგამი, ღეზები); სანათლე მოწობილობა, რკინისა და ვერცხლისა; წამოსასხმათა თუ ცსვლის საფარათა ოქროს შემკულობა; ფესხაძლის ნაშობი; რკინის დანის-პირები; სარკები და სხვა პირსაფარეო საგნები; თავსამკაულის ნაწილები და სხვ. რამდენამე ნივთზე წარწერებია.

სამარსთა მეორე ჯგუფში კი ინვენტარი თითქმის მსოლოდ სამკაულითა და ერთი საავგარონი ძილაკითაა წარმოდგენილი. თითქოს გამოხატულია ოქროს ერთი ბეჭედი, რომლის თვალზე პორტრეტი ამოკვეთილი, მაგრამ რადგან მას წარწერა არა აქვს, მწელია მისი მინსევა ინსიგნიად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარწერები გვსვდება ამ სამარსებში აღმოჩენილ ზოგიერთ სამკაულსედაც.

სამკაულთაგან ამ ჯგუფის სამარსებშია: ოქროს საურეები, მძივედი ეელსაბაძები, სამაჯურები (დასასრული და მძივედი), ბეჭდები; ვერცხლის ან ბრინჯაოს აბზინდები და რკინის მძივლდასკინები. აღსანიშნავია, რომ რკინის მძივლდასკინებში ერთსათაუთა სამარსებში, ისევე როგორც სამთავროს I—III სს. მდიდრულ სამარსებში, სრულიად არა გვსვდება და ეს გარემოებაც ამ ორი ჯგუფის სამარსთა ქრონოლოგიური სხვაობის მომასწავებელი უნდა იყოს. მაგრამ საესებით აშკარაა, რომ მეორე ჯგუფის სამარსები უშულოდ მოსდევს II—III საუკუნეთა ერთსათაუთა სამარსებს და არ შეიძლება ისინი IV საუკუნეს აქეთ გამოვითქანოთ. სნათა შორის, მეორე ჯგუფის სამარსთა სნოვანების ზედა სასლავის მიგვიერთებს გვიანდელი ნაგებობის კვლევა ნაშობიც, რომლებიც გადადიოდა მე-13 და მე-15 სამარსების თავსე. სამარსთა ამ ჯგუფის ასეთი სნოვანება უკეთ გამოჩნდება მათში აღმოჩენილი ინვენტარის გარსეისს.

სამარსთა პირველ ჯგუფში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი და მდიდრული ინვენტარი, ერთობლივ, წარმოგვიდგენს ახ. წ. II—III საუკუნეთა ქართლის მმართველი წრის—ერთსათაუთის ნივთიერ აუღადიდებას და მარსეებელია იმდროინდელი აღმოსავლურ-ქართული სამეფოს მალაღი კკონომიური და კულტურული დონისა, ერთი მხრივ, და გნვითარებული სასელმწიფოებრივი ცხოვრებისა, მეორე მხრივ. უკვე წერილობითი წყაროები მოწმობდს, რომ ეს სამეფო სიმძლავრით უტოლებოდა ბერძნულსავე სასელმწიფოს და ჩაბმული იყო, როგორც ფრიად ანკარიმკასწვეი მალა, იმდროინდელი მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობაში. კერძოდ, ცნობილი იყო იბერიის (ქართლის) მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა რომსა და პართიასთან. კავისსენობა, მაგალითად, თუნდაც იბერიის მეფეთა და რომის იმპერატორთა დიპლომატიური მეგობრობის, ურთიერთდასარსებების ფაქტები და სხვ.

ცნობილი იყო აგრეთვე იბერიის (ქართლის) მკიდრო ურთიერთობა წინა აზიის სხვა ქვეყნებთან (სირია, მცირე აზია და სხვ.) და მერმინდელი სამსრეთ-რსეთის მსარეებ-

თან (მაგი ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირები და ჩრდილო კავკასია).

ბუნებრივი უნდა ეოვლიყო ამიტომ, რომ უპირველეს ეოვლისა, ქართლის მმართველ წრეთა წარმომადგენლების სამარსეულ ინვენტარში შეკვსკვდროდა—მრავალრიცხოვანი, ნამდვილად ადგილობრივი ნაწარმის გვირგვით, ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ნივთიერი კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც თუნდაც დიპლომატიურ მოგზაურობათა შედეგად შეიძლებოდა მოსკვდრილიყო საქრთველოში, რომ არაფერი ითქვას სავაჭრო ურთიერთობასე, რასაც, შესაძლებელია, ზოგჯერ თან ახლდა უცხოელ ხელოსანთა შრომის გამოკენებაც. ამგვარი ურთიერთობის მანძილებელი ფაქტები გამოვლინა საერთოდ არქეოლოგიურმა აღმოსწენებმა ჩვენში. ამავე ადასტურებს არმაზისსევის მესართავთან გასრილი სამარსების ინვენტარი.

ამ უკანასკნელის არსებობა ნაწილს, „ბირთუს“ წარმოადგენს უმკვლესი ქართული ოქროსმკვდლობის ტრადიციებზე აღმოცენებული და ორგანულად განვითარებული ხელოვნების ნაწარმი. მაგრამ მის გვირგვით გამოცნობა უცხოური წარმომობის თუ უცხოური ნიმუშების მისეგვით ნაკეთობი, ერთი წეება ნივთებიც, ეს უშაკავრესად ვერცხლის ქრქველულის ნაწილს ესება, თუნდაც ოქროს ზოგიერთ სამკაულშიც არის უცხოური იერის მქონე დგობლები (თვლებზე ამოკვეთილ გამოსახულებათა ნაწილი).

პროფ. გ. ჩუბინაძე ილის ახრით, ერთსათაუთა სამარსებში აღმოჩენილი ნივთები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დიოვს: სახელგობრ, ოქროს სამკაულები მკვიდრი მოსახლეობის ფართო წრეების მსატრულ გემოვნებას გამოსატავს, სოლო ვერცხლეული უფრო რომელ-ელინისტური გემოვნების [76]. არმაზისსევის ერთსათაუთა სამარსებში აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლის ნივთების დანაწილება ორ ძირითად—ადგილობრივი და უცხოური წარმომობის—ჯგუფად ჯერ კიდევ ვერ ჩათვლება საბოლოოდ ჩამოუღიებულად და ეოვლმხრივ დასაბუებულად. ეს, ერთი მხრივ, იმის გამოა, რომ არ არის დასრულებული თითოეული სამარსისა თუ ცალკეული უმნიშვნელოვანესი ნივთის მონოგრაფიული შესწავლა და ჯერ კიდევ არაა გამოქვეყნებული ამ მეგლების სრული მსატრულ-სტილისტიკური ანალიზი, რომელიც არა მარტო გაარკვევდა ჩვენსათვის განსაკუთრებით საინტერესო თითოეული ნივთის დამსადების ადგილი, არამეც აგრეთვე დასახიათებდა იმ სკოლს, რომლის მსატრულ ტრადიციებს აქვდაუნეს ესა თუ ის ნაწარმი. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ საგანს, რომელიც არმაზისსევის მონაწივარში თითქოს უცხოდ გამოიუყრება, მინსდადამანც არ უნანს პირდაპირი ანალოგები ბერძნულ-რომაულ კულტურულ სამკარომი; ისინი უფრო ელინისტურ-აღმოსავლური კულტურისა და ხელოვნების წარეს უსხლოვდება, თუნდაც ზედასწენით ანალოგებს ზოგჯერ იქაც ვერ ვხვდეთ. ამიტომ ჩვენ მიერ ქვემოთ დასახელებული, უცხოური იერის მქონე ნივთების სია წინასწარულად და ნაწილობრივ პირობითად უნდა ჩათვალდს.

ერთსათაუთა სამარსეული ინვენტარიდან ასეთებდ შეიძლება მივიჩნიოთ:

1. ანარკის სარტულის ერთ-ერთ ოქროს ბალთაში ჩაკრული კამეზა, რომელიც თითქოს მენადს გამოსახავს (იხ. ჩვ. აღწ. № 2 დ). მსგავსი გამოსახულებანი ხშირია ბერძნულ-ელენისტურ სამეაროში. ისიც შესაძლებელია, რომ აღნიშნული კამეზა გამოკვეთილი იყოს ადგილობრივი სელოსის მიერ, საერთოდ გაერცელებული სიუვეტის მისეღვით.

2. ოქროს წნულ სამაჯურში ჩართული გემმა, რომელიც ათენა-პალადს გამოსატავს (ჩვ. აღწ. № 37, მეორე სამარსი) და რომლის დიდი თავისებურების შესახებ ჩვენ ზემოთ, მისი აღწერისას გვერდსავე საუბარი. იგი სწორედ ერთი იმ ნივთთაგანია, რომლებიც თითქოს უცხოურად გამოიყურებოდნენ, მაგრამ უშუალო პარალელს ვერსად პოულობენ. ასე რომ, შეიძლება ისიც უცხოეთიდან მომდინარე სიუვეტის მისეღვით ადგილობრივ ნაკეთობი იყოს.

3. ოქროს ბეჭდის გემმა (ჩვ. აღწ. № 56, მესამე სამარსი), რომელზედაც ალექსანდრე მაკედონელის პროფილი უნდა იყოს ამოკვეთილი, ქვისშრელი ჰლატონის მიერ. ამ ბოლო დროს გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჰლატონი ალბათ რომელიმე ადგილობრივ სასლონისში მოღვაწეობდა.

4. ოქროს ბეჭდის გემმა (ჩვ. აღწ. № 68, მეექვსე სამარსი), რომელიც ტასტზე მადამარე მამაკაც-ლუთაებს (პოსეიდონს? ზეუსს?) გამოსატავს.

5. ოქროს ბეჭდის თვალი, რომელზედაც აქტიონის დაღუპვის სცენაა ამოკვეთილი (ჩვ. აღწ. № 154, მეხუთე სამარსი).

6. ოქროს ბეჭდში ჩასმული ჰორელი ფური ბამოსასხულება (ჩვ. აღწ. № 153, მეხუთე სამარსი).

7. მიცეალეპულის სამუბლე გვირგვინები ანუ „სოირიები“ (ჩვ. აღწ. № 57, მესამე სამარსი და № 177, მეცხრე სამარსი), რომლებიც საერთოდ ფართოდ იყო გავრცელებული და გვეხდება 1—III სს. საქართველოშიც (სამთავრო, დ. მესეთა, ბორი).

8. ვერცხლის ჰინაკი, რომელშიც ანტიონის მედალიონია ჩაკრული (ჩვ. აღწ. № 12, პირველი სამარსი).

9. ვერცხლის ჰინაკი (ჩვ. აღწ. № 53, მეორე სამარსი), რომელიც, ზედ გამოსახული დიდაციისა და აგრეთვე ამონხელტილი წარწერის მიხედვით, უკვე სასანური ირანიდან მომდინარედ უნდა ჩაითვალოს.

10. ვერცხლის ჰინაკი, რომელშიც მამაკაცის ბიუსტია ჩაკრული (ჩვ. აღწ. № 119, მეექვსე სამარსი). ესეც ერთი იმ ნივთთაგანია, რომელთაც, როგორც აღვნიშნეთ, პირდაპირი ანალოგები არსად უჩანთ.

შეათხე საუკუნის მდიდრული სამარსების ინვენტარშიც გვეხვება თითო-ორჯერა ნივთი, რომლებიც შეიძლება წარმოშობით ამავე კატეგორიას ეკუთვნოდნენ. ასეთია, მაგალითად: ოქროს ბეჭდის თვალი, რომელიც გამოსატავს ქალის სახეს (ჩვ. აღწ. № 235, მე-40 სამარსი); ოქროს ბეჭდის თვალი, რომელზედაც მკურნალობის ღვთაების, ასკლეპიოსის პროფილი და ატიბეუტების გამოსახული (იხ. ჩვ. აღწ. № 269, 48-ე სამარსი).

როგორც ვხედავთ, უცხოური იერის მქონე სამაჯულთა შორის უმეტესობას გემები შეადგენს. მაგრამ გემები, ისევე როგორც მონეტები (უმთავრესად აგრეთვე უცხოური), წარ-

მოადგენს ნივთიერი კულტურის იმ ელემენტს, რომელსაც ეოველთის დიდი მოძრაობა ახასიათებს. განსაკუთრებით აშკარად შეიმჩნევა ეს ანტიკურ ხანაში, გამოიყრებულ-საერთაშორისო სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის შედეგად, რომელმაც მოიცვა მთელი ხმელთაშუა ზღვის მონაპირე და წინა ასიის ქვეყნები.

უცხოური იერის მქონე საგნებისა და მათ შორის გემების გამოჩნევა, როგორც ითქვა, არაა მათი აშკარა უცხოური წარმოშობის მანიჭებელი: საგნებით დასაშვებია, რომ ისინი დაშალბული იყოს ადგილობრივ სახელსწრებში. ანტიკურ სამეაროში გაერცელებულ სიუვეტთა მისეღვითა-ანიტომა, რომ, არდესად უცხოური იერის მქონე საგნებს გამოყოფოთ, რა თქმა უნდა, არ გველდისმხმთ მათს. მაინცდამაინც შემოტანას უცხო ქვეყნებიდან.

არმაზისხვეის მონაპოვარია შორის გამოირჩევა ვერცხლის ნივთთა ნაკლებ მრავალრიცხოვანი წყებაც, რომელიც გენეტურად უკავშირდება ბერძნულ-რომაული კულტურის ბეგლებს, მაგრამ საქართველო-კავკასიაში და მის მასლობელ ქვეყნებშიც გაერცელებული ჩანს. ასეთებია:

1. ვერცხლის საღვინე სურები¹ (ჩვ. აღწ. №№ 17 და 18, პირველი სამარსი; №№ 122 და 123, მეექვსე სამარსი; №№ 172 და 173, მეხუთე სამარსი), რომლებიც საერთოდ ფართოდ გაერცელებულ „ნოსთობს“ მოგვაგონებენ, მაგრამ ეოველთის არ მიერთებენ მთ და ადგილობრივ გარანტად უნდა ივენენ მიჩნეული. მეტ-ნაკლებად მსგავსი მოყვანილობის სურები აღმოჩენილია: ბორში, კლდეუთში, სტალინირში, ნიჩბისში და საქართველოს სხვა-ადგილებშიც.

2. ვერცხლის „აზარფემა“ (ჩვ. აღწ. № 121, მეექვსე სამარსი). საერთო მოყვანილობისა და ცხოველის თაეთი დაკვირვებები ტარის მისეღვით ის მოგვაგონებს იტალიასა და მავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე აღმოჩენილ ჭურჭლებს, მაგრამ მისი შემკულობის მოტივები ფართოდ გაერცელებული გველდინება როგორც ანტიკური დროის, ისე უფრო ადრინდელ საქართველოში. ეს განსაკუთრებით შეესება ვერძისთავისა და გაზის ფოთლის გამოსახულებას, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მისი ითქვა, ფარმაგანის გამოსახულების აღმოჩენის აგრეთვე არა ერთი შემთხვევაა დადასტურებული ჩვენში.

3. ვერცხლის ჰინაკი, რომელზედაც დაკრულია სიუხისიანწიანი ქალის პროფილი (ჩვ. აღწ. № 120, მეექვსე სამარსი). ეს ჭურჭელი, მთლიანად, თითქმის უბადლო ჩანს: როგორც აღწერისას ითქვა, მის მოპოვება პარალელი ალექსანდრული „აფრიკას“ სახით, მაგრამ ხელობის მხრივ არმაზისხვეური ცაცილებით უფრო მაღალ დონეზე დგას. დამასხაითებელია, რომ ჩვენ ჭურჭელზე სიუხის სიმბოლოს სახით წარმოდგენილია პურის თაეთავი. უკრმენი და გაშლი, და თით უანწივ ნამდვილი ჩვენებური ჯიხვის რქის ტიპისაა. მთელ გამოსახულებას ძალიან თავისებურ იერს აძლევს ქალის თავსაკაული. „აფრიკას“ თავ-

¹ ამ სურათა აღნიშნულების ასეთ განსაზღვრას მხარს უჭერს ერთ-მათგანზე ამოკვეთილი გამოსახულება მტკვებთან ვაზისა.

ზე ადგია გვირგვინი, რომელსაც მკვლევრები სპეციალი-
ზებულ თავსაბურავად, ქალაქ ალექსანდრიის ემბლემად მი-
იჩნევენ. არმაზისსევის ჰორელიფზე გამოსახულ ასლგაზრდა
ქალს კი თავზე ლენტე აქვს გადაჭერილი და შთელი ეს
გამოსახულება ნორჩი, უბერებელი, უხვი ბუნების სიმბოლოდ
შეიძლება ჩაითვალოს.

4. სარცელის ფესთა გერცხლის გარსაკრავ-
ები (ჩე. აღწ. № 25, პირველი სამარხი; № 73, მესამე
სამარხი; №№ 125, 126, მეექვსე სამარხი), რომლებიც უმთავ-
რესად საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული და
რომელთაც სხვაგან თითო-ოროლად ჰარალებული თუ მოუპო-
ვება. ისიც ნიშანდობლივია, რომ საქართველოში აღრი-
ცულ შემდგომ შემთხვევაში ესედათ სარცელის ფესთა
მსატერული გაფორმების თვალსაჩინო ვარიანტებს, რაც
იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეს თუმა ჩვენში იმ დროს შედმი-
წევნი შინაური, ჩვეული და კარგად დამუშავებული ეოფი-
ლა¹. ამიტომაც, რომ მათ შემადგენლობაში მკაფიოდ
იგრძნობა ადგილობრივი სახეობის სელოფენისათვის ესო-
დენ დამასასიათებელი მსატერული მოტივები.

ფორმებისა თუ დამსადების ტექნიკის თითო-ოროლა
მეორესანისხვანაი ელემენტი ოქროს ნივთებშიც შემოქმე-
და, რომელიც რამდენადაც მოგვაგონებს სხვა ქვეყნებში და,
უპირველეს ეოფლისა, ბოსფორის ტერიტორიაზე გავრცელებ-
ულ სამკაულებს. ასეთ ელემენტება შეიძლება ჩაითვალოს:
ამ სამარხეული ინვენტარის უმეტესი ტიპის ბეჭდებისათვის
დამასასიათებელი თავწაკეთილობა და თვალბუდის რკალ-
შივე ამოჭრილობა; მოზარდებისათვის განკუთვნილ სამა-
ჯურთა ბოლოების ერთიმეორეზე გადასეულობა; ზოგიერთი
სამკაულის ჩამოსაკიდი მეჭყვების „დაწვის“ სერხი და სხვ.
არმაზისსევის ერთითათა სამარხეული ინვენტარის ეს
ორი კატეგორია, გარდა ვერცხლის ორივე დეკორატიული
ჭურჭლისა, არ წარმოადგენს, არც თავისი სვედრითი წონითა
და არც მსატერული ღირსებით, მანცადამანც არსებითსა
და უმნიშვნელოვანეს ნაწილს საერთოდ ერისთავთა სამარ-
ხებში აღმოჩენილი ინვენტარისა.

ანტიკური ხანის ქართული სელოფენების მკაფიო სა-
ხეს წარმოაჩენს არმაზისსევის ერისთავთა სამარხებში ნა-
პოვნი ოქროს სამკაულის არსებითი უმეტესობა და ვერცხ-
ლის ნივთების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ მხრივ, უპირ-
ველეს ეოფლისა, თვალში გვეცემა ოქროს სამკაულის მსატ-
რული გაფორმების დიდი სტილისტური ერთიანობა, მესა-
მებული დაუმრეტელ მრავალფეროვნებასთან და უტკეურ
გემოვნებასთან. ჩვენ წინაშე სურათი მკვიდრ ნიადაგზე
გერგანულად განვითარებული და დახვეწილი სელოფენებისა,
რომელიც საესებით შეესაბამება ქართული ოქრომჭედლობის
ძველ ტრადიციებს. ეს გარემოება იმთავითვე ხაზგასმით აღ-
ნიშნა გ. ჩუბინაშვილმა [3].

ამნაირად, არმაზისსევის ერისთავთა სამარხებში აღმო-
ჩენილი, მეტრელად ბრწყინვალე ნივთები წარმოადგენს ან-

ტიკურს, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს ქართული ოქ-
რომჭედური სელოფენის მრავალსაუკუნოვანი განვითარე-
ბის ჯაჭვში. ამ სელოფენის მკაფიო სახე, როგორც ბოლო-
დროინდელი არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებს, უკვე
მე. წ. II ათასწლეულის შუა ხანებშია გამონაკვეთილი და მას
იმთავითვე უნახვითი სამიგლო ნივთიერი ბაზა — ოქროს
შემცველი მდინარეული ქვიობები — ასახრდობდა საქარ-
თელოს სხვადასხვა კუთხეში. მადნეული ოქროს სიუხვსა და
ოქრომჭედლობის ხანგრძლივ ტრადიციის უნდა მიეწეროს
ის გარემოება, რომ როგორც შემთხვევითი აღმოჩენები, ისე
სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოს
მიწაწყალზე უხვად აჩვენს ადგილობრივი ოქრომჭედლობის
ნაირ-ნაირ ნაწარმს, მათ შორის სძირად შედევრებას. მაგ-
რამ არმაზისსევის ინვენტარს ამ ნაწარმში განსაკუთრებუ-
ლი ადგილი უჭირავს, იმის გამო, რომ ის ეველაზე უფრო
მრავალფეროვანია, კარგად დოკუმენტირებულია და ამიტომ
ჩვენს კულტურის ერთ-ერთი პირველსარისხოვან მებედად
გვევლინება.

ჩვენ მიერ შემოთ საქმოდ დაწერილებით აღწერილ
ამკვარ ნივთებთან განსაკუთრებით გამოირჩევა შემდეგი უმთავ-
რესი ჯგუფები: სახეიშო იარაღის შემკელობა (ასპარევის
სატყვისი ქარქაძის გარსაკრავი და ბერუსშას სატყვისი ტარი);
საერისთავო სარტყლის აბზინდა და ბალთები, რომელთა
ნაწილი იმავე დროს პირველსარისხოვან გეშა-კაშაყა
ბუდეებს წარმოადგენს; კაცისა და ქალის დიადემები; წამო-
სასამის შესანბვეი აბზინდები; როული აღნაკობის ექლსა-
კიგები თუ გულსაკიგები; მძიველი ექლსაბაშები; ბუჭაები
(მათ შორის საერისთავო საბუჭაები); მრგვალი რკალოვანი
და ბრტეული დასასრული სამაჯურები; საყურეები — მათ
შორის ბრტეული, სხივანა და მეტრელად კი რკალოვან-
დეროვანი; ოქროსა და მინაქრისანი ბრინჯაოს მკალოვან-
ონები; ოქროს საკიგები, ავგაროხები და საავგაროხე კოლო-
ფები; წამოსასამაშეზე, თავსაბურავებზე თუ თავსამკაულ-
ზე დასაყრებული ვარდულები, კილიტები, მოწკარუნე საკი-
დები, დილაკები და მათივე მოსაქარგავი ოქრომჭედი; ვერ-
ცხლის აბზინდები, დუგები, ღაგამი; ბრინჯაოს დეშები;
ვერცხლის დიდი დეკორატიული ღანკარი, ნაირ-ნაირი პი-
ნაკები და მსგავსი მომცრო ჭურჭლები; პირსაფარებო მოწყო-
ბილობა; ვერცხლისა და ბრინჯაოს სარკეები, აქატის ღამბა-
ქი, ოქროს „საწურავი“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ჯგუფში შედის არმაზისსე-
ვის სამარხებში აღმოჩენილი ის ნივთები, რომლებიც შეიძლე-
ბა ჩაითვალოს ძველი ქართული ოქრომჭედლობის შედევრებად.
მათგან ზოგი უნიკალური ან თითქმის უნიკალურია. პირ-
ველ სამარხში ასეაობი: ასპარეგ ერისთავის პორ-
ტრეტული გამოსახულება, სევახისა და კარპაკის პორტრე-
ტული გამოსახულება, საერისთავო სარტყლისა და დიადე-
მის ბალთები, მინაქრისანი მებედალინი სატყვისი ქარქაძის
გარსაკრავზე, მძიველი; მეორე სამარხში — სამაჯური და
გულსაკიდი, განსაკუთრებით კი მისი კაშა; მესამე სა-
მარხში — სატყვისი ტარი, ვერცხლის დიდი ღანკარი,
ცხენიანი და ორბინი პინაკები (კერძოდ, ცხენიანი პინაკთა
კალთების შემკელობის ჰარალებები მოწმობს, როგორც სე-

¹ ამასთან დაკავშირებით უფოდ გასათვალისწინებელია ქსენო-
ფონტის ცნობა, რომლის მიხედვითაც მოწმდება ვერცხლის დეშების ან
სარცელთა არსებობა კარდუბის წარჩინებულთა წრეში, ძვ. წ. V ს.
კახულს [355, IV—V, § 21].

მთი ვნახეთ, ჩვენში ჭურჭლის ზედპირის ამკვარად დაღარვის შეული მკვიდრი ტრადიციების არსებობას და აგრეთვე ფართო გავრცელებულობას გვიანანტიკურ ხანაში). მეექვსე სე-
მარსში —ჭურჭული ევლსაკიდი, რკალოვანი მოთავალული
სამაჯურები, საუერები, ტახის გამოსახულება; მეშვიდე
სე მარსში — გერმინთავიანი ევლსაკიდი, წმინსასმის
აბზინდები, სამაჯურები, საუერები, მრავალრიცხოვანი მო-
თავალული ვარდულები.

შესანიშნავია აგრეთვე შემდეგი ნივთები: ოქროს
თავსაქული, რომელშიც აქტის დიდი მრგვალი ფირფიტა
ჩასმული (მე-7 სამარისი), აქტის ლამპი (მე-8 სამარისი),
ოქროს მედლიანი (იქვე), ბრინჯაოს მინასქირანი მედლი-
ონი, სარტყრის ქარქაძის ოქროს გარსკარავი (პირველი სე-
მარისი) და ბრინჯაოს დეშები (მე-8 სამარისი).

IV საუკუნის მდიდრული სამარსების ინვენტარიდან
ასეთებად უნდა ჩათვალოს: ტისრულმინასქირანი ბეჭედი
(მე-13 სამარისი), ბრტყელი მოთავალული საუერები (მე-19
სამარისი), მძივედი ევლსახამი (იქვე), ზღმეცელებანი დიდი
ბეჭედი (იქვე), ბრტყელი დხასსრული სამაჯურები (მე-40
და 43-ე სამარსები), რკალმოთავალული ბეჭედი (მე-40 სე-
მარსი).

ზემოჩამოთვლილი ოქროს ნივთების დიდი უმეტესობა
(წერილი კილიტებისა და საკიდების გარდა) მოოჭვილია
პატონის თვლებით ან, შედარებით იშვიათად, ფერადი
მინისა თუ ჰასტის ფირფიტებით. ეს არის არმაზისევერი
ოქრომედიური ნაწარმის ძირითადი და ფრადი დამასსი-
ათებული ნიშანი, ე. წ. პოლიქრომა, რასაც, ჩვენთვის ცნო-
ბილი ნაწარმის მიხედვით, საწინისი თრიალეთის, მ. წ. II
ათასწლეულის ნივთები აქვს და რაც მაკოფიდი გამოყოფს
ანტიკური ხანის ქართული ოქრომედილობის ნიმუშებს ბერ-
სხვა ქვეყანაში აღმოჩენილი, იმავალი ნაწარმისგან და
უფრო გვიანაც გვევლინება ქართული ოქრომედილობის
არსებით დამასსიათებულ მომენტად.

ოქროს მზინავ ზედპირზე ნაირფერადი ქვების ჩასმა-
მორგებისა და შესამების ოსტატობა აქ ფრად მალად დონე-
ზე აუვინილი და, მაგალითად, თრიალეთის პოლიქრომულ
ნივთებთან შედარებით, გაცილებით უფრო დიფერენცირე-
ბულია. საამისოდ აქ გამოყენებულა ოციოდე შვირფასი თუ
სახეურად შვირფასი ფერადი მინერალი: წითელი გრა-
ნატი (აღმანდინი — ლალის ერთ-ერთი სასეობა), რომე-
ლიც რიცხობრივ ევლას ჰარობობს და გვხვდება თითქმის
ევლას ტიპის სამაქლი — ბეჭდებში, აბზინდებში, სამაჯუ-
რებში, საუერებში, ჭურჭული ევლსაკიდზე, სარტყრის ტარზე,
დიადებში და ა. შ. ეს გვსაკვირვებს, ვინაიდან, როგორც
არმაზისხევის მრავალრიცხოვანი მასალა გვარწმუნებს, ალ-
მანდინის შესამება ოქროსთან ევლასზე უფრო ეფექტურია.
აგრეთვე დიდ ეფექტს იძლევა ოქროსთან ფირუხის შე-
სამება და ჩვენ სამაქალთა მორთულობაში მას რიცხობრივ
კიდევანს უჭირავს მორთუ ადგილი. ჩვეულებრივ იგი აღმან-
დინთან მოხდენილად შეთავსებულა სოლმე (ასპარეგის დია-
დემა, მძივები და სარტყლის ბალთები; ჭურჭული ევლსა-
კიდის კოლოფი; გერმინთავიანი ევლსაკიდის კოლოფი და
სანელსაცებლები; წამოსასმის შესანევი აბზინდები და

სხვ.). ამეთეიტოც მშენიერად ესამება ოქროს, მაგრამ
აქ შედარებით ნაკლებ არის წარმოდგენილი (ევლსაკიდის ვერ-
მისთავი; ბეჭდის თვლი, რომელზედაც აქტონია გამოსა-
ხული; მეექვსე სამარსის ოქროს ერთ-ერთი ბეჭდის თვლი).
ევლსაკიდი ჩასმული ვერმისთავის გამოსაკეთად შერჩეული
ამეთეიტოც ევლასზე უფრო დიდი ოქროს სამაქალეში ჩა-
თვლ თვალთაც და სანაც ლამაზი, მუქი იისფერია, რაც,
გამოშვების ფაქიზ ოსტატობასთან ერთად, ერთ-ერთ უღამა-
ზეს ნივთად აქვებს მას. სარდინი მტყწილად ბეჭდის თვლე-
ბად არის გამოყენებული (მაგ., ასპარეგის ბეჭდის თვლი,
რომელზედაც მინი პორტრეტი; კამეა ასპარეგის სარტყ-
ლის ბალთთან და სხვ.). გარდა პოლიქრომული ლირებუ-
ლებისა, სარდინი გამოსახულებათა და წარწერათა ამო-
კვეთისათვის ხელსაყრელ მასალად არის მიჩნეული. სამსამ-
კულში გამოყენებულა ნეფრიტი თვლები (მეორე სე-
მარისის წული სამაჯურის მედლიონში, შესამე სამარსის ბეჭე-
დში) და მეექვსე სამარსის ერთ-ერთ ბეჭედში). სამეცე შემ-
თხვევაში ზედ გვემეზია ამოკვეთილი. გამჭვირვალე პატონის
თვალთაც წარმოდგენილია: ზურმუხტი (ასპარეგის ოქროს
მძივებში და მეშვიდე სამარსის ორ ბეჭედში), სოფირონი
(მეშვიდე სამარსის ერთ-ერთ ბეჭედში, მეექვსე სამარსის
ცალკეულ თვლებში), ალმასი (მეექვსე სამარსის ერთ-ერთ
ბეჭედში) და ერთ შემთხვევაში თითქმის ბერილი, სოლო
მეორეში აქვამარინი (მეექვსე სამარსში). კვარცის ჯგუ-
ფის მინერალებიდან გამოყენებულა: მთიბროლი, აქა-
ტი, ქალცედიონი, ოპალი და ონიქსი. თითო-ორო-
ლა შემთხვევაში გვქვს მალაქიტი და ლავკარდიც.

სამაოდ დიდი ხვედრითი წონა ჰასტისა და მი-
ნისაგან დამზადებული ფირფიტების თუ ცალკეული
წერილი ეფემენტებისა, რომლებიც ზოგ შემთხვევაში (მეშ-
ვიდე სამარსის ერთი წვილი საუერე) აღმანდინს ენაცე-
ლება, სოლო ზოგან ფირუხისფერი ფირფიტების სახითა
წარმოდგენილი (მაგ., ასპარეგის სარტყრის ქარქაძის გარსა-
რავზე). გვხვდება ისინი აგრეთვე ბეჭდის სადა თვლების და
საუერეთა ლერაკებზე აცემული მძივების სახით. ერთ-ერთ
გვიანდელ სამარსში (ან 43) მინა ორთული რკალთებრი მძივ-
ბის შემადგენლობაში შედის, ოქროსთან ერთად.

თავისებურია ამ სამაქალეებში მარგალიტის მონა-
წილეობა. დანამდევლებით შეკვილია კოქეთ, რომ მარგა-
ლიტი აქ, ისევე როგორც სამთარობი, გვიან ჩნდება და
თითქმის მსოლოდ საუერებზე ასმული მძივების სახით
არის წარმოდგენილი, თუმცა არის აგრეთვე — ერთადერთი —
შემთხვევა, როდესაც იგი ბეჭდის თვლი წარმოდგენს. მარ-
გალიტი პირველად ჩნდება III საუკუნის მე-2 ნახევრის კუთ-
ვნილ მეორე სამარსში.

ყოველი თვლი, მიუხედავად ზომისა, მოყვანილო-
ბისა და დანიშნულებისა, კარგად არის გათლილი. დანიშ-
ნულების შესამამისად მათი მოყვანილობაც ფრად მრავალ-
ფეროვანია. ბეჭდებში ჩასმულია მტყწილად ოვალური —
ბრტყელი, ფირფიტოვანი ან მტყწილად ამობურცული
თვლები. გვხვდება აგრეთვე მრგვალი, რომელიც და სხვა
მოყვანილობისა; ერთ გამონაკლისს წარმოადგენს სწორე-

¹ ამ ბეჭდის თვალს ზოგი პრაზმად მიიჩნევს [333].

ოსოვანი, ღარისებრ გათლილი თვალი. ერთ შემოსევებაში ოთხი გულისებრი ფირფიტისაგან შედგენილი თვალიცა გვაქვს. თითო-ორთა შემოსევებაში თვლები გამოთლილია კონუსის ან პირამიდის სახითაც. რკალზე დარჩილულ, დამატებით თვლებს შორის ესვდებით მრგვალ, ლუგის ფოთლისებრ და სწორკუთხა თვლებს. რაც შეეხება საუერეებს, მათ შორის თვლებში მხოლოდ ისინია შემკული, რომლებიც ბრტყელ ნაწილებს შეიცავენ. აქ ისინი გულისებრი, ოვალური ან სწორკუთხოვანი მოკვანდილობისა; ბრტყელი, ამობურცული, ღარისებრი და სოკავრ რთულ-რელიეფურიც. დეროვან-რვოლოვანი საუერეები შემკულია ღეროზე წაშობული მძივებით.

რკალოვან სამაჯურებზე გვაქვს მოხრდილი, ოვალური, ამობურცული თვლები; ბრტყელსა და დასასრულზე კი აღმანდინის სწორკუთხოვანი ღარისებრი ფირფიტები და მალაქიტისა და ლავარდის, გულისებრი და სხვა სახოვანი ფირფიტები.

ასპარუგ ერისთავის ხარტულის ბაღთებში და დიადემამი ჩანმულ თვლებს შორის მოკვანდილობის მხრივ მრავალფეროვანებას გვხვავთ: შუალა თვლები ოვალური, სამკბილა ან ნუშისებრია, ირგვლივ კი ოვალური ან ნუშისებრი. ქალთა დიადემები ამ მხრივ ძალიან ერთფეროვანია: ისინი აღმანდინის ოვალური, ბრტყელი ან ამობურცული თვლებითაა შემკული.

ჭვირული ექლსაკიდის კოლოფის თავს ნუშისებრი, ამობურცული თვლები ამშვენებს (შუალა თვალი აკლია, მაგრამ ჩანს, რომ მრგვალი უნდა ეოფილიყო), რკალები კი მოთავსილია ოვალური ან მომრგვალო, ამობურცული ან წვეტიანი, კონუსური თუ პირამიდული თვლებით. ვერძისთავიანი ექლსაკიდის კოლოფის სახურავზე გვაქვს ოვალური, სწორკუთხოვანი და ნუშისებრი თვლები; მუწკვის ბოლოებზე—სწორკუთხოვანი, სოლო სანელსაცხებელს—კონუსური თვლები.

ასპარუგის სატყერის ქარქამის გარსაყრავზე თვლები ოვალური და სწორკუთხოვანია, ბერსუმას სატყერის ტარზე კი ოვალური, სწორკუთხოვანი და რომბული.

მეორე სამარსის ექლსაკიდის მედალიონში ოვალური კამეა ზის, სოლო მის ირგვლივ ტრაპეციის მოკვანდილობის ღარისებრი ქვება.

რაც არ უნდა მრავალფეროვანი იყოს, მოკვანდილობით, რთულ სამაჯურთა თვლები, ისინი ამ მხრივაც, ისევე როგორც ფერებით, შნთანადაა ერთიმეორეზე მორგებულ-შესამებული და მაკურბლის თვალისათვის აუცილებელი სიმეტრიული განლაგება ეოველთვის დაცულია. ოსტატები არ ზრუნავენ სიმეტრიაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მრავალრიცხოვანი წვრილი თვლები, მაგრამ ეს მომენტი იქ სრულად არ აღიქმის, როგორც რაიმე ნაკლი (მაგ., ჭვირული ექლსაბამის რკალები).

თვლების მოკვანდილობისა და გამოთლის წესის მხრივაც შეინიშნება ერთგვარი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. მხოლოდ გვიანდელ სამარსებში ჩნდება (კვლავ III ს. მეორე ნახევრიდან, მარგალიტთან ერთად) აღმანდინის ოთხკუთხოვანი, ღარისებრ გამოთლილი ფირფიტები, რომელ-

თაც მედალიონის არძის შესამკობად, ბეჭდის თვლად ბრტყელ საუერეთა და ბრტყელ სამაჯურთა შესამკობად იყენებენ.


ბოლიქრომული ეფექტის გასამდიერებლად ამ სამკაულთა გაქვეთებული ოსტატები ერთ საუერადღებო სერის მიმართავენ: აღმანდინის თვლებს ქვევიდან ხშირად უფენენ ოქროს ოსეგლ ფირფიტას, რომელიც თვალთა კიბის ამდიერებს.

შემთხვევით ჩამოთვლილი თვლები უშიქრეს შემოსევებაში ჩანმულია ბუდეებში და მოთავსებულია სამკაულთა ბრტყელ ან მორკალულ ზედაპირზე. ისინი ამ ზედაპირზე ან უშუალოდ ამოჭრილი, ან ზედ დარჩილული არიან. ნაპირები მათ მეტწილად შემადგენელი აქვთ, თუკა გვეხვება თავსწორი ბუდეებიც. შემწივრია, რომ ნაპირებსა და ბუდეებს შორის თვლებდები უურო ბეჭედი სამარსებიდან მომდინარე სამკაულებს, მეტწილად კი ბეჭდებს ასახაითებს. იგივე თქმის ბურსუმას სატყერის ტარისა, ქალთა დიადემებისა და მუწკვე და შეშვიკე სამარსთა რთული საუერების შემადგენელი, ზედა ოვალური ბუდეების შესახებ. III საუერის შექმნასვერიდან კი ერცვლდება ბეჭდები, რომელთაც თვალბეჭდები დარჩილული აქვთ რკალის ბოლოებზე ან სათანადო სინბრტყეზე.

ბუდეები გვხვავა როგორც რთულ სამკაულთა შემადგენელი ელემენტების, ისე დამოუკიდებელი ერთეულების სახით. უკანასკნელ შემოსევებაში სამკაული რამდენიმე ცალკე ბუდის შეერთების გზით არის მიკვებული (მაგ., ქალთა დიადემები) ან წარმოადგენს დამოუკიდებელ საკიდს (მაგ., მთისბროლის საკიდები, რომლებიც ოქროს სალტებშია ჩანმული; სხვათა შორის, ეს არის ერთადერთი შემოსევება, როდესაც ოქროსთან შესამებელი თვლები სრულად არ არის გათლილი, ბუნებრივი კესქვია).

თვლიანი ბუდეების დანაშნულებას მეტწილად წარმოადგენს ცარიელი არეების შექმნა და შეშობა, რაც საუერეთს სარბიელს ქმნის ბოლიქრომული ოსტატობის გასაშლელად. მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ არამასისსეის მდიდრული სამარსული ინვენტარის უმშვენიერესი ნივთები, როგორიცაა: ასპარუგ ერისთავის ხარტულის ბაღთები, დიადემა და მძივები; ბერსუმა ერისთავის სატყერის ტარი; მეექვსე სამარსის ჭვირული ექლსაკიდი, სამაჯურები, საუერები და მედალიონი; მუხვიღ სამარსის ეგრანთავიანი ექლსაკიდი, წამოსასამის აბრისგები, სამაჯურები, საუერები; მესცრამეტე სამარსის ბრტყელი საუერები; მეორემდე სამარსის ბრტყელი სამაჯურები და სხვა.

ბოლიქრომის თავისებურსა და საინტერესო სასეს წარმოადგენს მინაქარი, რომლის უქველესი ნიმუშები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ტიხროვანი მინაქარის საწყის ფორმები მოგვცა არამასისსეის, II ს. მდიდრულმა სამარსებმა (ასპარუგ ერისთავის სატყერის ქარქამის გარსარავის ბოლოზე მოთავსებული მედალიონი, რომელიც გამოსატავს ცხოველის თავს). არა ნაკლებ ფაქიზია მე-13 სამარსში (IV ს.) ნაპონი ოქროს პატარა ბეჭდის თვალი, რომელშიც მორუსო, ოქროთი დატისრული მინაქარია ჩანმული. რთული ეკვოლოვან-გეომეტრიული სახეებია გამოთლილი,



მოცისფრო, აკურისფერი და რუხი მასით, პრინჯაოს ბალ-
თაზე, რომელიც ასპარტე ერისთავისავე სამარხში აღმოჩნდა.
აღსანიშნავია, რომ, დამზადების ტექნიკის გარდა, ეს სამი
სამკაული ფერების გამოთვლ მკვეთრად განსხვავდება ზემოთ
აღწერილი, მოთვალული ოქროს ნივთებისაგან.

ნაირფერადი თევზებით შემოვლილ და ჰასტით თუ მინით
ამოვსებული ბუდეების სმირად გაკეთდა ისეთი აქვითავე მოთვალულ-
ლი. ამ მხრივ გამოხატულების წარმოადგენს სწორედ ის სამკა-
ულები, რომელთაც ნაპირმეთქვალელები თვალბუდეები აქვთ
(ამოჭრილთვალბუდეინი ბუდეები, ბერსუშას სატყერის ტიპი,
ქალთა დიადემები) და აგრეთვე რკალოვანი სამაჯურები და
სამკაულიები. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს: როგორც ჩანს,
გავარსის ერთ-ერთი დანიშნულება იყო ზედღებულად ეგვი-
პტული ელემენტების დარიღვის კვალის შენიღბვა.

ჩამოთვლილი უგავარსო ბუდეები, სამაჯურები და ქალ-
თა დიადემები აქ სამკაულის ამ ტიპების უმკველესი ნიმუ-
შებია. მათ თანამედროვე სხვა სამკაულებში გავარსი გამო-
ყენებულია (ასპარტე ერთისთვის დიადემა, სარტელის ბალ-
თები და მძივები; მეექვსე სამარხის ევლსაჰიდი; მეშვიდე
სამარხის ევლსაჰიდი, წამოსასხამის აბზინდები და სხვ.)
ბუდეებში გავარსის გამოყენება იწყება მოგვიანებით, დას-
ლოებით აგრეთვე მესამე საუკუნიდან, ხოლო სამაჯურებზე
მას სრულიად ვერ ვხვდებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მეტ-ნაკლებად წერილი მარცვლე-
ბისაგან შედგენილი ნამდვილი გავარსის (ასპარტის სარტე-
ლის სწორკუთხედიანი ბალთები, წამოსასხამის შესახვევი
აბზინდები, მეექვსე სამარხის ევლსაჰიდი და სხვ.) გვერდით
გვეხვდება გავარსის ერთგვარი იმიტაციაც—წერილად დაკეცი-
ლი ოქროს მავთული (ვერძისთავიანი ევლსაჰიდი, ასპარტის
სარტელის მრგვალი ბალთები, მისივე დიადემის დიდრონი
ბალთები, მისივე მძივები და სხვ.). დაკეცილ-მავთულ-
ვანი სამკაულის ერთ-ერთი სასეობა ასპარტის სარტელის
ოთხკუთხა ბალთებზე დარჩილული „სუნური“ სხივები. იქვე
ვხვდებით ნაპირების შესამოკლად გამოყენებულ, მავთულ-
ვან წნულ არძებს. მავთულვანი წნული გამოყენებულია
აგრეთვე ვერძისთავიანი ევლსაჰიდის წანელსაცხების სარქ-
ველის შესამოკლად. დაკეცილი მავთულვანი გამოყენებული
ბუდეების მოსაგავარსებლადაც.

გავარსისა და წნულის უხვად გამოყენება ქართულ ოქ-
რომბედლისა უმკველესი დროიდანვე მოსდგამს. ამის საუკე-
თესო ილუსტრაციას წარმოადგენს: თრიალეთის, მე. წ. II
ათასწლეულის უორდანებში აღმოჩენილი ოქროს სახმისი,
თავბურთულა საკინძები, ევლსაჰის მძივები და ვერცხლის
სარწყელი; ახალგორის ცხენთა ფიგურები და ოქროს დიდ-
რონი მრგვალი ფირფიტები; ვანის, ეახბეგის, თაგილო-
ნისა და ნონორის ნივთები. გავარსიც და წნულებიც ფერად
თვლებთან ერთად, ნივთების მკაფიო-კოლორიტული შემკო-
ბის ნაცადი სამუალებად ძველ ქართულ ოქრომბედლობაში.

არმაზისსევის შესართავთან აღმოჩენილ მდიდრულ
სამარხთა ინვენტარი ოქრომბედლური ტექნიკის
თვალსაზრისითაც მეტად საუკრადოდ გამოდგა. ამ მხრივ
მნიშვნელოვანია როგორც ოქროს ჰოლიქრომული სამკა-

ული, ისე გერცხლის ჰურელები. ამ ორი მკერფის ლითონი-
საგან ნაკლები საგნები ტექნიკის მხრივ იმდენად თავისებუ-
რია და ერთმორისაგან განსხვავებული, რომ მათ შესახებ
ცლ-ცალკე უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა.

ოქროს სამკაული ჩვეულებრივ რთული აკვებუ-
ლებისაა. გავისხნოთ, მაგალითად: ასპარტის სარტელის
ბალთები, დიადემა, მძივები; მთავრ სამარხის ევლსაჰიდი და
სამაჯური; ბერსუშას სატყერის ტარი; მეექვსე სამარხის
ჰვირული ევლსაჰიდი (ეველაზე რთული აკვებულების ნივთი
არმაზისსევის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილია შორის),
საწვივე რკალები და საურეები, ტასის გამოსახულება;
მეშვიდე სამარხის ვერძისთავიანი ევლსაჰიდი, წამოსასხამის
შესახვევი აბზინდები, საურეები და მეგალიონი; მეცამეტე
სამარხის მინაქრიანი ბუდეები; მეცამეტე სამარხის ორი
წველი საურე და მძივი ევლსაჰიდი; შორისოცე და ორ-
მოდამამამე სამარხების ბრტყელი, დასასრული სამაჯურები
და სხვა. დამზადების მხრივ უფრო მარტივი ჩანს, ჩამოთ-
ვლილებთან შედარებით, მათთან ერთად აღმოჩენილი რამდენ-
იმე ბუდეები, ერთი წყება საურეები და რამდენიმე სამა-
ჯური (მაგ., ჰირველი, მეექვსე და მეცხრე სამარხების),
ასპარტის საურისთავო სარტელის აბზინდ და სხვ. რთუ-
ლი ოქრომბედლური ტექნიკის შესახებ წარმოადგენს ჰირ-
ველი შეუფერისანავე გაპალებს განსახილველი ნივთების ჰო-
ლიქრომია. ამიტომ აღსანიშნავი სიროფის შესახებ მეტ-
ნაკლები მთაბუქვლიება უნდა შექმნილიყო უკვე ზემოთ,
სადაც არმაზისსევის მდიდრულ სამარხთა ნივთების ნაირ-
ფეროვნება, ჰოლიქრომია დაჯახისათვის. ამ მთაბუქვლიებას
აძლიერებს ნივთების დამზადების ტექნიკის სხვადასხვა ე-
ტალები გასწვრივ.

ოქროს ნივთების უმეტესობა ნაირ-ნაირი მოყვანილო-
ბის რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ეველაზე მეტი რა-
ოდენობითაა გამოყენებული ოქროს თხელი ფირფიტები.
გვეხვდება მეტისმეტად თხელი, სიფრფიანა ფურცლებიც,
მ. წ. „ფოლაგა“ (მაგ., თავსწორი ბუდეების თვლები ქვემ
აღმოჩენილი ფურცლები, მეექვსე სამარხის ერთ-ერთ საუკე-
როზე კოლოფში ნაპოვნი წარწერიანი ფურცლები). სქელი
ფურცლებია გამოყენებული ასპარტის სარტელის ბალთ-
ბის, ეველა დიადემის, მეექვსე სამარხის ჰვირული ევლსაჰი-
დის კოლოფის, მეშვიდე სამარხის ევლსაჰიდის კოლოფისა
და სანელსაცხების, წამოსასხამის შესახვევი აბზინდის, მე-
ორსოცე და ორმოდამამამე სამარხის ბრტყელი დასასრული
სამაჯურების, ბუდეება ერთი წყების, მეცამეტე სამარხის
ბრტყელ საურეთა და სხვა სამკაულის დასამზადებლად.
უფრო სქელი ფურცლისაგანაა გამოქველი, მაგ., ასპარტის
სატყერის ქარქაბის გარსარავი. ეველაზე სქელი ფურცელი,
უკვე ბრტყელი ნაჭრება გამოყენებული, მაგ., ასპარტის
დიადემის აბზინდისა და შესახვევი ენის გასაკეთებლად. მეტ-
ნაკლები სისქის ფურცლებია გამოყენებული თვალბუდეების
დასამზადებლად და კილიტების მოსაქრულად. სულ თხელ,
სიფრფიანა ფურცლებს ვხვდებით ტისროვანი მინაქრის ნი-
მუშებში (ჰირველი და მეცამეტე სამარხები).

სხვადასხვაგვარია ოქროს ფირფიტათა გამოყენებაც. გა-
მორკვეულია, რომ სამკაულთა განსაკუთრებულ მეტრილად

ოქროს ერთ ფურცელს იყენებდნენ. ასეთ შემთხვევაში საგნის ზედპირი წარმოდგენა გამოსაჩენ სიბრტყეს, რომლის შემკობა და მოთავსება იყო ოქრომჭედლის პირითადა მიზანი. ამ ზედპირზე ამოკრილი ან დარჩილული სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის, ზოგჯერ მოგავარსებული ბუდეები ნარწყვრადი თვლებითაი; ეს ზედპირის მორთული სხვადასხვაგვარი სამკაული. ზურგის მხარეზე შეიმჩნევა ზედპირზე დარჩილული დეტალების მტ-ნაგლებად მკაფიო ანაბუტები. იგი წარმოადგენს სიბრტყეს, რომელზედაც სამსკვლები ან უენწყობა დაზარებულნი იმისათვის, რომ სამკაული ტანსაცმელზე, წამოსასამზე თუ სარტყელზე მჭიდროდ მიმაკრდეს.

ამგავსად ნაკეთებ ნივთთა შორის, ზირველ ეოვლისა, აღსანიშნავია: ასპარეც ერისთავის სარტყლისა და დიადემის ბალთები, ქარქების გარსაკრავი; მეორე სამარხის სამაჯურის მედალიონის თვალბუდე და გულსაკიდის მედალიონი; მეექვსე სამარხის ჭვირული ეულსაკიდის კოლოფი; მეშვიდე სამარხის ვერძისთავიანი ეულსაკიდის კოლოფი და სანელ-საცხებელ, წამოსასამის შესანბევი აბზინდები; მეთვრამეტე სამარხის წყვილი სამკაული; მეცხრამეტე სამარხის ბრტყელი საყურეები; მეორმოცე და ორმოცდამესამე სამარხების ბრტყელი დასასრული სამაჯურები და მრავალი სხვა. გასაკებია, რომ ამ რიგის ნივთების კეთებისას ფართოდაა გამოყენებული რჩილვა და გავარსიც.

მსგავსი სერსითვა ნაკეთები, ოღონდ აღნაგობით გაცილებით უფრო რთულია ასპარეცის სამარხში აღმოჩენილი მძივები. ცხადია, რომ ამ სირთულეს მძივების მრგვალი მოყვანილობა ქმნის: მათი ეოველი მხარე გამოსაჩენია და ამიტომ რჩილვის კვალის დაფარვა მსოფლად გაგარსით სერსდება. ამ მხრივ მძივების შენაგობა დაწვრილოვით მეექვსე სამარხის ვერძისთავიანი ეულსაკიდის სანელსაცხებელ, თუცა უკანასკნელ შემთხვევაში ოქრომჭედლეს ჰქონდა სამუადება უფრო ადვილად მიდგომოდა ცალკეულ ელემენტებს ჭურჭლის მიგნითა მსრინაზე.

სხვადასხვა მოყვანილობისა და სისქის ოქროს ფირფიტები, რომლებიც არამზისხევის მიდრულ სამარხებში აღმოჩენილ ნივთთა გასაყოფლად არის გამოყენებული, ფაქიზად გამოკედილი, ნაკვეთი ა. აგრეთვე გამოყვერილია ოქროს სხვა ნივთები თუ მათი ნაწილები, სახელდობრ: ბრტყელი რკალოვანი, მრგვალი რკალოვანი და ბრტყელი დასასრული სამაჯურები; მათი სახსრის სამსკვლები, საყეტები, სამაჯურებზე დარჩილული თვალბუდეები და სხვ.

ისეთი მინიატურული, რთული აღნაგობის ნივთები კი, როგორცა ტახის გამოსახულება, გულმოდგინედ გამოკვერილი ჩანს. ნაკვეთი ეველა ბუტის რკალი და თვალბუდე; კვერვით არის გამოყვანილი ზოგი მათგანის დაამშენებელი რთულსახოვანი რელიეფური სამკაულიც (პალმეტები, დაფნის გვირგვინი და სხვ.).

გვიანდელი, III—IV საუკუნეთა სამარხებში გავრცელებული ტიპის საურეთა რგოლებიცა და ღერავებიც ნაკვეთია. ზოგ შემთხვევაში, მსატრული ეფექტის გასაძლიერებლად, ამგვარ საურეთა აღნაგობა გართლებულია, ძირითად ღერავზე გარდგარდმო რამდენიმე ღერავის დარ-

ჩილვით („სხინავსები“). სამკაულთა მავთულოვანი ნაწილები გაწვლვით მიღებული უნდა იყოს. მავთულის კეთებაში დახლოვება იქიდანაც ჩანს, რომ არამზისხევის სამკაულთა ადრინდელ ჯგუფში მრავლად გვხვდება სხვადასხვა სიმსისს მქონე მავთულოვანი ნაწილები. განსაკუთრებით დამახსიანივთელია ეს მეექვსე სამარხის ჭვირული ეულსაკიდისათვის, „ცრუ გავარსებისათვის“ და სხვ. ეს გასაკებია, რადგან მავთულოვანი ელემენტი თვალსაჩინოდ არის წარმოგენილი ჯერ კიდევ თრიალეთის ოქრო-ვერცხლის ნივთებში, ახლოგორის განმში და ა. შ.

სმირად არის გამოყენებული, როგორც დეკორატიული ელემენტი, სხვადასხვა ზომის მასიური თუ ფუფე ბურთულები. შედარებით წვრილია ის ბურთულები და ნაჭდეუები, რომლებიც გავარსს ან ცრუ გავარსს შეადგენს. მსხვილი ბურთულები კი გვაქვს გვიანდელ ბუტებზე და ჭვირული ეულსაკიდის კოლოფზე. ბურთულებს თავისებური გამოყენება აქვთ სამაჯურთა რკალებისა თუ ბრტყელი მუსლები და დამბმულ სამსკვალთა თავების სასითაც.


კუთების ტექნიკის მსრივ თავისებურ ჯგუფს შეადგენს ოქროს გარდულები, კილიტები, ფირფიტოვანი საკიდები და სხვა მრავალრიცხოვანი წვრილი სამკაული. ისინი, უეჭველია, ნატეფდრია, ე. ი. შტამპით არის მოჭრილი. შემდეგ კი ზოგ მათგანს (კილიტებს, გარდულებსა და წვრილ საკიდებს) შიკნიდან, ქსოვილზე დასაკრებლად, და რჩილული აქვს მინიატურული უენწყობი, რომლებიც, რა თქმა უნდა, სათითაოდ უნდა მოჭრილიყო წვრილი მავთულისაგან. ასევე მინიატურული და მხელი სარჩილავი იქნებოდა ჭვირული ეულსაკიდისა და სამაჯურის თუ მუქვეების შემადგენელი მრავალრიცხოვანი რგოლები.

როგორც ვნახეთ, ოქროს ნივთების უმეტესობას რთული აღნაგობა აქვს. ზოგი მათგანი ასეულობით დეტალისაგანაც კი შედგება (მაგალითად, ჭვირული ეულსაკიდი; ვერძისთავიანი ეულსაკიდი; ბრტყელი, ჭვირული და დასასრული სამაჯურები და სხვ.).

სამკაულთა დეტალების ერთიმეორესთან გადაბმა-დაკავშირებისათვის გამოყენებულია ორგვარი ხერხი: მკვალვა და რჩილვა.

მკვალვას ვხვდებით ეველა სამაჯურში, ჭვირულსა და ვერძისთავიან ეულსაკიდებში, დიადემებში, ზოგ საყურეში და სხვ. თითქმის ეველა შემთხვევაში გვაქვს მრგვალი უენწყობისა და მათი გურილი ღეროვანი სამსკვალისაგან შემდგარი სისტემა, რომელიც შეადგენს დამაკავშირებელ სახსარს. რამდენადმე თავისებური რგოლოვან-ღეროვან საურეთა ელემენტების ერთიმეორესთან გადაბმა, რაც განსორციელებულია რგოლზე მიჩრილულ უენწყობი თავუენწიანი დერაკების გურით. რამდენამე შემთხვევაში პარალელური ბრტყელი ნაწილები გარდგარდმო გურილი ვერცხლის ან ოქროს სამსკვლები უოფილა დამაკრებული.

რჩილვას კი გამოყენებას ვხვდებით ეოველ ნაბიჯზე და თუ თვალთ არ ჩანს, ნივთების აღნაგობა მაინც ცხადყოფს, რომ მათი ნაწილები ერთიმეორეზე მიურჩილვით, მაგრამ ამის კვალი ოსტატურად დაუფარავთ. მეტწილად ამგვარადაა ნაკეთები ფურცლოვანი ბუტები, რომ-



ლებშიც თვალბუდეები ნაპირმუხლდებლივ არის ამოჭრილი. ერთ წყება ნივთებს რჩილვა აშკარად ეტეობა (მაგ., გვიანდელ ბუქლებს, ზოგიერთ რგოლოვან-ღეროვან საუერეს, ერისთავის სარტელისა და დიადემის ბალთებს და სხვ.), მაგრამ არის რამდენიმე ისეთი სამკაული, რომელთა აღნაგობა ქმნის ილუზიას, თითქმის მათი დეტალები ერთიმეორესე გადწიწულია (მაგ., ჰვირული ეელსაბამი), ხოლო ზოგი თვალბუდე რკალში ამოჭრილის შთაბეჭდილებას სტოვებს (მაგ., შეექვს და შემივდე სამარსთა სამაჯურები)-დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევებშიც რჩილვასთან გვაქვს საქმე, ოღონდ იგი ძალიან ოსტატურად არის განსორციელებული.

ცალკე უნდა შევირდეთ სამი როული სამკაულის აღნაგობასე. მათ შორის უმუქლესია ვერძისთავიანი ეელსაიდი. კეთების ტექნიკის მსრევ მისი ჩამოსაკიდი მუქკვი გამოირსევა. როგორც აღწერისას ითქვა, ეს მუქკვი წნულის შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ ნამდვილად იგი მედგენილია ერთიმეორესე გაყრითი, ვიწრო, მღიერ დატრელებული, შეუკვერელი მუთულთან რგოლებისსან, ეოველგვერი რჩილვის გარშე. ეს დამოუკიდებელი ელემენტები ისეა აწყობილი, რომ წნულივით ებმის და თანაც საიმედოდ აკვიძირებს ერთიმეორესე. ამგვარად აკებული მუქკვის ღია ბოლოებზე წამოტყულია საგანგებო პრისზეული სარტეკლები და ეს ბოლოები ამ ადგილას სამსკვალით დამაგრებულია. ასეთი აღნაგობის შედგენა მუქკვის დიდი მოქალისობა. ეს მუქკვი საუკეთესო ნამუშევრად უნდა ჩაითვალოს.

უფრო გვიანდელ, მეორე სამარსში აღმოჩენილი სამაჯურის აღნაგობის თავისებურება ისაა, რომ რჩილვა აქ გამოყენებულია გვერდებით გადამბულ რგოლთა ბოლოების ერთიმეორესე გაყრის შემდეგ, რაც თავისთავად ფრიად ფაქის მუშობას მითისოვდა. იგივე ითქმის იმავე სამარსის გულსაილის მუქკვის, შემდეგ სამარსის ვერძისთავიანი ეელსაილის სანელსაცემლის მუქკვისა და მეორემოცე სამარხის მუქკვის შესასებ, რომელიც განსაკუთრებით წვრილი რგოლებისსან შედგება.

სამკაულთა ნაწილების დაკავშირების ეველა შემოგანხილული სერის (შკვალისა, გაყრისა თუ რჩილვისა) დიდ ერთგვაროვანებას იჩენს ეველა სამკაულში, რაც კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ ეს უკანასკნელები ერთისა და იმავე ოქრომკვედლური სკოლის ნაწარმოებია. ამასვე მოწმობს აღმოჩენილ ნივთთა დიდი მხატვრულ-სტილისტური ერთიანობა, რაც მკაფიოდ იჩენს თავს გარკვეული ქრონოლოგიური ჯგუფის ფარგლებში.

აგრეთვე რთულია და აკებულებით ტიხროვან მინაქარს უახლოვდება მეორემოცე სამარხის ბრტეული, დასახსრული სამაჯურები. მათი მუსლების ერთი წყება ჰვირულია და შედგება ღამაზი, სასოვანი, ორფერი ჰასტით ამოტყებული ბუდეებისსან, რომლებიც ერთიმეორესე მიჩრჩილულია. მუსლთა მეორე წყებაში შუა ზოლები გარდგარდმო ფაქისად დატხირულია და აგრეთვე ორფერი ჰასტით არის ამოტყებული. ფაქის დატხირულობას ვეფავთ აგრეთვე მცესრამეტე სამარხის ბრტეულ საუერებში და ნაწილობრივ—მეორე სამარხის ეელსაბამის მედლიონზე. შეიძლება ითქვას,

რომ აქ ჩამოთვლილ სამაჯურთა, საუერთა და ეელსაბამის სახით საქმე გვაქვს თვალდრი ჰოლიქრომიდან მინანქრულ ჰოლიქრომისზე გადასვლასთან. რაც შეესება მინანქრულ ჰოლიქრომისს, იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საინტერესო ნიმუშებითა წარმოდგენილი განხილულ ინვენტარში.

ამრიგად, არმაზისსხევის II—III საუკუნეთა ერისთავების სამარხთა და IV საუკუნის მდარეულ სამარხთა ოქროს ინვენტარის განხილვამ გაჩვენა, რომ აღნიშნული პერიოდის ოქრომკვედლური ტექნიკისათვის დამახასიათებელი ეოფილა: ფაქისი კვერვა, ჭედვა, უღერუსად მაღალხარისსოვანი რჩილვა, მკვალვა, მოგავარსება, ნივთების შემოგობა წნული და გრესილი სასხეებით, მასივიური თუ ფუვე ბურთულებით [მდრ. 81] და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და სწორედ ქართული ოქრომკვედლობისთვის დამახასიათებელი, სამკაულთა მორთვა ნაირფერადი, სხვადასხვა მერიფასი კვებით, ჰასტითა თუ მინანქრით. ეს მომენტი ისე ჰარბადა წარმოდგენილი არმაზისსხევის შემოგანხილულ ნივთებში, რომ სრულიად აშკარა სდება არსებობა მოწიფული ადგილობრივი ოქრომკვედლური სკოლისა, რომელიც ქმნის მაღალმხატვრულ ჰოლიქრომულ სამკაულთა შედგერებს.

ანტიკური სანის ქართლში ასე მღიერი ოქრომკვედლური სკოლის არსებობა სრულიად კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, რადგან, როგორც უმოთაც აღვნიშნეთ, ქართულ ოქრომკვედლურ სელოვებას მღიერი და უმუქკვი ტრადიციები უჩანს მგ. წ. II სასწლეულდიანვე, რასაც კარგად აბტკიცებს, ერთი მსრივ, თქმულებები და სხვა უცხოური ლიტერატურული ცნობები (ჩვენში ოქროს ინტენსიური მოპოვება-დამუშავების შესასებ) და, მეორე მსრივ, მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები.

არმაზისსხევის არქეოლოგიურ აღმოჩენათა დიდი მნიშვნელობის ერთ-ერთი მხარე სწორედ ისაა, რომ მან მოგცა II—IV სს. ქართული ოქრომკვედლობის განვითარების დონის საკმაოდ სრული სურათი.


სრულიად თავისებურია ვერცხლის ნივთთა კეოების ტექნიკა. მათი დიდი უმეტესობა ჰურტლითაა წარმოდგენილი. გვაქვს ჰურტლის შემდეგი სასხეები: ღანგარი, ჰინაკები, ორფერი ღამაქისებრი ჰურტლები, საღვინე სურები და სხვა.

ეველა მათგანის დამზადების თავდაპირველ პროცესად გვესახება სხვადასხვა სისქის ვერცხლის ფურცლის გამოკვერვა, რაც ეოველთვის დიდი სისუსტით არის შესრულებული. შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენს, როგორც საგანგებო შესწავლის შედეგად გამოკვერულ იქნა, ფურცლისსან სახურველი მოყვანილი ჰურტლის გამოყვანა ჩარსზე, საწნევი სელსაწეოს მედმივი მომარჯვებით. თითქმის ეოველი ჰურტლის ფსკერზე შემორჩენილია ჰაწია ფოსო—ჩარსზე დამაგრების მანიშნებელი, ხოლო კალთებზე ჩანს საწნევი იარაღის კვალი, გამოჩარსვის პროცესში დარჩენილი. ამ კვალს ეტეობა, რომ საწნევი სელსაწეო რბილი მასალის (მაგ., ხის) უნდა ეოფენიოთ. ჩარსზე ტრიალის დროსევა ჰურტლის მიგინდიან ამოდარული კონცენტრული წრეები, რომლებიც საგმოდ სძირად გველჩინება, როგორც ჰინაკთა

მარტივი სამკაული. ეს ღარები მკრული და წვეტიანი ხელსაწყოებით არის გამოყვანილი. გამოჩარხვა-დაწნევის სამუშაოც უოველთვის მაქსიმალური სიზუსტით ჩატარებული ჩანს.

მეცხრე სამარხის ჭურჭლის „კანელურები“; მეექვსე სამარხის „ახარფემისა“ და მეშვიდე სამარხის ჰინაქის კალოებზე გამოყვანილი სახეები).

განსაკუთრებით რთული, რელიეფური სახეების სის-



სურ. 137

ამ პროცესის შემდეგ გამოჰყავდათ, როგორც ჩანს, უფრო რთული დეკორატიული ელემენტები. რაც ჭურჭლის ერთ წვებას ახასიათებს (მაგ., მესამე სამარხის ცხენიან და ორბიან ჰინაქთა კალთების სამკაული და მისი დიდად მსგავსი,

ტემით არის შემკული ბერსუმა ერისთავისათვის მეფის მიერ ნაბოძები დიდი ლანგარი. ეს სახეები ჭურჭლის დამზადების შემდეგ უნდა იყოს ბასრი იარაღით სათითაოდ ამოკვეთილი. უურადღებას იქცეეს მათი სიზუსტე და სრული ერთგვა-

რობა, რაც ამჟღავნებს ჰირველსარისსოვანი ოსტატის ხელს. ვერცხლის რამდენსამე ჰინაკზე, გარდა გეომეტრიული და მცენარეული მორტივებისა, გვაქვს ცსოველთა და ფრინველთა გამოსახულება. ზოგ შემთხვევაში (ფარშავანები, ვახის ფოთოლი და მტევნები) გამოსახულება მსხვილსაზოვანია და წვერბლაკე ხელსაწყოთი ამოღებული უნდა იყოს, ისე, რომ ჭურჭლის მეორე მხარეზე საკმაოდ მაკუთოდ გამოსკვივის მათი მოსახულობა. ზოგჯერ კი (ცხენიანი და ორბინი ჰინაკები) გამოსახულება ლითონის წვეტიანი ხელსაწყოთი არის ამოკაწრული. ორბისა და ერთ-ერთი ცხენის გამოსახულება მხოლოდ ოდნავ გამოსკვივის ჭურჭლის მეორე მხარეზე. ცხენების გამოსახულება გამოყვანილია ჭურჭლის ზედაპირზე წინასწარ მოხასხულა წურჭლიანი კონტურის მიხედვით. ასევე ორგვარია ვერცხლის ჭურჭელზე წარწერების გამოყვანის ტექნიკაც: ზოგი მათგანი ამოკაწრულია, სოლო ზოგი, წვეტიანი ხელსაწყოთი საშუალებით, საკმაოდ ღრმად ამოხსვლელი წერტილებისაგან შედგება.

ვევლა ჭურჭელი არაა მსოლოდ ერთი ფურცლისაგან დაშვადებული. რთული აღნაგობის ჭურჭლებს ეკუთვნის, უპირველეს ეოვლისა, სურები (პირველი, მეექვსე, მეშვიდე და მესხვე სამარხებიდან) და აგრეთვე ლამაქისებრი ჭურჭელი (პირველი სამარხიდან), რომელთაც ეურები ცალკე დაშვადებული და შემდეგ დარჩილული აქვთ. ასევე მიჩრილულია სურათა ქუსლები. ლამაქებს ორ-ორი ეური აბათ, სურებს კი თითო. ორ შემთხვევაში სურებს აქვთ ეურებთან დაკავშირებული სარქველებიც. ზოგჯერ სურათა ეურები ორი ან სამი, ერთიმეორეზე მიჩრილული ნაწილისაგან შედგება. ვევლა ჩამოთვლილ სურას ქუსლი მომგვარილი აღმოჩნდა და, ჩანს, ისინი საკმაოდ სუსტად ეოფილან მიჩრილული. ასეთივე სურათია ეურების მიჩრილვის შემთხვევაშიც. ეტკობა, უფრო მტკიცედ ეოფილან მიჩრილული ჰინაკების და ღანგურის ქუსლები. ზოგ შემთხვევაში რჩილვა გამოყენებულია აგრეთვე ჰინაკს მტინიდან ამა თუ იმ შედალიონის ჩასკარავად (მაგ., შეექვსე სამარხის უანწიანი ქალის ჰორელიფი).

როგორც გვხვდავთ, ვერცხლის ნივთების დაშვადებისაგან ფართოდ გამოყენებით რჩილვის ხერხი, გამოჩარხვადანწვესთან ერთად.

რამდენადმე უფრო რთულად და განსხვავებულად გამოიყურება სარცხლის ფესთა დაშვადების ტექნიკა. ირკვევა, რომ ფესებს თვედაპირველად ხისაგან გამოჩარხვადნენ და ზედ სატრეოლით სასურველ სახეებს გამოიყვანდნენ სოლმე; შემდეგ კი მათ კვლავ ჩარხსე დატრიალებდნენ და გარემოაწწვენდნენ ვერცხლის ფურცელს, რომელიც ამის შედეგად გაიმეორებდა ხისაგან გამოჩარხვადი ფესის მოყვანილობას. ხეზე სატრეოლით გამოკვეთილი სახეების ვერცხლის ფურცელზე აღბეჭდვა კი წარმოებდა უკვე უჩარხოდ, ალბათ დაზგახე, გარედან დაწვევის და კვერის გზით. თითოეული ფესის ხედა და ქვედა თავი დაფარულია ბრინჯაოს თხელი ფურცლით, რომელიც ხეზეა დაზგარებული ვერცხლის თუ ბრინჯაოს წერილი სამსკვლებით, ლურსმნებით. ფესების დაშვადებისას რჩილვა მსოლოდ ამ ადგილებშია გამოყენებული.

ვერცხლის ჭურჭლის მორთულობაში ზოგჯერ ოქროცერილი ელემენტები და გავარსიც გვხვდება. ოქროცერ-

ვილია; მესამე სამარხის ერთ-ერთ ჰინაკზე გამოსახული ცხენი და სამსვერპლოს თავი; ორბის გამოსახულება იმავე სამარხის სხვა ჰინაკზე და მეექვსე სამარხის ერთ-ერთი ჰინაკის ჰორელიფზე გამოსახული ქალის ტანსაცმელი, თმა და აგრეთვე ჯიხვის რქა. მოგავარსების საუკეთესო მაკალითს გვაძლევს ბერსუმა ერისთავის დიდი ლანგარი. აქ მოგავარსებულია არშობის მინიბთა ნაჩირი და შუაგულში გამოყვანილი სასოვანი შედალიონი. ზოგჯერ გავარსი მძიგთა ასხმელის მიბაპეის შთაბეჭდილებასაც კი სტოვებს (მაგ., პირველი სამარხის ერთ-ერთი ორეურიანი ლამაქის არშობის კიდე). ცხადია, ამ შემთხვევებში საქმე გვაქვს არა ნამდვილ გავარსთან, არამედ წერილად დაკვტნილ მათეთლთან. ამ უკანასკნელს რჩილვან სათანადო ადგილას, განსაკუთრებით კი კიდეებზე, რომლებიც არმაზისხევის ვერცხლის ჭურჭლებს საერთოდ საკმაოდ შესქელებული და დაბრტყელებულ-გადაკვეცილი აქვთ სოლმე—ჭურჭლის შემკობის მიზნით დამატებითი სიბრტყის მისაღებად. თითო-ოროლა სკულპტურული გამოსახულება, რომელიც ვერცხლის ან ჭურჭლებს ამშვენებს, ან ჩამოსხმულია და დამატებით შემოკვედილ-გამოკვერილი (უანწიანი ქალის ჰორელიფი), ან იმათეთვე ფურცლიდან არის გამოკვედილი (ვერძისთავი ახარფემის ტარზე).

საკსებით ცხადად ჩანს, რომ ვერცხლისაგან სხვადასხვა ხერხით დაშვადებულ ვევლა ნივთს საბოლოოდ კიდევ ერთხელ დაამუშავებდნენ და გააპრიალებდნენ სოლმე რბილი ხელსაწყოთი, რის გამოც კვერის, დაწვევის, ჭედვის თუ ჩამოსხმის კვლი თითქმის შეუმჩნეველია. ამგვარადაა დაშვავებული არა მარტო მეტ-ნაკლებად დიდი სიბრტყეები, არამედ ჭურჭლის შემამკობელი ელემენტებიც.

არმაზისხევის ვერცხლის ნივთები, გარდა ტექნიკური სრულყოფილობის, მსატრეულადაც უთუოდ მაღალ დონესე დგას, თუმცა ამ მხრეც არ არის მოღადავთგავარსოვანი: უხვად, შეუზღუდავი გამომგონებლობით შემკული ჭურჭლების გვერდით გვაქვს სრულიად სხდა და მსატრეულად მარტივი ნივთებიც.

პირველი ჯგუფის საუკეთესო ნიმუშებად შეგვიძლია მივიჩნიოთ: ბერსუმას ლანგარი; ცხენიანი და ორბინი ჰინაკები; ჰინაკი, რომელზედაც უანწიანი ქალის ჰორელიფია; „ახარფემა“ და ვახის გამოსახულებიანი ჰინაკი. მეორე ჯგუფის ნიმუშებია: ასპარგვის სამარხში აღმოჩენილი რამდენიმე ჰინაკი და ორეურა „ღამაქები“. ჭურჭლის დამამშენებელი გამოსახულება ერთ შემთხვევაში ჩამოსხმული, გამოკვერილი ან ამოკრით გამოყვანილი რელიეფებია, მეორე შემთხვევაში კი მარტივი სახობრივი კონტურებით არის ამოღარულ-ამოკაწრული.

ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულების თუ მცენარეული მორტივების გადმოცემა რელიეფით ხსნათდება და ეს გარემოება აძლიერებს მოსაზრებას ამ სავანთა შემოქმედი ოსტატების მსატრეული მოწიფულობის შესახებ.

აღმოჩენილი საუკეთესო ნიმუშები უფლებას გვაძლევს ეთქვათ, რომ ოსტატებს არ დალბატობს მსატრეული ზომიერება და არ იტაცებს სამკაულით შედმეტად დატვირთვისადმი მიდრეკილება. სამკაულის სხვადასხვა ელემენტები ზომიერად და გემოვნებით არის ერთიმეორესთან შესამებული.

ამგვარად, არმაზისხევის ვერცხლის ინვენტარი ისევე დაწინაურებული ტორეკტიკის ნაოფია, როგორც ზემოაღნიშნული ოქროს ნივთები—ოქრომპყვლობისა.

უიქრად გვევლინება, აგრეთვე გვაგულისხმებინებს ისეთი სასულსოების არსებობას, რომლებიც, გარდა დიდი ოსტატებისა, მრავალრიცხოვანი დამხმარე მუშაკებიც იქნებოდნენ



სურ. 138

არმაზისხევის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლის ნაწარმი, გარდა იმისა, რომ ნიჭიერი და მსატყურელი გემოვნებით დაჯილდოებული ოსტატების შთან-

იაბმული და შრომა ვეროვანად იქნებოდა განაწილებული. კერძოდ, საფიქრებელია, რომ დამხმარე მუშაკთა მოვალეობას შეადგენდა: ათასობით კილიტის შტამპით მოჭრა და

მათვის უნწების შეხმა; მეექვსე სამარსის ჰვირული ეელ-საკიდის და მისი მსგავსი სხვა სამკაულის შემადგენელი ცალკეული რგოლების დამზადება, მათთვისა და ღერაკების გაწვლა, ბურთულების დამზადება, წვრილ თვალთა გამოთლა და სხვ. ეს მძლავრი სახელოსნოები სახელმწიფოებრივი მასშტაბის დაწესებულებანი უნდა ეთფილიერო და არა ცალკეულ ხელოსანთა კუთვნილებაა—მთა უმეტეს, რომ, როგორც ვიცით, იბერიის მეფეებს უხდებოდათ დიდძალი ოქროსი თუ ოქროთი შემოსილი საცნების მიძღვნა დიპლომატიური საწუქრების სახით.

ოქრომკვლური ნაწარმის განსაკუთრებულ ელემენტს შეადგენს ბეჭდების და სხვა სამკაულთა თვლები, რომელთაგან ზოგადად ესა თუ ის გამოსასულება ამოკვეთილი. სუთი მათგანი რელიეფურია (ქალის პროფილი ასპარეგის სარტულის ერთ-ერთ ბალთაზე, ძაღლის გამოსახულება მეორე სამარსის უელსაბამის მედალიონზე, ვერძისთვის გამოსახულება მეშვიდე სამარსის ეელსაკიდზე, ქალის სახის ნიღბისკების გამოსახულება მეშვიდე და მეორმოცე სამარსთა ბეჭდების თვლებზე), დანარჩენებზე კი გამოსახულება ჩაღრმავებულია და, მაშასადამე, ზოგჯერ მანც ისინი რაიმე რიბლ მასალაზე აღსაბეჭდად არიან განკუთვნილი (ეს უმეტესად, კერძოდ, საბუდეათა შემოსევაზე). მეორე ვგუფს ეკუთვნის ეველა პორტრეტული გამოსახულება, რომლებზედაც წარმოდგენილია ერისთავთა და მათი ოჯახის წევრთა სახეები, ზოგჯერ ვინაობის თუ თანამდებობის მანიშნებელი წარწერიორით. გამოსახულების ამოსაკვეთად, როგორც უკვე ითქვა, შერჩეულია უმთავრესად აღმანდინისა და სარდიონის თვლები, ზოგჯერ ნეფრიტზე და ამფიფიქსტოც. ეველა ესენი მატარი ქვებია და მათი ამოჭრა, დიდ ოსტატობასთან ერთად, პირველსარისსოვად მოწყობილობას მოითხოვდა. ვარჩევთ მეტ-ნაკლები სიღრმით მოჭრილ სახეებს, მეტ-ნაკლები გულმოდგინებით გამოყვანილ დეტალებს. ზოგჯერ გაპრიალებული ფონი შესამებულია მქრქალ გამოსახულებასთან (მაგ., ზეგანისა და კარაპის გამოსახულება). სხვა შემოსევაებში კი თვით გამოსახულებაც გაპრიალებულია. ასპარეგის საერისთავო ბეჭდზე გამოსახულება უფრო გაპრიალებულია, ვიდრე ფონი. ზოგჯერ გემმა ისე ღრმადაა ამოკვეთილი, რომ მისთვის ადამიანს თითქოს მეორე მხრიდან უნდა ეცქირა და, თვალის გამჭვირვალობისა და ქვემ ამოფენილი ოქროს სიფრიფანა ფურცლის წყალობით, გამოსახულება, ასე ეთქვას, „სკულპტურულად“ უნდა აღეკება (მაგ., ზეგანი და კარაპი, აქტონი).

ეველა პორტრეტული გამოსახულება რეალისტურია და ისე გულდაგულ დამუშავებული, რომ ორიგინალებისადმი მსგავსების მიმართ სრულ ნდობას იწვევს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ასპარეგის, ზეგანისა და კარაპის და თავმოკვლეპილი მამაკაცის გამოსახულებანი.

ცხოველების გამოსახულებათა შორის ერთი მცირე ხელოვნების ნამდვილი მედერია. ესაა მე-7 სამარსის ეელსაკიდის კოლოფის სარქველში ჩასმული ვერძისთავი. ძალიან კარგია აგრეთვე მეორე სამარსის ეელსაკიდის კაშა—ძაღლის გამოსახულება.

საერთოდ ცნობილი და ფართოდ გავრცელებული სიუყე-

ტების ამსახველთაგან მესრულების მსრივ გამოირჩევა: ასპარეგ ერისთავის სარტულის ერთ-ერთ ბალთაში ჩაყრული კაშა—თითქოს მენადა; მეორე სამარსის სამაჯურის მედალიონში ჩაყრული გემმა, რომელზედაც ათენა-ძალადაა გამოხატული; მეშვიდე სამარსში აღმოჩენილი ერთ-ერთი ბეჭდის თვლი, რომელზედაც აქტონისა გამოსახული; ორმოცდა-მეგრე სამარსში აღმოჩენილი ბეჭდის თვლი, რომელზედაც მკურნალობის ღვაება, ასკლეპიოსისა გამოსახული.

არის ერთი წყება ბეჭდის თვლები, რომლებზედაც გამოსახულება სქემატურია. აქ თავს იჩენს მეორეგვარი მხატვრული მანერა, თუ ოსტატობის დაქვეითებას არ ვიტყვით. სხვათა შორის, ეს უფრო მეოთხე საუკუნის სამკაულთა შორის შემინწევა (1943—1944 წწ. მიანაპოვარი).

სიუყეტის მსრივ უკვე განხილულთაგან გამოირჩევა კიდევ ერთი წყება გემმები—მაგ., „ოკოლი კაცი“ (იხ. თავი IV, № 250); ქალი, რომელსაც თითქოს მუხები უჭირავს სელში (იხ. იქვე, № 263). ესენი სქემატურ გემმათა ვგუფს უნდა მიეკუთვნოს. ასევე სქემატურად და მხატვრულად მღარების სუსტად უნდა ჩათვალოს ნიღბისკის სახეთა პირველიფეები მეშვიდე და მეორმოცე სამარსთა თითო ბეჭედში.

ეურადლებას იქვეც ის გარემოება, რომ არც ერთი გამოსახულება არა გვაქვს 1941 წელს გათხრილი, IV საუკუნის მდიდრულ სამარსთა (№№ 12, 13, 19) მრავალრიცხოვანი ბეჭდების თვლებზე.

საერთოდ, გამოსახულებიან თვალთა პროცენტი IV საუკუნის ნივთებში ნაკლებია, II—III სს. ერისთავთა სამარსებში აღმოჩენილებთან შედარებით, და ეს ერთი იმ ნიშნთაგანია, რომელნიც საკრმნობლად განასხვავებენ მეოთხე საუკუნის ინვენტარს და, კერძოდ, სამკაულებს ერისთავების სამკაულთაგან.

გემმათა რიცხოვრივ შემცირებასთან ერთად შემინწევა გარკვეული ტიპოლოგიური ევოლუცია სამკაულთა თითქმის ეველა სახეობაში, რაც ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ იმ მასშაუკუნოვანი პერიოდისათვის, რომელსაც მოიცავს განსახილველ სამარსთა ხნოვანება. რა თქმა უნდა, ეს დაკვირვება უმთავრესად ბეჭდებს, საყურებსა და სამაჯურებს შეეხება, ვინაიდან მეოთხე საუკუნის მდიდრულ სამარსებში სამკაულის თითქმის მხოლოდ ეს სახეები წარმოდგენილი.

გავადვერთ თვლი ამ ევოლუციის ზოგად სახეს.

ბეჭდები (ზურ. 135 და 136), რკალის მოყვანილობის მისვლით, მრავალფეროვანია. ერთ-ერთს, ეველაზე უფრო ხშირ ფორმას ახსნათვის ოვალური თავწაკევილი რკალი, რომელზედაც თვალზედაც ამოჭრილი ან, უფრო იშვიათად, დარჩილული. გავრცელებულია (გვიანდელ სამარსებში) ოვალური რკალი, რომელსაც მხრები მეტ-ნაკლებად ეუოსოვანი და თვალზედ ჩეველებრივ უედ დარჩილული აქვს. გვხვდება აგრეთვე სრულიდ მრგვალი, თანბარი თუ ოდნავ მეტ-ნაკლები სიმსის რკალები; წვრილად დაკეჭნილი ან ორმაგ-კუხილი მათვლისაგან მოსრილი რკალები. თვალზედგეები ეველა ამათ ზემოდან დარჩილული აქვთ. ერთ ბეჭდს მთელი რკალი ირგვლივ მოთვალული აქვს, ხოლო რამდენიმეს ძირითადი თვალბუდის აქეთ-იქეთ, მხრებზე უხის თვლები.

უფრო ძირეული განსხვავება ჩანს რკალის აღნაგობაში, რის მიხედვითაც ორი სახე გამოიყოფა: ფუეე და მახვილური. ჰარნობს ფუეე რკალები, რომლებიც გვხვებიან როგორც ადრინდელ, ისე გვიანდელ ბუქლებში. მასიური რკალები უფრო იშვიათია და თითქმის უოველთვის პატარა ბუქლებს აქვთ. მასიურრკალიან ბუქლებს თვალბუდე მეტწილად ზედა აქვთ ხოლმე დარჩილული. მათი რკალები გამოუვანილია სხვადასხვა სიმსხისა და განიკვეთის მასულისაგან, რომელსაც ზოგჯერ გარეთა მხარეზე ამოკვერილი აქვს სხვადასხვა სახეები (პალმეტები, ჭაფები, დარები და სხე.). სასიებით დამტყენება ახასიათებს ფუეერკალიან ბუქლებთან. მხოლოდ გვიანდელ ნიმუშებს, ადრინდელი კი თითქმის უოველთვის სადაა.

ბუქდის ფუეე რკალი ორი ფურცლისაგან უნდა იყოს შედგენილი. ერთი დიდი და მისგან რკალის გარეთა ნაწილია გუბეთებული. მეორე უფრო მოკლეა და ვიწრო და მისგან დამზადებულია რკალის შიგნითა ნაწილი, რომელიც უშუალოდ ერტემის გარემოთის და აგრეთვე ის ნაწილი, რომელიც თვალბუდის ძირს წარმოადგენს. ეს ორი ფურცელი ერთიმეორეზე შირილულია ბუქდის შიდა წრესაზე განსწვრივ, ისე, რომ ფურცელთა ვიწრო ბოლოები ერთიმეორეს რკალის ქვედა მხარეზე სხვდება და ერთიანობის რჩილვა ოსტატურად უწარმოებიათ: ნაწილი მთიქმის არსადა ჩანს. ტუქნიის შესასებ ამგვარი მსუჯლობისათვის ბუქდებზე უფრო მეტ საფუძვლეს გვაძლევს შექმნე სამარხის წყვილი სამკლური, რომლებიც რკალის აგებულებითაც და თვალბუდეთა მოწუბობითაც მოკვანებებს იმავე თესხვა, აგრეთვე უშვლევს სამარხებში გავრცელებულ ბუქდებს.

ბუქდების ის ტიპი, რომელიც აშკარად უფრო გვიანდელი ჩანს, ჰირველად გვხვდება მეორე და მესამე სამარხებში, ე. ი. მესამე საუკუნის შუა ხანებზე და მეორე ნახევარში. ეს ბუქდები შედგენილია ცალ-ცალკე დამზადებული რკალისა და თვალბუდისაგან. თვალბუდე დარჩილულია რკალზე—წვეთებრივ სწორედ იქ, სადაც ამ უკანასკნელს მსრები აქვს გამოწვრილი. რჩილული კვლი ზოგ შემთხვევაში საქმადა ნათლად ჩანს ბუქდის შიდა მხარეზე. გარედან კი, მისი შენიღბვის მიზნით, რკალი ხშირად დაწანავებულია ან შემკულია ისეთი დეკორატიული ელემენტებით, როგორცაა გაყარსი. რამდენსამე შემთხვევაში ასეთი ბუქდის რკალს თვალბუდისთან ან მონირდაპირე მხარეზე დარჩილული აქვს ოქროს ბურთულა.

თვალბუდები მოვანილობით მეტწილად ოვალური. განსაკუთრებით ახასიათებს ეს ფორმა ძველ ბუქდებს. ყრძოდა, თითქმის უოველთვის ამგვარია რკალში ამოკრილი ბუდები, თუმცა გვხვდება აგრეთვე თითო-ორთა სრულად მრგვალი, სწორკუთხედი და რომბული თვალბუდეც. ერთ თვალბუდეს (ჩ. აღწ. № 156; სურ. 135, 19) ოთხი ოთხნაწილადი აღნაგობა აქვს, იგი საერთო მოვანილობით კვავილს მოკვანებს. თითქმის ასეთივეა მინანქრის ბუქდის (ჩ. აღწ. № 211; სურ. 136, 22) თვალბუდეც. ეს დაკვირვება გრცელდება სამარხებზე და სხვა სამკაულზე დარჩილულ თვალბუდეებზედაც. ოვალური და სწორკუთხედიანი თვალბუდები მეტწილად

რკალს განსწვრივ არის დარჩილული, თუმცა ზოგჯერ გვხვდება გარდიგარდო დარჩილულიც. ეს უკანასკნელი წესი აშკარად გვიან შემოვიდა.

ბუქდების ტიპოლოგიური კვლევა, რაც რკალისა და თვალბუდის მოკვანილობისა თუ ერთიერთ დამატარების წესის მიხედვით იქნა გაკვლეული, თანადახარობითი და სხვაგვარი ადგილობრივი ნიადაგზე მიმდინარე ჩანს. ამ დაკვირვების ერთ-ერთ დამატარებულ საბუთს უნდა წარმოადგენდეს ის ფაქტიც, რომ 12-ე სამარხში აღმოჩენილი ბუქდის (ჩ. აღწ. № 212; სურ. 136, 3) თვალბუდის კვლევაზე ამოკვერილია არმარული დამწერილობის ოსი ანო, რომლებიც, საფიქრებელია, ბუქდის მდლიობის სახელს გამოკვეციან („ადაღ“). ეს ბუქდი აშკარად გამოხატული გვიანდელი ტიპისაა (მაღალი კოლოფისებრი თვალბუდე და ოვალური მსრებიკუასოვანი რკალი). მისი წარწერა, ისევე როგორც 13-ე სამარხის სამარხებზე ამოკვერილი წარწერები, შკიდროდ აკავშირებს ამ ნივთებს ადრინდელ, ერისათუთა სამარხებთან.

საუკუნეები (სურ. 137, 4 და 138) საერთოდ რთული აღნაგობისა ორივე ჯგუფის სამარხებში და თანაც მათ შორის უფრო მკვეთრი განსხვავება ჩანს, სამარხსა სნოვანების შესაბამისად.

ძველ (II ს. და III ს. ჰირველი ნახევრის) სამარხებში გავრცელებულია რთული, მრავალნაწილადი საუკუნების არსებითად ერთი ტიპი. ესაა შექმნე და შექმნე სამარხისა საუკუნეები, რომლებიც შედგენილია ბრტყელი, მოთვალული ნაწილებისა და ზედა ჩამოკიდებული ბურილოვანი უქნებისაგან. ეს ბრტყელი ნაწილები დარჩილულია საერთო სარჩულზე, რომელიც, თავის მხრივ, დამატრებულია ჩამოკიდებულ, კაკის ოქროს დროსე. ეს საუკუნეები ერთ-ერთი ტიპური ნიმუშია ჰოლირომული სამკაულისა. მათი აგებულება ბევრი რამით მოკვანებს ამავე სამარხებში აღმოჩენილ სხვა ჰოლირომულ სამკაულთა ჯეცლებს.

სამარხთა იმავე ჯგუფში გვაქვს სხვა სხვაგვარი, საესებით მარტივი საუკუნეები—კერძოდა, მესამე და მეხუთე სამარხებში, რომელთაგან ერისი (მესამის) სნოვანება III საუკუნის მეორე ნახევარში გავლდება. ეს საუკუნეები წარმოადგენს პატარა ოვალურ რკალებს, რომელთაც ქვედა ნაწილი ოთხნაწილადი წვეტის სახისა აქვთ წავრმელებული, თითქმის პირამიდისებურად (სურ. 137, 5, 7).

დამასხანათებელია, რომ სწორედ ეს მარტივი ტიპი არის გავრცელებული იმეპროლუ დარბულ სამარხებში, სმთაურომთა და არმაზისსეოთანაც; არის თრიალუმიც.

გვიანდელ სამარხთა საუკუნეებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი წყვილი ბრტყელი, მოთვალული და მარგალიტისმული საუკუნე (ჩ. აღწ. № 216; სურ. 138, 7). ზოგი ნიმუში ისინი ძველ სამარხთა ბრტყელ საუკუნეებს მოკვანობენ, მაგრამ არსებითად განსხვავებებიან მათგან და ჯერჯერობით უნიკალურად შეიძლება ჩაითვლოს. გვიანდელ სამარხებში კი გაბატონებულია საუკუნთა სრულად სხვაგვარი ტიპი, რომელსაც ზოგადად რგოლოვანი-დეროვანი გეოლოგი. მათი დამასხანათებელია უურსაკიდი რგოლი ან რგოლები და ზედა მირჩილული ან შიგ გარბილი შვეული დერაკი, რომელზედაც მორიგეობით ასმულია ოქროს, მარ-

გალტის, ლაგვარდისა და ჰასტის მიწები და ზოგჯერ ოქროს ვარდულებიც.

მიუსუღავად ზოგიერთი რთული და საინტერესო ვარიანტისა (მაგ., „სხივანები“), ეს ტიპი მსატკერულად შედარებით უფრო მდარდ გამოიყურება, ვიდრე ზემოთ დასახელებული ბრტყელი საურეები, თუნდაც იმის გამო, რომ რგოლებიც და ღერაკისე ახსმელი მარცხენა ტიპის თითქმის ყოველთვის უწყისო მოყვანილობისაა. ასეთები ნამდვილად მასობრივად არის გავრცელებული არმაზისსვეის IV საუკუნის მდიდრულ სამარხებში და სამთავროშიც; მხირაღ ვკვებება მომდევნო სანაძი, ქართლის სსვა ადგილებშიც.

ეს ერთი იმ მომენტებზეა, რომელიც ანათესავებს წარჩინებულთა სამარხებში აღმოჩენილ სამკაულთა ერთ ჯგუფს ქართლის იმდროინდელი მისასხლეობის ფართო ფენებშიც გავრცელებულ, ე. ი. ხალხური მსატკერული გემოვნებისთვისაც დამახასიათებელ, გაცხლებით უფრო მარტივ სამკაულთა ჯგუფთან.

მსგავსი ტენდენციის ოქროს ბეჭედთა შედარების მიხედვითაც შემინვეა: აღრიხლელ ტიპს, რომელსაც ფუჟე რკალი და შივ ამოჭრილი თვალბუდე ასახიათებს, მოეპოვება ანალოგები სამთავროს მასობრივი სამარხების ვერცხლის და ბრინჯაოს ბეჭედებს შორის. გვიანდელ ტიპს კი, რომელსაც ასახიათებს რკალს განჭვრივ თუ გარდიგარდმო დარჩილული თვალბუდე, მოეპოვება ანალოგები მცხეთაში თუ სსვაგან აღმოჩენილი მსგავსი ოქროს ბეჭედების სახით. ზედმეტი არ იქნება მოკლედ მაინც მიმოვიხილოთ ეს ანალოგები.

რგოლოვან-ღეროვანი საურეები არსებითად მგელი პროტოტიპებიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგ., მათთან ახლო დგას ბრინჯაოს და ვერცხლის საურეები, რომლებიც შეგდება მარტორი გეოლისა და ქვემოდან მიჩრილული ღერაკისა თუ ღერაკებისგან, აღმოჩენილი ბეშთაშენის [92, გვ. 45, სურ. 40, 1—2], ეასბეგში, ღებში და ვანეთურ ირდლო კავკასიის იმ რაიონებში, რომლებშიც კოლხური კულტურის ელემენტებია გავრცელებული [94, გვ. 60, ტაბ. XXXVI, 8; გვ. 142, სურ. 123]; ოღონდ ეველა ესენი გაცხლებით უფრო მგელია, ვიდრე არმაზისსვეისა და ბორის ამგვარივე საურეები.

ამ ქრონოლოგიურ სსვაობას შეესატყვისება შემდეგი განსსვაება ავებულეებში: მგელი ნიშნები მთლიანად ერთისა და იმავე ლითონისგანაა დაშლადებული, სოლო არმაზისსვეურ საურეთა ღეროები კი სსვა მასალებისგან ნაკეთები მიივებთაა დამგვენებული.

ი. ტოლსტოის და ნ. კონდაკოვის აზრით [114, გვ. 116—117], საურეთა ის ტიპი, რომელსაც არმაზისსვეის ღეროვან-რგოლოვანი საურეები უნდა მივაკუთვნოთ, კავკასიაში გავრცელებულია ახ. წ. დასაწყისიდან. არმაზისსვეის მასალა ახეთ დათარიღებას საგრანობლად აზუსტებს: როგორც ჩანს, ქართლში ამ ტიპის საურეები III საუკუნის ბოლოს ვრცელდება.

მოაპოვება რამდენიმე საინტერესო არქეოლოგიური კომპლექსი, რომლებიც ამგვარ საურეებსაც შეიცავენ. ერთი ამთოგანია საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმში დაცული კოლქეცია (№№ 2352—2362). მასში შეხვალნი ნიეთები (აღმოჩენილი 1917 წელს, ქსნის სეობაში, ახალგორის

მხსლობლად, და მამინვე შექნილი საქართველოს საინტორიო-საეთოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის მიერ), როგორც ჩანს, მდიდრული სამარხის ინვენტარის შეადგენს¹.

იგი შეიცავს: ოქროს ორ წყვილ საურეს, ბეჭედს, მკერდსამკაულს, ერთ სასანურ მონეტას, რომელიც ევეთვისის მახურ 11 (308—380 წწ.); ვერცხლის ბეჭედს და ავეტუსტეს დენარს²; ბრინჯაოს ორ მატარა ახსინდას, სარტულის ენსა და ორნაწილედ მგვილდსაქინს.

საურეები ზედმიწევნით ჰგავს არმაზისსვეის 49-ე სამარხში აღმოჩენილ სსივანებიან საურეს, რომელიც თავის მსრივ მოგვაგონებს მე-19 სამარხის რთულსსივანებიან საურეებს და სამთავროში ბაიერნის მიერ აღმოჩენილ ერთ წყვილს.

ასეთივე საურეები აღმოჩნდა 1949 წელს რუსთავში, მტკვრის მარჯვენა ნაპირის სამაროვანზე (სავ. წიგნ. №№ 98 და 179). ახალგორულ ერთ-ერთ საურეს ღერაკი ბრინჯაოსი აქვს და ამით ის მოგვაგონებს არმაზისსვეის 43-ე სამარხის №№ 684 და 690 საურეებს (ჩვ. აღწ. №№ 247, 253) და სამთავროს გვიანდელ ქვისსამარხებში აღმოჩენილ მამდენსამე საურეს (მაგ., ჩრდილო უზნის 1938 წლის სავ. წიგნ. № 788 და 1939 წ. სავ. წიგნ. № 2361). ეს უკანასკნელნი ღერაკე ახსმული მიივებთაც მღლიან ჰგვანან არმაზისსვეურთ. მათი შემგველი სამარხები, სსვა ნიეთების მიხედვით, III—IV საუკუნეებს მიეკუთვნება.

ახალგორის ერთ-ერთი საურის რგოლი და ზედ ბურთულის შემგვობით მიჩრილული (და არა შივ გაერილი) ეუნწი მღიერ მოგვაგონებს არმაზისსვეის ერთ საურეს (ჩვ. აღწ. № 253), რომელიც ამგვარი აღნაგობით აქ გამოწაკლის წარმოადგენს.

საურადღებობა, რომ არმაზისსვეურ სათანადო სამკაულეებთან მსგავსებას იჩენს ახალგორის კომპლექსში მებავალი ზოგი სსვა ნიეთიც. კერძოდ, ოქროსა და ვერცხლის ბეჭედები ტიპოლოგიურად სავსებით თანსედება არმაზისსვეის გვიანდელ სამარხებში აღმოჩენილ მსრებკუთხოვან ბეჭედებს. ახალგორული რთული მკერდსამკაული კი, თვალთაშორისი ტიხრების გამართვისა და თვალთა ჩასმა-გამატრების სერსებით, მღიერ მოგვაგონებს არმაზისსვეის ორ წყვილ, ბრტყულ-დახსარულ სამაჯურთა კეთებისას მარჯველ გამოყენებულ წესს, სოლო იმავე ნიშნებით და საერთო აღნაგობითაც— არმაზისსვეის მორე სამარხის ეველსაბამის მედლიონს, რომელსაც თავის მსრივ მოეპოვება მასლობელი ანალოგი სამთავროს ჩრდილო უზნის № 4 ქვისსამარხში 1938 წ. აღმოჩენილი ოქროს მედლიონის სახით.

ახალგორული კომპლექსის ზოგი ნიეთის ტიპოლოგიური მსგავსება არმაზისსვეურთან მნიშვნელოვანი სდება ამ უკანასკნელთა სნოვანების განსაზღვრისთვისაც. ზემოთ, სათანადო ადგილას გამოთქმულია მოსაზრებანი, რომელთა საფუძველზედაც შესაძლებელი გხდა სამარხთა საკმაოდ დიდი ჯგუფის მიკუთვნება IV საუკუნისათვის: არმაზისსვეის სამარო-

¹ ამ მონაპოვარს არაფერი აქვს საერთო სახელწოდებულ „ახალგორის განსთან“ [123].

² საინვენტარო წიგნი ე. თაყაიშვილის ჩანაწერის მიხედვით, ავეტუსტის მონეტა არ უნდა იყოს ამ ნიეთებთან ერთად ნაპოვნი.

